ეროვნული ბიბლიოთეკა

644
2011

სარკე

ქართული
სიტყვიერებითი
ჟურნალი

11
2011

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ნაქები

რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს

ქართველმა

ვახტანგ მეექვსე

* * *

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი და,
გათავდა ყოვლი წერილი – ანი და, ბანი, განი და...
ვიარე ბევრი ქვეყანა, სიგძე და სივრცე, განი და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი და...
ხორცსა მრავალი დავაკელ, სულს მივეც იქი რჯანი და,
ვაი-ვაჲ, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი და!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

ქართული
სიცოცხლისმეტყველებითი
ჟურნალი

2011/11

რედაქტორ-გამომცემელი
სერგი კაკალაშვილი

რედაქტორის მოადგილეები
ანდრო ბუაჩიძე
ელზა მეტრეველი

პოეზიის განყოფილების გამგე
ბაღათერ არაბული

მხატვარი
გიორგი წერეთელი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
ლაშა ბაქრაძე
ანდრო ბედუკაძე
ამირან გომართელი
ლევან თაქთაქიშვილი
თეონა იაშვილი
როსტომ ჩხეიძე
გიორგი ჭანტურია
ედიშერ ჭელიძე

დამკაბადონებელი
თამარ ტყაბლაძე

კორექტორი
ნანი ჭულუხაძე

დაარსებულია 1852 წელს
გამოდის თვეში ერთხელ
იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები

© „ცისკარი“, თბილისი, 2011

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 98-36-43, 98-47-62
emciskari@gmail.com
www.jurnaliciskari.ge

სიმონ ჩიქოვანი

თუ ცისარტყელა ტანზე მარტყია,
ან ირწევიან ირგვლივ აკვნები,
ლექსი უმანკო ქვეყნის ბარტყია –
ორი ჭრილობის სისხლით ნაკვები.

შემრჩა ილბალი გაუნასკვავი,
ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი:
მეც ცაზე მყავდა ერთი ვარსკვლავი,
როგორც მომავლის მცირე იმედი.

ხალხის გულისკენ გზას ვერ ჩარაზავს,
ვერც ჭრილობა და მწვავე ნახმლევი,
ისევ წინ მიდევს ფართო შარაგზა
და მეც სამშობლოს ვარსკვლავს გავყევი.

ახლა მეორედ ბუდეს ვიშენებ,
ბედის ხვანჯია გასანასკვავი.
ჩემო სამშობლოვ ისევ მიშველე,
ისევ აანთე ჩემი ვარსკვლავი.

9 მარტი

წუხელ ქურდულად მესროლეს ტყვია,
ტყვია ამცდა და ჩემს ბავშვებს მოხვდა.
გულზე მარტყია სიკვდილის ხვია,
ოცი დაჭრეს და ოცივე მოკვდა.

რას ვიფიქრებდი ხმა ჩამიწყდება,
ვერ დავიფარავ მკერდით პატარებს,
ჩემი ოცნება აქ დამინდება
და გზებზე მარტის წყევლა მატარებს.

მეგონა მთაზე ყვავილებს მოვკრეფ,
ცისკრიან ბალახს დამიფენს ვაკე...
მე მესროლეს და ბავშვები მოკლეს,
მერმე მეც ხიშტით მისროლეს ცალკე.

დამჭირეს და პირი დამიხშეს წუხელ,
მკერდში ვარამი ველარ ჩავტიე,
ჭერი მეწვის და ვერავის ვუმხელ,
სამშობლოვ, შევცდი და მაპატიე.

ეს წინაპრის თუ ჩემი მარცხია,
ქვიშა გამშრალა და მეც გავშრები.
დედავ თბილისო, სისხლი გაცხია,
სისხლში გაბანეს შენი ბავშვები.

ცისკრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეწამულ ფერით მტკვარი ხელდება,
მლაშე ცრემლებმა ქვები დაღარა,
ნუთუ თბილისი უკვე ბერდება
და მთებს ედება ნისლი ჭაღარა.

მტკვართან აპრილი არ მოვა წლეულს,
ნაპირებს კვებავს სისხლის ტბორები
და საქართველოს დაჩეხილ სხეულს
ჭრილობებს ვბან და ვეამბორები.

შიში

მე მეშინია არ გავხდე მტვერი,
ამგვარ შფოთვით და ამგვარ ქარიშხლით,
ვერ გაიგონებს ჩემ სიკვდილს ვერვინ
და სასუფეველს ვერვინ გამიშლის.

ველარ მოიცლის მიგლოვოს ცალკე,
როცა მარიხი მამულს დააცხრა,
აფორიაქდა სიკვდილი აგრე,
და შეეერცხლილი კერა დანაცრა.

მე მეშინია არ მოვკვდე ვიდრე,
ალარ ჩადგება გრიგალი ხრამის,
ეგებ წვეთი ვარ და წვეთზე მცირე,
თუ დამატოლეთ მშფოთვარი ჟამი.

დავიკარგები ვერვინ მპოვებს.
ჩემი სიცოცხლე გაქრება უფხოდ,
ამგვარ ხმაურში ვინ გამიგონებს,
თუგინდ მახლობელ მეზობელს ვუხმო.

მე ჩაფლული ვარ ქარში და თოვლში,
მხარი მექცა და დავეძებ ბილიკს,
მე მირჩევნია დავეცე ომში,
ვიდრე ვირგუნო ცხოვრება თბილი.

ცრემლი დავღვარე პურის ყუაზე,
სისხლი აცხია საომარ პერანგს,
გული მივაბა ცხენის ძუაზე,
დავაგლეჯინო გაქცეულ მერანს.

თუ დავეძებდე მიუვალ კუთხეს,
თუ ჩავიფუთნო სიკვდილის შიშით,
ცრემლი ვაპკუროთ მწარე და მწუთხე,
ერთხელ მოვკვდები თუ ერთხელ ვიშვი.

ცისკრ.

სიმონ ჩიქოვანი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ მაწუხებს, არვინ მომიცდის,
არ მოიხედავს მოყვასი წუთით.
ვერვის მოვახმარ საცოდავ სიკვდილს,
ცალკე გამოსულს იდუმალ კუთხით.

მე მინდა მხოლოდ ბრძოლაში მოვკვდე,
სთქვან, ამ ბალახში სისხლია მისი,
ეგებ საფლავში ფესვივით მოვთბე,
და გავიყოლო რძისფერი სისხლი.

თუნდ უსახელოდ ჩავიდე საფლავს,
მე ხომ ვიქნები ნანილი მთელის,
შევეწირები მამულის ვარსკვლავს
და თუგინდ ქარმა მაპკუროს მტვერი.

ლომის გოდება

ღამე არის, ირგვლივ სუფევს რული,
ჰაერია გარინდული, წყეული თუ კრული.
მხოლოდ ლომი ჩემს მახლობლად გალიაში მეფობს,
მე მომიხმობს და ღრიალებს – სიბნელეში ვჭქქოთ.

სიბნელეში ის დასტირის გადაკარგულ უღრანს,
სურს გაანდოს ვინმეს ბოლმა, სატკივარი უთხრას.
თვისი მტკიცე ნაკვალევი, ჩარჩენილი ჟვერით,
გამოსძებნოს, დაუბრუნდეს მოაშოროს მტვერიც,

სანადიროთ გამიწვიოს მე უსიერ ტყეშიც,
მამხილვაროს გულადობა და ნავარდის ეშხი,
ღრიალებს და დამქვითინებს, წამომდგარი ტორით,
– გაიღვიძე, რულს ერიდე, დავმეგობრდეთ ორი –

მე მომიხმობს უღრანისკენ, გადვირბინოთ ახოც
და უსიერ ტყის სიღრმეში წინაპარი ვნახოთ.
ნაკვესი თუ პირველქმნილი კერის სქელი ბოლი,
ქურქმოსხმული საქართველო, მხნე და ლომის ტოლი,

პირველქმნილი ჩვენი ძალა ფიქალოს რომ თლიდა
და მოხატულს ლომის სახით ქართული დროშას შლიდა.
ჩვენ ორნი ვართ – ამბობს იგი – და სიფრთხილე გვმართებს,
ტყეში გველის წინაპარი და ღამეებს ათევს.

ღამეა და გათენდება მალე,
ლომი ღმუის და მეძახის გავარღვიოთ ღამე,
როგორც მერანს შემომახტი, მივაშუროთ უღრანს
და წინაპარს რკინის ნებით გამარჯვება ვუთხრათ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

●

რა კითხვა არის – რისთვის და რატომ,
ჯერ ვერ მოგვწამლა ცხოვრების ობმა,
არ დაგვჭკნობია სიმნვანე სათნო,
არ დაგვკარგვია ჩანჩქერის გრძნობა.

ეგებ იმისთვის, რომ ფერი იფნის,
მოგონება თუ მამულის ჩრდილი,
ხე სიკეთისა ნახული სიბრძნით,
ან გამოცვლილი ბავშვობის კბილი,

შენ საგულეში მიწყვია ვგონებ
და მეშინია შევახო ხელი.
შიგ ღვივის ჩემი ფარული ღონე
და მცირე კერა ოცნების მგვრელი.

ან იქნებ მისთვის, რომ კარის ზღუდე
შენი თვალებით მილიმის მარად,
მოგონებებით ავავსეთ ბუდე
და ნელა ვხარჯავთ ფერების მარაგს.

ო, ყველაფერი მარტივად ისმის,
რა კარგად ინვის სანთელი წყვილი,
ცისკარს ვატარებთ საგულე ქისით,
უკან მოგვყვება ორფერი ჩრდილი.

ტრფობას ვინ მისცა სახება ერთი?
ან ერთი ჰანგი მშობლიურ მღერას?
ჟამის ტრიალში შავი და თეთრი
ორფერ ბაღივით აანთებს კერას.

ჩვენც ამ ბაღისთვის დაგვჭირდა შრომა
და წყაროს დარად ცხოვრებას ვსახავთ,
ქვეყნად ყოველი სპეტაკი გრძნობა
თუ ჩაიხედავს, თავის თავს ნახავს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიოტრ ჩაადაევი

პიოტრ ჩაადაევი (1794-1856) – რუსი ფილოსოფოსი და პუბლიცისტი. „განათლებული გონება, განსჯის დიდი უნარი, კეთილშობილი გული", – ასე ახასიათებდნენ მას თანამედროვენი, ხოლო პუშკინი წერდა, რომ სურდა, მისი ევგენი ონეგინი ისეთივე დაბვენილი მანერების მქონე, ისეთივე დენდი ყოფილიყო, როგორიც ჩაადაევი, ეს „აპშკაპა პიროვნება" იყო.

ჩაადაევის უმთავრესი ნანარმოები „ფილოსოფიური წერილები", – რომელშიც ისევე, როგორც ყველა ნაშრომში, უმეცარრესად აკრიტიკებდა რუსეთის ყოფას, – ხელისუფლებამ აკრძალა, მისი ავტორი კი სულით აკადმყოფად გამოაცხადა.

ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს პიოტრ ჩაადაევის ერთ-ერთი წერილიდან; ამ წერილში ნათლად ჩანს ფილოსოფოსის შეხედულებები იმ გზაზე, რომელიც რუსეთმა გამოიარა და რომლითაც მან დღევანდელ ყოფამდე მოაღწია...

პირველი წერილი

Adveniat regnum tuum
იუსენ ნეზა შენი

ქალბატონო,

პირდაპირობა და გულწრფელობა – აი, ის თვისებები, რაიც ყველაზე მეტად მხიბლავს და ვიფასებ თქვენში. თავად განსაჯეთ, რარიგ გამოგნებდა თქვენი ბარათი. სწორედ ამ სასიამოვნო თვისებებმა მომხიბლა თქვენი გაცნობისთანავე და შემაგულიანა, წამომეწყო რელიგიაზე საუბარი. ყოველივე, რაც თქვენ გეხებოდათ, დუმილისკენ მიმანიშნებდა. უნდა გავიმეორო – აბა, იფიქრეთ, რაოდენ გამოაცებდა თქვენი წერილის მიღება. აი, ყოველივე ის, რაც შემიძლია გითხრათ იმ მოსაზრებებზე, იქ ჩემს მიერ თქვენი რაობის შეფასების თაობაზე რომ გამოთქვეს. ახლა ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ – პირდაპირ გადავიდეთ თქვენი ბარათის უმთავრეს ნაწილზე.

პირველ ყოვლისა, რატომ ეუფლება თქვენს გონებას ასეთი შფოთვა, რომელიც ისე გაღელვებთ და ძანცეს გაცლით, რომ ის, როგორც თვითონვე ამბობთ, თქვენს ჯანმრთელობაზეც კი აისახება? ნუთუ ეს ჩვენი საუბრების სავალალო შედეგია? სიმშვიდისა და სინყნარის ნაცვლად, რაც გულში გაჩენილ გრძნობას უნდა მოეტანა, მან შფოთვა, ეჭვი, ლამის სინდისის ქენჯნი გამოიწვია. ისე, რა გასაკვირია? ეს იმ სამწუხარო ვითარების ბუნებრივი შედეგია, რომელსაც ჩვენში ყველა გული და ყველა გონება ემორჩილება. უბრალოდ, თქვენ დაჰყევით იმ ძალთა ზეგავლენას, რომელთაც ჩვენთან მოძრაობაში მოყავს ყველა – დანყებული საზოგადოების უმალლესი ფენიდან, დამთავრებული მონით, რომელიც მხოლოდ თავისი პატრონის სიამოვნებისთვის არსებობს.

ან კი როგორ უნდა გამკლავებოდით ამ ყოველივეს? თვისებები, რომლებიც ბრბოსგან გამოგარჩევთ, დიახაც, უფრო მეტად უნყობს ხელს იმ ჰაერის მავნე ზეგავლენას, რომელსაც ისუნთქავთ. გარემოში, ირგვლივ რომ გაკრავთ, შესძენდა კი თქვენს აზრებს მეტ სიმტკიცეს ის მცირეოდენი რამ, რისი თქმის უფლებაც მომენიჭა? შეეძლებდი კი,

რუსი მოაზროვნე რუსეთის შესახებ

გამეწმინდა აბმოსფერო, რომელშიც ვცხოვრობთ? შედგება უნდა ნინასნარ განმეტყნრიტა და მე ისინი ნამდვილად განვეტყნრიტე. სწორედ ამან გამოინვია ისინი დუმილი, რომელიც ხელს უშლის რწმენას, თქვენს სულში შემოაღწიოს და, ბუნებრივია, ხელს უწყობს თქვენს დაბნეულობას. და, დარნმუნებული რომ არ ვიყო, რომ რელიგიური გრძნობა, რომელიმაც ოფლმა ნაწილობრივ მაინც გაიოვიძა ვინმეს გულში, – როგორ ტკივილსაც უნდა ინვევდეს ის ამ ადამიანში – მაინც უმჯობესია, ვიდრე სრული მძინარება, მაშინ ჩემი ამგვარი მოწადინების გამო სინანული დამეუფლებოდა. ამის მიუხედავად, ვიმედოვნებ, რომ ღორბლები, ამყამად თქვენი ცა რომ ჩამოუუეფრაფთ, ერთხელაც იქნება, კურთხეულ ცვარ-ნამად გარდაიქმნება და გაანაყოფიერებს თესლს, თქვენს გულში რომ ჩაგარდა. და არცთუ დიდად ფასეული სიტყვები, თქვენზე რომ ასე იმოქმედდა, ჩემთვის იქცა თავდებად კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შედეგების მიღნევისა. მათ უსათუოდ გამოიხმობს მომავალში თქვენი ცნობიერება. გაბედულად მიენდეთ, ქალბატონო, იმ მღელვარებას, რელიგიაზე ფიქრი რომ ინვევს: ამ წმინდა ნყაროდან მხოლოდ წმინდა გრძნობები წარმოდინდება.

ცხოვრება გვთავაზობს ისეთ ვითარებებს, რომლებიც ფიზიკურს კი არა, სულიერ ყოფას გაწყვეტენება: მათი უგულებელყოფა არ ეგების; არსებობს სულის რეტინი, ისეთივე, როგორც სხეულის რეტინი. უნდა ვისწავლოთ მისდამი მორჩილება. ვიცი, რომ ეს ძველისძველი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ზეგნში მას, როგორც ჩანს, სიახლის ფასი აღეცვა. ზეგნი თავისებური ცივილიზაციის ერთ-ერთი სავალალო განსაკუთრებულობა გახლავთ ის, რომ ჯერ კიდევ იმ ჭეშმარიტებათა აღმოჩენა გვინდეს, უკვე გაკვეთილი და მოძველებული რომ არის იმ ქვეყნებისა და ხალხებისთვისაც კი, ჩვენზე ბევრად ჩამორჩენილნი რომ არიან. სამე ის არის, რომ ჩვენ არაოოფეს ბვეელია სხვა ხალხებთან ფეხაწყობიღებას, არ მივეკუთვნებით ადამიანთა მოდგმის არც ერთ ცნობილ ოჯახს – არც დასავლეთს, არც აღმოსავლეთს – და არ გვაქვს არც ერთის, არც მეორის ტრადიციები. ჩვენ როგორღაც დროის მიღმა აღმოჩენდით, ადამიანთა მოდგმის საკაცობრიო აღზრდა ჩვენზე არ გავრცელებულა. ადამიანური იდეების თაობიდან თაობაზე გადაცემულმა გასაოცარმა კავშირმა და საკაცობრიო სულიერების ისტორიამ, რამაც ის მთელ დანარჩენ სამყაროში დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა, ჩვენზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონია. სხვათა შორის, ის, რაც დიდი ხანია საზოგადოებისა და ყოფის ძირითად არსს შეადგენს, ჩვენთვის მხოლოდ თეორია და გონითი ჭურეტის საგანია. და, მაგალითისთვის, თქვენ, ქალბატონო, ვისაც ესოდენ ნიჭი გებოძთათ ყოველივე ამქვეყნიური სიკეთისა და ჭეშმარიტების აღსაქმელად, თქვენ, ვინაც თითქოსდა ყველაზე ტკბილი და წმინდა სულიერი ნეტარებისთვის ხართ გაჩენილი, საკითხავია, რას მიაღნევთ ყველა ამ უპირატესობის წყალობით? თქვენ ხომ ჯერ ისევ ვინეცთ, ეძიოთ, რითი შეიცხოთ არაათუ ცხოვრება, თუნდაც მხოლოდ დღეეგანდელი დღე?

მიმოიხედეთ ირგვლივ. განა არის რაიმე ისეთი, რაც ურყევად დგას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი სამყაორო მოძრაობს. არავის აქვს საქმიანობის განსაზღვრული სფერო; კარგი ჩვენები; არ არსებობს არანაირი წესებიც; არ არსებობს ოჯახური კერაც კი. არაფერი მყარი, არაფერი მუდმივი. ყოველივე მიედინება, ყოველივე ქრება ისე, რომ კვალს არ ტოვებს არც გარეთ, არც შენში. საკუთარ სახლშიც კი თითქოს დროებით სადგომში ვართ; ჩვენივე ოჯახებში უცხოელებს ვგავართ; ქალაქებში ვემსგავსებით მომთაბარეებს, უარესებიც ვართ მომთაბარეებზე, ჩვენს სტეპებში ფარებს რომ მწყემსავენ, რადგან ისინი უფრო მტკად არიან მიჯაჭვულნი თავიანთ უდაბნოებს, ვიდრე ჩვენ საკუთარ ქალაქებს. და ნუ იფიქრებთ, რომ ეს ბეგრს არაფერს ნიშნავს. ჩვენი საბრალო სულები! ნუღარ დავამატებთ ამდენ უბედურებას ჩვენს თავზე მცდარ წარმოდგენებსაც; ნუ შევეცდებთ, ვიცხოვროთ წმინდად სულიერი ცხოვრებით – ვისწავლოთ მოცემული სინამდვილეში კეთილგონიერულად ცხოვრება. ოღონდ დასაწყისსთვის ეოტტაოდენი კიდევ ვისაუბროთ ჩვენს ქვეყანაზე – ამით ჩვენი თემიდან არ გადავუუხვეთ. ამ შესაკეთს გარეშე ვერ გამიგებთ, რისი თქმა მინდა.

ყველა ხალხს დაუდგება ხოლმე ჟამი დიდი მღელვარებისა, დიდი ფფოთისა, გაუაზრებელი განზრახვებთან მოქმედებისა. ასეთ დროს ადამიანები ქვეყნიერებას მოედებიან და მათი სულებიც აქეთ-იქით დაეხეტება. ეს ხალხთა დიადი განზრახვების, დიადი საქმეების, დიად ვნებათა ჟამია, როცა თავად ისინი გაურკვეველი მიზეზით მძვინვარენენ, თუმცა მომავალი თაობებისთვის ამას სარგებელი მოაქვს. ყველა საზოგადოებამ გამოიარა ასეთი პერიოდები. როცა ყალიბდება ყველაზე ნათელი მოგონებები, საკუთარი სასწაულები, საკუთარი პოეზია, საკუთარი მტკიცე და ნაყოფიერი იდეები. სწორედ ამაშია საზოგადოებრივი ყოფის საფუძვლები. უამისოდ ისინი ვერ შეძლებენენ, მეხსიერებაში შემოენახათ ისეთი რამ, რაც შესაძლოა გიყვარდეს, რისკენაც უნდა მიისწრაფოდეს; უამისოდ ისინი მხოლოდ საკუთარი მინის მტვერს მიეჯაჭვებოდნენ. ეს არის ხალხთა ისტორიაში წარმტაცი ეპოქა, ეს მათი სიჭაბუკეა; ეს არის დრო, როცა სულ უფრო და უფრო მეტღანდება მათში ჩადებული ნიჭი; დრო,

რომლის ხსონა იქცევა ნუგეშად და ჭკუის სასნაველებელ გამოცდილებად მონიფულნობისას. ჩვენ, პირიქით, მსგავსიც კი არაფერი განგვიცდია. ჯერ – ეელური ბარბაროსობა, შემდეგ – უხეში ცრურწმენები, მერე – გადამთიელთა უღელი, სასტიკი და დამამცირებელი, რომლის არსიც მემკვიდრეობად მიიღო ეროვნულმა ხელისუფლებამ – აი, ჩვენი სიჭაბუკის მწუხარე ისტორია. ღვნის აღმავლობის ჟამი, ხალხის ზნეობრივი ძალების თამამთა სიცხოველე – არაფერი ამსაირი ჩვენში არ ყოფილა. ჩვენი სოციალური ყოფის ის ეპოქა, რომელიც ამ ასაკს შეესაბამება, სავსე იყო ულიმღამო და პირქუში, უილაჯო, უენერგიო არსებობით, რომელიც მხოლოდ ბორრაში საქმეებით სულდგმულობდა და რისი გამართლებაც მხოლოდ მონობით თუ შეიძლება. არანაირი მომხიბლავი მოგონებები; მეხსიერებაში – არანაირი დამატყვევებელი სახეები, არანაირი ქმედითი რწმენა-დარიგებანი ეროვნულ ტრადიციებში. მზერა შეაღლეთ გამოვლილ საუკუნეებს, ჩვენს მიერ მოკავებულ სივრცეს – ვერსად იპოვით ყურადსაღებ მოგონებას, ვერც ერთ ღირებულ ძეგლს, რომელიც დამაჯერებლად წარმოსახავდა წარსულს და ცოცხლად და ხატოვნად აღგვიწერდა მას. ჩვენ მხოლოდ ერთობ შემოზღუდულ ანმყონი ვცხოვრობთ, უნარსულად და უმიმავლოდ, ერთ სიბრტყეში გაქვავებულ უმოქმედობაში. და, ზოგჯერ თუ ვღელავთ, სუფაც არა საერთო კეთილდღეობის მოლოდინითა და ნატვრთი, არამედ ახალშობილის ბავშვური დაუფფერობით, ახალშობილისა, რომელიც მიინეკს და ხელებს იწვდის ყლარუნასკენ, რომელსაც ძიძა უწევნებს.

საზოგადოებაში ადამიანური არსის ნამდვილი განვითარება ჯერ კიდევ არ დაწყებულა ხალხისთვის, ვიდრე ცხოვრება არ გამხდარა უფრო მოწესრიგებული, უფრო იოლი, უფრო სასიამოვნო იმასთან შედარებით, თავდაპირველად არსებული დროის გაურკვევლობაში რომ იყო. ვიდრე საზოგადოება ურწმენოებაში მერყეობს, ნესებს არ იცავს ყოველდღიური საქმიანობისას და ცხოვრებაც სრულიად მოუწესრიგებელია, როგორ შეიძლება ასეთ საზოგადოებაში სიკეთის საწყისი ვეძიოთ? ვიდრე ეს ჯერ კიდევ ქაოტური ხეტიალია ზნეობრივი სამყაროს ნივთვებისა, დედამიწის ისტორიაში მომხდარი ინ ბადაგრაილებების მსგავსი, რომლებიც ჩვენი ალანეტის თანამედროვე მდგომარეობას უძლოდა ნინ? ჩვენ ჯერ კიდევ ამ ყოფაში ვართ.

ჩვენი არსებობის პირველმა ნლებმა, რომლებმაც უძრავ სიცველურეში ჩაიარა, არავითარი კვალი არ დაამჩნია ჩვენს გონებას და არც ჩვენშია არაფერი საკუთრივ ჩვენეული, რასაც შეიძლებოდა ჩვენი აზრი დაფუძნებოდა.

ჩვენ, ბედის ჭირვეულობით საერთო საკაცობრიო ადამსვლის პროცესიდან გარიყულებმა, ვერც ადამიანთა მოდგმის ტრადიციული იდეებს გავითავისეთ, ან დროს სწორედ მათ ეფუძნებენ ხალხთა ყოფა-ცხოვრება; სწორედ ეს იდეები ედება საფუძვლად მათ მომავალს და მათ ზნეობრივ განვითარებას. თუ გვინდა, სხვა ცივილიზებულ ხალხებივით ჩვენი საკუთარი სახე გვქონდეს, აუცილებელია, მოვახერხოთ და ხელახლა გავიმეოროთ ადამიანთა მოდგმის აღზრდის გზები. ამისთვის გვაქვს ხალხთა ისტორია და საუკუნეთა მოძრაობით მიღებული შედეგები. ლაპარაკი არ უნდა, ეს ძნელი ამოცანაა და ერთი ადამიანი, ცხადია, ასეთ ფართო საკითხს ვერ ამოწურავს. ოღონდ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიგოთ, რასთან გვაქვს საქმე, რაში მდგომარეობს ეს ადამიანთა მოდგმის აღზრდა და რა ადგილი გვიჭირავს ჩვენ ამ საერთო მწკრივში.

ხალხები ცხოვრობენ იმ ძლიერი შთაბეჭდილებებით, მათმა გონებამ წარსული დროებიდან რომ შემოინახა, და სხვა ხალხებთან ურთიერთობით. სწორედ ამ გზით შეიგრძნობს ცალკეული პიროვნება მთელ კაცობრიობასთან კავშირს.

რას წარმოადგენს ადამიანის ცხოვრება, – ამბობს ციცერონი, – თუ წარსულ დროთა შესახებ ხსოვნა ანმყოს წარსულთან არ აკავშირებს. ჩვენ ხომ, ქვეყნიერებას უკანონოდ ვობილი ბავშვებივით მოვლენილნი, მემკვიდრეობის, ჩვენს წინამორბედ ადამიანებთან ყოველგვარი კავშირის გარეშე დარჩენილნი, გულით არ ვატარებთ არაფერს იმ სნაგლებიდან, ჯერ კიდევ ჩვენს გაჩენამდე რომ დაგვიტოვეს.

საჭიროა, ყოველი ჩვენგანი ეცადოს, გადაანას სხვა ხალხებთან კავშირის განყვეტილი ძაფი. ჩვენ გვინდეს, საკუთარ თავში ჩაქუქნი ჩავიტანოთ ის, რაც სხვა ხალხებისთვის უბრალოდ ჩვეულა, ინსტინქტია. ჩვენი მეხსიერება გუშინდელი დღის იქით არ მიდის. ჩვენ როგორღაც უცხონი ვართ ჩვენივე თავისთვის. ისე გასაოცრად ვმოგზაურობთ დროში, რომ ნონ მიმავალთ განცდილი უკან დაუბრუნებელად გვეკარგება. ეს სრულიად ბუნებრივი შედეგია იმ კულტურისთვის, რომელიც მთლიანად ნასესხებია და სხვისი მიბაძვით შექმნილი. საერთოდ ჯერ ამ გვაგაღია შინაგანი განვითარება, ბუნებრივი პროგრესი; ძველ იდეებს ახალი აღეკვნ, რადგან ეს უკანასკნელი წინასგან ან წარმოიქმნება, და არაგინ იცის, საიდან ჩნდება ისინი ჩვენში. ჩვენ ვიღებთ სავსებით მზა იდეებს, ამიტომ ის წარუშლელი კვალი, რომელიც აზრის თანმიმდევრული განვითარებისას ცნობიერებაში იღლეება და ქმნის გონებრივ ძალმოსილებას, კვალს ვერ ამჩნევს ჩვენს ცნობიერებას.

რუნი მოუზრთვნე რუსეთის ფესახეზ

ჩვენ ვიზრდებით, მაგრამ სიმწიფეს ვერ ვაღწევთ; ნინ მივიწევთ მრუდი გზებით, ანუ იმ ხაზით, რომელსაც მიზანთან არ მიეყვართ; იმ ბავშვებს ვგავართ, ვინც არ აიძულეს, თავად ეფიქრათ, ჰოდა, როგა ასეთები ნამოიზრდებინან, საკუთარი არაფერი გაანნათ, მთელი მათი ცოდნა ზედაპირულია, მათი სული მთ გარეშე არსებობს. ჩვენც ასეთები ვართ.

ხალხები ზნეობრივი არსებებია, ზუსტად ისე, როგორც ცალკეული პიროვნებები. მათ ისევე ზრდის საუკუნეები, როგორც ადამიანებს წლები. ბედნეკა ითქვას – ჩვენ ყველა ხალხს შორის გამონაკლისი ვართ. ჩვენ იმათ ვეკუთვნით, ვინც თითქოს ადამიანთა მოდგმის შემადგენელ ნანილად კი არ მოიაზრება, არამედ მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ სამყაროს დიადი გაკვეთილი ჩაუტაროს. რა თქმა უნდა, უკვალოდ არც ის შეგონებები გაგრესა, რისი გაცვლაც ჩვენ გვაკისრია, მაგრამ, ვინ იცის, როდის დადგება ის დღე, როცა კვლავ ალმოვაჩენთ საკუთარ თავს კაცობრიობაში და რანდენი უბედურება დაგვატყდება ჩვენი ბედისნერისა აღსრულებამდე.

ევროპის ხალხებს საერთო სახე, ოჯახური მსგავსება ახასიათებთ. მიუხედავად ლათინებად და ტევტონებად, სამხრეთელებად და ჩრდილოელებად დაყოფისა, არსებობს საერთო კავშირი, რაც მათ ერთ მთლიანობად აქცევს, და ეს კავშირი თვალნათელია ყველასთვის, ვინც მათ კაცობრიობის ისტორიას ეფიქრამდება. მოგეხსენებათ, სულ ცოტა ხნის ნინათ მთელი ევროპა აბარებდა ქრისტიანული სამყაროს სახელს და ეს ცნება საჯარო სამართალში ვეხვედებოდა. ყველა საერთო მახასიათებელთან ერთად თითოეულ ამ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი აქვს, მაგრამ ყოველივე ეს შემოფარგლება ისტორიითა და ტრადიციებით. ისინი ამ ხალხების იდეურ მემკვიდრეობას შეადგენს, ყოველი ცალკეული ადამიანი კი ფლობს ამ საერთო მემკვიდრეობის ნანილს; ყოველგვარი გარჯის, ალდამანების გარეშე იღებს საზოგადოებაში მიმბინეულ ამ ცოდნას და იყენებს მას. შეადარეთ, რა ხდება ამ თვალსაზრისით ჩვენთან და თავად განსაჯეთ, რა ელემენტარული იდეების ამოღება შეგვიძლია ჩვენი ყოველდღიური ყოფიდან, რათა ისინი როგორღაც გამოვიყენოთ ცხოვრებაში საჭიროებისელად. ამასთან, არ დგავინიწყდეთ, ღაპარაკია განსწავლულობაზე, არა ბაკითხობაზე, რაიმე ლიტერატურულსა თუ სამეცნიეროზე, არამედ, უბრალოდ, ცნობიერებათა გადაკვეთაზე; ანრეზზე, რომლებიც ბავშვს აკვანში უნნდება, ებადება თამაშის დროს; რომლებსაც დედა მოფერებისას ჩასჩურჩულებს; იმათზე, რაც სხვადასხვა შეგრძნების ფორმით იმ ჰიერთან ერთად აღწევს მისი ძვლის ტვინამდე, რითაც სუნთქავს, და რომლებიც აყალიბებენ მის ზნეობრივ სახეს, ვიდრე საზოგადოებას ნარუდგება. გინდათ იცოდეთ, რა ფიქრებია ეს? ეს გახლავთ ფიქრი მოვალეობაზე, სამართლიანობაზე, სამართალზე, წესრიგზე. ისინი მოდის სწორედ იმ მოვლენებიდან, რომლებმაც იქ საზოგადოება შექმნეს, რომლებიც იმ ქვეყნების სოციალური ყოფის შემადგენელი ელემენტებია. აი ის, დასავლეთის ატმოსფერო – ეს უფრო მეტია, ვიდრე ისტორია ან ფსიქიოლოგია; ეს ევროპელი ადამიანის ფიზიოლოგიაა. ჩვენთან კი რა ხდება?

აშკარაა, ხალხიდან გამოსული თითოეული პიროვნების სულზე ძლიერად უნდა იმოქმედოს იმ უცნაურმა ვითარებამ, რომ ამ ხალხს არ შესწევს ძალა, თავისი ფიქრი შეაჩეროს იდეათა ამა თუ იმ ჯგუფზე, რაც საზოგადოებაში ტრიალებდა და ერთიდან თანდათანობით გამომდინარეობდა მეორე, როცა მთელი მისი მონანწილეობა, და საერთოდ კი ადამიანის გონის მოძრაობა, ადიყვანება სხვა ხალხის ბრმა, ზედაპირულ, ხშირად უთავბოლო მიბაძვამდე. აი, რაგომ არის, რომ, როგორც თქვენც შეამჩნევდით, ყველა ჩვენგანს აკლია სიმტკიცე, ერთგვარი თანმიმდევრულობა აზროვნებისას, ლოგიკა. ჩვენთვის უცხოა დასაკვეთის სილოგიზმი. ჩვენს საუკეთესო თავებში არის რაღაც გაცილებით უარესი, ვიდრე ზერელეობა. უკეთესი იდეები, რომლებიც მოკლებულია ურთიერთკავშირსა და თანმიმდევრულობას, ჩვენს ტვინში ისე პარალიზდებიან, როგორც უნაყოფო დაბნეულობა; ადამიანის ბუნებაშია, დაიბნეს მაშინ, როცა ვერ პოულობს საშუალებას, დაუკავშირდეს იმას, რაც მის მოსვლამდე იყო და რაც მის შემდეგ იქნება. ასეთ დროს ის კარგავს სიმტკიცეს, თვითრწმენას. მას არა აქვს უწყვეტი განგრძნობადობის განცდა, ამიტომ სამყაროში თავს დაკარგულად გრძნობს. ასეთი დაბნეული არსებები ყველა ქვეყანაში გვხვდებიან. ჩვენში ეს საერთო მახასიათებელია.

არაფერი საერთო ჩვენს თავებში არ მოიძევება – იქ ყველაფერი ცალ-ცალეკეა, იქ ყველაფერი მერყევია და არასრული. იმასაც კი ვფიქრობ, რომ ჩვენს შეხედულებაში არის რაღაც უცნაურობამდე ბუნდოვანი, ცივი, არამყარი, რაც იმ ხალხების განსხვავებულობას მოგვგაონებს, სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე რომ დგანან.

უცხო ქვეყნებში, განსაკუთრებით სამხრეთში, სადაც ხალხი ასეთი ცოცხალი და გამომეტყველია, რამდენჯერ შემიდარებია ჩემი თანამემამულეების სახეები იქაურ მცხოვრებთათვის და ყოველთვის მაოცებდა ჩვენი გამომეტყველების სიმუნჯე.

უცხოელებს ჩვენ ღირსებად მიაჩნდათ ის თავზე ხელალებული გამბედაობა, რაც განსაკუთრ-

ბით თვალშისაცემია ხალხის დაბალ კლასებში. მაგრამ მათ მხოლოდ იმის შესაძლებლობა ჰქონდათ, თვალი ედევნებინათ ხალხის ბუნების ცალკეული თვისებებისთვის და ამიტომაც უჭირდათ, ელაპარაკათ მასზე ისე, როგორც ერთ მთლიანობაზე. მათ ვერ შენიშნეს, რომ სწორედ ის სანყისი, რომელიც ზოგჯერ ასეთ გაბედულებას გვძენს, მუდმივად გვართმევს სილრმესა და დაფინებულობასს; მათ ვერ შენიშნეს, რომ თვისებები, რომლებიც გულგრილს გვხდის ცხოვრებისეული ცვლილებებისადმი, იმავდროულად გულგრილს გვხდის სიკეთისა და ბორრატების, ყოველგვარი ჭქმშარიტების თუ სიცრუისადმი და სწორედ ეს გვართმევს იმ ძლიერ შეგრძნებებს, რომლებიც სრულყოფილების გზებზე მიგვიძღვის; მათ ვერ შენიშნეს, რომ სწორედ ამ ზანტი სიმამაცის შედეგად თვით მალელი კლასებიც კი, როგორც სამწუხაროც უნდა იყოს, თავისუფალნი არ არიან ისეთი მანკიერებისგან, რომელიც სხვა ხალხებში მხოლოდ ყველაზე დაბალ კლასებს ახასიათებს; და ბოლოს, მათ ვერ შენიშნეს, რომ მაშინ, როცა გვაქვს ახალგაზრდა და ცივილიზაციას ჩამორჩენილი ხალხის რამდენიმე ღირსება, სრულებით არ გაგვაჩნია არც ერთი იმ ღირსებათაგან, რაც მონიფულ და მაღალი კულტურის მქონე ხალხებს გამოარჩევს. რასაკვირველია, სულაც არ ვამტკიცებ, რომ ჩვენ მხოლოდ მანკიერებები გვახასიათებს, ეფროპის ხალხებს კი მხოლოდ კეთილშობილება. ღმერთმა დამიფაროს. მაგრამ იმას ვამბობ, რომ ხალხზე მსჯელობისას საჭიროა, გამოვიკვლიოთ საერთო გონი, რაც მისი არსებობის ნაწილია, რადგან სწორედ ამ საერთო გონს, და არა მათი ბუნების ამა თუ იმ თვისებას, ძალუძს აამაღლოს იგი გაცილებით სრულყოფილ მდგომარეობამდე და დააყენოს უსასრულო განვითარების გზაზე.

მასები ემორჩილებიან გარკვეულ ძალებს, რომლებიც საზოგადოების მწვერვალზე მოქცეულნან. თავად ისინი არაფერზე ფიქრობენ. მათ შორის არის მოაზროვნეთა ერი ცნობიერი ნაწილი, ვინც მათ ნაცვლად ფიქრობს, ვინც ბიძგს აძლევს ნაციის კოლექტიურ ცნობიერებას და მოძრაობაში მოაყავს ის. უმნიშვნელო უმცირესობა აზროვნებს, დანარჩენი ნაწილი გრძნობს და შედეგად ვიღებთ საერთო მოძრაობას. ეს კანონზომიერია დედამინის ყველა ხალხისთვის. გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე გავლილურბული რასა, რომელთაც ადამიანური ბუნებიდან მხოლოდ გარეგნული იერი შეინარჩუნეს. ევროპის პირველყოფილ ხალხებს – კელტებს, სკანდინავიელებს, გერმანელებს თავიანთი დრეიდები ჰყავდათ, თავიანთი სკალდები, თავიანთი ბარდები, რომლებიც თავისებურად ძლიერი მოაზროვნეები იყვნენ. შეხედეთ ჩრდილო ამერიკის ხალხებს, რომლებსაც ასეთი გულმოდგინებით ძირკვავს შეერთებული შტატების მატერიალური ცივილიზაცია; მათ შორის შეგხვდებიან ადამიანები, რომლებიც გაოცებენ თავიანთი სილრმით. ახლა კი მინდა, შეგეკითხოთ: სად არიან ჩვენი ბრძენები, ჩვენი მოაზროვნეები? რომელიმე ჩვენგანს ოდესმე უფიქრია, ამჯერად ვინ ფიქრობს ჩვენს მაგიერ?

არადა, ჩვენ, მსოფლიოს ორ უდიდეს დანაყოფს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გაგაჩიმფლებს, ცალი იდაყვით ჩინეთზე, მეორეთი გერმანიაზე დაყრდნობილება, საკუთარ თავში უნდა გაგვეერთიანებინა სულიერების ორი დიადი საწყისი – წარმოსახვა და გონიერება, და ჩვენს ცივილიზაციაში მოგვექცია მთელი დედამინის ისტორია. გაანგებამ ეს როული არ გვარგუნა; პირიქით, იგი თითქოს არც დაინტერესებულა ჩვენი ბედით. უარი გვითხრა, თავისი კეთილშობილური გავლენა მოეხდინა ადამიანის გონებაზე, მან მთლიანად საკუთარ თავზე მიმდინიერები დაგვტოვა: არ ისურვა, რაიმე ფორმით ჩარეულიყო ჩვენს საქმეებში; არ ისურვა, რაიმე ესნაკვლინა ჩვენთვის. დროთა განმავლობაში ჩვენთვის არ ირსებობს; ჩვენთვის უნაყოფოდ ჩაიარეს საუკუნეებმა და თაობებმა. ჩვენი შემხედვარე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენზე არ მოქმედდებს კაცობრიობის საერთო კანონი. ამქვეყნად დამარტოებულებმა ქვეყნიერებას ვერ მიეცეთ ვერაფერი, ვერაფერი მივიღეთ ქვეყნიერებისგან; უამრავ ადამიანურ იდეას ვერ შევმატეთ ვერც ერთი სალი აზრი, ვერაფერით შეეფუწყეთ ხელი ადამიანის გონის წინსვლას და ყოველივე, რაც წილად გვხვდა ამ მოძრაობიდან, თავადვე შევრყვენით. სოციალური არსებობის დაწყების პირველივე წამებიდან ჩვენი ხელიდან არაფერი გამოსულა, ადამიანთა საერთო კეთილდღეობას რომ ნადგომოდა; აკე ერთ სასარგებლო მოსაზრებას არ გამოუღია ყლორტი ჩვენს უნაყოფო მინაზე; არც ერთი დიდი ჭქშმარიტება არ შობილა ჩვენს წრეში; არანაირად არ გავრჯილვართ იმისთვის, რომ რაიმე შეგვექმნა წარმოსახვით სფეროში, და იქიდან, რაც სხვისმა წარმოსახვამ შექმნა, ჩვენ მხოლოდ თვალის ამსგვეგი ზედაპირულობა და ფუფი ფუფფუნება ვისესხეთ.

საოცარია! იმ მეცნიერების განხრითაც კი, რომელიც ყოველისმომცველია, ჩვენი ისტორია არაფერს უკავშირდება, არაფერს გვიხსნის, არაფერს გვიმზეკიცებს. ბარბაროსთა ურდოებს, რომლებმაც მსოფლიო შეაზანზარეს, დასავლეთის დასალაქმრად მიმავლებს ჩვენს ქვეყანაზე რომ არ გაევლოთ, არა მგონია, მსოფლიო ისტორიის ერთი თავად მაინც ვქცეულიყავით. როგორმე თავი რომ წარმოგვეჩინა, ბერინგის სრუტიდან ოდერამდე გადაჭიმვამ

რუსი მოაზროვნე რუსეთის შესახებ

მოგვინია. ოდესღაც დიადმა ადამიანმა ჩაიფიქრა, ცივილიზებულნი გავეხადოთ, და იმისთვის, განათლების გზაზე რომ დავეყენებინეთ, ცივილიზაციის მოსასხამი გადმოგვიგდო. ჩვენ მოსასხამი აკიეცეთ, განათლებას კი არც გაკკარებიგართ. სხვა დროს სხვა დიდმა მონარქმა, რომელმაც თავის სახელო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ ებანოიძე

დავიბადე 1939 წლის 7 იანვარს, ქრისტეშობის დღეს – ბაღდათის რაიონის სოფელ ზედა დიმში. შინ აურეკმა თოფები გაისროლეს და სახლს ჭერი ახადესო, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი – ოჯახის მეთერთმეტე შვილის გაჩენას გულისფანცქალით არავინ ელოდა. იქნებ, ამის გამოც არის, რომ მთელ ცხოვრება ზედმეტობის განცდა დამყვება. სტუმრობისას, ყველას რომ ადგილს დაგუთმობ და სუფრა „მოერჩები“, სახელდახელოდ ჩადგმულ სკამზე მიწევს ჯდომა. მანქანის მართვისას რიგიდან გამოსვლა დ ვინმეზე გადასწრება ძალიან მაწუხებს. ავტობუსში უკანა კარიდან ავდივარ და, თუ შესაძლებელია, იქვ ვდგები, მორჩვენია, სხვებს ვუყურო კეფაში და იმათ მაგიერადაც მე ვიფიქრო, ვიდრე პირიქით. კარიერ თანამდებობის სურვილს წუთითაც არ მოუუცდენიარ. „ზემოთაც“ გაგებით მოეკიდნენ ჩემს ამ თვისებას – არავის შევუწუხებიარ, უშველათ გამჩრენმა!

ჰოდა, ასეთი ფსიქოლოგიის კაცს ამასწლაურებელი, რაიმე გამამწონასწორებელი აუცილებლად სჭირდ ება, რომ ნამიჯ-ნამიჯ საკუთარი თავის უარყოფამდე, ფიზიკურ უარყოფამდე არ მივიდეს. გაეგებილს გა ტეხილი სჯობს და გავამბელ: როცა რამე ლიტერატურული ლონისძიება ტარდება და კოლეგებთან ერთად მეც მეკალება სა ზოგადოების წინაშე გამოსვლა, არანაირი ავტორიტეტი, არანაირი „მაღალი“ და „დაბალი“ პერსონა ჩემზე არ მოქმედებს.

საშუალო სკოლა (ვაგრძელებ რეპორტაჟს ბიოგრაფიიდან) წარჩინებით დავამთავრე, როგორც იმ დროს იცოდნენ თქმა – მედალზე. ფილოლოგიური განათლება არ მიმიღია – ინჟინერი ვარ. სამაგიეროდ, ლიტ ერატურითა არმია დამიდის ოჯახში: მეუღლე, ორი შვილი, რძალი. გულისწყვეტა მაინც ვერ მოვიშორე და მთელი ცხოვრება ექსტერნად ვსწავლობ – ვწერთნი თავს, მიბია პალოზე და ვტანჯავ. შედეგიც აშკარა ადაა ახლა ამ აკადემიკოსებთან გაძეძგილ ფამა და ქვეყანაში უჩინდ, უფუულოდ, უპუროდ... უგულოდ ოდ. რითმამ არავინ აიყოლიოს და ტექსტში უნებართვოდ არ ჩამერიოს; სწორედ, რომ ამნაირი გულის, პოეზიის უანგარო სიყვარულის გამო ჭყორს, თუ რამე ფარსაგი მჭირს; არადა, ორმოცი წელიწადია ნაფტალინში ვინახავ დიპლომს (მეელვინე ტექნოლოგი), რომლის ბადალი ფულის შოვნის იარაღი საბჭოთა იმპერიის არ სებობის პერიოდში, მით უმეტეს – ქართულ სინამდვილეში, ყურს არ გაეგონა: მე შენ გეტყვი და, აგარა არ მუშაობდა ან ნყალი არ იმოვებოდა... და ეს ყველაფერი ბიოგრაფიული წარსულია დღეს, ჩემი ბიო გრაფიული წარსული, ზედმეტ-ნაკლები სიცხადით რომ ეკითხება ჩემი ლექსებიდან, დღემდე გამოცემული ჩემთვე წიგნებიდან...

ცხოვრება გრძელდება, რეჟიმი არ შემიცვლია – იმავე ხელწერით, იმავე ტკბილ-მწარე სინამდვილით... შეჩვეულს ნუ გადაჩვევთო, ნათქვამია: ვნევარ ახლაც უძილო ღამეების ფსკერზე და ვწერ ლექსებს უფუ ლოდ, უპუროდ...

ზ ა ა ლ

პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი

ნაცვალსახელების ჩრდილში

„ის“ ჰყვება ამბავს, „ის“ – მესამე, ვდუმვარ და ვისმენ
(შენგან – მეორე, ჩემთვის – ერთით შორი და უცხო),
ხანგამოშვებით სევდა რამე ასხლტება სიმზე
და დამითქორავს საყანეებს, დარჩენილს უწყლოდ.
ხომ ვიცი, ჩემი სანუხარი თავისად უჩანს,
და ეფიცხება ჩემი ხელით დანთებულ კოცონს;
ერთის მაგიერ სამი ლანდი უხდება ქუჩას,
თუ სამი კაცი ერთი კაცის ტკივილით ცოცხლობს.
იცვლება როლი, მერე „შენ“-იც დადგება ჯერი –
ლანდიდან ლანდში გაბიჯების ფარული ნიჭით,
ერთ და იმავე სანუხარზე ვტირით და ვმღერით
და მშვენობს შენად, მე რომ ჩემად გამხელა მიჭირს.
ბოლოს, როდესაც დაღალული ვბრუნდები თავთან
(მაფრთხილებს გული ამომჯდარი და მაჯის ფეთქვა),
დავაწყობ სიტყვის ჩემი ნებით არეულ დავთარს
და ვიწყებ „მე“-თი მიტოვებულ საუბარს თქვენთან.

მინდვრის ხელწერა

უხმო ალერსით მათრობელი რთველობის თვეა,
შემობზარულა მინანქარი, ბროლი, ბადახში;
ჭაობებიდან ბოლო წერო მიდის და მიაქვს
სითბო – საგზალი ამქვეყნიდან იმ ქვეყანაში.
ამჩატებული სანახები ცის თავანებით,
მზის ნატერფალზე სინანულმა გაიზარნიშა;
ნეტავი, ეს დღე ვის დავანებო
და მეც წავიდე – წეროს წასვლამ რა მიმანიშნა?
ელვის ნერვიულ ნათებიდან გამოიხატა
დამუნჯებული სინამდვილის თრთოლა ფარული;
რჩება მიწაზე გაუვალი ტევრი ნიღაბთა:
ძმობა, ღალატი, სიძულვილი და სიყვარული...
და მეც აქა ვარ, ცა მახურია,
აუღერებული ხეივნების მჩატე სამოსით;
ეს ერთგულება მხოლოდ შენი სამსახურია
და მოლოდინი – ერთხელ მაინც ფეხად ჩამოსვლის.
ჩვენ შორის ზოგჯერ – სიფრიფანა წვიმის მესერი,
ზოგჯერ პირიქით – გაუვალი რამე წყვდიადი,
სწორედ ასეთ დროს შემახსენებ მინდვრის ხელწერით
თავს და ხელახლა ვინათლები ცის სიდიადით.

ცისკრი

ზაალ ეგანიო
ბიბლიოთეკა

შეგუეგის მალამო, ანუ... ცეცხლი ღოგეზე!

მათი კეთილები შენიც ზიარია,
მაინც ბნელაა და მნათი არ ამოდის,
ზიხარ გულნატკენი და მკერდს იარიანს
იზელ შეგუების გრილი მალამოთი.
შენი ერთგულებით ბეკრჯერ დაისაჯე,
ცოტას ორგულების ხელიც გეშველება,
პირზე დანისაზე, პირზე დანისაზე
შემდგარს ელოდება ხშირად შეჩვენება.
ცეცხლის მოკიდებას აღარ გამადლიან
(სხვა დროს ჩამოვთვალოთ ცოდვა დანარჩენი),
ღობეს რომ ახურავს, ჭვარტლის ნაბადია
ჭვარტლით ამოვსებულ სულის განაჩენით.
ტანში ჩაბუდებულ შიშის გამო იტან
ამდენ სიბრიყვეს და ტირილს ეღირები,
ხალხის ხორხოციდან ჩრდილს რო გამოიტან,
უკვე გადამწვარი დგანან ხეხილები.
მიხედ-მოხედავ და ყველა მართალია,
ყველა უცოდველის სახით იყურება;
ახლა თვალთმაქცობა ჭრელი ფართალია –
გზად რო გამოყარეს ვაჭრის ჯიხურებმა.
მათი კეთილებიც შენი ზიარია,
მაინც ბნელაა და მნათი არ ამოდის,
ზიხარ გულნატკენი და მკერდს იარიანს,
იზელ შეგუების გრილი მალამოთი.

თოხი

ვისაც არ უთოხნია – ნუ წაიკითხავს!

ჭალის ყანიდან ცალი თოხის კაპასი ისმის,
არ მოჩანს გლეხი – ეფარება საყანე ფერდობს,
ახურავს, ალბათ, ფაფანაკი – რძისფერი ნისლი –
შორიდან უნდა წარმოსახვას მე ჩემსას ვენდო.
ხელიდან ხელში განაცვლებას გაამხელს თოხი,
ცოტა ზედმეტი დაყოვნება ჩადგება ხმაში, –
ან, როცა სიმინდს ამოზრდია გლერტა და მოხრილ
კაცს უნდა, ფრთხილად აიკალოს თითებით – მაშინ.
ვერ ვხედავ, მაგრამ უშეცდომოდ მაყენებს კვალზე
გუმანი გლეხის – წილნაყარი პოეტის წვასთან,
როცა იდაყვით დაეყრდნობა დროდადრო ტარზე –
თოხის დუმილი მაშინ უფრო ხანგრძლივად გასტანს.
ხანდახან მჩატე, ზერელე ხმა – გადავლას რომ ჰგავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ყურზე ადრე ტანი რომ გრძნობს და ტანი ისმენს,
რაც იმას ნიშნავს: ნატერფალი ჩაფარა თოხმა
აოშილ მიწით და ხელახლა შეტტევას იწყებს.
და, როცა მწყერის დაღლილ კუთვას ჩაირევს ჩქამი
(ყუით კოლბოხის ჩაშლას ასდევს ამგვარი რამე),
აუხირდება ცელქი სიო ჩახუთულ ამინდს
და ჭალა-ჭალა სულის მოთქმის არიგებს წამებს.
გამოებმება ხელმეორედ ამ წამებს თოხი –
სვრელის გატანის სიხარულთან ნილნაყარს რომ ჰგავს,
და ტყდება ყანაც ნიავის ქვეშ და ჩემში ორმხრივ
განცდას, ნაადრევს, ჭირნახულად ეს ლექსი მოჰყავს.

თვალჩავარდნილი სამყარო

ზენიტზე ახლაც პალმები დგანან,
შორს – ჰორიზონტი თუ თეთრი ვენა;
და სიზმარ-სიზმარ და ჭალა-ჭალა
ნინა წლის ჩალა ამძაფრებს მზერას.
ფერიდან ფერზე ასხლტება სხივი
და ღელავს ყანა ქვავის და პურის;
და ღობე-ღობე ჭინჭრაქა ჩივის
და მარცვალ-მარცვალ აგროვებს ყური.
ეს ყველაფერი – შენში და შენად
აყვება რა რო გაჩენილ კითხვას,
თანდათან უნდა გარდაქმნა ენად
ან საგნად უნდა აქციო სიტყვაც.
აღფრთოვანება – მოწყენის მერე
და ცრემლის კვალზე გამდგარი ნამი;
და ხედავს თვალი აფოფრილ ღელეს
და ანვდილ ხელებს ჩამშრალი ხრამის.
სევდიან წალკოტს ამატებ ტვირთად
საკუთარ სევდას და დგები განზე:
გადაიარა თვალდათვალ ზვირთმა
შუადღის ხვატში ტბის სილამაზე.
და მიზეზ-მიზეზ აყოლა უნდა
ამ ჭალებს, როცა პოეტის სიმზე
აიტკენ მარჯვენს, მიტანილს გულთან,
და გამოხედვას, გაქცეულს ცისკენ.
გაქცეულ სიტყვის ბილიკზე დგახარ
და აქეთ-იქით გეწევა ლექსი,
და მაღლა – ჩალით დახურულ თავანს
თუ ცას ხანდახან ნაპერწკალს ესვრი.
ამძიმებს სმენას დუმილი ჭარბი,

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ ეგანიანი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამჩატებს მზერას ლალი და შინდი;
და ცისარტყელის გახეთქილ ნარბით
მოდის სალამო და მოდის ბინდი.
წარღვნის ნარჩენი და წარღვნის კვალი
აქა-იქ ახლაც ლივლივებს ტბორად;
ნაიერის ფოთოლს და ზენა ქარი
გაიარს თვალში შეფერილ ზოლად.
გადიფრენს ცაზე უეცრად ძერა
და აფრთხობს მზერას ფარფატა გრილო;
და თვალჩავარდნილ სამყაროს კერავს
და, თუ ვერ კერავს – ხომ მაინც ცდილობს.

მიწის დაბადება

მდორე დინება... აქა-იქ ქაფი...
ნყალზეც თუ ითქმის – რონება წელის...
და იკერება სხივების ძაფით
გაღმა-გამოღმა ველები ვრცელი.
და იდუმალი ბგერა და ჩქამი,
და შეფარული თამაში სიტყვის;
ქმნიდა ყოველთვის სამყაროს ამინდს
ეს საამაყო და მძიმე ტვირთი.
ვინც აიმჩატა – ფაქიზი სმენით
და მოწამებრივ რიდით და ხათრით;
და ბიბლიური მოთარგმნა ენის
სწორედ ამიტომ ღმერთამდე ადის.
ლექსიდან – ლექსი, მითიდან – მითი,
შუქიდან – შუქი, ხმებიდან – ხმები
ამოდის, როცა იშლება კვირტი
ღმერთის კარნახით და ღმერთის ნებით.
ჭორიკანობამ გახადა შავი
ყორანი თურმე – თავიდან თეთრი;
ხელზე მარცვლები გიყრია ჭვავის,
ჭვავის მარცვლები თუ მინის დენთი.
ცრემლიან თვალში წარსული ჩასვი
და ტყდება ნავსი – იმღვრევა ბნელი;
აგერა ხმელი ჩალა და ხავსი
და წყალი – ხანძრის თხევადი მტვერი.
ფორმიდან ფორმას მოირგებს ორთქლი
და წყლიდან მოთქმით ამოდის მიწა:
გრძელდება ასე – სიზმარში რო თქვი,
სიზმარში რო თქვი და ცხადად იქცა.

შიმშილი

ღრუბელი – ჯანლში გადასული. ბურუსი. გვიბე.
სადღაც შორს – ცოტა ახირება – შუქი ნათურის...
სიზმარი. მძიმე ხასიათი და მჩატე ჯიბე.
ჯიბესთან – ჩემზე ბედნიერი – ქურდი ფათურობს.
დაცურებული ნიღაბიდან მაწუხებს სოფლის
ძილშიც ელამი, ძილშიც ხარბი და ჭროღა თვალი
და შუბლზე ცივი ქვირითივით დაყრილი ოფლი
დღეიდან აღარ შემმრალდება ამბორით ქალის.
„გულში მჭირს“ შენი მოფერება, „რჯულძაღლო, გულში“,
და ღარიბდება სისხლით ვენები,
და ხორკლიან ხელს რომ მკიდებ ყურში –
ფეხისწვერებზე ნამოწევით თავს ვეშველები.
თალხი ღიმილი დაყვება სალამს,
ხშირდება შიში გამოშვერილ მარჯვენის ხარჯზე
და წუთი წუთზე ახლა ისე მელევა ძალა,
რომ ლამის ქუდი მოვიხადო და გზაში დავვჯდე.
გათენდა, სიზმარს დავაფინე ძმრიანი ტილო
და მერე ფიჩხი შემოვივლე თავზე და დავწვი...
მომაგნო მაინც, ვინაც ჩემთან მოყვრობას ცდილობს –
ვახლავარ შიმშილს! – სიმპათიურ და გამხდარ ყმაწვილს.

ერთმანეთის სათქმელიდან ამოსვლა, ანუ პოლიფონიური ტექსტი კალეიდოსკოპური ნაგიჯებით

„ახდენამდე უფრო ლამაზია“ –
ალბათ, ოცნებაზე ნამოგცდა:
უფრო ჩაღრმავებას რა აზრი აქვს,
უფრო მისხალ-მისხალ ამოხსნას.
„ვაგლახ მე“ – ამოაყოლე სევდას
და ღაწვზე კურცხალი დაცურდა;
„სულ ავბედითობა მდევდა“ –
მე თავად დაგასწარ – რაც გსურდა.
„ცხოვრება ბურუსია და ნისლი,
თუ მკრთალი ნანერი დაფაზე“;
დანარჩენს უსიტყვოდ მიხსნი,
რაც ნიშნავს – ჩემს აღლოს აფასებ.
გრძელდება ეს ჭრელი „კაფია“,
ეს გადასათარგმნი ხმები:
„ყელზე რო შიშთვილი გაბია“ –
არ გინდა – თავადაც ვხედები.
უფალი, უფალი ვახსენოთ,
თვალწინ რო მორევი ბრუნავს;
„გამორბის!“ – ეს ნიშნავს ასეთ დროს –

ზაალ ეგანიანი
ბიბლიოთეკა

ვილაცა ჩვენზედაც ზრუნავს.
ზიარი როლებით დაღლილი
წუთები თანდათან გვზრდიდა;
ვინ ცდილობს ამ ჩვენი ღარღილით
ორივეს წუხილის ზიდვას.
„მესამე“, „მესამე“ გვაერთებს,
სარკეში გვახედებს – რა ვართ!
მეც კალამბურებით გავერთე,
თუ ხელი გამექცა თავად.
და სამი სამყარო: „მე“, „შენ“, „ის“
ჩრდილიდან გამოსვლას ითხოვს;
„თუ გვინდა, გავიგოთ ჩვენ-ჩვენი
სიმაღლე – „მესამეს“ ვკითხოთ!“

პირველყოფილი საბურველი

მშვენიერს, ძნელად მოსახილველს
ეპატრონება მფლობელი ცათა,
ოცნებაში ნათლის მჭვრეტელო?!

გადასძლევს მიწას მოციაგე სინათლის ჭავლი
და უნებლიეთ ამახედებს:

იქ, უვარსკვლავო სივრცეებშიც
სჩანს შენი სული ნათენები,
ხოლო ჩვენ შორის დააბიჯებ ლანდური სახით.

დიდხანს ეძებდი, უპოვარი,
და გამხმარ ბულულს
ყვავილწნულივით უგალობდი?

აჰა, გაბრწყინდი:

მოლი მოისახა მოვერცხლილი
გორაკის თავზე,
თუ დათრთვილული ყანებიდან
ადგა სინათლე...

თენდება ეს დღეც,
მოიხილე შემოგარენი, რომ გახმიანდეს
სიტყვათა შენთა სურნელება,
მამულის მწყემსო!

ვინ აარიდა მზერა დღემდე
მშვენიერების მაცდურ სინათლეს?! –
მარადიულ მიზეზს ცოდვისას?!
შენაც იგემე სამოთხის ვაშლი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლი! – მედინი წყლების გასწვრივ
გზაა უპოვართა,
უბრალოებით დამშვენებული;
შორს კი – მინდორი უსამანო,
მონანიებად მიდრეკილთათვის.

ჩნდება ტაძარი თუ სინათლით იმღვრევა ბნელი,
სად ხელმეორედ იმოსება სიმწვანით ხმელი
ტოტების სილუეტი.

რას, რას დაერქვას მიზნისთვის ბრძოლა? –
მოქმედებას თუ
სიზმარეულ ფიქრებში წოლას?!

ცა – ლმობიერი თითბრის ზარი,
ვინ ჩამორეკოს და თქვას – აი, პასუხი!
ვისი ბაგიდან გამოიცრას ცივი სიმართლე?!

როცა საკუთარ ბილიკს დაღანდავ,
წონასწორობის ერთადერთ საყრდენს,
და გადაუსვამ მთრთოლარე ხელს
შემინდვრულ ქედზე,
ყვირიხარ – დადგა ცის გადახსნის
ნანატრი წამი?!

ეს განწყობაა,
ფეხის ცერებზე შედგომაა,
მიმინოს, ძერის გამოხედვის სიფიცხეა,
შეზავებული ადამის გონთან.

ხელის ცეცება ემატება,
ბალახის სილბო ემატება,
ჩქამი ემატება იდუმალი
და სახეზეა ყიამეთის გამჭოლი სხივი –
იარაღი ძიების, შექმნის.

და მაინც რჩება უპასუხოდ
ათასი კითხვა?!

ნუ, ნუ ინდომებ,
არსებობის ერთადერთ მიზეზს
ჩამოახიო საბურველი პირველყოფილი,
თუ გსურს, გადარჩეს ბოლო ფოთოლი
და ნატერფალში ჩამდგარი შუქი.

მუნჯი ბედნიერება

რა ხმები, რა ხმები გამოისმის,
მთვარე რომ წარმოსახვას კარს უღებს;
შიგნიდან მარჯვენს რომ გამოიწვდი,
გარედან თავის დაკვრით პასუხობ.
და მოწვენარობა ალამაზებს
საგნებს და დახატვას გაძალებს;
და ცვრიან მინდვრების დანახვაზე
შემთვრალი კაცივით ბანცალებ.
თავლაღი ხასიათის გამო არის
ცაში რომ უსხეულოდ ადიხარ,
თუ ცეცხლზე შემდგარი სამოვარის
ორთქლიდან ამოზრდილი ლანდი ხარ.
„სიცოცხლე ჰაერით თრობაშია“ –
ამბობ და ხეტიალით ერთობი;
შენივე ფანტაზიამ მოგაშია
და თვალში ჩაიყენე ფერდობი.
თვალთვალი, თვალთვალი შეგიძლია
და ფიქრი შეგიძლია – ასევე;
ბერდები, მხარი არ შეგიცვლია –
ჯიუტად ანგრევ და აშენებ.
და გული ბებერი თუა მთელი,
სურათიც ერთია მარადის:
ფოთლების, ფოთლების ჟრუანტელი
ფეხდაფეხ დუმილში გადადის.
დუმილი გრიგალის სამოსია –
საცაა, შემოიხევს მგონია:
თანდათან ქარქაშიდან ამოსწია
ხმალი და ტაშს უკრავ გოლიათს.
ალავერდს გადადის ქარებთან
(მთავრდება იმათი გარინდებაც);
და, გულს რო ხურჯინივით დაბერტყავს –
მტვერიდან სიტყვები ყალიბდება.
ვიღაცა ჩურჩულებს – „ღვთისათანა“
და იწყებს ლოცვას და ფერებას
და ფიქრი, უფალთან მისატანი,
იმოსავს მუნჯ ბედნიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის გადაგება

ჩემი მეგობარი, ჯანსულ ღვინჯილია,
ჭარში ლაპარაკის გამო, სიყვარულით,
„ყბამონგრეულს“ მეძახდა...

მე ვარ და შენ ხარ და სხვაც არის
და ჟამი – არაქათგამოცლილი –
„ასკოდი-ბღვიერო ნაცარი“ –
რეფრენი ლოცვიდან ამოჩრილი.
რა იყო, რა არის, რა იქნება.
სულ ასე თანდათან მეტანება;
და მჯერა, არასდროს ჩამიქრება
სხეულში იმ ჩქამის ნეტარება.
ბალახის ჩანგიდან ამოისმა
და მერე ყურდაყურ გადამისწრო,
ძენწამ რო კვირტები გამოისხა
და თვალწინ დაგვიყენა ადამის დრო.
სამივე, სამივე ვხარობდით
დიმით და როხით და ბაგინეთით;
ზიარად ვიღებდით ხაროდან
მარცვალს და ცხელ მიწას ვაგრილებდით.
პიტნის მარმელადივით მწვანე
თვალები სიმშვიდეს იფერებდა:
ვუმზერდი. ტკბებოდი. მკლავებს
და მუხლებს ართმევდა სიბერე და
ჩემი და შენი და მისი და
სათქმელი მე კი არ მესიზმრება,
ცხადში მოიყენებს სისხლი და
მორჩილად თავს ვუხრი ღმერთის ნებას.
სამივეს მაგიერ ვყვები და
მსურს, თავი ამ საქმეს გადავაგო:
არადა – დამენგრა ყბები და
არადა – სულ მართალს ვლაპარაკობ.

ზაბელ ეფანოვი

ბედ-იღბლის წერილი

კითხულობს თვალი ბედ-იღბლის წერილს
და ვარსკვლავების ფარსაგად შემხმარ
ტოტიდან ფეხით ჩამოდის ბნელი –
ბნელი გახურავს და ბნელზე წვეხარ.

მოძრაობს გზა თუ მოძრაობს თოკი
და ქარის ტირილს პასუხობს მინა,
და ოპტიმიზმით დამძღარი ჯოგი
დაყრილა აქვე და მშვიდად ხვრინავს.

მამლის ყივილი – ასანთის ღერი –
ეს ერთადერთი იმედი ხსნისთვის,
გაკრული რამე იდუმალ ხელით
აქა-იქ მბჟუტავ ნაპერწკალს ისვრის.

და ჩნდება ბზარი და ბნელის ფსკერზე
დაცურავს თვალი შიშით და თრთოლით,
და მიზეზ-მიზეზ მწვანე ხავსს ეძებს
და ხავსის ნაცვლად – თრთვილი და თოვლი!

„დაიქცეს!“– ყვირი და მერე წუხარ,
რაზე და რატომ, ჩვენს შორის დარჩეს,
გატეხავ შეშას და მშიერ ბუხარს
სულ თითო-თითო მუგუზლით არჩენ.

და დგება წუთი, როდესაც მთენთავ
დუმილზე ზანტად ეყრდნობი მხრებით,
მერე უეცრად უბიძგებ შენ თავს
შენგან და მაინც შენშივე რჩები.

თუ რამე ამ დროს ღარღილობს – რუა,
და როცა ისიც ვერაფერს ვერ ცვლის,
ჭიშკარზე მთვარის გალეულ ყუას
აჭედებ ფრთხილად და ავთვალს ებრძვი.



დავით თოდუაძე

ლეკვების წერა 10 წლისამ დავიწყე.
როცა სული მთხოვს – ვწერ...
სულის დასაამებლად დადიოვარ ერგეში.
სულის სალბუნია ერგე.
იქ, ჩემს წალკოტში, ჩიტების ენას ვსწავლობ, ჩიტები მალვიძებენ. – დარდები უნდა ამოგკენოთ გულიდანო...
სული მთხოვდა და ვოცნებობდი, მამსეული მამულში სალოცავი ტაძარი ამეშენებინა.
ძმების – ოთარის, მირანის, თამაზის თანდგომით, დღეს ეს ოცნება რეალობად იქცა. ახლა ერგეში ჩვენს სამკვიდროს გვირგვინად ადგას ოსტატ ავთანდილ თედორაძის მიერ აშენებული წმიდა თევდორე მოწამლის საჩელობის ეკლესია.
ჩვენი გვარიც ამ ღვთისნიერი ბერიდან მოდის...
სხვის დუდუკზე არასოდეს მიცეკვია. რაც მინდოდა, რასაც სული მთხოვდა, იმას ვაკეთებდი ყოველთვის, ოღონდაც არასოდეს გავსულვარ ზნეობის ზღუდე-ვალაკინდან.
ვცხოვრობ სიყვარულით – არც ახლა და არც არასოდეს მძულებია ადამიანი.
ჩემს სულში ადგილი ვერ დაიკავდნა შურმა, ღვარძლმა და ბოროტებამ.
მიმტკვეველი ეიყავი, ვარ და ვიქნები.
სულიერებამ გადაარჩინა საკარნეველი.
სულის დამკარგავი არც და ვერც იარნეველებს.
ადამიანში სულს ვეძებდი ყოველთვის.
ამ ლექსებშიც ჩემი სულია...
რაცა ვარ – ესა ვარ!
მეტის სურვილი, რა თქმა უნდა, მაქვს.
და მანც შენი ვარ, ჩემო კეთილშობილო, სულგანწმენდილო, მომფერებელო მკითხველო.
ან კი როდის არ ვიყავი შენი...

დავით თევდორაძ
ბიბლიოთეკა

აღმაშენებელი

უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!

მეფე
აფხაზთა,
ქართველთა,
კახთა,
სომეხთა,
რანთა...
სხვას,
სხვას ვის ჰყავდა
თუნდ მაშინ,
თუნდ სხვა დროს
ქართველთ გარდა!

დავითმა ხმალი იშიშვლა,
მტერი გაფუჭდა შიშისგან!

გადაირბინა
ტაოსკარი
თურქის ლაშქარმა,
ვით ტურის ჯოგმა,
ძუ ავაზის ღრენით დამფრთხალმა.
უკუქცეულმა
სპარსმაც შარა გაავერანა,
და გაიშალა,
აღორძინდა ქართველთ ქვეყანა!
აგო ტაძრები,
ხანაგები,
გზები,
ხიდები...
კაი დრო იყო,

საქართველოს სცნობდნენ დიდებით.

უკვდავებისთვის ეყოფა
ცხრა ერს დავითის მეფობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითმა წარვლო ჭოროხი

დავითმა ხუფითით წარვლო
ჭოროხი და უგრძნეულოდ
დაეცა თურქია.
„ქართლის ცხოვრება“

როცა სული მთხოვს
ტყეს და მდინარეს,
როცა ქალაქში ვერ ვძლებ,
მოვინახულებ პირმოცინარეს
ჩემს უძვირფასეს ერგეს.
დავითმა წარვლო ჭოროხი,
თურქს დაეცა და
თბილისს
მიბრუნდა გამარჯვებული,
როგორც ვარსკვლავი დილის.
აქ, ჩემს სოფელში,
ღმერთის ტოლს
მეფე-ბრძენს აუვლია
(ჭოროხი რიდით დამშრალა,
სხვა წყლებსაც დაუკლია),
ტყეს მოდებული ხანძარი
შებერვით ჩაუქრია.
სოფლის ამბავი უკითხავს,
ტაძარი აუგია,
ყმებთან წირვაზე დამდგარა,
სანთელი აუნთია.

სანთლის შუქი

ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

ვერ ჩამიქრეს –
კლდე გამიხრავს ჯავრისაგან კბილით,
იავნანა მშველოდა და
კაბა-კალთის ჩრდილი.

შევინახე ხანძთის განძი,
ტაოს დარდი მწველი.
მეწყერივით მოვარდნილი
მიჩეხია მტერი.

დავით თეძორაძ
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლარჯეთს ცრემლი არ გაუშრა,
ბევრჯერ მომატირა –
აღსრულდესო დედის ნატვრა, –
შესანირავს სწირავს.

ვეფერები აჭარისწყლის
ხეობას და სივრცეს,
აქ არტანუჯს გავიხსენებ,
სულს იმერხევს მივცემ.

ვაზი სულში გადავმალე,
ჯვარი – ჩუქურთმებში,
ვერ ჩამიქრეს წმინდა ხატთან
სანთლის შუქი მთებში.

●

პეპელა უფრო დიდხანს ძლებს,
ვიდრე ბათუმში თოვლი,
და მაინც,
მაინც
მიყვარს მზე –
უპირველესად ყოვლის.

მომწონს ქარების წივილი,
წვიმაც,
სეტყვაც და
ბარდნაც...
და მაინც, დიდი ტკივილით
დამამხო მზეზე დარდმა...

მზეო,
ამოდი,
გაბრწყინდი,
გამათბე,
გამალაღე!..
ბაღში ვდგავარ და
დარდს ვყიდი,
მყიდველი დამანახე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ტბეთის ტაძარს

მინდა, შენს ქვებს ვეფერო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სულის მაცხოვნებელო
ტბეთის დიდო ტაძარო.

ღვთაებრივი ფარდაგით
მრევლს ყოველთვის ფარავდი,
ჰქონდათ შენი იმედი
ერგეს, კირნათს, მარადიდს...

უფლის კვართით დანინდულ
საქართველოს შვენოდი,
ნუხდი, ჟამით დაბინდულს
გარბევდნენ, ვერ გშველოდი.

მითხარ, ვის მოვეფერო,
მითხარ, ვის გავუჯავრდე,
აღსდგე, ვთქვათ, გურიიდან,
ზარზმა-არტანუჯამდე.

საბა ეპისკოპოსის
ვხედავ დიდ ეპარქიას
სიზმარში და მივტირი,
რაც დღემდე დამკარგვია.

ახლა ასე, შორიდან,
შენს ხატს უნდა ვეფერო,
სულის მაცხოვნებელო
სალოცავო ბებერო.

სალოცავო მზეგრძელო,
ვაზის ჯვარის სადარო,
სათნოების მთესველო,
ტბეთის დიდო ტაძარო.

დავით თევდორაძ
ეროვნული
ბიბლიოთეკა

•

არც ცოლის მჯერა,
არც შვილის,
არც მეგობრების მჯერა,
ვზივარ და გასამგზავრებელ
ჩოხა-ახალუხს ვკერავ.

სამოთხის კართან დამხვდება
ჩემიანების გუნდი,
მკერდზე ვემთხვევი მამაჩემს,
ამაყს, გულუხვს და გულდიდს.

რამ მოგიყვანა? –
წარბშეკვრით
საყვედურს მკადრებს დედა,
დედის გარშემო სულმნათი
ანგელოზები სხედან.

აუ, რამდენი ყოფილხართ
ჩემი სისხლის და ჯიშის,
ამაოდ მქონდა აქ მოსვლის
უფმურშეყრილი შიში.

ახლა ერს უნდა ილია

შალვა წიკლაურს
ქ. ჰანოვერი, გერმანია

ისეთი ცაა ჰანოვარს,
გგონია, წვიმა წამოვა...

ვთამადობ, შალვა წიკლაურს
თვალებში ცეცხლი უნთია,
სუფრასთან ემიგრანტობის
მაძიებელთა გუნდია.

ვერიკო მღერის – ამ გოგოს,
ო, რა სიმღერა სცოდნია,
შემთვრალი მამაკაცები
ცრემლისღვრით ერთურთს კოცნიან.

ისეთი ცაა ჰანოვარს,
გგონია, წვიმა წამოვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარში?! უკაცრავად ვარ,
ზაფხულში მზე თუ ამოვა, –
იტყვის შალიკო-ვალიკო
და საქართველოს დალოცავს.

ეჰ, ბედის ბორბალს რა ვუყოთ,
სად მიაბრძანებს სადაურს,
აქ გულს ერთმანეთს გავუყოფთ,
შინ ვეცილებით ხატს და პურს...

ისეთი ცაა ჰანოვარს,
ბგონია, წვიმა წამოვა.

თბილისში მზეა, ამინდი,
როგორც ამბობენ, თბილია,
... ამინდს გაუწყრეს გამჩენი,
ახლა ერს უნდა ილია.

მამაჩემი

მენატრება მამაჩემი,
გზაც მოკლდება მამისაკენ,
როგორც გულს და
როგორც თვალებს,
ვუფრთხილდები მამის სახელს.

მამა გვზრდიდა რაინდებად
საბას იგავ-არაკებით,
არასოდეს უცხოურია
დალხენით და გალაღებით.

სოფელს მისი ჰქონდა რიდი,
სიტყვას მისას ჰქონდა ნონა,
სძულდა მშიშარა და ფლიდი,
სძულდა მლიქვნელი და მონა.

მამამ შიში არ იცოდა,
ომმა გამოსტაცა შიში,
სტალინგრადთან სტალინივით
ამაყობდა მამა ჯიშით.

კურსკთან სიკვდილს ეთამაშა,
კენისბერგში ითარეშა,
გამარჯვება დაიმშვენა,
დაფლეთილი ეპყრა დროშა.

დავით თევდორა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამა იყო ახოვანი,
გუმბათივით აზიდული,
ბაყბაყდევის ძალა ჰქონდა
და კეთილი ბავშვის გული.

სველი ზღარბები

გამთენიისას ამიტირა წვიმამ პალმები,
დალახვროს ღმერთმა,
არ მინდოდა წვიმა სრულებით...
მიბაჯბაჯებენ ბინებისკენ სველი ზღარბები –
ძილგატეხილი,
უწყინარი ღამის მდგმურები.

მე საით,
ვისკენ?!
რომელ ქუჩას უნდა დავადგე,
ვის დავუტოვო სანაპირო ბაღის სიმშვიდე...
არ გამოვიდა,
ჩემებურად ვერ ვითამადე,
ქეიფი ჩაქრა,
ვიდრე გულებს გადამიშლიდნენ.

ელვა ანათებს გაღმა სერებს,
ექვსი დაინყო,
სძინავს ქალაქს და ჩაძირულა ნისლში ზღვისპირი,
მოვალ და გეტყვი –
ისევ დავთვერ,
ვითომ რა იყო,
დავთვერ და ყრმობას,
ჩვენს სიყვარულს ისევ მივტირი...

არ გამოვიდა კაი საქმე ღვინის გარეშე!
ქართული ღვინო –
მის დამწურავს ვენაცვალები,
ცხრამეტი კაცის სიყვარული მოვითარეშე,
ავები არა, –
გულკეთილი მიყვარს მთვრალები...

რაღა ამაღამ ამიტირა წვიმამ პალმები,
დალახვროს ღმერთმა,
არ მინდოდა წვიმა სრულებით,
მოვდივარ შენკენ,
საყვარელო,
სველი ზღარბივით, –
ამავსე ცრემლით,
უძილობით,
საყვედურებით.

უფლის ხმა როცა გესმის

სუნთქვაში,
გულის ფეთქვაში
ჩაისახება ლექსი,
როდესაც ღმერთთან საუბრობ,
უფლის ხმა როცა გესმის.

აბჯარასხმული წუხილი
ცრემლად გაჰყვება სტრიქონს,
საქართველოში ოდითგან
ლექსი მებრძოლი იყო.

ხან სიხარული მოსავდა,
მიეცემოდა ტრფობას,
მოძღვარი გახლდათ, იწყებდა
მოზარდის სულის წრთობას.

წერდა მეფეც და ბოგანოც,
ლექსი დუშმანმაც გვიქო,
ერის სულს შემოეხვია
როგორც ვენახი ჭიგოს.

სუნთქვაში,
გულის ფეთქვაში
ჩაისახება ლექსი,
როდესაც ღმერთთან საუბრობ,
უფლის ხმა როცა გესმის.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
და მე,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ –
ჩემთან ივლიან ჩემი და-ძმები.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა
და ეს ზამთარი იქნება თბილი,
ვივაზირებთ და ვიმუსაიფებთ
საღამოობით დედა და შვილი.

ამ ზამთარს ჩემთან იქნება დედა,
ჩემი და-ძმების შუქით გამთბარი,
და მე,
როგორც მზეს,
თვალნათლივ ვხედავ –
მიახლოვდება ტკბილი ზამთარი.

შენ ხარ მგოსანი

შენ ხარ მგოსანი და უკეთურებს
არ აძლევ ნებას, სული გათელონ,
გინდა, ნუგეში სცე უბედურებს,
გინდა, უშველო შენს საქართველოს.

შენ გავიწყდება, რომ ხარ უმწეო,
როცა მგლებივით ძრწიან მზაკვრები,
შენ შენთვის ცოცხლობ სადღაც, უმზეოდ,
სულს ბორკილივით ადევს საზღვრები.

გტკივა, ტკივილმა ლამის შეგშალა,
შენ გიხუჭავენ თვალებს გახელილს,
არ მოდრკე, ბიჭო, ერს და ქვეყანას
მაინც შერჩება შენი სახელი.

რა ვუყოთ, თუკი დღეს ხარ უმწეო,
დამიზნებული შუბლში ლულებით,
სხვისთვის მზეს ნატრობ თავად უმზეო,
მოძულე ლიქნის და ორგულების.



ავთანდილ ვასსხვაძე

სიკვდილ-სიცოცხლის როკვა

რომანი

ნაწილი პირველი

II

გურიაში დატრიალებულმა ამბებმა მთელი საქართველო შეძრა, მოსკოვსაც უწია და ქვეყანა აფრიალა. ხალხის დაწყნარება-დაშოშმინება მთავრობამ ვერ შეძლო. კავკასიონის მთების გასწვრივ ოლოყაშვილის ეროვნული გვარდია მოქმედებდა. ბანკისის ხეობიდან ლიახვის სათავეებამდის მთელი ალაუფლება უშიშარ რაინდს ხელთ ეპყრა. რეგულარული ჯარის ძალდამფრთხალი დივიზია დასცვდებ მთებში ჩოლოყაშვილის არწივებს, მაგრამ ეურაფერს აკლებდა, პირიქით, დივიზია მარცხს მარცხზე განიცდიდა, თხელდებოდა, ნადგურდებოდა, ხელახლად ივსებოდა და ბრძოლა თავიდან იწყებოდა, ჩოლოყაშვილი კი თავს არხეინად ერთობდა კავკასიონზე ზურგმიყრდნობილი და სახალხო სიყვარულით დაიმედებული.

მართალია, სახალხო აჯანყება სისხლში ჩაბრჩეს, მაგრამ ხალხის ნებისყოფის გატეხა ვერა და ვერ შეძლეს.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არნახული ტერორი გამეფდა. ტყვია-წამალი გაძვირდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასად იქცა.

მთავრობა არ იყო მოსვენებული საქართველოს არც ერთ მაზრაში, მშვიდი ძილი დიდი ხანია დაკარგა ხალხმაც და მთავრობამაც. ყოველ ადამიანში მტერს ხედავდნენ. გახშირდა დასმენა-დაბეზღება.

სისხლის ჟანგისფერი სუნი ყველა მაზრას მოედო, მაგრამ ის, რაც გურიაში ხდებოდა, დაუჯერებლად ეჩვენებოდა მტერსა და მოყვარეს. გოგიას და ხათუნას გმირობა ზღაპარივით ვრცელდებოდა კუთხიდან კუთხეში, ქალაქიდან – სოფელში, ბარიდან – მთაში, ხალხიდან – ხალხში.

ობოლაძე-ლაშხის დახოცვამ და საგანგებოდ შერჩეული ველური და თავზეხელაღებული დამსჯელი პოლკის განადგურებამ მთავრობა საბოლოოდ გამოიყვანა წონასწორობიდან.

ჩაუარეს ქართველი ბუღუბელის ახლად დაობლებულ სასახლეს. სამგლოვიარო შავი ნაჭერი ჯერ კიდევ არ მოეხსნათ ოპერის თეატრის მოჩუქურთმებული აივნიდან. ჩუმად, უსიტყვოდ, დაღლილნი და მოთენთილნი შეუდგნენ მთაწმინდის ალმართს. მამადავითიდან თეთრეუმბათოოვანი სავანე ამაყად და მრისხანედ გადმოსცქერდათ დილეგად ქცეულ მტკვეს, დიდფიტარსა და სიონს. ღრმა ძილით ეძინა თბილისს...

IV

საქართველოს ჩეკას უფროსად ბერიას დანიშვნა ქართველ ხალხს ახალს ბევრს არაფერს ჰპირდებოდა. ჩეკას უფროსი, ვინც უნდა ყოფილიყო ის, პირველ ყოვლისა, ჩეკას უფროსი იყო. დახვრეტის ხელობა კარგად უნდა ჰქონოდა შესწავლილი, ცივსისხლიანს გულიც ცივი უნდა ჰქონოდა და ჯალათების ხელისუფალს ჯალათები უნდა მოემრავლებინა, ჯალათებზე დაყრდნობით უნდა ემართა ქვეყანა. ამიტომ ხალხი განსხვავებას ვერ ნახულობდა კვანტალიანსა და ბერიას, ბერიასა და ორჯონიკიძეს შორის, მშვიდობიანი დილის გათენებას არც ერთი ჰპირდებოდა საქართველოს, არც მეორე და არც მესამე.

სამაგიეროდ, ჩეკას ძველმა მუშაკებმა და უფროსის პირველ მოადგილესთან დაახლოებულმა პირებმა ზედმიწევნით იცოდნენ, თუ რა საქმეს დაატრიალებდა ახალი უფროსი; შავი ღრუბლებით დამძიმებულ ზეცას პირს მოხსნიდა, სისხლის ნიაღვარს აუშვებდა, მეხსა და ჭუხილს ელვასავით წინ ნაუძღვებოდა, გრიგალსა და ცეცხლს რისხვად დაატეხდა თავს მთელ ქვეყანას.

ჩეკას უფროსად დანიშვნის პირველი დღეებიდანვე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საშინელი რეპრესიები დაიწყო. ქვეყანა ჯაშუშებით გაიავსო. ჯერ გაუგონარი ტერორი დაატყდა თავს საქართველოს ქალაქებსა და დაბა-სოფლებს. ყველა ეჭქმიტანნილი პარტიული და უპარტიო მოულოდნელად ქრებოდა და უჩინარდებოდა. კონტრრევოლუციონერის სახელწოდებით დაპატიმრებულები ჩეკას დილეგშივე დნებოდნენ და ორთქლდებოდნენ.

პირველად ინტელიგენციასა და სტუდენტებს დაადგა თვალი ჩეკას ახალმა შეფმა. ინტელიგენციის ნაწილი სრულიად გაბრწნა, გადაადგარა და პირად სამსახურში ჩააყენა, ხოლო დაუმორჩილებელი, უშიშარი და დამოუკიდებლად მოაზროვნე ნი ფიზიკურად გაანადგურა.

ჰაერი შეიკრა და სუნთქვა გაძნელდა.

მაგრამ იმან, რაც გუროიში დატრიალდა, ყოველგვარ მოლოდინს გადაამეტა.

ობოლაძისა და ლაშბის სიკვდილის შემდეგ საჭირო გახდა მათი მემკვიდრეების შერჩევა, რომლებიც სისასტიკითა და შურისძიებით კაცობრიობის ისტორიაში არც ერთ ცნობილ ჯალათს ტოლს არ დაუდებდნენ, პირიქით, გამიმგონებლობით აჯობებდნენ კიდეც. რაკი ბერიამ მემკვიდრეობით მიიღო გურიის დაწყნარება-დაშოშმინების დავალება, მას კიდეკაც უნდა დაემტკიცებინა საქართველოსა და კავკასიის მთავრობებისათვის თავისი ნიჭისა და უნარის ძალა.

სასურველი კანდიდატების შესარჩევად შორს წასვლა აღარ მოუხდა. ორთავე საქართველოს საგნგებო კომისიის აპარატში გამოიძებნა.

ოზურგეთის სამაზრო ჩეკას უფროსის ჰოსტზე დაინიშნა საქართველოს ჩეკას კადრების განყოფილების უფროსი ანტიფო ნადირაძე. ანტიფოს გადიდკაცების შემდეგ არ მოეწონა ძველებური, ბლეხური და მღვდლის მიერ შერქმეული სახელი, უკანასკნელი მარცვალი მოაკვეცა და ჩეკისტად ნათლობასთან ერთად ახალი სახელითი მოეკლინა ქვეყანას. ანტიფო ნადირაძე ამიერიდან გახდა ანტი ნადირაძე. ასე და ამგვარად, ჩეკას ძველი ჯალათი ანტი ნადირაძედ გამოეცხადა გურიას და ახალ თანამდებობაზე ბერიას ლოცვა-კურთხევით დასკუბდა.

დამსჯელი ექსპედიციის უფროსად ბერიამ თავისი მეორე მოადგილე შეარჩია, მრისხანე და დაუნდობელი, ყოველგვარი კეთილისა და ადამიანური მტერი, უმცროსებთან მედიდური და უფროსებთან მლიქვნელი. ხალხთან ყოველთვის ერთი ენ – სიკვდილისა და ტყვიის ენით ლაპარაკობდა. უფროსების საამებლად მზად იყო, სისხლის მდ ნარეზე ადამიანთა ძვლების ხიდი გაედო და ზეცა მედიდურად გაეკვლო. ასეთი იყო იოსებ ტალახაძე, რომელიც ბერიამ თავზეხელაღებული ჩეკისტა-ყაზ რისაკაცებით შეკონწიენულ დამსჯელ პოლკს ჩაუყ ნა სათავეში და ერთადერთი მტერიც დავალება მისცა: ერთი თვის განმავლობაში საბოლოოდ გა ტეხა გურული გლეხების წინააღმდეგობა, აიღო მა თავისუფლად მონავარდე ყაჩაღები. კერძოდ გოგია ღლონტი და ხათუნა მუხუშავრა ცოცხლად ხელთ ეგდო, თუ საჭირო იქნებოდა, გურია მთლიანად გადაეწვა და გადაებუგა, არ დაენდო არავინ საშინელი შურისგების რისხვა დაეტრიალებინა, მაგრამ დავალება აუცილებლად უნდა შეესრულებინ და მიზნისთვის დათქმული დროში მიეღწია.

ტალახაძეს ნინასწარ ახარებდა გაუგონარი ტერორის დატრიალება გურიაში და ფეხქვეშ გართხნილ დამარცხებული და დაპატიმრებული გურიის ნახევ დარწმუნებული იყო, მის ნამლეკავ რისხვას ვერაფერი გადაურჩებოდა ამ პატარა, მაგრამ ურჩ კუთხეს.

გარეგნობითაც მტაცებელ მხეცს ჰგავდა იოსებ ტალახაძე. საშუალო სიმაღლისა და ჯიუჯგები აგებულებისა იყო, დაკუნთული ხელ-ფეხი უხეში ბალი ჰქონდა დაფარული. საკმაოდ გრძელი ხელები თითქ მის მუხლებამდის სწვდებოდა, სამაგიეროდ, მუხლ ქვემოთ ფეხები შესამჩნევად მოკლე იყო. სასაგ ლოდ გამოიყურებოდა წვრილ კისერზე მსხვილად მორგებული თავი. ასე გეგონებოდა, ღმერთს თავ დან შეცდომა დაუშვია და სხვისთვის გათვალისწინებული თავი სხვის კისერზე დაუდგამსო. ცხვრ ძერის ნისკარტს მოუგავდა, პირი – მგლის ღაშ და თითქმის შუდამ ღია ჰქონდა. ჩასისხლიანებულ თვალებს ზემოთ ავისმომასწავებდან შეკუკერდ მსხვილი და ძირს დაშვებული წამწამები. ვიწრო და შეკმეულტილ შუბლს წინ გადმოყრილი ჯაგრისმაგვარი ღონა მოწითალო თმა ფარავდა.

ხელში განუყრელად ბრაუნინგის სისტემის რვ ვოლვერი ეჭირა. საუზმის დროსაც არ იშორებდა ან მაგიდაზე ედო, ან მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაჰქონდა. საერთოდ, მაგიდასთან იშვიათად ჯდებოდა, დანაყრება ზეზეურად უყვარდა. მუდამ მოძრავს, ნერვიულად დაძაბულს, ერთ ადგილზ გაჩერებულს იშვიათად ნახავდით.

ტალახაძემ არც დედა იცოდა, ვინ იყო, არც მამა. პოლიციელმა მუშმაიდის ბაღში იპოვა უბინალო კალათში, ძველ ჩვრებში გახვეული უმწეო ბავშვი, შიმშილობისაგან მილეული, სულს ძლივ

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ითქვამდა და ტირილით იჭამ̇ებოდა. არავინ ისურვა ამაზე დროზე უპატრონოდ მიგდებულის შვილად ᲛᲘᲦᲔᲚᲐ და პოლიციაც იძულებული გახდა, უპატრონო ბავშვთა სახლისთვის გადაეცა. ᲭᲣᲥᲣᲠᲘᲐᲜᲘ, ᲣᲡᲣᲠᲘᲐᲜᲘ და იარენთი შეეძლოთ ბავშვი წესის მიხედვით მონათლეს, გვარი და სახელი მისცეს – **ᲝᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲠᲘᲐᲜᲘᲜᲒᲘ**. მკაცრ პირობებში იზრდებოდა. გაჭირვებას და განსაცდელს შეჩვეული ათასგვარ სენსა და ავადმყოფობას გადაურჩა და გაუძლო.

ცამეტი წლის ბავშვი ავლაბრელმა გაკარგვიანებულმა პოლოსო

იშვილა. არუთინ პოლოსოიი მეფდარი უშვილო იყო. სიონის მახლობლად, ბამბის რიგში, მატყლის სავაჭრო ჰქონდა გახსნილი, რაც ყოველწლიურად დიდ შემოსავალს იძლეოდა, ოთხს ვაჭრობაშიც იშველიებდა, წერა-კითხვა ასწავლა, გიმნაზიაც დაამთავრებინა. ხშირად იტყოდა მამობილი: შენი სწავლა შენი წონა ფული ფამუდალი. პოლოსოიუ უნდოდა, შვილობილი კომერსანტი გამოეყვანა. შემოდგომაზე პეტერბურგში უნდა გაეგზავნა, მაგრამ ზაფხულში არუთინა ᲒᲐᲜᲓᲐᲜᲘᲡ მოკლეს, სავაჭრო გაძარცვეს და საათითაც აწყობილი საქმე ჩაიშალა. დედობილიც ერთი თვეში მიეწია ქმარს. ოიისები ბედოვლათი გამოდგა ვაჭრობის საქმეში. დარჩენილი ქონება რამდენიმე თვეში გაანიავა, ძმაბიჭებთან ქეიფში დაამღერა და საპატიმროშიაც ამოყო თავი. აქ გაიცნო და დუკაკიშირდა ტერორისტებ-რევოლუციონერებს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ რამდენჯერმე ბანკის გაძარცვაში მიიღო მონაწილეობა. ისევ დაიჭირეს და რამდენიმე წელს ციმბირის დილეგი ათელინეს.

ᲒᲠᲘᲐᲜᲘᲜᲒ-ᲞᲝᲚᲝᲡᲘᲜᲒᲘᲡ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაბრუნდა და საპატიმრო-გადასახლების ამნასაგეიც მონახა. ᲯᲣᲠ ᲩᲣᲚᲠᲣᲜᲘ მილიციის განყოფილების უფროსად მოეწყო, სადაც თავიანი სიმკაცრით სახელი გითქვა. გვარი **ᲒᲠᲘᲐᲜᲘᲜᲒᲘ** არ მოეწონა ოიისებს და საბჭოური წესით **ᲗᲚᲐᲡᲐᲮᲐᲫᲔ** გადმოინათლა, ამით პოლოსოიის ვაჭრული „ᲩᲘᲠᲩᲘᲪ" ჩამოიარეცხა.

სიმკაცრით, ადამიანური ბუნების დაკარგვით, უფროსების დავალებების გადაუფდებად და დროულად შესრულებისათვის ᲗᲚᲐᲡᲐᲮᲐᲫᲔ-ᲒᲠᲘᲐᲜᲘᲜᲒᲘᲡ სამსახურებრივი საფეხური სწრაფად აირბინა და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს საგანგებო კომისიის უფროსის მოადგილის თანამდებობასაც გამოჰკრა ხელი.

ᲩᲘᲯᲐᲡ საქმეებში გამოწრთობილი ოიისები ბერიას ᲑᲐᲠᲯᲒᲕᲔᲚᲘ ხელი გახდა. უფროსის ყოველგვარ სურვილს დაუყოვნებლივ ასრულებდა. ᲑᲔᲠᲘ რამეში ჰგავდა თავის შეფს, გულის მაგივრად მასაც ქვა ᲥᲔᲠ მკერდში, ადამიანის სისხლის დანახვას ისიც მაღაზე მოჰპავდა. თუ უფროსს ესიამოვნებოდა, ღვიძლი მმაც რომ ჰყოლოდა, იმასაც არ დაინდობდა და საკუთარი ხელით წარბშეუფხრელად დახვრეტდა. გარდა ამისა, ტალახაძე ბერიას ყოველგვარი ᲑᲘᲜᲫᲘᲠᲘ საქმის მესაიდუმლე იყო და ამ თვისებაში მრავალჯზის ჰყავდა შემოწმებული უფროსს.

ტალახაძე თავის შეფს სხვა მხრივაც ჰგავდა – ქალების მუსუსი იყო.

●

ᲔᲨᲘᲚᲘᲜᲒ დანიშნულ საათზე გავიდა თბილისის სადგურიდან. ტალახაძესა და ნაფირაძესთან ერთად ბერიაც გაემგზავრა ოზურგეთში.

მეოთხე კაცი, რომელიც საგანგებო ᲕᲐᲒᲝᲜᲘᲗ მიემგზავრებოდა რჩეულ სამეულთან ერთად, ბახრო ქობულოიი იყო.

ქობულოიი ბერიას დაუახლოვდა ᲯᲣᲠ კიდევ ბაქოში სწავლისა და ცხოვრების პერიოდში. ისინი ერთად ᲩᲐᲒᲘᲓᲘᲜᲔ ქართა ქალაქში. პირველად მატარებელში გაეცნენ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ. საზღვაო სკოლაში გამოცდების ჩასაბარებლად მიდიოდნენ, მაგრამ ბახრო პირველსავე გამოცდაზე ᲩᲐᲔᲭᲠᲐ, ბერიამ კი კარგად ᲩᲐᲝᲠᲐ გამოცდები და ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲐ კიდეც.

ᲣᲜᲔᲮᲐᲛ ქობულოის ერთ რამეში მაინც ᲭᲔᲜᲓᲔᲐ ნიჭი. – ყველაფერს აფვიანდა ᲣᲪᲝᲓᲐ ალლოს და ᲛᲘᲫᲘᲐᲜᲐᲗ შეგუების უნარი ᲰᲭᲜᲓᲔᲐ. მისთვის სასარგებლოს პირველსავე შემთხვევაში დაყნოსავდა და მოურგებელსაც აფვიანდა მოერგებოდა. თავს ბატკნად მოაჩვენებდა ᲧᲕᲔᲚᲘ და საჭირო შემთხვევაში მგლის ᲭᲣᲠᲭᲚᲘᲡ მოხერხებულად გაეხვეოდა და, რასაც ბატკნის მიამიტობით ვერ მისწვდებოდა, მგლის ალესილი კბილებით დაითრევდა.

თავად არაფერში გამოავლენდა ინიციატივას, მაგრამ, თუ ძლიერთა გავლენის ქვეშ მოექცეოდა, ნემსის ᲧᲣᲜᲬᲘᲜ გაძვერბოდა და გაუჩენელს გააჩენდა. უფროსის ᲩᲐᲜᲐᲒᲘᲫᲚᲘ უცნაური და შეუცდომელი ალლოთი ამოიცნობდა და, სანამ დავალებას მიიღებდა, საქმის გაკეთებას მოასწრებდა.

ბერიამ შესანიშნავად გაუგო ბახროს და, როდესაც საქართველოს ᲩᲘᲯᲐᲡ უფროსის მოადგილედ დანიშნეს, კადრების განყოფილების უფროსს ქვესკნელიდან ამოაღებინა ქობულოიი და პირად დავალებათა შემსრულებლად აიყვანა.

გორში ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲓᲘᲡ, ᲛᲔᲭᲝᲠᲔᲔᲑᲘᲡ და ქეიფის მოყვარულებს აფეციენტული ბახრო ერობაშად გადიდკაცდა, ᲒᲐᲜᲓᲔᲜᲘᲓᲐ და ამფსონ გორელებს ზემოდან გადახედა. სამაგიროდ, ბერიას ფეხქვეშ გიეგო და მუცლით ხოხვის ხელოვნებას შესანიშნავად დაეუფლა. როდესაც ბერია საქართველოს ᲩᲘᲯᲐᲡ უფროსი გახდა, ქობულოიის მოქმედების არე კიდევ უფრო გაფართოვდა და უფროსთან ყველაზე დაახლოვ-

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ
ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ბულ და სანდო პიროვნებად იქცა. ბერიამ იცოდა, რომ ის მისი განუყოფელი ჩრდილი იყო და იმწუთშივე გაქრებოდა, თუ მის არსებობას რამე დაემუქრებოდა. ჩრდილიც პატრონს განუყოფლად თან ახლდა და დგაეშილი ქოფაკივით თვალს არ აშორებდა, თვით სატანის ხახაშიც ჩაძვრებოდა, ოღონდ პატრონისშეფი უვნებელი და ნასიამოვნები დარჩენილიყო.

ერთი დიდი ჩრდილოანი მხარე ჰქონდა საქართველოს ახლად გამიმცხვარ ჩეკას უფროსს. სხვა მრავალ ნაკლოვანებათა შორის, გარეგნულად ეს მშრალი, უგულო და უგრძნობი ადამიანი, რომელსაც არაფერი ადამიანური არ სწამდა ამქვეყნად, ქალების უზომოდ მოყვარული იყო. წუთიერი გატაცებისა და სიამოვნებისათვის არავის დაინდობდა, ყველასა და ყველაფერს გაწირავდა. მისი გაგებით, ქალი მამაკაცის სიამოვნებისათვის იყო მოვლენილი. იგი მხოლოდ ვნების დასაცხრომად გაეჩინა ბანგებას. ქალზე ასეთ შეხედულებას მახლობლებში არც მალავდა და ბახჩო ქობულოვმაც ხომ ზედმიწევნით იცოდა პატრონის ბუნება! აშლილი ვნების დაცხრომაში ყოველთვის შეელოდა, დაგეშილი მეძებარივით დაძვრებოდა ქუჩებში, უბნებში, ქალთა სასსვლელებში, საკრებულო ადგილებში, რომ საკბილო ლამაზმანი აღმოეჩინა. ბინძურ საქმეებში განერთნილ-გაქნილი ბახჩო ადვილად ახერხებდა თავის სასარგებლოდ ჩარხის დატრიალებას და გუულურვეული ქალიშვილების კი არა, ოდნავ ნამრიჩეული ბავშვების გარყვნილების წუმპეში ჩათრევას.

ოზურგეთში გამგზავრების წინ ბერიამ ქოხულოვი იხმო.

ბერიას ფანჯარასთან მიედგა სავარძელი, ფარდა ოდნავ გადაეხსნა და ეზოში გამომავალი ფლიგელის რომელიღაც ფანჯარას გასცქეროდა.

ბერიამ სათვალიდან ახედა თავის რჩეულ ჩეკისტს და სავარძელზე უსიტყვოდ მიუთითა. ქოქბულოვიც დაემორჩილა უფროსს, ნელა ჩაეშვა რბილ, ზვიტყვეგადაკოკულ სავარძელში და საუბრის დაწყებას დაელოდა.

– მივემგზავრებით დღეს, არა? – ძალზე ნელა, ძლივს გასაგონად წარმოთქვა ბერიამ.

– დიახ, ლავრენტი პავლეს ძეს! ყველაფერი მზად არის, – მლიქვნელურად, ოდნავ მოღიმარი სახით უპასუხა ბახჩომ.

– როგორც ყოველთვის, არა?!

ბახჩო მაშინვე მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან. ხმაში ხავერდი ჩაიფინა, სიტყვას თაფლი და შაქარი შეურია და ისე მოახსენა:

– როგორც ყოველთვის! ჩვიდმეტ წელზე მეტისა არც ერთი არ არის, ოთხივე ერთმანეთზე უკეთესები!

ბერიამ თვალები მოჭუტა და ისე გამოხედა სათვალის ქვემოდან.

– რაიმე დავიდარაბა არ აგვიტყდეს!

– ქოხულოვი ისეთ რამეს არ გააკეთებს, რომ მას კუდი გამოეპას.

ბერიამ სიამოვნებისაგან ტუჩები წინასწარ გაწოლოცა, თვალები დახუჭა და სავარძლის საზურგნენეტარებით გადაანცა.

– ლავრენტი პავლეს ძეს, სხვა ახალი დავალების მოცემამს ხომ არ ინებებთ?

– არა, შეგიძლია წახვიდე!

– მე სადგურში დგგელოდებით. ნახვამდის! – უკანასკნელი სიტყვები ისე წარმოთქვა ქოხულოვმა, რომ წელში ოთხად მოიხარა. გრძელი კაბინეტი აუწქარებლად განვლო და გრძნობდა, თუ როგორ დამცინავად, მრისხანედ და გამჭოლავად მიაცილებდა მოპირდაპირე მხრის კედლებიდან ულიანოვისა და ძერჟინსკის თვალები.

●

საგანგებო ეშელონს ნახევარი კილომეტრის დაშორებით, ნინ ერთი ვაგონგამობმული ორთქლმავალი მოუძღოდა. ვაგონში ათიოოდე ჩეკისტი იჯდა. მაგრამ მათ არსებობას გარეგან ვერ შენიშნავდით. ფანჯრები ფარდებდაშვებული და ჩაბნელებული იყო. მემანქანის თანაშემწეებად ბომბებით, კარაბინებით და რევოლვერებით შეიარაღებული სამი ჩეკისტი გამოეყოთ. ეშელონის შუუფრრხებელი მოძრაობისა და სრული უშიშრობისათვის ყოველგვარი ზომები იყო მიღებული. ყველა სადგურს გაძლიერებული მილიციელი შერჩეული ჩეკისტები იცავდნენ. ხიდების დაცვას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

ეშელონი საკუთარი გრაფიკით მიიკვლევდა გზას.

შემხვედრი სამგზავრო მატარებლები დიდ სადგურებში საათობით იდგა და ეშელონის გაცლას ელოდებოდა. საქართველოს მთავარ მაგისტრალზე ამ ღამით მოძრაობის წესები მთლიანად დაირღვა. მგზავრების მიღელვარებას და საყვედურებს არავინ აქცევდა ყურადღებას. სადგურის მორიგეები მხოლოდ ერთი გაზეთირებული ფრაზით აწყნარებდნენ ცნობისმოყვარეებს: ლიანდაგის დაზიანების გამო მატარებლები გაურკვეველი დროით დაიგვიანებენ.

ეშელონის საერთაშორისო ვაგონში მძიმე ფარდები სადგურიდან გასვლისთანავე დაუშვეს. მხოლოდ ბახჩო და ოთხი წელწერილი გოგონა სხვადასხვა დროს ცალ-ცალკე და შეუმჩნევლად შეიპარნენ ვაგონში და მათთვის მიჩენილ კუპეებში გაუჩინარდნენ. ფანჯრებთან მისვლა და თავის გამოჩენა სასტიკად აუკრძალა გოგონებს. ეშელონის გასვლის წინ გამეცილებელი მოხსნეს და წინასწარ შერჩეული, შემოწმებული ჩეკისტებთ შეცვალეს.

ლავრენტი ბერია, ანტი ნადირაძე და სოსო ტალახაძე მცხეთაში ჩასხდნენ.

სამტრედიის რკინიგზის სადგურში ეშელონი ღილის რვა საათზე ჩავიდა. ბაქანი გაწმენდილი იყო ხალხისაგან, სამგზავრო მატარებლები აღრეკვე გაეშვათ დანიშნულების მიხედვით, რომ რაიმე მოულოდნელობა თავიდანვე ყოფილიყო აღკვეთილი. საბარო მატარებელი და სხვა სამარქაფო შემსდგენლობები ჩიხში გადაეყვანათ. ასე რომ, ეშელონი ერთადერთი იყო, რომელიც დაცარიელებული სადგურის პირველ ლიანდაგზე ჩამოდგა.

ყველაფერი ზუსტად მოფიქრებული გეგმისა და ნესის მიხედვით შესრულდა. ტალახამეშ ორმოცდაათკაციანი რაზმი ეშელონიდან მოხსნა და ჩოხატურისაკენ გაუყვნა. გამოყოფილი ჯარის ნაწილი ფარცხმა-გუთურში დაიდგმედა ბინას და უფროსის განკარგულებამდის აფგილიდან არ დაიძროდა.

ბაზრის გოგონები კომენდანტის ოთახში ჩაიყვანა და სამტრედიის კუანძის ჩეკას უფროსს საქართველოს საგანგებო კომისიის უფროსის დავალება ეგზავნა: გოგონები დღესვე დაებრუნებინა უკან ფხილისში იმ ვარაუდით, რომ საღამოს ცხრა საათამდის თავიანთნ სახლებში ყოფილიყვნენ, მშვიდობით და უვნებლად. შედეგი ეცნობებინა ოზურგეთის სამზრო ჩეკას უფროსისათვის დაუყოვნებლივ.

ოცი წუთის შემდეგ ეშელონი სამტრედიიდან გავიდა. რიონის ხიდს გასცდა თუ არა საგანგებო მატარებელი, სცალა შინელეა და ყაჩაღების სანადარდო ქვეყანაში უსაფრთხოების ყოველგვარი ნეგსის დაცვით განაგრძო გზა.

ლანჩხუთის სადგურში ათი წუთით შეყოვნდა მატარებელი. აქ არავინ არ მიუღია ბერიას, არც მილიციის უფროსი მეგრელაძე და არც ჩეკას უფროსი ბონდო კვიცანინ, თუმცა ორივე ბაქანზე გაჭიმული იდგა და მოწყალე თვალით გადმოხედავს ელოდა.

ლანჩხუთშიც ორმოცდაათი ჯარისკაცი დაბოვეს და დავალება მისცეს, თანაბრად განაწილებულიყვნენ ორაგვეესა და აკანაში.

ნაგანაებში მთელი სამაზრო ხელისუფლება შეეგება საქართველოს ახალ ჩეკას უფროსს და მის თანმხლებ პირებს.

ოცი კილომეტრი ნაგანებიდან და ოზურგეთამდე ისე გაიარეს საზეიმოდ მორთული ეტლებით, რომ გზაში არაგინ შეხვედრიათ. სოფლები მიტოვებულს ჰგავდა. თუ არა ძაღლების ყეფა ეზოებში, ფიქრებდა, საშინელის მოლოდინში ხალხს მიეტოვებინა ახლო-კარი და სადღაც გახიზნულიყო. დამსჯელი პოლკი სამწყობრო სვლით, რამდენიმე კილომეტრით უკან მიჰყვებოდა საპატიო სტუმარ-მასპინძლებს. მთელ გზაზე ზოლად გართხმულიყო რუხ-ყვითელი მტვრის ნისლი. ჯარი მიდიოდა ჩუმად, უხმაუროდ. პოლკის უფროსმა ჯარისკაცებს სიმღერაც აუკრძალა და ეზოებში შესვლაც. ბრძანება ზუსტად სრულდებოდა, დაღლილი და გაოფლიანებული ჯარისკაცები ძლიერ მიათრევდნენ ფეხებს მტვრითა და ღორღით დაფარულ შარაგზაზე.

დღის პირველ საათზე ქალაქი ასევე მდუმარედ და სამგლოვიარო იერით შეეგება გაძლიერებული კორტეჟით მობრძანებულ ახლად მოვლენილ ჯალათებს. ქუჩები და მოედნები თითქმის დაცარიელებულიო იყო. სახელმწიფო დაწესებულებები მუშაობდნენ შეუფერხებლად და გზაჯვარედინებზე მხოლოდ მოსამსახურეებს თუ დალანდავდით. მოსახლეობა თავის სახლებში ჩაკეტილიყო და გარეთ არავინ გამოდიოდა. თვით აბეზარი და ცელქი ბავშვებიც, ე.ი. მოწაფეებიც კი, რიმლებიც გაკეტილების დამთავრების შემდეგ ყრიანეულით მოედებოდნენ ქუჩებს და მოედნებს, სადღაც გაკრეფილიყვნენ და გამქრალიყვნენ. მხოლოდ ზოგიერთი სავაჭროს დარაბა იყო ღია და უსაქმობით დაღლილი ნოქრები იზმორებოდნენ და ამთქნარებდნენ.

კარგად არ ენიშნა ბერიას და მის ავანჩარავის ხალხის ასეთი განწყობილებით შეხვედრა. თქმით არაფერი უთქვამს, ისე კი გულში გაიგლო: „მე თქვენ გაჩვენებთ თქვენს თამაშას!“.

ანტი ნადირაძემ იმავე დღესვე ჩაიბარა სამაზრო ჩეკა და ერთი საათის შემდეგ თათბირიც ჩაუტარა ჩეკისტებსა და მილიციის წარმომადგენლებს. სასტიკად დიმუქარა ყველას, ჯილდოდ დაპპირება ჩამობრჩობას, თუ მაზრაში წესრიგის დამყარებაში საჭირო გზას არ გამონახავდნენ და სიმტკიცეს არ გამოიჩენდნენ.

თათბირის შემდეგ დაიტოვა მოადგილე, მილიციის უფროსი და შეუდგა პატიმართა სიის გასინჯვას,ზოგიერთი ცნობის დაზუსტებას.

ნადირაძემ მილიციის უფროსს გადასცა საიდუმლოდ მოქმედი ჯაშუშების სია და დაავალა, მეორე დღისთვის აუცილებლად მოეყვანა ისინი, მაგრამ ეს ღონისძიება უნდა გაეტარებინა ისე, რომ არავის ყურადღება არ გაემახვილებინა ჯაშუშთა სამაზრო ქალაქში გამოწვევაზე. ყველაფერი უხმაუროდ და ჩუმად უნდა შესრულებულიყო.

ბერია და ტალახაძე ობოლაძის გალავანშემოვლებულ ყოფილ სახლში დაბინავდნენ.

ანტი ნადირაძემ განკარგულება გასცა და გალავანს სასწრაფოდ სიმაღლეზე ოთხ წყებად ეკლიანი მავთულხლართი შემოავლებინა. სამხრეთ-აღმოსავლეთითო გასასვლელი კარები ამოაქოლინა, ხოლო შენობის მუდმივ დაცვაში ცხრა შემოწმებული ჩეკისტი და მილიციელი განაწესა.

ტალახაძემ, ბერიას დავალებით, საგანგებო პროკლამაცია დაწერა, რომელიც გაუგონარ მუქარას წარმოადგენდა ხალხის მიმართ და სასწრაფოდ აფრი-

დაგახვედრეთ. სხვა თქვენ იცით და თქვენმა მარჯვენამ, – *ვაკცინ საქმის ვითარება ეკოს ბერიამ* და, რაც კი შეეძლო, იპირფერა და იცერუა.

– როგორ გითხრათ, ერთადერთი გამოსავალია რესპუბლიკის ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანა. მე ეჭვი მეპარება, მაგრამ შეიძლება იქ გამონახონ გამოსავალი. პროფესორი ასათიანი დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტია. შეიძლება მან შეძლოს რაიმე სასნაულის მოხდენა.

– ეეიმო! თქვენ უნდა წაიყვანოთ ავადმყოფი თბილისში. ორი ყოჩაღი და გამრჯე თანაშემწე იახლე. პროფესორ ასათიანს გადაეცი ჩემი პირადი თხოვნა, ჩემს დედაქალაქში დაბრუნებამდე თავი არ დაზოგოს, ყველაფერი იღონოს, რომ ავადმყოფს ცნობიერება დაუბრუნდეს. სახელმწიფო ინტერესები მოითხოვს ხავთასის ქალიშვილის განკურნებას: მან იმდენი სიიდუმლო იცის, რომ მათი გამეულვნენება განუსაზღვრელ სამსახურს გაუწევს რევოლუციური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, დაგვიხმარება ხალხის მტრების განადგურებაში, – იცრუა ხელმეორედ უფრო შენიღბულად და ოსტატურად რესპუბლიკის მთავრობის წევრმა და ჩეკას უფროსმა.

– მიგულვით თქვენს სამსახურში! – ამოღერღა ტიტე ღლონტმა.

– ბახრო, როგელ საათია?

– პირველს თხუთმეტი აკლია, ლავრენტი პავლეს ძვე!

– პირველ საათზე ბათუმიდან ბათუმი-ბაქოს ექსპრესი გამოდის. ჩემი სახელით ახლავე გადაეცით ბათუმისა და ქობულეთის სადგურის უფროსებს, საერთაშორისო ვაგონში ორი კუპე გაათავისუფლონ. ნატანგების სადგურის უფროსს გადაეცით, რომ ავადმყოფის დაბინავებამდის მატარებელი იმდენ ხანს გააჩერონ, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლის!.

– მესმის, უფროსო!

– იოსებ! სასწრაფოდ ანტი ნადირაძეს და სამაზრო მილიციის უფროსს მიმბე!

– ამ წუთში, ლავრენტი პავლეს ძვე!

ტიტე ღლონტმა ბერიას სთხოვა, ნება დაერთო, საავადმყოფოს გამგისა და მეუღლისათვის დაერეკა. საავადმყოფოს გამგეს საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით სთხოვა ერთი სანიტარი და ერთი ექთანი ამაღამვე თბილისში ავადმყოფის გასაცილებლად. შერჩეული პირები ათ წუთში უნდა გამოცხადებულიყვნენ მილიციის უფროსთან.

ცოლს დაეფაბარაკა, რომ მძიმე ავადმყოფი მიჰყავდათ თბილისში და სამი-ოთხი დღით დედაქალაქში შეყოვნდებოდა.

საავადმყოფოს გამგე და მეუღლე ცალ-ცალკე გაადგიხნეა, რომ მისი ქალაქიდან გასვლის შესახებ არავისთან ხმა-კრინტი არ დაეძრათ.

ღამის ორის ნახევარზე ორმა ეტლმა და ორმა ცხენოსანმა ოზურგეთი დატოვა და მთელი სისწრაფით ნაბანდებისაკენ გაეშურა.

რაც შეეხება მარინე ორრბელიძეს, მას ფანჯრიდან გადახტომის შემდეგ შემზარავი ბედი დაუხვდა წინ.

იუდა ტალახაძემ ორი გუშაგი ჯარისაკაცი იხმო და დაავალა, მთელი ეზო მოეჩრხრიკათ, ყველა კუთხე-კუნჭეტელი შეემოწმებინათ და დაკითხვიდან გაქცეული ქალიშვილი მოეძებნათ.

გუშაგები ძებნას შეუდგნენ. ყველა ბუჩქი და ხის ძირი საგულდაგულოდ მოათვალიერეს, შეფოთლილ ხეებზედაც აძვრნენ, გალავნის ყველა საეჭვო ადგილი გასინჯეს. მავთულხლართებიც კარგად შეამოწმეს, მაგრამ ეჭვმისატანი რამე ვერსად ვერ აღმოაჩინეს. ხასლის პირველი სართულის ერთი მტკაველი ადგილიც არ დაუტოვებიათ თვალშეუფვლელები. ბოლოს მიტოვებული მარანი მოინახულეს. სიბნელეში არაფერი ჩანდა. თავლა ქვევრებში ჩაიხედეს, სანნახელში ხელი მოაფათურეს, დაფნისა და ნყავის ხეებიც შეამოწმეს და ბოლოს, როდესაც გატეხილ ფანჯარასთან მივიდნენ, რათა გადმოხტომის ადგილი ერთხელ კიდევ დაეთვალიერებინათ, ერთდროულად ჭრუანტელს აღმძვრელი ამოძახილი აღმოხდათ.

ეკლის ხის მახვილ წვერზე მუცლით წამოგებული, თმაგაშლილი და თითქმის ორად მოკეცილი ადამიანის სხეული ეკიდა.

ასი უდანაშაულო ადამიანის დახვრეტას ისე არ უმოქმედია ტალახაძეზე, როგორც უმანკო, უდანაშაულო და თავისი ნამუსისათვის მებრძოლი ქალიშვილის სიკვდილმა იმოქმედა. მთელი ღამე არ დაუძინია, ჩაბნელებულ ოთახში საკარძელში გულჩათხრობილი იჯდა და ყალიონს ეწეოდა.

VII

გური ხალვაშმს თაეზარი დასცა დედის სიკვდილის ამბის გაგებამ. ჯერ გამზრდელი ბიძის, ვახო კაკიას, დახვრეტის ცნობამ შეძრა ჭაბუკი. მთელი დღე ტიროდა, ქალაკი პატარა საკნად ეჩვენებოდა და თბილისში ადგილს ვერ პოულობდა, რომ ოდნავი სიმშვიდე ეგრძნო; მთელი კვირის განმავლობაში არც უნივერსიტეტს გაპკარებია და არც არავის შეხვედრია. ელეენს სიკვდილი ისეთ საიდუმლო ვითარებაში მიმხდარიყო, რომ არავინ იცოდა, რა მოხდა, მოკლეს თუ თავისი დღით მოკვდა. ვინც მასთან ერთად მიჰყავდათ დაპატიმრებული, თითქმის ყველა დახვრეტილი იყო. ნამდვილი ამბის მთხრობელი არავინ დარჩა. შვილმა ისიც ვერ გაიგო, თუ სად გაუთხარეს საფლავი დედას. მთელი დღეები ლოგინზე იყო დამხობილი, არც ჭამდა, არც სვამდა, არც არავის იკარებდა. ელიზბარიც

თუ არ დანყნარდება და მორჩილებით ჩვენს ფეხთა ქვეშ არ დაემხობა, სისხლის მორეცვა დავაყენებთ, სუფსას ეა ნატანებს სისხლის მდინარეებად ეცქეფენ. ობოლაძისა და ლაშხის მონამებრივად დაღერილი სისხლი ფლეს სისხლითი განიბანება. აი, ნენი პასუხი გურულების უგუნურებაზე.

ტალახამქ ცივად და ხმის მრისხანე აწევით დაამაცრა სიტყვა, ქვის გულის მქონე ფიდი ჯალათი ქის ლოდიდან დაბლა ჩამობრძანდა და ხელის დაქნევით ნიშნი მისცა დამსჯელი ნაწილის მეთაურს, რათა მოგალეობის შესრულების შესცდეს მოდამოდ.

მეთაურის ბრძანებას ტყვიამფრქვევის ჯერი მოაყვა და ფეხზე მდგომი პატიმრები მოცელილები დაეცნენ მიწაზე, ზოგიც უსულოდ გადაწვა ბრაწირულზე, ზოგიც პირდაპირ სამარეში ჩაეშვა. ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილებს ჩეკისტები ფეხებზე ეწერნენ და ერთიანად ამოწყვიტეს. ერთხანს ისმოდა მომაკვდავთა გმინვა და კვნესა. საშინელი ეკრანზეზეთ კვდებოდნენ უაზროდ განნირული ადამიანები, ბევრს ხიშმებითი მოფლეს ბოლო.

ანტი ნადირაძემ განკარგულება გასცა, დახვრეტილები არ დაემარხათ.

ცხრა ჩეკისტი დატოვეს დახოცილთა მცველად და თავად კი მწყობრი სელით და გამარჯვებულთა ზარ-ზეიმით უკან გამობრუნდნენ. ალბათ თვით ბრმეუესი და ნაპოლეონი არ შემოსულან რომსა და პარიზში ისე მედიდური და ძლევამოსილი გამარჯვებით გამამაყებული, როგორც ტალახაძე მიაბიჯებდა ოზურგეთის დაცარიელებულ ქუჩებში.

შაბათს, ნაშუადღე	ს, ნასაკირალში ქალთა და ბავთა გიმნაზიების მოსწავლეები მოსახეს. მათ არ იციდნენ, სად მიმყავდათ და რატომ მიმყავდათ. არც მასწავლებლემა იციდნენ რამე. მიდიოდნენ და ბუნი უგრძნობდათ, კარგ საქმეზე არ ნამოიყვანდნენ ჩეკისტები.

ქალთა გიმნაზიის მოსწავლეებს წინ ელვისა ხავთასი და მისი გარუყრელი მეგობარი მარნნე აროგბელიძე მოუძღოდნენ. მიდიოდნენ თავაწეულნი თავიანთ სილამაზესა და პირველობაში დაჯერებულნი. მიბაიჯებდნენ ნიამორებივით და ოდნაო წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თუ ეს საშინელი სურათი გადაიშლებოდა მათ თვალნენ, როდესაც ნასაკირალის დაღმართს ჩაიგლიდნენ და ძიმითაგიმარის გზების გასაყარს მიუახლოვდებოდნენ. მოუახლოვდნენ თუ არა დანიშნულ ადგილს, შეჯგუფდნენ, შეყოვდნენ, წინ ერთი აყლაყუდა მილიციელი შემოგებებათ და ბრძანა, მწყობრში ჩამდგარიყვნენ, ისე განეგრძოთო გზა. წინ ვიყვნი გაუშვეს, უკან გოგონები მიჰყვებოდნენ. ისე მიუახლოვდნენ ნიეულ სასაფლაოს, რომ ვერაფერს გაარჩევდით, ვიყთა მწკრივი ფარავდა სამარესაც და დახოცილებსაც. მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ გოგონები, როდესაც ვიყთა მწკრივები შეკრთა და დაიშალა, საშინელმა გმინვამ, ძრწოლამ და ქვითინის მსგავსმა ზუხმაურებამ გადაურბინა შარაგზას, ბორცვებს და ტყის სიღრმეს მიაშორა. ვიყები, თავმობრეხებულნი და თვალებზე ხელფარებულნი, გაიფანტნენ. ზოგიერთები, ჩაკეცილები და გულწასულები, წამოაყენეს მეგობრებმა და ჩირგვებს მოაფარეს.

ქალიშვილები, აღმონნდნენ თუ არა დახვრეტილებთან პირისპირ, ერთიანად ჩაიკეცნენ და შემზარავი ღრიალ-ტირილი მორთეს. კიბილითია და ტირილ-ოხვრით გარბოდნენ თავგზაგაბნეულნი გოგონები, რადგან მსგავსი რამ არამცოუ ენახათ, ვერც კი წარმოეედგინათ.

ხავთასისა და ალობელიძის ქალიშვილები ჯერ გაოგნებულები შეაშტერდნენ ერთმანეთს, დაიბნენ, თვალი მოავლეს თუ არა დახოცილთა გვამებს, თავში ხელები დაიშინეს, კიბილი მორთეს, ნანნავები ჩამოიშალეს და უმწეონი ერთმანეთს მიეკონენ. ელვისა თვალს არ უჯერებდა, როდესაც მის ნინ ერთმანეთზე გადადმული და გადაჯვარედნეებულად დაგდებულ დახვრეტილებში ბიძია ვახო და ალმასხან ლორია შეიცნო.

ცივი ხმით შეჰკივლა ელვისამ, მარნნეს მოეხვიეოუჭა, თვალი დაუბნელდა, სახე გაუფითრდა და გულშეღონებული გაითრილი საფლავის პირას დაეცა. დაეცა მარნნეც და რამდენიმე გიმნაზიელი ქალიშვილიც. გაფანტული გიმნაზიელი ვაუები გონს მოეგნენ, გოგონებთან მიირბინეს, ცოცხალქკედრები ძლივს გაიყვანეს აქქვეყნიური ჯოოკიხეთიდან და მოსულიერება დაუწყეს. წყალს აპკურებდნენ, ცხვირის ნესტოებს, ყურის ძირებს ულრესენენ და მრავალი მთავანი ძლივს მოიყვანეს გონს. ელვისას ბაცნობიერება გაძნელდა, ვერა და ვერ მოასულიერეს. ბოლოს, როგორც იქნა, თვალები გაახილა, მაგრამ ფეხზე წამოდგომა ვერ შეძლო. ვაუები იძულებული გახდნენ, საკაცე მოემზადებინათ და ასე ხელით ჩაეყვანათ ქალიშვილი ბოხვაურში. თმაგაშლილი მარნნე უკან მისდევდა გონმიხდილ დობილს, კენესოდა, ტიროდა, ცრქმელებად იღვრებოდა და ერთი წუთითაც არ მოშორებია მეგობარს.

საშინელი გაწწყობილებით შეპყრობილნი, შიშჩამდგარნი ჩაშავებული თვალებით დაბრუნდნენ მოსწავლეები სახლებში და მთელი სამი დღე არ გამოსულანა, ბევრ მთგანს უძილობა და ნერვების მოშლილობა დასჩემდა, კოშმარული სიზმარ-ჩვენებები დაბუდდა მათ სასთუმალთან და, შეშლილობის ზღვრამდე მისულები, ძლივს გამობრუნდნენ.

უფრო უარესი დღე დაადგათ სოფლებიდან ჩამორეკილ ბავშვებს. საშინელი სურათის ხილვით ნორჩები სულ დაგიფდნენ, ერთი გნასი და გულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამლები შემზარავი ტირილ-ღრიალი მორთეს. ანგარიშმოუცემლად ტყე-ბუჩქნარებში გაიფანტნენ, გარბოდნენ უფბო-უკვლოდ. სამი ბავშვი სუფსაში დაიხრჩო. მასწავლებლებმა ვერ შეძლეს ბავშვების შეკავება, მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ადგილობრივი მთავრობა იძულებული გახდა შეეწყვიტა მოსწავლეების სასაფლაოსთან შეყვანა და უკან გააბრუნა ბახვის, ასკანის, ნაგომარისა და აკეთის სკოლებიდან დაძრული მოზარდები. სამაგიროოდ, მთელი კვირის განმავლობაში გურიის ახლო და შორეული სოფლებიდან ნახირივით მიერეკებოდნენ გლეხებს, რომ საამო სასაფლაო ენახით და შემდეგ უხმოდ, უცრქმლოდ გასცლოდნენ ტალახაძის მოწყობილ სანახაობას.

ნოემბრის მზიანი დარები იდგა, თბილოდა, ჰაერი ნესტით იყო გაფეკნთილი. ღამით სიცივე დაჰკრავდა, შუადღისას მზე საკმაოდ აჭერდა და ცხელოდა კიდეც.

ტალახაძის განკარგულებით, მიუხედავად იმისა, რომ დახვრეტილებმა ხრწნა დაინყეს და თანდათან აუტანელი სუნი დაგუშდა, მკვდრების დამარხვა აიკრძალა. ტალახაძეს უნდოდა, თავისი სასახელოგმირული ნახელავი მთელი გურიისათვის ეჩვენებინა, საშინელი სიკვდილის აჩრდილი ყველა გლეხის სახლში შეეშვა და თავისი საგანგებო და განუსაზღვრელი ძალა ეჩვენებინა ხალხისათვის.

ათი დღის შემდეგ, როდესაც დახვრეტილთა დარაგად და მეთვალყურედ დაბოვებულმა ჩეკისტებმა ვეღარ გაუძლეს ადამიანთა სხეულების ხრწნით მონამქლელი ჰაერის სუნთქვას და როდესაც ჯალათებსაც გაუჭირდათ თეთრჭიადგეული მკვდრების მოვლადაცვა, ტალახაძემ განკარგულება გასცა, დახოცილები საერთო სამარეში ჩაეყარათ და დაემარხათ.

განკარგულება დაუყოვნებლივ შესრულდა. სასწრაფოდ გამოინეს ციმითდან და ნაგომარიდან დამფრთხალ-დაშინებული გლეხები და დახვრეტილთა დამარხვა მათ დაავალეს.

V

ობოლაძე-ლაშხის მკვლელობის და გურიის ახალი ჯალათის – ტალახაძის ჩამოსვლის შემდეგ ყაჩაღები ერთიანად გაერნენ და სადღაც გადაიკარგნენ. მათი ლანდიც კი არავის უნახავს.

საიდუმლო ჯაშუშები ყველა სოფლიდან და ადგილიდან ერთსა და იმავე ამბავს იტყობინებდნენ: ყაჩაღებმა ფეხი ამოიკვეთეს ჩვენი სამეთვალყურეო უბნიდან, ალბათ დაფრთხნენ, დაშინდნენ და გურიას გაეცალნენო. არც აჭარაში შეუწიშნავთ ტყედ გავარდნილითა ნაკვალეკი. მეზობელი სამაზრო ჩეკას უფროსები და დაგეშილი მზვერავებიც ანაოოგიურ ცნობებს უგზაშინდნენ ანტი ნადირაძეს.

ასეულის დახვრეტის მეხუთე დღეს ტალახაძესა და ბერიას სახლში ეწვია ანტი ნადირაძე და სახელდახელო თათბირი გამართეს. თათბირს მონაწილეობდნენ: უფროსი და ბახრო ქოუოლვიც ესწრებოდნენ, თუმცა არც ერთ მათგანს ხმა არ დაუძრავს და თავის კანტურით ეთანხმებოდნენ უფროსების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

– თქვენი აზრით, რას ანუნ მივაწეროთ ყაჩაღების უგზო-უკვლოდ გადაკარგვა? – ჰკითხა ბერიამ დასვა კითხვა ბერიამ.

– ალბათ, აუცილებელი დაღუშვის მოახლოება იგრძნეს, შეშინდნენ და მთელ საქართველოში გაიფანტნენ, – თავისი მოსაზრება მოკრძალებით გამოთქვა ანტი ნადირაძემ.

– როგორ ფიქრობთ? მართალია სიკვდილის შიშს დაადგრთხო ეს თავზეხელაღებული ბანდიტები თუ ახალ ხაფანგს აგებენ და მათი გაუჩინარება დროებით შენილებას ნიშნავს, რომ ჩვენი სიფრთხილე მოადუნონ?! – ისეც დასვა თავსატეხი კითხვა რესპუბლიკის მთავარმა ჩეკისტმა.

– ლაგრენტი პავლეს ძეკ, თქვენი ეჭვი მხედველობაშია მისაღები. არც ის არის გამორიცხული, რომ ყაჩაღებმა ახალი შემოტეკვა დაინყონ, მაგრამ გზები ისე შეკრული გვაქვს, ვეღარ გამოჭრას ვერ მოახერებენ, ისე მოგუღებთ ბოლოს, – თქვა ტალახაძემ.

– მე მგონია, რომ ყაჩაღები ნამდვილად გაიხიზნენ გურიიდან. ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე მათ არსებობა არ შეუძლიათ, შეიძლება ტყესა და მთას დროებით შეაფარეს თავი, მაგრამ ერთხელ ხომ მაინც უნდა გამოვიდნენ საფარიდან? ჯლეხობა ახლა ისე დამფრთხალი და დაშინებულია, რომ საეჭვოა მათ ვინმემ კარი გაუღოს. ცოლ-შვილსა და ოჯახის მომავალს ბედისწერის სასნორზე არაგინ დადებს, – დაამუსტა თავისი მოსაზრება ნადირაძემ.

– მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ გაბორატებული ტყის კაცი ისე არ მოიქცევა, როგორც ჩვენ გვსურს და გვინდა. ხომ არ გავიწყდებათ, რომ დათვი მშიდობიან პირობებში ადამიანს არ ერჩის და პირველი გაეცლება, მაგრამ დაჭრილი მძვინვარე და საშიში, მას, გარდა სიკვდილისა, ვერავითარი ძალა ვერ შეჩერებს, – შეაჯერო თავისი მოსაზრება ბერიამ.

– ესეც მართალია!

– რასაკვირველია, მხედველობაშია მისაღები.

– მაშ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ!? – ისევ გადმოაგდო ძნელად გასატეხი კაკალი საქართველოს ჩეკას უფროსმა, – გარდა ამისა, ნუ დაგავიწყდებათ, ყველა გურულები შეურიგებელი ყაჩაღნაზნი. მიეცემა საშუალება და თოფს აიღებს ხელში, გზაჯვარედინზე ჩაგისაფრება და არ დაგინდობს. თუ გურულმა აიწყვიტა, რომელი დაჭრილი დათვი შეეფრება მას. ეს ხალხი ჯერ კიდევ გამოცანაა და ასეთად დარჩება დიდხანს.

– ამჟამად ყაჩაღების ბაკრობა სინამდვილეა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიფხიზლე მო-

ვაღენით, საბრძოლო მზადყოფნაზე ავიღოთ ხელი, – შენიშნა ტალახაძემ.

– ეხლე სწორი ბრძანებაა. ხალხი მაშინაა საში-შო, როცა გაინაბება და გაყუჩდება. სიფრთხილე – სიფხიზეა ახლა მეტი გვმართებს, – დაკარა კვერი საბარო ჩეკას უფროსმა.

– ეს მოსაზრება სწორია. სიფხიზლე და მზადყოფნა ახლა უფრო მეტად გვმართებს, ასი თვალსა და ყურის გამომბმაა საჭირო. არც რეპრესიებსა და ტერორის შენელება შეიძლება. ყველა ბურჟუის ახლის სიკვდილის ჰრწილი უნდა უნდა ადგეს, – დაამთავრა თათბირი თავისი საპროგრამო სიტყვით საქართველოს მთავარმა ჩეკისტმა.

ბერიას გადაწყვეტილი ჰქონდა ხუთშაბათს გაგზავრებულიყო ოზურგეთიდან. ორვაგონიანი სგაანგები მატარებელი ნატანებში იდგა, მაგრამ ამ განზრახვის შესრულება შეაფერხა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის – თედორე დოლიძის ვახშამმა, რომელიც მოეწყო ბერიას, ნადირაძისა და ტალახაძის პატივსაცემად.

ორგონიკიძის მოსკოვში სამუშაოდ გადასვლა ბერი თავსატეხი ამოცანის წინაშე დააყენებდა ბერიას. ეს კარგად იცოდა და, თუ მოსალოდნელ გრაოლებას დროზე სათავეში არ დაუხვდებოდა, ვინ იცის, შეიძლებოდა ანყობილი აბრუნდი ჩაბრნდად ქვეყნიდან, მხრებზე დასმული დიდება ულაკის ერთი ხელის აქნევით დაეფრთხო და გაფრენილიყო სამუდამოდ. საამისო მაგალითი ბევრი იცოდა ბერიამ. ამიტომ ფრთხილობდა და ყოველ ნაბიჯს სანგმიეტრებით ზომავდა. მაგრამ არც საპატო სერობაზე უარის თქმა შეიძლებოდა.

და... ბერიამ ორი დღით გადადო დედაქალაქში გამგზავრება.

•

ვახშამი ხუთშაბათს იყო დანიშნული. მაზრიდან ბერია პარასკევს დილით გაემგზავრებოდა. საამისო სამზადისი ანტი ნადირაძემ ორი დღით ადრე დაიწყო. ოზურგეთიდან ნატანებამდე – მთელ გზაზე გადაცმული ჩეკისტები და ჯაშუშები დგაზვნნა. ბაზეკარდინები, ტყისპირები და საეკვო ადგილები საგულდაგულოდ დაზვერა, სამიედოდ გაამაგრა, რათა მაზრის უმაღლესი სტუმრის მგზავრობა უსაფრთხოდ და უგანგაშოდ ჩატარებულიყო, ხალხის თვალში საზეიმო ხასიათიც მისცემოდა. მართალია, გოგია ღლონტი, ხათუნა მუხაშავრია და სხვა ყაჩაღები არსად ჩანდნენ, მაგრამ დროებით ჩამოვარდნილ მყუდროებაზე დანდობა არ შეიძლებოდა.

ვახშამი დოლიძემ თავის ბინაში მოაწყო, ნაკაბიძის ყოფილი სახლი, სადაც სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ცხოვრობდა, თავადური გემოვნებით იყო ნაგები. სახლამდე მისასვლელი გრძელი ეზო ცაცხვისა და კაკლის ხეების ხეივნით იყო დამშვენებული. მწვანე ხასხასა კოინდარი, ალაგ-ალაგ ნარნარი სამეიდოგამო ყვავილნარით ამოქარაული, ზღაპრულ ხალიჩასავით გაჰფენოდა გრძელ და განიერ ეზოს. მომაღლოდ, ბაზალტის თლილ ბოძებზე ნამოსკუპულ მამაპაპაურ ნაბლის სახლს ნინ დიდი, განიერი აივანი ერტყა, ხოლო ორ, ბუხის ჩუქურთმიან სვეტს შორის თეთრი ქვის კიბე ეშვებოდა და ხეივანს სახლთან-აკავშირებდა.

სასტუმრო დარბაზი, სადაც სტუმრები შეიპატიჟეს ვახშამზე, მაღალი ქერითა და კარ-ფანჯრებით გამოორჩეოდა მთელ სახლში. კედლები ცაცხვის ფიცრებით იყო მოპირკეთებული. უკანა კედელზე შავგირდაღებული ქვის ბუხარი ამართულიყო. კედლები და იატაკი ხალიჩებით მოეფინათ. დოლიძის საგვარეულოდან შერჩეული სხვადასხვა ზომის ფოტოსურათები მოდური განლაგებით ამშვენებდა კედელს. აღმოსავლეთის კედლის შუა ადგილზე ეკიდა ფვანოს მიერ გადიდებული ლენინის დიდი პორტრეტი, ხოლო დასავლეთის მხარეზე – დოლიძისა და მისი მეუღლის ახალგაზრდობისდროინდელი სურათი. ჭერზე მდიდრული ბროლის ჭაღი ეკიდა, საიდანაც მთელ დარბაზში ნაირფერად იფრქვეოდა ელექტროშუქი.

სტუმრები განსაზღვრულად და საკმაოდ შეზღუდულად იყვნენ მოპატიჟებული, რათა დრო კარგად და თავისუფლად გაეტარებინათ. გარდა ბერია-ტალახაძე-ნადირაძისა, სტუმართა შორის ბიანა ბაზარო ქობულოვს და სამაზრო პარტიული კომიტეტის მდივნებს. სუფრის შნოსა და ლაზათისათვის სამაზრო ქალაქის მაღალი წრის ლამაზი მანდილოსნებიც იყვნენ მოპატიჟებული.

ბერიიმ მასპინძელს სთხოვა, რომ ვახშამი უმბაუროდ და სიმღერის გარეშე ჩატარებულიყო. შექმნილი ვითარება ხმაურიანი ლხინის გამართვას ხელს არ უწყობსო. მართლაც, ხალხთა ყლეტის ფონზე, დახვრეტილი ასეული ჯერ კიდევ არ იყო დასაფლავებული, ამ დროს ჯალათთა ღრეობა ხომ საბოლოოდ გაუტეხავდა ისედაც გატეხილ და ლაფში ამოსვრილ სახელს?! დოლიძემ ცოტა იუხერხულა უსიძღერო ვახშამი, მაგრამ უმაღლეს სტუმარს ხათრი ვერ გაუტეხა და არიფიონის გასართობად მოწვეული მომღერლები დაიითხოვა.

თამადობა მასპინძელმა, თედორე დოლიძემ იკისრა.

ის იყო, პირველი ყანწი ჩამოტარდა, მიღებული წესის მიხედვით, პარტიული ხელმძღვანელებისა და მთავრობის სადღეგრძელო შეისვა, თამადა ნამიოგმართა და მორიგი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად მოემზადა, თლილი ბროლის ჭიქა მაღლა ასწია, ხელში შეაჭრიალა და... ერთბაშად, სრულიად მოულოდნელად, შუქი ჩაქრა. შუმფოოდა და შენუხდა

სტუმარ-მასპინძელი, დაიბნენ, არ მოელოდნენ ასეთ სიურპრიზს. ხასიათი წაუხდათ, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს, გაქვავებულ-გარინდებული თავიანთ ადგილებზე დარჩნენ. მხოლოდ ეს იყო, ყველას, ერთიანად, თვალი მასპინძელისკენ მიეპყრო და მისგან მოელოდნენ პასუხს. დამმობილებული სიჩუმე და სიბნელე თამადის მოძრაობამ დაარღვია, ელსმენთან მიიჭრა და ელექტროსადგურის უფროს მორიგეს დაელაპარაკა.

– რა მოხდა? რატომ გამორთვთ სინათლე?

– მოგორი მწყობრიდან გამოვიდა, ყველაფერს ხუთ-ექვს წუთში აღვადგენთ! – მოისმა ყურმილში მორიგის ხრინწიანი ხმა.

– დაუყოვნებლივ ჩართეთ შუქი, თუ სიცოცხლე რამეც გიღირთ! – გაუმეორა მორიგეს დოლიძემ და მუქარაც თან დააყოლა.

– ყველაფერი გასაგებია, უფროსო! ძალებს არ დავიშურებთ, – გასმა ისევ ყურმილში იგივე, მაგრამ უფრო მოგუდული ხმა.

– ესმა! მანამდე ნათლის ლამპა მოგვაშველე! – გასძახა სამზარეულოში მოფუსფუსე დიასახლისს მასპინძელმა.

წუთიც არ გასულა და ორი მბჟუტავი ლამპა შემოარბენინა ოჯახის შინაბერამ, მაგიდაზე თეფშები მისნი-მოსნია და დამხობილ თეფშებზე მომაღლილ დადგა.

მკრთალად განათებულ ოთახში უსიამოვნო მყუდროება დამკვიდრდა, ბერიას სათვალე ხელში ეჭირა და ცხეირსახოცით წმენდდა. ანტი ნადირაძე და იოსებ ტალახაძე ფერწასულები გაუნძრეველად, ბერიასკენ პირმობრუნებით ისხდნენ და თვალს არ აშორებდნენ მაზრის უპირველეს სამპატიო სტუმარს. მხოლოდ ქალებს დაეტყოთ მოუსვენრობა, სავარძლებში ვეღარ ეტეოდნენ, ერთმანეთთან დალაპარაკებას მოერიდნენ და თვალ-ტუჩების მოძრაობით ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ. ხან ღრუბელი ეშვებოდა მათ სახეზე, ხან კიდევ ირონიული ღიმილი გაიელვებდა უცებ, ერთდროულად, ეს ისე მოხდა, რომ არავის არაფერი შეუნიშნავს, სასტუმრო დარბაზის ორივე ფანჯარა ჩაიმსხვრა და მინის ნამტვრევები ზათქით იატაკს დაენარცხა. კარებიც გაიღო და იქაურობა თვალისმოჭრელმა კაპკაზს შუქმა გაანათა. ვერავინ გაერკვა, თუ რა მოხდა. სტუმრები ფეხზე წამოიჭრნენ, დამფრთხალი ქალები ერთმანეთს მიაწყდნენ და შეჯაავლეს კიდეკიბერია არ წამომდგარა ადგილიდან, გამჭოლი მზერა კარებისკენ მიეპყრო. თამადას მაღლა აწეული ჭიქა ისევ ეჭირა ხელში და მოჩანჩახე ჭაღს შესცქეროდა.

ანთებულ შუქზე არიფინომა ნათლად გაარჩია საშინელი საფრთხე, რომლისგან თავის დაღწევაც უკვე აღარავის შეეძლო. ორთავე ფანჯარაში თავი შემოეყოთ ჩეკისტის ტანსაცმელში გამოწყობილ გუნთაიშვილს და ხათუნა მუხამაევრიას. სახეზე რისხვა ეხატათ. თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდნენ. გუნთაიშვილს ნახევარი სარკმელი დაეფარა ზორბა ტანით და განიერი ბეჭებით. კარაბინი გვერდზე გადაეგდო, მაუზერი წინ ეკიდა, ნაგანი მარჯვენა ხელში ეჭირა და სტუმრები მიზანში ამოეღო. მარცხენა ხელით ბომბი მაღლა აღემართა და, საკმარისი იყო, მესუფრენი ოდნავ საეჭვოდ განძრეულიყვნენ, ცოცხალი ვერც ერთი ვერ გადარჩებოდა.

მეორე სარკმლიდან ხათუნა მუხამაევრია შეეარნინის თვალებს არ აშორებდა დამფრთხალ და დაშინებულ საპატიო სტუმარ-მასპინძელს. შუბლზე და საფეთქლებთან ნაბლისფერი კულულები ჩამოშლოდა. რბილი სახის კან-ნაკვთები და მაღალი მკერდი ამყოვნებდა მის ქალობას, მაგრამ ნათლად ჩანდა, რომ ყაჩაღურ ცხოვრებას საკმაოდ უხეში გაეხადა წარსულში მშვენიერებით შემკული ნაზი ქალი. მთლიანად იარაღში ჩასმული, ხელში შემართული ბომბი მზად ჰქონდა ასაფეთქებლად.

კარებში ფოცხვერის სისწრაფით შემოიჭრა ტანმორრნილი გოგია ღლონტი. ხელში მხოლოდ ნაგანი ეჭირა. აივანზე, კარებთან ახლოს, ეგდო რუხი ფერის ფარაჯა და წოწოლა ქუდი. ჩანდა, ჩეკისტის ჩაცმულობით ადვილად შემოაღწია სამაზრო აღმასკომის ეზოსა და ბინაში, ხოლო სტუმარ-მასპინძლის წინაშე წარდგომა არჩია თავიანი ცნობილი ჩაცმულობით - ისე, როგორც ის ენახათ და წარმოუდგენიათ.

გოგიას კარის ზღურბლზე არ გადმოუბიჯებია. გამიჩნდა თუ არა ფართოდ გაღებულ კარებში, მრისხანე, მაგრამ, ამავე დროს, ხმის აუმაღლებლად და სისხლძარღვებამდე გამჭოლი ტონით მიმართა ნირწამხდარ თანამესუფრეებს:

– ხელები მაღლა!

სტუმრებმა ხელები მაღლა აღმართეს, იკადრა ბერიამაც წამოდგომა, დამფრთხალი, თავდაბრალი და ხელებანწეული იდგა გოგია ღლონტის წინაშე და ელოდა განაჩენს. მკვდრის ფერი გადაპკრავდა სახეზე ნადირაძეს და ტალახაძესაც. საცოდავად გამოიყურებოდნენ მასპინძელი და პარტიული კომიტეტის მდივნებიც.

სიჩუმე ისევ გოგიამ დაარღვია.

– ჩვენ გადავწყვიტეთ: სანამ თქვენ ობოგინები ჩვენს ქვეყანაში, გურიის გავეცალოთ. გვინდა, რომ ხალხმა დაისვენოს. მართალია, თქვენ ადამიანს ხორცით ვერასოდეს გაძღებინთ, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ვიყოთ თქვენი გაუმაძღრობის მიზეზი.

– ოღონდ გვაპატიეთ, ბატონო, და თქვენს მზეს ვილოცებთ! – შესაბრალისად დაიკნავლა დიასახლისმა.

– ჩვენც გვაპატიეთ, ჩვენც! – ერთხმად აგნიისენ ქალები.

ᲨᲐᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

– თქვენს ხელთ ვართ. თუ დაგვინდობთ, ჩვენც კაცი ვართ ქვეყანაზე, – ძლივს გასაგონად ჩაიბუბუტა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ. ოლიდ სიცოცხლე შეენარჩუნებინათ მისთვის და მზად იყო, ფეხებში ჩავარდნოდა გოგია ღლონტს და ფეხსაცმელი გაელოკა მისთვის.

ბერიას, ნადირაძეს და ტალახაძეს ენა არ დაუძრავთ, მხლო ამართული ხელები უკანკალებდათ და სანახეკრად ამქცეულნდან გასულუმს ჰგავდნენ.

– ვაჭრობის დრო არ არის! ჯალათებს საკადრისი პასუხი! – ბოი ხმით ჩაიბუბუნა გუნთაიშვილმა და, საკმარისი იყო ღლონტის ნარბების ზეაწევა, რომ საზეიმოდ მორთული დარბაზში სიკედილის შავი ფარდა დაეშვებოდა.

– არა, ჩვენ არც ვვაჭრობთ და არც ძალას გამოვიყენებთ ბოროტაგდ, როგორც ეს ამ ვაუბატონებს სწვევიათ. ხალხს უტედურება მაშინ აგმყდება თავზე, როცა ძალაუფლებას უეირსნი და ბუნებით გულბოროტნი დაეპატრონებიან. ჩვენ კი არაფერი გვაქვს საერთო ასეთი ადამიანებთან. ხუთი აღკაჯის სიკედილით სათნოების სასუფეველს ვერ ნავიღწევავთ. ჩვენ არა ვართ შურისმაძიებელნი, მაგრამ, თუ ამათი მსგავსი კაცობაგაცლილნი გვაიტულებენ, არავის დავინდობთ, თვით უსაშინელეს ნარევნას გამოვინვევთ, რომ ბოროტება-გარყვნილება გადაირეცხოს ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის სისხლით გაფუნვნილი მინიდან.

– გოგი! ვაგვიანებთ! – მოკეკეთით მმართა ხაუნამ ღლონტს. ყაჩაღის მკაცრ სიტყვაში მაინც იგრძნობოდა ქალური სითბო და სინაზე.

– ხათუ, შენ მართალი ხარ. ალბათ იმიტომ შეკვეთნეი, რომ დღეის შემდეგ მტერთან და მოყვარეესთან ვამთავრებ ქართულად პასუხის გაცემას. ტყვიის ენით დადუმებაც მომიწევს. იუდები და ოუდას მემკვიდრეებო! მხოლოდ ერთი პირობით გინარჩუნებთ სიცოცხლეს, რომ უდანაშაულო ხალხის ჟღეტაზე ხელს აიღებთ. დღეიდან ჩვენ აღარ ვიქენბით სასაკლაოს მოწყობის არც მიზეზი და არც საბაბი. ხვალიდან გურიის მინა-წყალზე არც ერთი ჩვენგანი არ იქნება, თუ მგლობას არ მოიშლით და ხალხის სისხლ-ხორცით ღრეობას განაგრძობთ, ჩვენ ისევ დავბრუნდებით და საფაროდ, ღლისით, ჯეელას თვალწინ აგიგებთ წესს! ჩვენს სათქმელს მოვრჩით. დანარჩენი თქვენზე იყოს. შეგიძლიათ პურის ჭამა განაგრძოთ!

– აბა, ხათუნა! შენი მოვალეობა! – მიმართა მუხუშვრიას ღლონტმა. ხათუნამაც არ დააყოვნა. ბომბი ეზოში მოშორებით გადაადგო, აფეთქების ხმამ არემარე შეაზანზარა, ელექტროშუქიც ჩაქრა. სტუმარ-მასპინძლებს ხელები ისევ აწეული ჰქონდათ, როდესაც სიბნელეში გოგია ღლონტი, ხათუნა და გუნთაიშვილი ლანდებივით გაქრნენ.

●

კოშმარიდან თავდაღნეული მასპინძელი პირველი მიიჭრა ტელეფონთან. აპარატი დუმდა. ჩანდა, ყაჩაღის თადარიგი დაეჭირათ და სადღაც ხაზი საგულდაგულოდ გადაეჭრათ. დიდხანს იფხაკურა თეფოლემ ელსმეხთან, მაგრამ ვერაფერს გახდა. შემდეგ ტალახაძემ სცადა ბედი, მაგრამ მალეეე დარწმუნდა, რომ ამ გზით შეგბთან კავშირის დამყარება შეუძლებელი იყო. სტუმარ-მასპინძლებს ცნობიერება დაუბრუნდათ, შიშის ბურანიდან საბოლოოდ გამოვიდნენ, ხელში რევოლვერებს ატრიალებდნენ, მაგრამ მათ წინაშე გაუვალი სიბნელე აღმართულიყო და მას ხომ არ ესროდნენ?!

ქალებს დაღლილი ხელები დაბლა დაეშვათ და გულწასასული ტახტზე ერთმანეთზე ზედახორაგდ იყვნენ მისვენებულნი; მათ დიასახლისი და შინაბერა წყალს აპკურებდნენ და გაჭირვებით გამოჰყავდათ მდგომარეობიდან.

დარბაზიდან გარეთ გამოსულას ვერავინ ბედავდა. ერთმანეთში არეულნი, რევოლვერშემართულები მაგიდის ირგვლივ ბორიალობდნენ, რაიმე ახალ სიფრარიზს ხომ არ ამზადებდნენ გოგია ღლონტი და უცნაური უმანდილო მანდილოსანი ხათუნა მუხუშვარია? ბოლოს მყუდროება ისევ საქართველოს ჯალათთა უფროსმა დაარღვია და ირონიამორეულმა მრისხანებით მიმართა სამაზრო ჩეკას უფროსს ანტი ნადირაძეს.

– ანტი! სად არიან თქვენი საიდუმლო მზვერავები? იქნებ ისინი უფრო ღლონტის კაცები იყვნენ, ვიდრე სანდო და შემოწმებული ჩეკისტები!?

– რაღაც მეტად უცნაური რამ ხდება, ბომბის აფეთქების ხმას რატომ არავინ გამოეხმაურა? ნუთუ ყველანი ამოუღლიტეს გოგია ღლონტის ტყის კაცებმა? – ჩაილაპარაკა ძლივს გასაგონად რომელიღაც გონსმოსულმა მანდილოსანმა.

– ანტი, ოისეს, რაღას უცდით, ბოლოს და ბოლოს ვეღარ უნდა გავაღწიოთ ამ საზარელი ხაფანგიდან? – ისევ დაცინვითა და ბრძანების კილოთი მიმართა საქართველოს ჩეკას უფროსმა ორ დიდ ხელქვეითს, მაგრამ, სანამ ტალახაძე და ნადირაძე აივანზე გავიდოდნენ, კიბე სწრაფად ჩაირბინეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარის მეუღლე და შინაბერა ქალი. გრძელი ეში სწრაფად გადაჭრეს. დიდრონი კაკლისა და ცაცხვის გადაშლილი, განივრად ტოტებგადაბარჯლული ხეები დარბაისლურად მიაცილებდნენ მანდილოსნებს, რომლებმაც შიში გადალახეს და სტუმრები სირცხვილისაგან იხსნეს. ნადირაძე და ტალახაძე ჩრდილივით აედევნენ გულად ქალებს, მაგრამ დიდი მანძილითი ჩამორჩებოდნენ, შიშით და ბორძიკით მიიკვლევდნენ გზას ჭიშკრისაკენ

და სიბნელიდან მტრის იარაღშემართულ ხელს და დამცინავ მზერას გრძნობდნენ.

ანტი და ოისები ეზოს შუაგულშიც არ იყვნენ მისულნი, რომ ჭიშკრის კარის ჭრილი მოისმა და ერთბაშად ქალების ცივი ხმით ერთობლივმა და შემზარავმა კივილმა ბნელი ღამე გააპო. სახლიდან ნანისის ხმა მოისმა. გარეთ გამოცვივდნენ, კიბე ჩაირბინეს და ანგარიშმიუცემლად იქითკენ გაექანნენ, საიდანაც შეკივლება მოისმა.

ბერიამაც იკადრა აივანზე გამოსვლა, სვეტს მოეფარა. საკეტგახსნილი რევოლვერი ხელში ეჭირა. ეზოში ჩამოსვლას მოერიდა. დაელოდა კივილის საიდუმლოს გახსნას.

ნადირაძემ და ტალახაძემ ერთდროულად გაირბინეს ეზოს კარებში. ჭიშკრიდან არც ისე მოშორებით, სიბნელეში, ასწლოვანი მუხის ძირში, ჩაკეცილი ქალები შენიშნეს, რომლებიც რაღაც შავსა და უძრავს თავს წასდგომოდნენ, კივილი შეეწყვიტათ და შესაბრალისად მოთქვამდნენ.

სიბნელის მიუხედავად, ანტი ნადირაძემ ადვილად შეიცნო ჩეკას სანდო და შემოწმებული მზვერავები. ყაჩაღებს ორთავე დაეხოცათ და ახლა ერთმანეთზე გადაჭდობილნი ეყარნენ მუხის ძირას და ღიად დარჩენილი თვალებით, უსიცოცხლოდ და უაზროდ ბნელ სივრცეს მიშტერებოდნენ.

– მესამე სადღაა? ნუთუ შეშინდა და ლაჩრულად გაიქცა? – თავისთვის, მაგრამ ხმამაღლა იკითხა ნადირაძემ. ის მესამეიც აღმოაჩინეს, საკმაოდ მოშორებით ლობის ძირში მიგდებული, ხელფეხშეკრული და პირში საკუთარ ქუდჩაჩრილი, იგი ცოცხალმკვდარი ძლივს სუნთქავდა და, დროზე რომ არ მოესწროო, გაიგუდებოდა და ზღაპრულ ყაჩაღებთან შეხვედრის საიდუმლოებას საიქიოს თან წაიღებდა.

ელექტროსადგურში გაგზავნილმა კაცმა მსგავსი ამბავი მოიტანა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყველა მორიგე ცოცხალი იყო, ხელფეხშეკრულები ცემენტის იატაკზე ეყარნენ.

გამოიარკვა: სადგურის მუშაობას, შუქის ჩართვა-გამორთვას უფროსი მორიგე ასრულებდა ყაჩაღის ბრძანებით; ბომბის აფეთქების შემდეგ შუქი საბოლოოდ გამორთეს, მასაც ხელ-ფეხი შეუკრეს და მორიგეებთან კუთხეში მიაგდეს.

სამაზრო ქალაქი ერთიანად აფორიაქდა და შეიძრა.

საქართველოს მთავარი ჯალათის სამმართველოში გადასაყვანად ცხრა თავზეხელაღებული და კაცის ხორცის მჭამელი დამსჯელი პოლკის ჯარისკაცი და ჩეკისტები გამოგზავნეს.

ბერიამ პირადად შეადგინა შემდეგი მოქმედების გეგმა. განკარგულებებსაც თვითონ იძლეოდა, არც ტალახაძეს ენდობოდა და არც ანტი ნადირაძეს.

მოელი მაზრა ფეხზე დააყენა. პირადად ელაპარაკა ლანჩხუთის და ჩოხატაურის ჩეკას უფროსებს, სამმტრედიას, სენაკსა და ფოთს, ქობულეთსა და ხულოს. აჭარის ჩეკას უფროსს ახალი და საიდუმლო მითითებები მისცა. ოზურგეთის მაზრიდან ყველა გასასვლელი გზა საგულდაგულოდ და მაგრად ჩაკეტეს. მოუხდავად იმისა, რომ აჭარა- გურრის მთებზე გაუვალი თოვლი იდო, განკარგულებანი გასცა, ბახმარის გადასასვლელი გზები და ბილიკები გაძლიერებული და კარგად შეიარაღებული მეთვალყურეებით უზრუნველეყოთ. ვაკიჯვარსა და ქვაბლა-ნაბეღლავში საგანგებოდ მომზადებული ოცეულები გაიგზავნა. ბრძანება გაიცა, მთელ მაზრაში გზები და გზაჯვარედინები შეეკრათ, ყველა სოფელში მეთვალყურეობა გაეძლიერებინათ და ყოველი საეჭვო შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებინათ სამაზრო შტაბში. ხულოს სამაზრო ჩეკას უფროსს – ოსმან ნიყარაძეს დავალება მიეცა, ბახმარო-ხულოს ერთადერთ გზაზე, რომელიც ღორჯომს გადაკვეთდა, ჩეკისტები ჩაეყენებინა და ყაჩაღები გამოჩენისთანავე მოესპოთ. ასევთივე საგანგებო და საიდუმლო დავალება მიეცა ქობულეთის სამაზრო ჩეკასაც.

ყველაფერი ისე მომზადდა, რომ ოზურგეთის მაზრიდან არამცოდ ძეხორციელი შეძლებდა გასვლას, არამედ ჩიტიც ვერ მოახერხებდა საზღვარზე გადაფრენას და, თუ ასეთი რამ სასნაული მაინც მოხდებოდა, მეზობელი მაზრების სიფხიზლეს ვერავინ გაექცეოდა. ხაფანგები ისე საიდუმლოდ მოხერხებულად და შენიღბულად დაადგა, რომ გამარჯვების წინასწარ ზეიმობდნენ.

ფიქრობდა და მოქმედებდა გოგია ლლონტაძე.

ის ისეთი დონედო ლოქი არ იყო, რომ ბერიატალახაძე-ნადირაძის ანკესს წამოჰბეგბოდა, არც ისეთი ჩიტი იყო, მტრის გადმოყრილ საკენკს მისძალებოდა და ორივე ფეხით უნიჭოდ დაგებულ ხაფანგში გაბმულიყო.

●

როგორც წინასწარ დათქვეს, გოგია ლლონტაძე რაზმელებმა ექადილ ეკლესიის სასაფლაოზე მიტოვებულ, სახურავაზამოქცეულ ჯიხურში მოიყარეს თავი. ფიცი დადეს, რომ უსამართლობას არასოდეს შეურიგდებოდნენ, ერისა და ხალხის მოლალატეებს არ დაინდობდნენ და მათ წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს არ აიღებდნენ, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ. ერმანენთთან კაკვრის არ განსყვეტდნენ, გაჭირვებულის და დაცემულის მოსარჩლე იქნებოდნენ. თუ სამშობლო და ხალხი მოუხმობდა საშველად, ხმას მიაწვდენდნენ, შეუძლებელს შეძლებდნენ, ცხრა მთის გადმოლახავდნენ, თვით ქვესკნელსაც გამოარღვევდნენ და კვლავ ქვეყნის სამსახურში ჩადგებოდნენ. კეთილს შეიპრალებდნენ და ხალხის ჯალათებს მზეს დაუბნელებდნენ.

ᲛᲘᲛᲓᲘᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲜᲔᲑᲘ ᲫᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲯᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲛᲠᲐᲯᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲚᲐᲯᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲮᲐᲝᲗᲡᲐᲡ ᲓᲐᲓᲛᲣᲠᲐᲜᲘ ᲨᲣᲥᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲬᲘᲠᲜᲘᲡ, ᲞᲘᲠᲘᲡ ᲯᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲞᲐᲪᲐᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲯᲔᲚᲔᲑᲘᲡᲙᲘᲗᲮᲔᲚᲐᲓ ᲐᲡᲢᲐᲠᲮᲐᲜᲐᲓᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲐᲚᲔᲑᲓᲐ.

ᲛᲐᲗ ᲧᲛᲘᲗ ᲒᲝᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲝᲗᲡᲐᲡ ᲨᲘᲜᲯᲘᲗᲛᲔᲚᲘ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲐᲯᲕᲗᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲯᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲫᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲠᲑᲐᲠᲘ ᲯᲣᲠᲩᲚᲘᲡ ᲨᲘᲠᲩᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲛᲒᲠᲔᲑᲘᲡ.

ᲛᲐᲗ ᲧᲛᲘᲗ ᲒᲐᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲝᲒᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲮᲐᲝᲗᲡᲐᲡ ᲨᲘᲜᲯᲘᲗᲛᲔᲚᲘ ᲑᲘᲚᲘᲙᲔᲑᲘᲗᲘ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲓᲒᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲐ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲠᲘ ᲯᲣᲠᲩᲚᲘᲡ ᲨᲘᲠᲩᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲛᲒᲠᲔᲑᲘᲡ.

ᲛᲔ ᲓᲐᲛᲘᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲡᲬᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲘᲜᲯᲘᲗᲛᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲘᲐᲜᲘᲜᲓᲘᲗᲘ ᲨᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲠᲘ ᲯᲣᲠᲩᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲛᲔ ᲓᲐᲛᲘᲓᲐ ᲒᲐᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲝᲒᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲮᲐᲝᲗᲡᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲧᲣᲜᲓᲘᲜᲐᲝᲗ, ᲗᲔᲗᲠᲘᲡᲐᲛ ᲒᲐᲐᲗᲔᲜᲔᲑᲓᲐ. ᲘᲤᲖᲐ ᲔᲚᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲓᲔᲖᲘᲡᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲛᲝᲛᲘᲡᲕᲔᲜᲐᲠᲘ ᲪᲮᲝᲛᲠᲝᲑᲐ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐᲠᲘ. ᲪᲮᲝᲛᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲠᲘ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐᲠᲘ. ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲒᲐᲡᲬᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲛᲘᲜᲐᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲠᲘ ᲯᲣᲠᲩᲚᲘᲡ ᲨᲘᲠᲩᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲛᲒᲠᲔᲑᲘᲗ. ᲨᲔᲜᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲛᲠᲝᲑᲐ ᲮᲚᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲒᲘᲐᲠᲔᲑᲐ. ᲘᲤᲔᲑᲐ ᲯᲝᲜᲓᲝᲒᲐ ᲓᲐᲒᲠᲔᲜᲘᲚᲘᲧᲐᲕᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲠᲜᲐᲨᲘ, ᲜᲐᲮᲔᲠᲘᲜᲘᲗᲘ ᲓᲔᲖᲘᲡᲐᲛᲘᲡ ᲩᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲡ, ᲛᲘᲪᲘᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲡ

დამხარ სიკვდილის ქარცეცხლში გამოვიარეთ და ახლა მიპირებ მარჯო მატოვებას, ურჩხულის ხახაში ჩაჩრას და მერე რატომ, რისთვის, რა დავიმარსახურე ასეთი? – ჩუმი, მიტოვებული ქალის ტირილით ამოიკენესა ხათუნამ.

– არა, ხათუ! უკუღმა ნუ გამიგებ. სხვის ქვეყანაში განცხრომით ცხოვრებას სამშობლოში სიკვდილი სჯობია. სამშუალინი ფაშის ძეიფრას და რბილ სარეცელს მშობლიურ მაგარ მიწაში საუკუნო განსვენებას მირჩევნია ჩემდა თავად. ვიცი, რომ შენც ასე ფიქრობ. აი, რატომ მოგმართე ასეთი კითხვით. განა არ ვიცი, რომ დიდი სიყვარული გაკავშირებს ჩემთან და ჩემი გულისათვის კოცონში ისე ჩადგები, სინანულის სიტყვაც არ დაგცდება.

– გოგი, ჩვენ ხომ დროებით მივდიოვართ სამშობლოდან. აღრე თუ გვიან ეს მრისხანე გრიგალიც გადაივლის, ბოროტს კეთილი მოერევა, ქვეყანა დანესწარდება, დამშვიდდება და ჩვენც ჩვენს ჩაფშუკულ კერას მოვაშურებთ.

– ეს არავინ იცის, ჩემო ხათუ, შეიძლება დღეს უკანასკნელად ვხედავდეთ ქართულ მზესა და ზეცას. ქვეყნის გამრეკა ისე არა ჭრის, როგორც ჩვენ გვსურს და გვინდა. უნდა შეურიდეგ იმ აზრს, რომ საუკუნოდ ვეთხოვებთ ყველაფერ ამას, რასაც ვხედავთ. ცუდი წინ გვიდგას, კარგს უნდა მოველოდეთ. ლოდინის ბოლოშდე მივალწევთ კი?!

– გაულს ნუ გაიტეხ, ჩემო რკინის კაცო, ეს შენ არ შეგფერის და არც გიხდება. სანამდე ერთად ვიქნებით, ჭირი ვერ გაგეტეხს.

ასეთ საუბრში იყვნენ ცოლ-ქმარი, როცა ალმოსავლეთის ბნელ ცას ნათელი შეეპარა და განთიადის ღმერთქალმა თავისი ვარდისფერი თითის წვერები ამოყო შორეული მთების გადალმიდან. მახლობელი ტყის კორომიდან მარგოხელა ჭოტის ნაღვლიანი კივილი მოისმა.

ეს დურსუნის დათქმული ნიშანი იყო.

გოგია ღლონგში და ხათუნა სასიმინდიდან ძირს ჩამოვიდნენ და ფხიზლად შეეგებნენ ღამენატეხ მეგობარს.

დურსუნმა ორი ხელი აჭარული ჩაქურა მოუტანა სამშობლოდან მიმავალ მეგობრებს. თან დაუმატა, რომ სამი სანდო კაცი იპოვა, რომლებიც საზღვრამდე გადაიყვანდნენ და ხოფამდე მიაცილებდნენ. იქ ასევე სანდო პირებს ჩააბარებდნენ და დააბინავებდნენ. სამიდო ცნობების მოტანისათვის გოგიამ მადლობა მოახსენა და ძმურად გადაეხვია.

– ძმაო გოგია, ჩემი კაცები ერთ საათში მოელენ. მოემზადეთ, გზას დაუყოვნებლივ გაუდგებით, მათ იციან საიდუმლო ბილიკები და გადასასვლელები, ხვალ ამ დროზე ალბათ უკვე ხოფაში იქნებით, შემდეგ გზა ხსნილი გაქვთ. სადაც უფრო მოხერხებულად მოეწყობი, იქ დასაბედი და იცხოვრე. მშვიდად და ბედნიერად.

– შენი წყალობით და დახმარებითო რაღაცა მეც მივაღწევ, ძმაო დურსუნ, ენახოთო, ცხოვრებ როგორ გამიმართლეს. ჩემს ქვეყანაში ნადირიანი სასიკვდილოდ დამდევენ და სხვის მიწა-წყალზ შეიძლება ვიხარო და კაცი დამერქვას. ჩემი დურსუნ, მე თუ ვერ შევძლო სამაგიერის გადახდა, სულ ერთია, კარგი საქმე გადაუხდელი არ დარჩება.

– დურსუნ, ღმერთად გამოგვეცხადე და ეს არის, – ჩაურთო სიტყვა ხათუნამ.

– აბა, ადით სასიმინდეში და ტანთ გამოიცვალეთ.

გოგია და ხათუნა რამდენიმე წუთის შემდეგ ჩაქურაში გამოწყობილნი გამოეცხადნენ დურსუნს სირაძეს. ბევრი იცინეს, მართლაც რომ ხატაფდა ცოლ-ქმარს ახალი ტანსაცმელი და მათ ახლ ნამდვილ აჭარულები ვერაგინ გაარჩევდა.

– გოგია, ერთი საქმე კიდევ დაგვრჩა მოსაგვრებელი, – დაინყო დურსუნმა, – ცარიელი ხელებით ხომ არ გაგიშვებთ თურქეთში. პირველად ხელის ჭუჭყი აუცილებლად დაგჭირდება. იქ ჩვენ კაცები ყურადღებას არ მოგაალებენ, მაგრამ შენც ხომ უნდა ვედოს ორიოდე გროში ჯიბეში.

– არა უშავს, ჩემო დურსუნ, ხელს გავანძრევ და ვიშოვნი. ამდენ ხანს ტყვია და ხმალი მიჭირდა, ჩავალ თურქეთში და თოხსა და ბარს გავაჭრევინებ. ვისაც მარჯვენა უვარგა და შრომას არ დაიზარებს, პური სამათხოვროდ არ გაუხდება.

– ეს კი ასეა, მაგრამ ჩვენ სათანადო თადარიგი გვმართებს. მე ცოტაოდენი ფული მოვაგროვე მეზობელ-ძმაკაცებში და მოგიტანე. სულ ხუთი ათასი თურქული ლირაა. ხომ იცი, ჩვენ ისეთ ოხერ დროში ვცხოვრობთ, რომ კაცზე მეტად ფული სცემენ პატივს. პირველად ამ გროშებით მოიმართავ ხელს, შემდეგ კი გზა გაგეხსნება და, შენი უსარისა და მოხერხების ამბავი რომ ვიცი, ყველაფერი თავისთავად აენყობა და დიდების საფეხურებზე შენებურად გაბედულად აიჩუნე.

– მერედა, როდის უნდა გადაგისადო ამდენი თანხა?

– როცა ბევრი გეკუნება და გადახდა არ გაგიჭირდეს.

– ფულის გადახდას კი მოვახერხებთ, მაგრამ ამდენი ამაგი, ადამიანური მხარდაჭერა და ძმურად ზურგის გამაგრება როგორღა გადაგიხადოთ? – ჩაეერთო საუბარში ხათუნა.

– გადაიხდით, ყველაფერს გადაიხდით, თუ არადა, ჩვენი ძმობისა და შენი კაი კაცობის სანაცვლო იყოს, – ღიმილით დაუუმატა დურსუნმა და ქისა გაუნოდა გოგია ღლონგს.

დაბარებული მეგზურები დაუგვიანებლად მოვიდნენ. მეგობრები გამოეთხოვნენ ერთმანეთს, გადაეხვიენენ, გადაჰკოცნეს და მიმავალი გზა დაულოცა დურსუნმა.

გაგრძელება იქნება

დალილა ბედიანიძე

•

ასე მგონია, სიკვდილის ალყაში ვარ,
როცა ბებოჩემის სახლში შევდივარ
და კედლებიდან გარდაცვლილი წინაპრების სურათები გადმომყურებენ.
ასე მგონია, სიკვდილის ალყაში ვარ,
როცა მეათასედ ვათვალიერებ
ჩვენს საოჯახო ფოტოალბომს,
სადაც ყვავილებივით გაფურჩქნილა
ჩემი ბავშვობის ფოტოსურათები.
რა ხანია, აღარ ვარ ბავშვი,
რა ხანია, მიიცვალნენ ჩემი წინაპრები
და რა ხანია, სიკვდილის ალყაში ვარ,
რომელიც წლითიწლობით უფრო და უფრო ვიწროვდება.
რადგან დავიბადე, უნდა მოვკვდე კიდევაც
და, რომ დროის დინება მცირე ხნით მაინც შევაჩერო,
მე თვალს ვარიდებ ძველ ფოტოსურათებს
და ჩემი ბავშვობის სათამაშოებს და დაპატარავებულ ტანსაცმელს
ისე გავაჩუქებ, ერთ ცალსაც კი არ დავიტოვებ,
რომ არ შემახსენოს, ბავშვობის შემდეგ რა დრო გასულა.
ასე მგონია, სიკვდილის ალყაში ვარ,
და ვგრძნობ, ამ ალყას ვერ გავარღვევ,
და თავს იმით ვშველი,
რომ დღევანდელი დღით ვსულდგმულობ და
არა ვზრუნავ ხვალინდელ დღეზე,
რომელიც სიკვდილის ბეჭედივით ზის
ჩემი დაბადების მოწმობის ყვითელ ფურცელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ფეხი აიდგეს ქარით მოგლეჯილმა ხეებმა და
გარბიან ქარში,
გარბიან ქარში ერთმანეთთან შესახვედრად,
სულ ყირაზე გადადიან –
ფესვები – ცაში, კენწეროები მიწაზე დასთრევთ.
ქარმა ჩაქრო მზის ლამპარი
და ხეები ტოტების ცეცებით ეძებენ ერთმანეთს,
რათა ერთმანეთს ჩაეჭიდონ, ქარს წინ აღუდგნენ.
ისინი განწრთნილი არსებები არიან,
მიეჩვივნენ მიწას და უჭირთ ცაში ფრენა,
ქარი კი, როგორც ზღაპრის გველეშაპი
მათ შემორტყმია და მიწას აშორებს.
ფეხი აიდგეს ქარით მოგლეჯილმა ხეებმა და
უჩვენეს თავიანთ ღმერთს ფესვებზე იარები,
კენწეროებზე იარები.
ღმერთს შეებრალა ისინი და ქარი დააცხრო
და დაემსგავსა ტყე დაუსაგებელ სახლს,
რომელსაც დიასახლისი მოკვდომია.
რომელსაც პატრონი მოკვდომია...
ყოველთვის, როცა ქარით მოგლეჯილ ხეს ვუყურებ,
სული მტკივდება,
თითქოს ეს ხე ჩემი სულიდან ამოგლიჯოთ.

●

გადაფურცლისას შრიალებს წიგნი.
ის ოდესღაც ნორჩი ხე იყო
და შრიალებდა
და ახლა შრიალით გვიყვება თავის თავგადასავალს,
ბავშვობას იგონებს.
გადაფურცლისას შრიალებს წიგნი,
წიგნი ჩვენი ცხოვრებისა,
წიგნი ჩვენი სიყვარულისა,
და სტრიქონები ხის ფესვებივით დაკლაკნილან,
დაკლაკნილან, როგორც ელვის მათრახები,
ჩვენს ხსოვნაში რომ ელვარებენ.
გადაფურცლისას შრიალებს წიგნი
და მკითხველს ელის, ისეთ ქარს ელის,
რომელიც ბოლომდე წაიკითხავს ჩვენს ამბავს
და ამოთქმის ძალას მისცემს ხეს – წიგნადქცეულს.
გადაფურცლისას შრიალებს წიგნი
და ჰგავს წყლის შხუილს მისი შრიალი,
იმ წყლისა, ფესვებს რომ ურწყავდა თავმომწონე ხეს
და უყვებოდა, რაც რამ ენახა სათავიდან შესართავამდე.
და, როცა ვსუნთქავ, ასე მგონია, მეც ვშრიალებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან არის ჩემში რაღაცა ხის მსგავსი და წიგნის მსგავსი
და დღეებს ვფურცლავ ამ წიგნის ფურცლებიანით
და ვკითხულობ და გაოცებულს
დამცქერის მთვარე – დიდი წერტილი.

●

სინათლის ბუჩქი არის მაყვალი,
გალვივებული, როგორც მაყალი,
და გამოსხმია ამ ჩემს სულს ფრთები,
ვუყურებ მაყვალს და კრძალვით ვკრთები.
იყო შეხვედრა მაყვალთან ოდეს,
წამებულ უფალს დღეს სული გოდებს.
იყო სიცოცხლე, დღე ღვთაებრივი,
დამაკებული ჭრელი ნერბივით.
დღეები კენტი, დღეები ლუწი
ცხოვრების ხეზე ეკიდა ყუნწით
და გადიოდა დრო, როგორც ქარი,
იხურებოდა ზეცათა კარი
და ფრიალებდა ყაყაჩოს დროშა
და არ მიღირდა სიკვდილი გროშად.
ისევ იქ არის სინათლის ბუჩქი,
სადაც ელავდა მზე, როგორც ზუჩი.
ვებრძვი სიბნელეს, მიველტვი უფალს
და ცას მივაპობ, რომ მოიქუფრა.

●

გაბრაზებული მზე თეთრი ძაღლივით იკბინება,
იმ ძაღლივით, რომელსაც წვიმა წამოენია
თავის ძაღლურ საქმეზე მიმავალს.
აქ ოდესღაც ზღვის ფსკერი იყო,
ახლა კი ქალაქია თავისი მრავალსართულიანი სახლებით,
ქუჩებით და მოედნებით
და ზღვის სახსოვრად მხოლოდ მთები შემორჩენია,
დევებივით რომ დგანან ქალაქის ირგვლივ.
თავი ზღაპარში მგონია,
იმ ზღაპარში, ბავშვობისას რომ მიყვებოდნენ
და სინამდვილე მეგონა
და მხოლოდ ის მანუგეშებდა,
რომ ზღაპრის ბოლო კეთილი იყო
და წითელქუდა მგელს გადაურჩა.
წითელქუდას ჰგავს მზე,
გაბრაზებული მზე, რომელსაც სცხელა
და არ იცის, როგორ დაუსხლტეს საკუთარ სიმხურვალეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. გაბრაზებულ მზეს ყოველთვის წვიმა მოჰყვება ხოლმე.
ახლაც ასეა – ღრუბლები თეთრი ძაღლებივით იყეფებიან
და მზის ნაკბენზე მალამოსავით მედება
წვიმის პირველი წვეთი.
ასე მგონია, ამომშრალი ზღვის ფსკერზე ვდგავარ
და ისე განვიმდება, ზღვა მკვდრეთით აღსდგება
და ხმელი ფოთლები
ოქროს თევზებივით იტივტივებენ ირგვლივ და სულში.

●

მიედინება სიცოცხლის მდინარე
წლების თაღებქვეშ
და დღეებს ტალღებად მიათამაშებს
და არვინ ვიცით, საიდან მოდის ან საით მიდის.
მივყვებით ტალღებს
და ვცდილობთ, მარჯვედ ვიცუროთ
და დინებამ ვერ დაგვიმორჩილოს,
ვერ დაგვახრჩოს.
გაღმა ნაპირი სულ ახლოს არის,
მაგრამ ვერავინ ვერ გავალთ გაღმა,
სანამ ცოცხლები ვართ
და, რომ მოვკვდებით, მაშინ იტყვიან –
„გავიდა გაღმა“.
მოედინება სიცოცხლის მდინარე,
რომელმაც წაგვლეკა, რომელმაც გვაიძულა
ცურვა გვესწავლა, ცურვა ხან აღმა და ხან დაღმა...
და ჩვენი ცურვით გაოცებული თევზები
წუთებივით ფრთხებიან და გაგვირბიან,
ჩვენ კი მივცურავთ და თან ვთევზაობთ –
ვიჭერთ ბედნიერ წამებს და წუთებს.

ნუ გამიწყრები

ნუ გამიწყრები, რომ ამდენ ხანს ვერ გინახულე
და შენი წყრომა და გაბუტვა დავიმსახურე.
ო, რომ იცოდე, სად ვიყავი, თავს რა გადამხდა
და ამ წერილსაც დაღალული როგორ გწერ ახლა,
არ განყრებოდი და დუმილს არ მომაგებებდი,
ზურგს არ მაქცევდი, ულმობელი როგორც სვე-ბედი!
ნუ გამიწყრები! მომენატრე, ო, მომენატრე,
რასაც განვიცდი, ამ წერილში მე ველარ ვატევ.
შენი თვალები... ეგ თვალები რატომ დახურე –
შენი მონა ვარ, ბრძანე, რა გსურს და მიმსახურე!

ნუ გამიწყრები და სიცოცხლის კარს ნუ მიკეტავ,
ნეტავ, ჩემს გულშიც ჩაგახედა ახლა ო, ნეტავ!
თავბრუდასხმული დედამიწის სწრაფი ტრიალით
და ბროლის მთვარის ჩაუმქრალი იალკიალით
შენკენ მოვიწევ... ო, რა შორს ხარ და თან რა ახლოს!
მაინც მიწყრები... მე კი როგორ მინდა, რომ გნახო.
შენი თვალები... შენი ხმა და შენი ხელები...
ბებერი ქარი კი მარიგებს ხველებ-ხველებით,
რომ სიყვარული არ იქნება გარეშე წყრომის,
გაბუტვის შემდეგ დამთავრდება დავა და ომი.
ნუ გამიწყრები! შემირიგდი! გამოიდარე!
სხვისთვის ღარიბი, შენთვის მუდამ მე ვარ მდიდარი.
ნუ გამიწყრები, რომ ამდენ ხანს ვერ გინახულე
და შენი წყრომა, შენი ცრემლი დავიმსახურე!

●

სიჩუმეს ვგალობ თავდავიწყებით.
წინ მისვენია მკვდარი ჩიტი,
ნაცნობი ჩიტი,
რომელიც ყოველდილა გალობდა ჩემს ფანჯარასთან
და ისე იყო გართული გალობაში,
რომ თბილ ქვეყნებში გადაფრენა დაავიწყდა,
დაუზამთრდა და ცას შეეყინა.
სიჩუმეს ვგალობ თავდავიწყებით და სულთათანას.
დავტირი უდროოდ დალუპულ ჩიტს.
ის რომ მოკვდა, მეც ხმა მომიკვდა
და ახლა უხმოდ ვცდილობ, ვუმღერო.
არ ჰყავს ჩემს გარდა ჭირისუფალი
და მე უნდა დავმარხო იგი,
როგორც ეკუთვნის ჩემგან ნათესავს,
როგორც ეკუთვნის ჩემგან მეგობარს.
დავიმახსოვრო მისი საფლავი
და დავატირო, რომ მალე მოვა გაზაფხული,
მოვა აღდგომა.
სიჩუმეს ვგალობ თავდავიწყებით.
ტკბილად იძინე, ჩიტო-ჩიორა!
ხეში ნყალი ჩადგება და
გაზაფხული მოგცემს ძალას
და სხვა ჩიტთა ხმაში გამოგალვიძებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ფარჩუკიძე

მუხრანელი დედაკაცის თქმული

„...აქეთ მე ვკვდები, იქით ის,
ქალი წავიდა სხვისასა“.
ხალხური

„...ცოლი რო სხვაგან წავიდა,
რო გახდა დუშმანისია“.
გიდერძი ჩოხელი

სხვისას არ წაველ, ვერ წაველ,
ვეფარე ჭალის მუხასა,
დიაცებრ გეკრძალებოდით
მრწემად გაზრდილი მუხრანსა.

ყვავილთ გვიკმევდნენ ტყემლები,
გვნუხდა აპრილი სამთავეს,
თქვენ სისხლით, მე კი ცრემლებით
სიცოცხლე ჩამოვათავეთ.

ვაჰ, რად არ დავწვდი სატევარს,
მტლად დაგდებოდი ეგება,
გზად შემომხვდარი სიკვდილი
მეც შენთან ერთად მეგემა!..

ცისკარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლი მის სახელს, ყივჩაღნი
ქრისტეს შემატა რომელმა,
მაგრამ მიიზღო საკადრი
რჯულის დარღვევის მდომელმა!

ისიც ხო დაეც, მიაკალ
ავხორცი თავის ვნებასა,
მაინც დავფალი... სხვაგვარად,
შენც არ მომცემდი ნებასა.

ვაუკაცი იყავ, გიმადლი
დავითფერულის ფლობასა,
შენი ქვრივობა ვარჩიე
ნებიერ დედოფლობასა...

ვერასგზით გამოგიგლოვე,
შენს აქეთ სულ ზამთარია,
აკვნითურთ შეგრჩი ფუძეზე,
არ ჩამირაზავს კარია.

ცოლი შენს ცალად ვიქეცი,
ნაცვლად თავს ვიდევ ჯაფანი,
მარტო ვეჭიდე სოფელსა,
მარტომა ვწიე ჭაპანი.

ცალუღელ ვლეწე კალო და
არა გეცრუე, გემართლე,
ბოლოს გეახლე, გვირგვინი,
საძვალეს შემოგემატე.

დიდგორნი

დიდგორნს ვიყავ, ვიდიდგულე,
„ძლევაითა საკვირველითა,"
ტანთ ამესხა ჟრუანტელად
ხსოვნა, როგორც საჭურველი.

ცა მწვერვალებს ხელს უწვდიდა,
ფერხთით მეგო ღრუბლის ფთილა,
ნიჩბისს ზემოთ ხეობაზე
მზევდებოდა ძლევის დილა.

ნისლიანში ელვარებდა
შუბი ნმიდა გიორგისა,
იმ გორიდან უკეთ მოჩანს,
დარდი უნდა მქონდეს რისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწისა თუ მოყვასისა,
ჯავრს გავუძლო რომელისა,
მოვინატრე სიხარული
დავითური ომებისა.

და მამულო, მომიხილე,
გულისხმა მსურს გაგაგონო,
გმირობასთან წილნაყარსა
ნუ წამიყვან უდიდგროდ.

ღირსი მხადე გამარჯვების,
ჩემს დიდგორზე დავდგე ოდეს,
პირნათელ მყავ, წინაპართა
სულთა თანა მიმესვლოდეს!

„ანკეტა“

სახელი – დედის და დედაკაცის,
უღელი – ცოლის და მეუღლისა,
თვალები – გულიდან მომზირალნი,
ხელები – ცოტათი მეურნისა.

ნალექსი – ცვრიანი სამყურები,
ნამღერი – გალობით მზიანები,
სურვილი – ქმნისა და მსახურების,
იმედი – ნათელთან ზიარების.

გოგონა – სიწმინდე სავანეთა,
ვაჟები – საჯიშე მორკინლები,
ოჯახი – ტკბილ-მწარე საპალნე და
ქმარ-შვილი – საამო ბორკილები.

ჯვარიმც გეწეროს

შენ ახლა ამ დიდ ქალაქში დახვალ,
არ განირჩევი სხვისგან არაფრით,
მაგრამ მზერაში შემოგრჩენია,
ძველი გეში და სხივი ქარაფის.

გიცქერი, თავი ხევსურეთს ვიგრძენ:
უცებ ავისხი ქოქლო და ხამლი...
ფიქალის კოშკი... შუაცეცხლისპირს,
უცხო სურნელი რძისა და კვამლის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა, ჭერხოზე – ვინრო ჩარდახი,
სამრეკლო – ხევსურ ქალთა კრებული,
კაფიაობა – მოკლე შოლტებად,
ზედ გულთაბოძზე შემოვლებული!..

აქ, ცხელ ქალაქში სოფლის ხატებამ,
სუნთქვა მიგრილა ძველებურ შვებით,
და გამახსენდა დედა ჯავარა,
ფარაგს რომ ქსოვდა ჭიაფერ ჯვრებით.

პერანგის ნაცვლად ჭრელტალავარით,
თვალით შეგმოსე, ნაქარგჯვრიანით,
მაგრამ ბარს მყოფი მთიელი კაცის
კვლავ შეგრჩა გული – ფიქრჯავრიანი.

შენც ჩამოგიხმო მთიდან ამ ყოფამ,
შენც აიყარე ფუძე-კარავი,
ვაცინეთ მტერი! დედაქალაქში
შევიყუჟეთ და დავპატარავდით!

დღეს აღარ ვიცი, ვინ ვიიმედო,
მთა ბარად ინევს აჩქარებული,
სად – უნჯი ჩემი, სად – ფარი ჩემი
კავკასიონზე აფარებული?!

მაინც იქ გხედავ, ათენგენობას,
გულს ჩამხვევიხარ, როგორც ხეს სურო,
ხახმატის ჯვარის ვარ მახვეწარი:
„ჯვარიმც გეწეროს“ – ძმაო, ხევსურო!

ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

თამაზ ბაძღლუას ხსოვნას

ნათელი ქვაბულთა კარვის,
უწყინარ მტრედების წყება,
მშობელი უმანკო კრავის
ღვთივგარდამოსული ნება.

სუნნელი ნაძვთა და ფიჭვთა,
შროშანთა უმანკო ველი,
ქებული საუნჯე ნიჭთა,
უფლის და მაცხოვრის მზრდელი.

ძლეული უსასო სევდა,
ცით მხოლოდშობილი ძეი,
ოსანა, სამყაროს დედა,
ნათობს დაუვალი მზეი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იავნანამდელი ნამღერი

შენ ახლა ჯერაც სამოთხეში ხარ,
პირველქმნილივით საამოდ, თბილად,
უძველესი ხარ ამ სამყაროში
და სამყაროა დღეს შენი კბილა.

წრფელი სულისავ, მკერდქვეშა სუფევ,
მხოლოსულ დედას მაქცევ ორსულად,
ღვთის სასწაულში გვიდევს წილი და
თვით სასწაული ჩვენში მოსულა.

აი, სულ მალე, დადგება ჟამი,
აღარ დავითვლი დღეებს მძევლებად
და ადამივით გაგიჭირდება,
მაგ სიმშვიდიდან გამოძევება.

მეც ბეწვის ხიდზე გავივლი, რადგან
კაცობრიობის ასეა მოდგმა,
მოსვლა – ტკბილ-მწარე სიხარულია,
წასვლაც – ასევე, შვება და მოთქმა.

ნათლისღებაა. შეყოვნდება და
აღმა იდინებს დღეს იორდანე,
თაყვანი ეცი ღვთისმშობელს, როგორც
დედის ნიაღში – ყრმა იოანემ!

სული უტკბესი, გული უვრცესი,
თვალი ნათელი უფრორე თვალზე,
ჩემი სიცოცხლის ხარ სამკაული
და მჯერა, ძეგლად მექმნები ხვალ-ზეგ.

ნუგზარ ერგემლიძე

ჟურნალ „ციკორის“ მკითხველებს ვთავაზობთ ცნობილი კომპოზიტორისა და მომღერლის (ნაკლებად ცნობილი მხატვრის) ნუგზარ ერგემლიძის ახალი პროზაული ნაწარმოების შესავალ მონაკვეთს; აღნიშნული რომანი მალე წიგნად გამოვა.

არმაგედონის მათრახი

შესავალი მონაკვეთი რომანიდან

ახალი, 2011 წელი მოდიოდა. ქუჩები საახალწლოდ იყო მორთული. რუსთაველის პროსპექტს ფეხით მივუყვებოდი. იმიტომ კი არა, რომ ფეხით სიარული სასარგებლოა, არა: უბრალოდ, ავტომობილი არ მყავდა და არც ის ვიცოდი, მეყოლებოდა თუ არა ოდესმე – თუნდაც სუფველაზე პატარა. ალბათ, არც იციან, თუ რა ბედნიერია ის ხალხი, ვინც მანქანის თბილი სალონიდან გვათვალიერებს გათოშილ ფეხით მოსიარულეთ.

იმ დღეს რეპეტიცია მქონდა, უფრო ზუსტად კი, სულ რაღაც ნახევარ საათში. როკ-კლუბი რუსთაველზეა. იქ საახალწლო საღამოს ამზადებდნენ და მზარზე გადაკიდებული გიტარით იქით მივიჩქაროდი.

მე 24 წლისა ვარ და ჩემი სახელია ნიკა; მყავს მშობლები და ის რამდენიმე მეგობარი, რომლებიც კლუბში მელოდებიან, იმიტომ, რომ სამიენი ჩემი ჯგუფის წევრები არიან.

„ღმერთო – ვფიქრობდი, – რა მოხდება, სპონსორი გამოგვიჩნდეს, ჩვენი დისკი გამოუშვას, კლიპი გადაგვიღოს“. ამ დროს ხათუნა შემხვდა, მალალი, ლამაზი და არაჩვეულებრივი ფერის თვალების მქონე ხათუნა!

დიდი ხნის ნაცნობივით გადამეხვია, მე ლოყაზე ნაზად ვაკოცე. „ცხვირი ნითელი მექნება!“ – გავიფიქრე და ხელები დავიორთქლე:

– როგორა ხარ, გოგონი?

– ვარ, რა... შენ? საღ მიდიხარ ინსტრუმენტით?

აეუხსენი, სადაც მივდიოდი და შევთავაზე, წამყოლოდა, რა თქმა უნდა – თუ დრო ჰქონდა.

– თუ კაი „პონტია“, დრო კი მაქვს ცოტა... წამოვალ!

მე კი ფული მქონდა ცოტა – სულ 10 ლარი, მაგრამ უკან აღარ დავიხიე...

– ლუდი დავლიოთ – წინასწარ შევუთანხმდი.

– შენთან რას არ დავლევ – ეს ისე თქვა, თითქოს ძალიან ახლობელი ყოფილიყო. არადა, რამდენჯერმე შეეხვედრივართ მხოლოდ.

– „ფეის ბუკში“ დამამატე მეგობრად, – მითხრა გზადაგზა. – იცი, რა მაგარი ფრენდები მყავს? – გამომცდელად გამომხედა.

– გეყოლება! – შეეჭრედი, შევათვალიერე და ისე ვუთხარი.

– არა... მარტო ბიჭები კი არა, სერიოზული ხალხიც დამიმეგობრდა...

ნუგზარ ეროგმელი
ბიბლიოთეკა

– ძალიან კარგი! – ეს ისე ეთქვი, სხვათა შორის. სინამდვილეში სხვა რამეზე ვფიქრობდი. მაგალითად იმაზე, – რა კარი იქნებოდა, ახლა მეტი ფული მქონოდა, „მარტინის“ დავალევინებდი-მეთქი. შეიძლება ეს ბოლომდე არც მიფიქრია, ფიქრის ნანილი იყო მხოლოდ – წამზე ბევრად ნაკლები. შეიძლება სურათი წარმომესახა: ის „მარტინის“ სვამს, მე კი ვუკრავ და ვმღერი და, რაც მთავარია, მიმტანის არ მეშინია!

ცოტათი წინ გავუშვი, ზურგიდან შევათვალიერე, – მაგარი ტანი აქვს! „ეჰ, ასეთ ქალთან ვინ მიგიშვებს?“ ამსაოცანი კლუბში ჩავედით, საფეხურები ჩავიარეთ და დამბედფური მივესალმეთ.

– ჰაი! – ხელი ავუწიეთ ერთმანეთს.

– ეს ხათუნაა! გაიცანით!

ბიჭები მოვიდნენ, მხრებზე ხელი მოუთათუნეს.

– კარგი გოგოა! – თვალი ჩამიკრა თემომ.

კმაყოფილებას ვერ ვმალავდი. (ამას წინათ, ერთმა უფროსმა კაცმა მითხრა „კმაყოფილი“ „ყმა ყოფილი“-დან წარმოსდგებიო, ანუ ვიღაცა იყო ყმა და რომ გაათავისუფლეს, ყმა აღარ იყოო და... ხომ გასაგებია? მიყვარს ეგეთი რაღაცები – ტვინს ავარჯიშებს!)

– აქ დაჯექი! – „საპატიო“ ადგილას დავსვი ხათუნა. ქერა თმა გაისწორა და რაღაც არტისტულად დაჯდა, კი არ დაეხეთქა ზოგიერთებივით, – ოლონდ რამე რომ ჩაისხანა...

– ლუდი, ხომ? – ვკითხე მე.

თემომ გაიგინა და შემეპასუხა:

– მგონაოს სხვა რამ უფრო შეეფერება.

თვალები დავუბრიალეე.

– ნუ გეშინია, ნიკა! აქ ვარ! – ჩუმად მითხრა, მეგობრულად.

შვებით ამოვისუნთქე! აი, ეს არის მეგობრობა! ისე კი არა – შენ რამდენს დადებ და მე რამდენს? – ასეთი კაცი საჭიროა ჯგუფში!

– ხათუ, იქნებ „მარტინი“ გირჩევნია?

ხათუნამ თავი ღიმილით დამიქნია. მიმტანს ხმადაბალი ვუთხარი:

– მარტინი ერთი პორციია და... ერთი ნამცხვარი! – თან თემოს გადავეხედე. თემომ თვალებით მანიშნა, არ არის პრობლემაო.

– ნიკა, როდის დაუკრავთ? – მკითხა საღამოს ორგანიზატორმა ქალმა.

– აი, უკვე ეიწყებთ! – სცენაზე ავედი, პატარაა, მაგრამ... ყველა ასე იწყებდა. დრამერმა მიმოაბრახუნა დოლები, მიუჭირ-მოუჭირა რაღაცებს. ჩვენ გიტარების აწყობა დავიწყეთ. ოპერაში სულ ერთხელ ვარ ნამყოფი – ბავშვობაში სკოლიდან წაგვიყვანეს. ჰოდა, ახლა ჩვენც დაანლოებით ისეთი კაკაფონია დავაყენეთ, იქ რომ სპექტაკლის წინ „ეწყობიან“. როგორც იქნა, მოვრჩით. ერთი ჩემი სიმღერა „დაკცხეთ“. რაღაც რიტმენბლუზის და როკ-ენ-როლის ნაზავია, ინგლისურად ვმღერი: „როგორ მინდა იმ დროში ცხოვრება, როცა ელვისი, მერლინ მონრო და ბითლზები იყვნენ“. კარგად მიიღეს ეს „ნანარმოები“. რამდენიმე ქალთანაურიც დავიმსახურე ორგანიზატორთაგან. ერთი ნახევარი საათი ვუკრავდით, მერე ხათუნასთან ჩამოვჯექი.

– ძაან მაგარი იყო! – გამიცინა.

– სენქ! – სასხვათაშორისოდ ვუთხარი, სინამდვილეში ძალა მესიამოვნა. თემო, გოჩა და ზურაგი ჩამოგვისხდნენ.

– მე ათი ლარი მაქვს! – ჩავულაპარაკე თემოს.

– ტაქსით წაიყვანე – გამიცინა თემომ (ეს თემო ღმერთმა გამომგზავნა!).

– ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს! – ეთქვი მე და ლუდი მოვსვი. ძალიან ცივი იყო და უკან დავდგი.

– ერთი კარგი პროდიუსერი გინდათ! – სერიოზული ხმით გვითხრა ხათუნამ.

– ჰო, – ყველანი ჩავფიქრდით.

– არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება! წამოგდექით.

– მე ჩემით წავალ! – თქვა ხათუნამ.

– არა, გაგაცილებ. – უკან გავყევი.

გარეთ რომ გამოვედით, ტელეფონის ნომერი ვთხოვე.

– შენი მომეცი. მე თვითონ დაგირეკავ! – მიპასუხა მან.

ეს, ცოტა არ იყოს, მეუცნაურა, მაგრამ რა გაეწყობოდა, მივეცი.

– გაგაცილებ, – კიდევ ერთხელ ვუთხარი და მოახლოებული ტაქსისკენ გავიწიე.

– არა, აქვე მიდდივარ დაქალთან, დიდი ხანია მიცდის. შენ რომ შემხვდი, ცოტა გეგმებს გადავუხვიე, ამალამ მასთან უნდა დაერეკე! – უცებად მაკოცა, შეტრიალდა, მალეს მიმავალ ქუჩაზე შეუხვია და გაუჩინარდა. „ოქროს ქალთევზას ჰგავს“ – გავიფიქრე. ისე „შეცურდა“ მოსახვევში – ოქროს თევზი გამახსენდა. ეჰ, მართლა რომ დამეჭირა ეს ოქროს თევზი?! პირობითად ვამბობ, რა თქმა უნდა, თორემ სათევზაოდ მე არ დავდივარ და არაფერი! ნატერისთვალი იყოს თუ გნებავთ! ან, რაც გინდათ, ის! ოლონდ ჩემი ოცნება ამოხდეს! ჩემი ოცნება კი... ოოო, რა რთული ასახდენია! ლონდონში მინდა დავუკრა! არადა, ყველამ იცით, რა ძნელად მისაღწევია ეს! ფული თუ არა გაქვს, ვიზასაც ვერ მიიღებ. ერთი ინეკდოტი გამახსენდა: ტიპი მივიდა მბორნესთან და ეუბნება, ინპირზე გადამიყვანეო. ფული გაქვსო? ჰკითხა მებორნეს. არაო, ამან. აბა, ბიძია, ფული თუ არა გაქვს, ან ამ ნაპირზე რა გინდა, ან იმ ნაპირზე ვის სჭირდებიო! აი, ასეა ჩემი საქმე. ამასობაში ბიჭებიც ამოვიდნენ.

– ზეგ მაგრად შევუბეროთ! – მითხრა თემომ.

– დიდი მადლობა, ძმაო... – ჩავილულლუღუ მე.

ერთმანეთს დავშორდით. „ფეხით გავიდეთ, რომ დავიღლები, ტაქსის მერე გავაჩერებ, ნაკლები დამეჯდება!“ „მარშუტკითაც“ ნავიდოდი, მაგრამ ამ ბიტარით... სავსე ტრანსპორტში გამიჭირდება, ხეცდასხვანაირად ჩაცმული ხალი მიდი-მოდის, ზოგს უფრო თბილად და ძვირფასად აცვია, ზოგს ნაკლებად. მაგრამ... მიდის ცხოვრება. ფუსფუსუბს ხალი, ერთი კი მიკვირს, ფუღს სად მოუღობენ ეს ფიპიანი ძიები და დეიდები, ჩემი ტოლა გოგონები? დავივიჯერო, ყველას ასეთი მაღალი ხელფასი აქვს? არა! აქედან როგორმე უნდა წავიდე! თანაც აქ ღამის დღლ-გარმონზე გადავიდად მთელი ესტრადა! ამ ოროი ძალიან ცოტას აღელვებს. ელიტაში თუ არაგინ გყავს, მაკარტნიც რომ იყო, ახლოს არ მიგიკარებენ! ელიტა კი ფონოგრამისტებით არის სავსე! „ბარკო ბოლოში“ კარებთან ორი პატარა პირდაპირ ქუფენილზე წევს. სძინავთ სანყლებს. ამ სიცივეში! ნინ ქუდი უდევთ, ზეგ რამდენიმე მონეტა გდია. მეც მოვიქექე ჯიბეები, ოცთეთრიანი აღმოვაჩინე და ქუდში ჩაუუდგე. ღმერთო, უშველე ყველა გაჭირვებულს! „ჭა გავაგრძელე, უკვე საკმაოდ აცივდა, დავიღალე... სანამ მეორე მხარეს გადავიდოდი, კუთხეში მესაათის ჯიხურთან შევნიშნე, თეთრად შეღებილი. ეუნაურმა წარნერამ მიიქცია ჩემი ყურადღება: „ოცნებათა ასრულება“, ფასი 1 ლარი. „ფილმია, ალბათ“ გავიფიქრე. „ძველი დისკი აქვს და იაფად ყიდის, მიყვარს ასეთი ფილმები. ვიყიდი“.

ჯიხურში თავი შევყავი. ჭაღარა კაცი ჩანთაში რაღაცებს ანყობდა.

– ვიკეტებით, – მითხრა.

– თუ კარგი ფილმია, შევიძენ, – ვუპასუხე.

– არავითარი ფილმი მე არა მაქვს – ოცნებათა ასრულება რეალურია!

– როგორ თუ რეალური? ერთ ლარად? დღეს პირველი აპრილი არაა, ბიძაჩემო... კარგი, კარგი, გილოცავ ახალ წელს! – შემოგტრიალდი, წამოსვლა დავაპირე.

– ახალგაზრდავ, თუ ერთი ლარი გენანება შენი ოცნების ასრულებაში – მიჩუქნია! წესიერ ბიჭს გავსარ და ისე დაგეხმარები!

შევჩერდი. – არ ვიცოდი, რა მქენა.

უცებ გადავწყვიტე:

– კარგი! დამეხმარეთ!

– „ბარკო ბოლო“ ხომ იცი? კაფეა აქვე – რუსთაველზე.

– ჰო, ვიცი, ახლახან გამოვიარე იქ.

– იქ შედი. ჰოლში, პირველ სართულზე, აკვარიუმთან დაჯექი. იქ რაზეც ილაპარაკებ, ყველაფერი აგისრულდება!

– ეს ვითომ რატომ? – გავიოცე მე.

– ოქროს თევზია შიგნით და იმიტომ – გამიცინა ძან.

– კარგი ზღაპარი მოგიგონიათო. უკაცრავად, თქვენი გვარი შემთხვევით გრიმი ან ანდერსენი ხომ არ არის? – გავიფუვინტე, „მეცადავა“ ამ უცნაურ კაცთან.

– ხომ გითხარი, შენი ლარიც არ მინდა-მეთქი. წადი იქ რამდენიმე კაცთან ან შენს გოგონასთან ერთად, თუ გინდა, მარტო, მაგრამ მარტო როგორ უნდა ელაპარაკო ოქროს თევზს? ვიღაცას გიგი ეგონები!

– კარგი, კარგი! ეჰა, აიღეთ თქვენ ლარი! – რატომღაც მეგონა, როგორც წიგნებშია – მეტყოდა, რაც ოცნება აგისრულდება, წილში ჩამსვიო. გამომცართვა და ცხრა ლარი ხურდა მომცა. „ცხრა კარგი ციფრია“ გავიფიქრე მე. „ათიც არ იყო ცუდი“ შემეპასუხა ჩემივე ფიქრის ფიქრი.

– მილიონად გეკეცეს. – გამიცინა მესაათემ. „ან ეს მესაათე აქ ასე გვიან საიდან გაიჩითა?“ გამიელვა გონებაში.

– დღეს ცოტა ხნით შემაგვიანდა! – ფიქრს მიმიხვდა მესაათე.

– კარგი! დამდეგ ახალ წელს გილოცავ! თუ მომატყუე, ღმერთმა შეგარგოს! მიყვარს ნიჭიერი ხალხი. ბოლოს და ბოლოს – მეც სპონსორს ვეძებ!

– ჰოდა, მიდი „ბარკო ბოლოში“.

– ახლა ფული არა მაქვს, ხვალ ნავალ!

– ჰო, წინასაუბაღლნოდ ჯობია!

– ვიცი, – რატომღაც დავეთანხმე.

ეს ამბავი რომ ვინმეს მოვუყვე, იტყვიან, გიჟიაო. არადა, ახლახანს არ ვფიქრობდი ოქროს თევზზე?

●

სახლში რომ მივედი, კომპიუტერს მივუჯექი. უცებ ამომიგდო: „თქვენ ხართ მემილიონე ვიზიტორი! დაკლიკეთ აქ“. ვაი, თქვენ პატრონს – სწორედ რომ ვირუსებს შემოგაყვანინებთ ჩემს კომპიუტერში! მაგ ჭკუაზე ვარ! შევედი „ფეის ბუკში“. „სად არის ხათუნა? აი, უკვე შესაძლო მეგობრებშია, დავეთანხმე მის შემოთავაზებას და მივწერე: „ძილის ნებისა, ზღაპრული პრინცესავ, ხვალამდე“. რატომღაც არ მინდოდა დღეს მასთან კავშირი. ალბათ, დღევანდელი განცდების გაუბრალოებას ვარიდებდი თავს. ავდექი და ჩავრთე მრავალსერიანი ფილმის „ბითლზების ანთოლოგიის“ ის ნანილი, რომელიც მათ პირველ ნანიჯებს ეძღვნება. მართლაც რომ ფანტასტიკური ისტორიაა“ მიმიკერავს კონკია და ცხა ზღაპრები! ჯონი გვიყვება: მე ჯგუფში მყავდა, „ქეორიმენი“. ბანჯოზე და გიტარაზე ვუკრავდი, სხვები კი ყველაფერზე უჩხაკუნებდნენ. სარეცხ დაფაზე, ენიტაზის თავსახურზეც კი!. ერთმა ჩემმა ამხანაგმა პოლი მომიყ-

ვანა... ჩემზე უმცროსი იყო, რაღაცები მიმღერა. მე არ ვიცოდი ყველა სიმღერის ტექსტი თავიდან ბოლომდე, მაწ კი იცოდა. ასე დავმეგობრდით... და ა.შ. და ა.შ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იქ ნუთუ სხვა ნიჭიერი ადამიანები არ იყვნენ? როგორ არა, გატეხილია ინტერნეტი იმდროინდელი ჯგუფუების ვიდეოებით: ეს – მაინც გამორჩეულია! ესე იგი, ბედიც გინდა და ნიჭიც! არც ერთი კმარა მარტო და არც მეორე! „სკაიპი“ ახმიანდა, ვიღაცა კონტაქტს ითხოვს! ნაცნობი გოგონაა, მაკა.

– ჰო, როგორა ხარ?

– მოვიდე შენთან?

– არა, დღეს არ შემიძლია, – უხალისოდ ვუთხარი მე.

– სტუმარი გყავს?

– ჰო, – ვიცრუე; აბა, იმდღევანდელ ისტორიას ხომ არ მოვუყვებოდი?

– გინდა, ხვალ სადმე წავიდეთ? – მკითხა მოულოდნელად.

– არ ვიცი, ვნახოთ, ვერ შეგპირდები, რაღაც ვარიანტებია და... ჯერ ვერაფერს გეტყვი...

– რა ხასიათზე ხარ? უარის თქმა რომ არ იცოდე?

– უარი არ მითქვამს – გავლილნიანდი მე. „რატომ იცის ამ ხალხმა ნათქვამში სხვა რამის ძებნა?“. – კარგი, დაგირეკავ! ახლა მეძინება, დაღლილი ვარ, – ცივად ვუთხარი და კავშირი გავწყვიტე. ღამით ქალთევზა დამესიზმრა. ჩემთან მოცურდა და მითხრა:

– მე დაგირეკავ ხვალ.

საოცარი ის იყო, რომ წყალში სუნთქვა შემეძლო! და ისე თავისუფლად, ბავშვობის მერე რომ არ მისუნთქავს! რა კარგია, რომ არსებობს სიზმრების სამყარო. ძაან მაგარი გამოგონებაა! მადლობ, ღმერთო!

●

შუადღემდე მეძინა. მერე თემო მოვიდა. რაღაც ახალი სიმღერა მომასმენინა.

– ბიჭო, იცი, რა მინდა? – ვკითხე, როცა სიმღერა დაასრულა.

– რა, არ მოგეწონა? – ცოტა არ იყოს, იწყინა თემომ.

– ეგ კარგი, მაგრამ დღეს თავში სხვა რაღაც მიტრიალებს.

– ხათუნა! გამოვიცანი?

– ჰო, ხათუნა, მაგრამ...

– რატომ, კარგი გოგოა! – გამამხნევა მეგობარმა.

– ეგ ჰო... რაღაც კიდევ არის... აი, პროდიუსერია, რომ თქვა, გახსოვს?

– მახსოვს... რა მერე? ეგ მეც გითხარი და შენც ამბობ და, საერთოდ, ყველასთვის ცნობილი ამბავია, რომ...

– არა! გაწუმდი! ეგ სხვანაირად დამესიზმრა! მოკლედ, „მარკო პოლოში“ უნდა წავიდეთ დღეს!

– რეპეტიცია? დღეს ხომ იქვე შეგვიძლია შევუკვეთოთ რაღაცები. თუ გინდა, ხათუნაც იქ მივიყვანოთ, მაკაც.

– მაკამ დამირეკა გუშინ. ეგ არ გვინდა.

– ხომ გითხარი – ხათუნა ჩაგვარნანა გუშინ.

– ნომერი არ ვიცი, ეგრეც რომ იყოს.

– მოკლედ, ასეთი გეგმა დავსახოთ: წავიდეთ რეპეტიციაზე და მერე ვესტუმროთ „მარკო პოლოს“. რა დაგვიჯდება?

უხერხულად შევიშმუშნე.

– ოც ლარს გამოვართმევ ჩემებს.

თემო ჩაფიქრდა:

– გაანნია, რამდენი ვიქნებით. მოდი, მარტო მე და შენ წავიდეთ, რადგან ასე გინდა. მეც ვერა ვარ ფულის საკითხში მთლად კარგად!

– აი, ეს სიტყვა მომეწონა; „მთლად!“. მაგ სიტყვას თუ ამოვიღებთ, საკმაოდ ნორმალურად ხარ! არა? – ნამოვიძახე მე.

– ჰო, დაახლოებით ასეა, – გაიცინა თემომ, თავისი ჰოლივუდური კბილები გამოაჩინა. – თანაც, რა უნდა ვეჭამოთ და დავლოთოთ მე და შენ ისეთი, რომ მაგან დადგაქციოს!

რეპეტიციის შემდეგ „მარკო პოლოს“ მივადექით. გარედან ბევრჯერ მაქვს ნანახი ეს ევროპული ნაგებობა, მაგრამ შიგნით არასდროს ვყოფილვარ.

აქ ჩემი ხნის ხალხი არ დადის ან, თუ დადის, იშვიათად. უფრო ბიზნესმენები ხვდებიან ერთმანეთს – ქუჩიდან ასე ჩანს. თვალი მოვავლე მდიდრულ ინტერიერს და აკვარიუმი დავინახე, მაგიდას მივუახლოვდით და შევცქი: „დაკავებულია“ – ეწერა ფირფიტაზე.

მოგვიახლოვდა ლამაზი გოგონა.

– შეიძლება აქ დავსხდეთ? – ვეკითხები.

– თუ დიდხანს არ იქნებით...

თემომ თვალი ჩამიკრა:

– არა, დიდხანს არ ვიქნებით! – სწრაფად მიუგო და ადგილი დაიკავა!

– ბიჭო, აკვარიუმთან მე დამსვი. – ვთხოვე მე.

– კი, ბატონო! – ჩაინია და აკვარიუმს მიუუჯექი.

– თევზები გიყვარს? მეც მიყვარს, მაგრამ აქედან უკეთ ჩანს. – თემომ აკვარიუმი შეათვალიერა.

– ერთი საიდუმლოს გეტყვი. არ გაიცინო, ხომ იცი, ყველაფერი უნდა მოსინჯო, რაც მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს.

– გარდა ერთისა! – გაიცინა თემომ.

– რა თქმა უნდა! – დაუფიქრებლად დავეთანხმე. – მომისმინე, გუშინ ერთმა მესაათემ ერთ ლარად მირჩია აქ მოსვლა: ოქროს თევზია აკვარიუმში და, რასაც თხოვ, ყველაფერს შეგისრულებსო!

თემომ გაიცინა.

– ამ თვეზზე თქვა?

– ჰო, ალბათ. ეს უნდა იყოს. დიდი და ყველაზე ოქროსფერი!

– მაშ, თხოვნა პირველი! ეს ჰარ-მარილი ვილაგებს გადაგვიხადოს!

– მოიცა რა! – შეევდავე. – ეგ რა ოცნებაა? მოდი, ლონდონში წასვლა ვთხოვოთ!

ამასობაში მოგვიტანეს არაყი, ხილი და მსუბუქი კბბამი.

– იცი რა, ნიკა? ოცნებასაც დაზუსტება უნდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, უფროსია ჩემზე, მილიონი ვთხოვე ღმერთს და მომცაო, ოღონდ კუპონებითო! არადა, მილიონნი ერთი დოლარის ტოლი იყო მაშინ!

– ესე იგი, დავაზუსტოთ! ოქროს თვეზო! გაგიშვეი ლონდონში, რათა მუსიკით თავი გამოვიჩინოთ და თავიც ვირჩინოთ!

– ეჰ, ოცნებაც არ შეუძლია ქართველ კაცს!

– ოქროს თვეზო ვარსკვლავებად გვაქციე, მსოფლიო ვარსკვლავებად! გაიგე? სულერთია, რომელ დარგში: მუსიკა იქნება, კინო თუ ტელევიზია!

– აი, კუდიც გაგვიქნია, რაც თანხმობის ნიშანია!

ასეთ საუბარში ვართ, რომ კარი გაიღო და ხათუნა ვიღაც გამხდარ, მდიდრულად ჩაცმულ, ვრცელპალტოიან ჭაღარა კაცს შემოჰყვა.

მე ციმმა ოფლმა დამასხა: „საყვარელია!“ გამოელვა უცებ.

ხათუნა შორიდან მომესალმა. ქუჩის მხარეს, ვიტრინის ქვეშ მდგარ მაგიდას მიუსხდნენ.

– ესეც შენი ოქროს თვეზი. – დამცინავად მითხრა თემომ.

– შოკში ვარ, – ჩაგრუზრუზელ მე.

– ნახე, ბიჭო, ვინ ჩაიარა? – უცებ ვიტრინისკენ მიმახედა თანამესუფრემ.

– ვინ?

– ვინ და ბიძაჩემმა, ახლავე შემოვიყვან! – თემო გარეთ გავარდა. ცოტა ხანში 45-იოდე წლის მამაკაცთან ერთად შემოვიდა.

– გაიცანი, დათო ბიძია, ეს ჩემი ძმაკაცი, ნიჭიერი მუსიკოსი, მომღერალი – ნიკა!

– ოო, სასიამოვნოა; ბიჭებო, აქ რა გინდათ? წავიდეთ, ერთი ტაშხოშიანად ვიქეიფოთ... შინდისში ანა ტაბახმელაში...

– არა... არა, გმადლობთ, აქ ვიქნებით, – უხალისოდ ვუთხარი მე.

– კარგი, მაშინ მეც აქ დავჯდები! რა შეეუკვეთოთ?

– გენაცვალე, – დაუძახა მიმტანს, – ერი‌ი, მოგვგზედე!

ლამაზი გოგონა მოგვიახლოდა.

– კი‌ი მწვადები მაგვარი რამეები გაქვთ?

– კი! სტეიკი გვაქვს ოჯახურად შემწვარი. ხორცი გვაქვს თავისი გარნირით.

დათო ბიძიამ თვალები მონკურა და ისე გადმომხედა:

– რომელი ჯობია?

მე რა ვიცოდი, მაგრამ მაინც ვუთხარი:

– სტეიკი იყოს!

მან კი ყველაფერი მოატანინა, ხაჭაპურები, თევზეული... მოკლედ – ქეიფი გაჩაღდა.

თემო ჩემკენ გადმოიხარა და ეშმაკურად მითხრა:

– მგონი, ოქროს თვეზმა პირველი სურვილი აგვისრულა, – ბიძაჩემი გადაიხედის ყველაფერს!

– მართლა? – რაღაც მძიმე ლოდი მომეხსნა. არ ვიცი, ის გამიხარდა, რომ ჩვენ არ ვიხდიდით, თუ ის, რომ ოქროს თვეზმა პირველი სურვილი აგვისრულა და თავი არ შეირცხვინა.

– ბიჭო, კაი ჯაბი ხომ არ ვთხოვოთ? – გაიცინა თემომ.

– ჯიბს ვერ შეგპირდები, ძმისშვილო, მაგრამ ერთი კაი მანანასა, ასე ათი ნლისა, ჩემზე იყოს ამ ახალ წელს! – ხელი დაარტყა დათო ძიამ მხარზე.

სულ გავგიჟდი!

– ბიძაჩემი სიტყვის კაცია; მოდი, მოვუყვეთ ოქროს თვეზის ამბავი!

ისეთ კარგ გუნებაზე ვიყავი, ვუთხარი, აგე, აქ ოქროს თვეზი გვყავს-მეთქი. ისიც – დავძინე, თემრმა სუფრის გადამხდელი ინატრა და ეგ რა არის – უკვე მანქანაც დაირტყა-მეთქი.

დათო ბიძიამ ორთავეს გადმოგვხედა:

– შეიძლება მეც ვთხოვო?

– რა თქმა უნდა, – გავთამამდი მე.

– ოქროს თვეზო! იმდენი მომეცი, რომ ყველას გამოვადგე.

– აბა, შენ იცი! – თითი დაუქნია თემომ ოქროს თვეზს.

– რა მაგის პასუხია და ჯეკაპოტი, მე მგონი, ახალ წელს გათამამდება! ასე მგონია!

– ეგ „ჩანყობილი“ იქნება...

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს, – ხატოვნად ვთქვი მე. – ჩვენ უკვე „ჩავანყვეთ“ ოქროს თვეზთან.

ხათუნა და მისი თანმხლები მამაკაცი წამოდგნენ. ხათუნამ თავი დამიკრა და გარეთ გავიდნენ. მიმტანმა კარებამდე მიაცილა ნყვილი. „ანგელოზი და მოხუცი!“ – გავიფიქრე. ცინიკურად განვეწყე:

– აი, ვისაც ფული აქვს, იმათთან დადიან ასეთი მშვენიერი გოგონები! ამის დედა ვატირე!

ლამის ცრემლიც მომადგა...

– ერთი მგისიც... დაიკიდე!.. მოდი, იმ მაკას დავურეკოთ, მოვიდეს.

ნომრის აკრეფა დავიწყე, ისე, უგულოდ, სად მაკა და სად ის... ხათუნა! ამ კაცის ნახვამ სულ დაამსხვრია ჩემი ოცნება: სად მე – სად ის!

– გოგონებიც, დაქალებიც წამოაყვანინე, – ჩამძახოდა დათო ბიძია, თვალები სურეელისგან ულელადა.

– მაკა, გამარჯობა. ნიკა ვარ! ჰო, აი ახლა მოვიცალე და „მარკო პოლოში“ გეპაატიეები! ჰო, ორი დაქალიც გამოსაყოლე!

– სპოსსორი იშოვეთ? – მკითხა მაკამ.

თქმის თვალი ჩავუკარი –

– ჰო, სპოსსორი ვიშოვეთ.

ვიღაც სამი მამაკაცი შემოვიდა. მოშორებით დასხდნენ, ყავა მოითხოვეს და ჩუმი საუბარი წამოიწყეს. დათო ძიას არ შეუნიშნავს.

– მოდი, ახლა ქალები რომ მოვლენ, სხვაგან წავიდეთ!

– კი, ბატონო! – უკვე საკმაოდ მომეკიდა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი.

– ბიჭო, თავი სიზზარში მგონია, – მითხრა თქმომ.

– მართლა გიყიდის მანქანას? – ჩავეკითხე.

– ასპროცენტიანი! – დამდასტურა დათო ბიძიამ.

– მე მინდა, მესაათის საფლეგრძელო შემოგთავაზოთ.

– მესაათე კი არა, ჯადოქარი ყოფილა, – მითხრა თქმომ.

– რომელ მესაათეზე ლაპარაკობთ? – გაიკვირვა დავითმა.

– ეს უკვე საიდუმლოა, ეს ჩვენ ვიცით, ბატონო დავით, მხოლოდ ერთს გეტყვით, ოქროს თევზის ამბავი მან მითხრა, ახლა – ვინ არის და სად მუშაობს, ნუ მკითხავთ! – გავუცინე დათო ძიას.

– ბიჭებო, თქვენ ვინც კარგად მოგექცევთ, ყველას გაუმარჯოს, გინდ მესაათე იყოს, გინდ მექისე, გინდ პარკამხერი!

– მეთევზე არ დაგავიწყდეს, ძია, მეთევზე! – შეუთანხა თქმომ.

– აბა, მეთევზის გარეშე საქართველო, თბილისი, ფიროსმანი, ღვინო, ფუფუკი, ქალები ვის გაუგია?.. „ქალები“ თქვა თუ არა, სამი გოგონა შემოვიდა კაფეში, აქედან ერთი მაკა იყო.

– ნახე, ბიჭო, სიტყვა არ დამიმთავრებია და ეს ნატვრაც არ ამიხდა? მოდით, გოგონებო, თქვენ გენაცვალეთ! – გაიხარა თქმოს ბიძამ.

– აბა, გაიცანით! ეს მაკაა, ეს... – წამოინყო ძმისშვილმა.

– თაკო და თიკო! – დაასრულა მაკამ.

– თქვენ გენაცვალეთ! – აღტაცებით გაიძახოდა დავითი. – თაკო, თიკო, მაკაკა... იაპონურ პოეზიას კეთილუნლის, ნაღდად!

გოგონები მოკალათდნენ, რაღაცები შეუკვეთეს. იმ მაგიდისკენ გავიხედე, სადაც სამნი ისხდნენ, აღარავინ იყო – წასულან.

– რას დალევთ, გოგონებო, შამპანურს? – ხელები გაშალა დავითმა.

– აუ, ახლა ვფიქრობდი, ნეტა, შამპანურს თუ დამალევინებენ-მეთქი! – შეჰკივლა თიკომ თუ თაკომ, ჯერ არ ვიცოდი.

– ესე იგი, ფიქრებსაც ასრულებს? – გაოცებით გადმიხედა თქმომ. – თევზი კი არა, ჯინი ყოფილა!

– ოქროს თევზზე ერთი ანეკდოტია, უფრო სწორად, მთელი ციკლია, მამაჩემმა მიამბო. - წამოვიწყე მე: – საბჭოთა რუსმა დაიჭირა ოქროს თევზი. თევზმა უთხრა, ვანია, ნუ მომკლავ და სამ სურვილს შეგიასრულებო. აბა, ერთი კასრი ლუდი გააჩინეო, უთხრა ვანიამ. თქმა არ იყო და კასრი ლუდი გაჩნდა. მეორე სურვილი რა იქნებაო, – იკითხა საცოდავმა თევზმა. რუსმა შეხედა თევზს, მერე ლუდს, მოკიდა თევზს ხელი და თავის რტყმე-ვინება დაუწყო...

დათო ბიძიამ გაიცინა, სხვები ვერ მიხვდნენ.

– რატომ? – მკითხა მაკამ.

– იმიტომ, რომ მეორე სურვილი თევზი ჰქონდა! ლუდზე – თევზი! გასაგებია?

– ააა... მერე ვერ ჩაუთქვა? – გაიკვირვა თიკომ.

– თქვენც მაგრები ხართ რა, ანეკდოტია – წამომეშველა თემო.

– ჩაოქმასაც ნიჭი რომ უნდა, მაგაშია საქმე!

– მოდი, ჩვენი ნატვრების ასრულება იყოს!

აღმოჩნდა, რომ ყველას ბევრი ფული და ჯანმრთელობა უნდოდა და კარგი ბედი.

– რა თქმა უნდა.

– თქვენი თხოვნები მიღებულია! – განაცხადე მე.

– ახლა კი აქედან წავიდეთ, – თქვა დათო ძიამ. – სად წავიდეთ? – ყველას მოგვმართა.

– კაზინოში! – თქვა თიკომ თუ თაკომ.

– წავედით!

დაღლილი ვიყავი, მაგრამ რა გაეწყობოდა, გასასვლელისკენ დავიძარით. დათო ძია ბარმენთან მივიდა, უცებ გამობრუნდა და თემოს რაღაც ჩაულაპარაკა. გარეთ გამოვედით, „ლენდ კრუზერით“ აღმოჩნდა დავითი. ყველანი ჩავეტიეთ, ის კი არადა, ერთი-ორი კაცი კიდევ ჩაეტეოდა. თემოს ვკითხე:

– რა გითხრა გასასვლელში? ძალიან ძვირი უთხრეს?

– გაგიჟდები! ფული არ გადაახდევინეს, – თქვენს მაგიერ სხვამ გადაიხადაო, ასე უთხრეს.

– ააა, მივხედი! მის ზურგს უკან სამი კაცი იჯდა, ერთ-ერთმა იცნო, ალბათ.

– მეც ასე ვიფიქრე! ხედავ, რა კარგია, კარგი ძმაკაცები რომ ყყავს? – მრავალმნიშვნელოვნად მითხრა თემომ.

– ოქროს თევზს წყალში ჩაუყარე ხომ პატივისცემა?

– ეჰ, ნეტა, მართლა იყოს! – ნაღვლიანად თქვა თემომ.

●

კაზინოში შესვლა ერთი პრობლემა აღმოჩნდა. ისე არ გვეცვა, როგორც აქაურობას შეეფერებოდა, არც სანდო კლიენტებს ვგავდით. ბოლოს, როგორც იქნა, დავითმა დაარწმუნა ფეისკონტროლის ხალხი, რომ

ᲭᲐ ფული აქვს, ᲩᲘᲩᲘᲚᲘᲡᲔᲜᲘᲐ და ᲩᲒᲘᲜ, ᲣᲑᲠᲐᲚᲚᲔ, ᲒᲣᲚᲐᲑᲐᲗᲘᲐᲜᲘ. სადმე კუთხეში დასხდებიანო, ᲣᲗᲘᲠᲐ.

ᲠᲝᲒᲠᲝᲠᲪ ᲘᲛᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲯᲔᲓᲘᲗ. ᲡᲐᲯᲐᲛᲝᲓ ᲓᲛᲘᲑᲘᲜᲔᲚᲘᲡᲔᲜ ᲒᲝᲠᲒᲝᲠᲘᲜ ᲘᲛᲘᲯᲔᲓᲘᲗ ᲙᲠᲣᲖᲘᲠᲘᲡᲔᲜ. ᲮᲐᲜ ᲔᲠᲗᲘᲡᲘᲪᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲯᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲪ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲯᲝᲠᲑᲝᲓᲐ! ᲛᲐᲯᲐᲛ ᲩᲐᲛᲘᲪᲐᲠᲐᲯᲐᲜ:

– „ᲨᲘᲨᲕᲔᲑᲘ“ ᲓᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲘᲐ ᲛᲐᲒ ᲑᲘᲫᲐᲡ! ᲛᲐᲧᲣᲗᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲙᲘᲐ ᲩᲐᲡᲚ!

– ᲛᲘ ᲠᲝᲒᲠᲝᲠ ᲒᲣᲗᲮᲠᲐ, ᲗᲣ ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲜ ᲐᲠ ᲨᲘᲛᲝᲗᲐᲜᲯᲐᲗ? – ᲨᲘᲪᲘᲒᲐ ᲓᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲘᲐ ᲛᲐᲒ ᲓᲐᲛᲘᲯᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲣᲗ-ᲮᲣᲗᲣᲜ „ᲨᲘᲨᲯᲐ“ ᲓᲐᲓᲒᲐᲠᲘᲜᲐ, ᲗᲘᲗᲝᲛ – ᲮᲣᲗᲡᲐᲠᲘᲐᲜᲘᲜ.

ᲒᲝᲠᲒᲝᲠᲘᲜ ᲐᲬᲧᲘᲜᲔᲑᲘᲡᲔᲜ ᲓᲐ ᲠᲣᲚᲔᲢᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲔᲡ. ᲓᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲛ ᲨᲘᲪᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲜᲔᲢᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲬᲐᲓᲔᲓᲘᲡᲔᲜ. ᲛᲐᲡᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲐᲠᲐᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲯᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲬᲐᲓᲔᲓᲘᲡᲔᲜ. ᲛᲐᲡᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲐᲠᲐᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲯᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲬᲐᲓᲔᲓᲘᲡᲔᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲡ. ᲓᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ – ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲯᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲘᲡᲙᲘᲜᲔᲑᲘᲡ 1-ᲘᲜᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲐ! ᲩᲘᲛᲘ ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡᲢᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲠᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲘᲡ! 40 ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ ᲧᲣᲓᲘ 200 ᲚᲐᲠᲘᲡ! ᲮᲣᲗᲯᲔᲠᲘ – 1000! ᲛᲝᲒᲐᲪᲘᲓᲔᲗ ᲐᲛ ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

– ᲠᲐᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲘ? – ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲯᲐ ᲛᲐᲯᲐ – ᲛᲐᲒᲠᲝᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲗ, ᲘᲪᲘ?

– ᲔᲠᲗᲘᲡᲘᲪᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲛᲗᲐᲜᲯᲐᲗ ᲛᲔ. ᲛᲐᲜᲘᲪ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲪ... – ᲛᲘᲠᲐᲒᲜᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲓ ᲒᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲛᲔ.

ᲛᲐᲜᲘᲪ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ? – ᲒᲐᲛᲘᲛᲐᲮᲐᲖᲐᲠᲐ ᲛᲐᲯᲐᲛ.

– ᲣᲑᲠᲐᲚᲚᲔ, ᲩᲒᲘᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘ.

– ᲛᲐᲨ, ᲛᲔᲪ ᲐᲡᲔ ᲯᲝᲮᲐᲛ! – ᲛᲐᲯᲐ ᲠᲣᲚᲔᲢᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲨᲔᲠᲩᲔᲠᲓᲐ. ᲠᲝᲒᲠᲝᲠᲪ ᲛᲝᲡᲚᲔᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲓᲔᲓᲐ. ᲓᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ – ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲓᲔᲓᲐ. ᲛᲔ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲨᲔᲛᲘᲛᲗᲐᲜᲯᲐᲗ.

– ᲠᲐᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲘ? – ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲯᲐ ᲛᲐᲯᲐ – ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲗ, ᲘᲪᲘ?

– ᲔᲠᲗᲘᲡᲘᲪᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲛᲗᲐᲜᲯᲐᲗ ᲛᲔ. ᲛᲐᲜᲘᲪ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲪ... – ᲛᲘᲠᲐᲒᲜᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲓ ᲒᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲛᲔ.

ᲛᲐᲜᲘᲪ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ? – ᲒᲐᲛᲘᲛᲐᲮᲐᲖᲐᲠᲐ ᲛᲐᲯᲐᲛ.

– ᲣᲑᲠᲐᲚᲚᲔ, ᲩᲒᲘᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘ.

– ᲛᲐᲨ, ᲛᲔᲪ ᲐᲡᲔ ᲯᲝᲮᲐᲛ! – ᲛᲐᲯᲐ ᲠᲣᲚᲔᲢᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲨᲔᲠᲩᲔᲠᲓᲐ. ᲠᲝᲒᲠᲝᲠᲪ ᲛᲝᲡᲚᲔᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲓᲔᲓᲐ. ᲓᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ – ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲓᲔᲓᲐ. ᲛᲔ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲨᲔᲛᲘᲛᲗᲐᲜᲯᲐᲗ.

– ᲠᲐᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲘ? – ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲯᲐ ᲛᲐᲯᲐᲛ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲠᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲘᲡ! 40 ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ ᲧᲣᲓᲘ 200 ᲚᲐᲠᲘᲡ! ᲮᲣᲗᲯᲔᲠᲘ – 1000! ᲛᲝᲒᲐᲪᲘᲓᲔᲗ ᲐᲛ ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

– ᲠᲐᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲘ? – ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲯᲐ ᲛᲐᲯᲐ – ᲛᲐᲒᲠᲝᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲗ, ᲘᲪᲘ?

– ᲔᲠᲗᲘᲡᲘᲪᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲛᲗᲐᲜᲯᲐᲗ ᲛᲔ. ᲛᲐᲜᲘᲪ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲪ... – ᲛᲘᲠᲐᲒᲜᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲓ ᲒᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲛᲔ.

ᲛᲐᲜᲘᲪ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ? – ᲒᲐᲛᲘᲛᲐᲮᲐᲖᲐᲠᲐ ᲛᲐᲯᲐᲛ.

– ᲣᲑᲠᲐᲚᲚᲔ, ᲩᲒᲘᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘ.

– ᲛᲐᲨ, ᲛᲔᲪ ᲐᲡᲔ ᲯᲝᲮᲐᲛ! – ᲛᲐᲯᲐ ᲠᲣᲚᲔᲢᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲨᲔᲠᲩᲔᲠᲓᲐ. ᲠᲝᲒᲠᲝᲠᲪ ᲛᲝᲡᲚᲔᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲓᲔᲓᲐ. ᲓᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ – ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲓᲔᲓᲐ. ᲛᲔ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲨᲔᲛᲘᲛᲗᲐᲜᲯᲐᲗ.

– ᲠᲐᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲘ? – ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲯᲐ ᲛᲐᲯᲐᲛ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲠᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲘᲡ! 40 ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ ᲧᲣᲓᲘ 200 ᲚᲐᲠᲘᲡ! ᲮᲣᲗᲯᲔᲠᲘ – 1000! ᲛᲝᲒᲐᲪᲘᲓᲔᲗ ᲐᲛ ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

– ᲠᲐᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲘ? – ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲯᲐ ᲛᲐᲯᲐ – ᲛᲐᲒᲠᲝᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲗ, ᲘᲪᲘ?

– ᲔᲠᲗᲘᲡᲘᲪᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲛᲗᲐᲜᲯᲐᲗ ᲛᲔ. ᲛᲐᲜᲘᲪ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲪ... – ᲛᲘᲠᲐᲒᲜᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲓ ᲒᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲛᲔ.

ᲛᲐᲜᲘᲪ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ? – ᲒᲐᲛᲘᲛᲐᲮᲐᲖᲐᲠᲐ ᲛᲐᲯᲐᲛ.

– ᲣᲑᲠᲐᲚᲚᲔ, ᲩᲒᲘᲜ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘ.

– ᲛᲐᲨ, ᲛᲔᲪ ᲐᲡᲔ ᲯᲝᲮᲐᲛ! – ᲛᲐᲯᲐ ᲠᲣᲚᲔᲢᲘᲡᲙᲘᲜᲔ ᲨᲔᲠᲩᲔᲠᲓᲐ. ᲠᲝᲒᲠᲝᲠᲪ ᲛᲝᲡᲚᲔᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲓᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲓᲔᲓᲐ. ᲓᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ – ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲒᲓᲔᲓᲐ. ᲛᲔ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲘᲡᲐᲜ ᲨᲔᲛᲘᲛᲗᲐᲜᲯᲐᲗ.

– ᲠᲐᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲑᲘ? – ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲯᲐ ᲛᲐᲯᲐᲛ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲠᲪᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲘᲡ! 40 ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ ᲧᲣᲓᲘ 200 ᲚᲐᲠᲘᲡ! ᲮᲣᲗᲯᲔᲠᲘ – 1000! ᲛᲝᲒᲐᲪᲘᲓᲔᲗ ᲐᲛ ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინდა, შენც გამოგიგია და ერთად წავიდეთ. – სხაპასხუპით მივაყარე!

– გუშინ, იცი, რა მოხდა?

– არ ვიცი, დიდხანს გააგრძელეთ?

– თითთმ – თითთ მანქანის ფული მოვიგეთ! გავშრი.

– რას ლადაობ?

– ჰო, ზოგმა შვიდი, ზოგმა 10, დათო ძია არ მოეშვა და 50 000 ლარი მოიგო!

საწოლზე დავეშვი. მე მგონი, შოკში ჩავვარდი, ხმას ვერ ვიღებდი კარგა ხანს.

– ნიკა, ნიკა!

– ჰო, მომილოცავს, თუ არ „ლადაობ!"

– „ვლადაობ" კი არა, დღეს დათო – ბიძაჩემი, კლუბში გვეწვევა და მოგვისმენს, გაიგე?

წარმოუდგენელი იყო!

– გოგონებს, „ფიშკები" რომ აღარ ჰქონდათ?

– დათო ძია ეხმარებოდა, ხან აგებდნენ, ხან იგებდნენ, ბოლო-ბოლო გითენებისას მოიგეს! – გული დამწყდა არ ჰქვია ამას, ისეთი საშინელი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რაღაც ჩამწყდა: ესე იგი, დებილი ვარ! ოქროს თევზმა ყველა სურვილი შეასრულა და მე ვერ გავრისკე! ერთხელ მომეცა შანსი და მაშინ ვერ გავრისკე! თფუ! მაგის დედაც!..

– ნიკა, მომისმინე! შენ რომ არ იყავი, არაფერს ნიშნავს, გაიგე?

– როგორ? – აცოცელდი მე.

– დათო ძიამ თქვა დისკს გაგიკეთებთ, კლიპს გადაგიღებთ და მოგხედავთო, „ვოშშემ!"

ძალები მომეპატა, ეს მაგარი ინფორმაცია მიეიღე!

– დაგლოჯა, ბიჭო! აუუუ, რა მაგარია! ბიჭო, ხომ მართლა ვიყავით კაზინოში, ხომ არ მესიზმრა?

თან შარვლის ჯიბეები მოვქექე. კი! აქ დევს 1000 ლარი! აუუუ...

– ახლა მომისმინე, მე გამოგიგელი და გიტარა ერთად შევარჩიოთ, მეც ვიყიდი ეროს ჩემთვის და ბასიც გამოვცვალოთ, მოკლედ – ბიჭებიც გავახართ!

– მაგარი კაცი ხარ! მაგარი! – მთელი ხმით ვყვირიდი.

– ბიჭო, მაგარი მე კი არა, შენ ხარ, შენ არ მიგვასწავლე ის ოქროს თევზი?

უცებ დავსტრიოზულდი:

– ჰო, ეგ პინტტი მე ავაგდე! ესე იგი, ეს ამბავი მართალია! – გადაჭრით ვთქვი მე.

– მართალია და დათომ იცი, რა თქვა? აწი ყოველთვის „მარკო პოლოში" ვიყლიო!

გამეცინა. „მეც ასე ვიზამ" – გავიფიქრე. კომპიუტერს მივუჯექი. ეზოთერული, იდუმალი რაღაცები მიზიდავს. არც ისე მარტივად უნდა იყოს ყველაფერი, როგორც ერთი შეხედვით ჩანს! მაგალითად, აი, ეს მიკროსკოპულად შესწავლილი წყლის წვეთი, რომელიც ნყაროს წყლის ნანილაკია, როგორ იცვლის ფერს, მიმოხრას, კოფფიგურაციას იმისდა მიხედვით, თუ რა ხმები ესმის! ფსეიფიის ხმაზე ნელი, ნარნარი მოძრაობით წყლის ნვეთი ფიფქივ ფორმას იღებს; ხმამაღალი ლაპარაკისას, როგორც კუ შეყოფს ბაკნის ქვეშ თავს და კიდურებს, ისე იკუმშება, თითქოს თავის დაცვას ცდილობს; ბეთჰოვენის მუსიკაზე რაღაც ენერგიულ ბრუნს აკეთებს, თითქოს ცეკვავს, ხოლო სიტყვაზე „ჰიტლერი" საშინლად შავდება და მახინჯ, აწყნელ ფორმას იღებს! აი, რა არის საოცრება! იმ დღეს მამაჩემმა მითხრა – ქართულ ენაში რომ ყველა საიდუმლო ინახება, იმითაც დასტურდება, რომ ჩვენ ლმერთს „შენწალეებას" ვთხოვთ და მოუსაფარს, გაჭირვებულს „სანაყალს" ვეძახით. ოდითგანვე იცოდა ჩვენმა წინაპარმა, რომ წყლისგან ვართ შექმნილნი! ახლა ეგ ნამეტანია, მაგრამ რა იცის ამ წყლის წვეთმა, ვინ იყო ჰიტლერი? და, თუ ჩვენ წყლისგან ვართ, ანუ უმეტესი წილი ჩვენი სხეულისა წყალია, ალბათ, იმიტომ არ გვსიამოვნებს ჩვენს მიმართ გამოსროლილი ცუდი სიტყვები! უცებ ოქროს თევზი გამახსენდა: რომ ვლაპარაკობდით კაი-კი რაღაცებს, წყალი დაგვებმარა? არა! უკვე შევტოპე! იქ იმდენი ხალხი ჯდება და სხვადასხვა... წყაროებთან ქეიფობენ, ზღვის პირას, ჩანჩქერთან... ყველას ხომ არ უსარულდება სურვილები? მოიცა... მოიცა... ლვინო? ლვინო ხომ იგივე წყალია? ოოო... რა იდეა მომივიდა! გაგიოდება მსოფლიო! ქართველები რომ სადღეგრძელოს ამბობენ, ერთმანეთს სიკეთეს უსურვებენ, მერე ეს სიკეთით დამუხტული სითხე სხეულში ჩაედინება და უკან უბრუნდებათ თავიანთი კეთილი სურვილები! ბიჭოს, წერა ვიცოდე და მეცნიერი ვიყო! რა მინდოდა თეატრალურში, მთელი საქართველო რეჟისორი და არტისტი ხომ არ იქნება? ნამოვდექი. „მამას ვეტყვი" – გავიფიქრე. ალბათ, ასე წამოდგა ჯორდანო ბრუნო, როცა დარწმუნდა, რომ დედამინა ბრუნავდა! მე მასავით ნამდვილად არ დამწვავენ, უბრალოდ, გაიცინებენ, ამ „ლლაპს" ეს რა სისულელე მოსცლია თავმეო! ჯორდანო ბრუნოზე ერთი ანეკდოტი გამახსენდა უფრო სწორად, ფილოსოფიური გამონათქვამი: ჯორდანო ბრუნოს მმამაც იცოდა, რომ დედამინაწ მრგვალი იყო და ბრუნავდა, მაგრამ მას ცოლ-შვილი ჰყავდაო. სასაცილოც არის და დამაფიქრებელიც. ანუ, კაცმა მანამ უნდა „გარეკო" – ყველაფერი მოასწრო, სანამ დაცოლშვილდები, თორემ მერე... პასუხისმგებლობა და სხვა მოსაწყენი რამეები ინყებას! დედაჩემი შემოვიდა:

– კარგი ამბავი გითხრა? – რაღაც ისე მიღიმის, უბრალო ამბავი არ უნდა იყოს.

– ჰო, – მხოლოდ ეს გავიმეტე.

– სოსოს და მანანას ნათესავი ქალი ინგლისში ცხოვრობს...

– მერე? – ვითომ უხალისოდ გავაწყვეტინე.

– ამათთან ყოფილან ჩამოსულები ეს ქალი და მისი მეუღლე, მოკლედ, მთელი ოჯახი. ერთხელაც შეწმე უამბნიათ, რომ კარგი მუსიკოსი ხარ და ინგლისში გინდა წასვლა!

– მერე? – ვეღარ ვითმენ, ისე მინდა გავიგო, რა მოხდა მერე.

– ამ დილით დამირეკა იმ ქალმა ინგლისიდან და ასე მითხრა, მოვისმინე ჩანაწერები და ძალიან მიმეწონოო! აი! მე რომ არ გყავდე... ხომ ხედავ, როგორი პროდიუსერი ვარ? – ნაიკეკლუცა დედამ. ო ქნას დედაჩემმა, ძველი თაობაა: არსად წასვლა არ უნდოდა, არავითარი რისკი. გაჰყვა მამაჩემს და გვიელის ყველასს! თუმცა, ფორმაში რომ ჩადგეს, ბევრს აჯობებს!

– ეს არ ჰყოფნის, – ნაწყენი კილოთი ვუთხარი მე.

– ვიცი, იმ ქალმა თქვა, რომ მაგარ მუსიკოსს იცნობს, რომელსაც მალე მოასმენინებს ამ ჩანაწერებს...

– კარგი, კარგი, რომ მოასმენინებს – მერე ვილაპარაკოთ!

დედა გაბრწუნდა, არაფერი თქვა, სამზარეულოდან მისი გაურკვეველი ბუზღუნი მესმოდა. „რაგომ ვარ ასეთი?“ გავიფიქრე. არადა, ნამდვილად სასიამოვნო ამბავი იყო, ვინ იცის, იქნებ იმ კაცმა მიმინწვიოს ლონდონში... უცებ ელდა მეცა: „ლონდონში?“ „ლონ...“ „ოქროს თევზი!“ გამიელვა აზრმა: მგონი ოქროს თევზი „ამუშავდა!“ აბა, სად გაგონილა, ფუფუნებე ნათქვამი ერთი თვის მერე ვინმეს გახსენებოდეს, ინტერნეტში შესულიყოს, სიმღერები მოესმინოს და, რაც მთავარია, დაერეკოს! თავისი ფული დაეხარჯოს! ღმერთო! ეს რა საოცრებაა!

●

თემოსთან ერთად მუსიკალურ მაღაზიაში წავედი. იქ ნაცნობები მუშაობენ, კი არ მუშაობენ, მათი მაღაზიაა. ძმები არიან, დიასამიეკენი. ერთი მათგანი – ზურა, მუსიკოსია და მულტფილმებს ლუბს, მეორე – დათო ბიზნესმენია. არაჩვეულებრივი მაღაზია აქვთ. მამას იცნობენ და ყოველთვის კარგად მხვდებიან. ახლაც ასე დაგებდნენ – ყველა მოდელის დადებით და უარყოფითი მხარეები გაგგაცნეს და რჩევაც მომცეს, ჩემთვის რომელი აჯობებდა. ბინგიც ვიყიდეთ, ბასგიტარაც ჯგუფის ბიჭებისთვის.

– დღეს მაგრად უნდა დავუკრათ, – მითხრა თემმ, გარეთ რომ გამოვედით.

– ჰო, ახალი წელია და კარგი კონცერტი უნდა დაგვებედოს!

– იმედია! ნეტავ, ბევრი ხალხი იქნებოდეს!

– დათო ძია ხომ მოგაყავს? – ვკითხე თემოს.

– აბა, ამ საღამოს სხვაგან სად წავა, როკზე არ გიყდება მაინცდამაინც, მაგრამ ჩვენი ხათრით...

– გამაგიჟეს ეს ხალხი! – შევაწყვეტინე მე – რა სიამოვნებას იღებენ ამ ზურნა-დუდუკების და დოლ-გარმონის ჭყივიტინში. სუფთა სტამბოლია, რა... მე რატომ არ ვარ ასეთი? – მოულოდნელად ვკითხე მეგობარს.

– რა ვიცი! არც მე არა ვარ! არა, ისე ჩვენში რომ დარჩეს, ერთი ორი სიმღერის მოსმენა შემიძლია, მაგრამ მერე...

– წინათ თურმე როკისთვის გიყდებოდნენ თბილისში, – წამოვიწყე ყურმოკრული ამბავი. – აი, ეს ქოჩაროვი რა, ნიკა –

– ჰო, რა მერე?

– მამამისი თურმე დარბაზებს ჭედავდა, რა ერქვა? გამახსენდა: ვალერი, ვალერი ქოჩაროვი.

– და ის კიდევ... ბაჩი! ქიტიაშვილი! – შემახსენა თემომ.

– რა მოხდა მერე ასეთი... დამოუკიდებლები გავხდით და მაგან ჩამოგვაარჩინა?

– პოლიტიკა რა შუაშია! წავიდა მოდა! ხალხს ქეიფი უყვარს! დათოს, ბიძაჩემსაც და ყველა მის ძმაკაცს ერთი კაი შალაბო ურჩევნია მთელ როკენროლს! თუმცა, არც ისეთი ჩამორჩენილი ტიპია, „ლედ ცეპელინს“ უსმენდა ადრე, „ჩიკაგოს“ „ქვინს“, მაგრამ მერე წლები რომ მოემატა, მოუშვა ღიპი და მორჩა! ანუ, ქართული მამაპაპურ რელსებზე შედგა.

– საშინელებაა, აქედან უნდა წავიდეთ! იცი, რა შანსი იჩითება? – გამახსენდა უცებ დილის ამბავი.

– რა? – თვალები გაუფართოვედა თემოს.

– რა და დარეკეს ინგლისიდან! ჩვენი სიმღერები მოუსმენია ერთ ქართველ ქალბატონს და ახლა პროდიუსერს უნდა მოასმენინოს!

– ვაუ! ღმერთით, ეგება გამოვიდეს, ბიჭო! აუ, რას დაგლიჯავს...

– „ის“, ხათუნა აღარ გინახავს? – შემომაპარა კოლეგამ.

– ერთი მაგის... აღარც მაინტერესებს – ერთი ეს საქმე გამოვიდოდეს, მილიონს ვიშოვი და მერე ნახავს ეგ ბოზანდარა!

– კაი რა! არ გინდა ეგეთი მწარეები! რა იცი, ვინ იყო ის კაცი? – პრინციპში მართალი იყო, არ ვიცი, ვინ იყო ის კაცი, მაგრამ რალაც არ „დამეგვასა“.

– ვინ იყო და მაყუთიანი იობარი! ვინ იქნებოდა? – წამოვიღრინე მე.

– ისე, ჩვენში დარჩეს – არ ჰგავს ეგეთ გოგოს: ძაან განათლებული, არტისტული, მაგარი ჯიშის ფინია – ასე არ გაბანდდებოდა! ჩემი აზრით, რა თქმა უნდა.

გამომცდელი მზერა მომაპყრო.

– მერე, ის კაცი ბებერი იყო თუ არა... ჯიშიანი ნამდვილად იყო! მაღალი, სიმპათიური, ულუს – ფულიანი! მეტი რა უნდათ მაგნაირ სულით ბოზებს!

უკვე ვყვიროდი, გამვლელები უკან იხედებოდნენ – მათვალიერებდნენ, როგორც რომელიმე ექსპონატს, ისე, თითქოს თვითონ არ ყვიროდნენ ასე

და ვითომ ეს ქუჩა დროებით მიყუჩებული საგიჟეთი არ იყო!

– კარგი, კარგი, ნუ ყვირი! ოიგები დაგიზიანდება! – გამაფრთხილა თემომ.

ამ სიტყვებმა გამაჩუმა. ნამდვილი პროფესიონალი ვარ – სული ყვიროდა, მაგრამ მმა აღარ ამომიღია, რადგან ზუსტად მაგნაირების ჯინაზე უნდა ვიმღერო მაგრად!

●

11 საათზე კლუბი თითქმის სავსე იყო. ძირითადად ნაცნობები, ანუ ისინი, ვინც ხშირად გვსტუმრობდნენ სხვადასხვა დროს, დღეს კი ყველანი ერთად მოვიდნენ. დათო ძია მეუღლესთან, სიმპათიურ დეიდასთან ერთად მობრძანდა. ყველაზე კარგ ადგილს დაეცვნი.

– აქედან უკეთ ჩანს, – მოეფერა თემო.

საღამოს ნამყვანმა ცოტა ილაპარაკა იმაზე თუ რა ბედნიერებაა, რომ ახალ წელს ამ კლუბში ვხვდებით ყველანი და ან, ნახავთ, თუ სხვა გასართობ ადგილებზე უკეთესი საღამო ჩვენთან არ იყოსო!

სანნაალმდეგო არავის არაფერი ჰქონდა და კანტიკუნტებად ტაშიც გაისმა. შემდეგ ჩვენ გამოგვაცხადა. მე ლენინის სიმღერით დავიწყე „ქრისმას“. ეს მელოდიური და კარგი სიმღერაა, თანაც საახალწლო... დიდი ყურადღებით გვისმენდნენ, ბიჭები „ბეეტბში“ მღეროდნენ. თვალებში პროფეტქტორი მანათებდა და თითქმის ვერაკვის ვხედავდი, ისინი კი ნამდვილად კარგად ვგხედავდნენ – მაყურებლები. უცებ, ამ ნახევრად ბრმა მდგომარეობაში ნაცნობი წყვილი დავლანდე! ხათუნა და ის კაცი ფეხაკრეფით დადიოდნენ ადგილს ეძებდნენ. არ ვიცი, რა გრძნობა ჰქვია ამას, რომელიც დამეუფლა: სიამაყის თუ საკუთარი თავის მნიშვნელოვნის შეგრძნების, მაგრამ ის კი ვიგრძენი, რომ მესიამოვნა! „რატომ მოვიდა?“ სიმღერაზე აღარ ვფიქრობდი, ისე, სასხვათაშორისოდ დავამთავრეთ! ძალიან ცხელი ტაში კი იყო!

– ახლა მინდა, ჩვენს ქერათმიან გოგონებს ვუძღვნა ეს სიმღერა, – ვთქვი მე ინგლისურად.

– ხათუნა დაინახე? – ჩაჩურჩურა თემომ. თვალებით ვანიშნე, კი-მეთქი. – „ლავმი თენდერ“ – ხმადაბალა ჩავუღაპარაკე ბიჭებს. მიყვარს ელვისის ეს სიმღერა, არ ვიცი, რამეს მაგონებს თუ მომავლის სურათებს მიხატავს. გიტარის სიმებს ოდნავ ვეხებოდი, ძალიან ჩუმად, თითქმის ჩურწელით დავიწყე. ვხედავ, ჭაღარამ ხათუნა გამოიცქვა. შემდეგ „შევიყვანეთ“. ყველანი აცეკვდნენ. ისე მსიამოვნებს, ჟრუანტელი მივლის. თან ვმღერიდი და თან წარმოსახვით ხათუნასთან ვცეკვავდი... არ მინდოდა ამ სიამოვნების შეწყვეტება და თავიდან დავიწყე. ისე, რომ იცოდეთ, სიმღერა ძალიან ჰგავს სექსს! დათო ძიაც წამოდგა, მეუღლეს ეცეკვებოდა. ტრიალით მოგვიახლოვდებოდა და ხელს აგვიწევდა – ეტყობოდა, ბედნიერი იყო! მეც რაღაცნაირთბილი გრძნობა დამეუფლა. ისე კარგად ვიყავი, თითქოს ლონდონის „პალადიუმში“ გამოვდიოდი.

... როცა ჰოლმა სიმღერა დაასრულა, ჯონმა „პალადიუმის“ მაყურებელს მიმართა, იმ დღეს დედოფალი ელისაბედ II იქ ბრძანდებოდა.

– ახლა კი შეგიარულებთ „ტკისტ-ენდ შაუტს“, ვისაც ფული არა გაქვთ, ტაში დაგვიკარით, თქვენკი – მდიდრების და ლორდების მხარეს გაიიდეთ – ბრილიანტების სამაჯურები აარჩრიალეთ! ხალხი გადაარია, ასეთი რამის თქმა მაშინდელ ინგლისის ელიტაში თითქმის თვითმკვლელობა იყო... იგი მაინც მოკლეს, ოღონდ სხვაგან და სხვა ვითარებაში... მსუბუქ როკენ-როლებზე გადაგვდიოდა „გოუ ჯანი, გოუ თუ გოუ“ – ეს სიმღერა ჩაქ ბერიმ დანერა და ამით როკ-ენ-როლს ჩაპპერა სულელ ლექსივით გამომიგიდა! ყველანი იცინოდნენ და ისე ცეკვავდნენ, თითქოს რაღაც ძალიან საყვარელს და ახლოებელს იხსენებდნენ – ალბათ, ახალგაზრდობა რომ ჰქვია იმას! ჩვენი გამოსვლის პირველი ნანილი დასრულდა. „ნამყვანმა“ (საერთოდ, რა უბედურებაა ეს სიტყვა – „ნამყვანი?“ უფრო „გამხურებელი“ ან „შემყვანი“ უნდა ერქვას, ალბათ!) ლაპარაკი დაიწყო, აცინებდა კიდეც დამსწრე საზოგადოებას!

ჩვენ ძია დათოს მაგიდას მივუსხედით, ფაკტობრივად, ორ-ორი ვისხედით თითო სკამზე.

– ძალიან მაგარია, ბიჭებო! ძალიან მაგარი! – ქოშინებდა დავითი და თან „ვისკის“ გვისხამდა.

– მართლა მოგეწონათ? – დავითის მეუღლეს გადაეხედე. ქალის აზრი მაინც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენს საქმეში, რომელსაც შოუ-ბიზნესს ეძახიან!

– ძალიან კარგები ხართ! (იცი, რა? ახალგაზრდობა დამიბრუნეთ! – აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ქალბატონი ნათელა. (აღმოჩნდა, რომ ასე ერქვას).

– ახლა ამ საქმის ბიზნესსაწილი მაინტერესებს, – აონნივიდით დაატრიალა თვალები დათო ძიამ, – რაღაც ყოველისშემძლის სხივი უკრთოდა თვალებში.

– ანუ რამდენს გვიხდიან? – გაგბედედ მე.

– ჰო, რამდენს გიხდიან? – დაუზუსტა დავითმა.

– ას-ას დოლარს... დღეს. საერთოდ კი, რამდენი ბილეთიც გაიყიდება, იქიდან ვილებთ პროცენტებს, ზოგჯერ ათ-ათი ლარიც გვხვდება. აქვე ვხარჯავთ ლუფსი და მივდიოართ!

– მაშ, რატომ უკრავთ? – მიამიტურად იკითხა დათო ძიამ.

– იმიტომ, რომ ამის გარეშე არ შემიძლია, – ჩუმად, თითქმის ჩემთვის ვთქვი მე.

დავითი წამოდგა, ჯიბიდან რაღაც პაკეტი ამოიღო, ორგვლივ მიმოიხედა და დემონსტრაციულად გამოგვიცხადა:

– აჰა, თქვენ ათას-ათასი დოლარი და, რაშიც ვინდათ, მოიხმარეთ! ღმერთმა შეგარგოთ! კლიპს ცალკე დავიფინანსებთ! – მე არ ვიცოდი, რა მექნა. თემი მივარდა ბიძამისს და ყელში აკოცა. თვალებზე ცრცლი მომადგა. ღმერთო, რა ბედნიერი ვარ დღეს და რა მოხდებოდა, ხათუნა ჩემთან ერთად ყოფილიყო! ეს ფიქრი კიდევ გაგრძელდებოდა, რომ მხარზე ვიღაცის ნაზი შეხება არ მეგრძნო.

მოვიხედე – ხათუნა იყო:

– შეიძლება გეცეკვოთ?

არ მინდოდა წამოდგომა, რაღაც საზიზღარი მინდოდა მეთქვა, მაგრამ ისეთი ძალით მოქმედებდა მისი გარეგნობა ჩემზე, ამ ძალამ მიაძალა, წამოვმდგარიყავი.

– იცი, რა? მალე ანალი წელი მოვა და... ბიჭებთან ერთად მინდა შევხვდე, – რაღაც სისულელე მოვჩმახე:

– კარგი, მერე ვიცეკვოთ! გილოცავ დამდეგს!

გაბრუნდა, წავიდა, წავიდა და ის კაცი ნამოაყენა. იმ კაცმა ჩემკენ გამოიხედა, შემდეგ წინ გაატარა ხათუნა და ორივენი ვასასვლელისკენ გაემართნენ... გული, რა თქმა უნდა ჩამწყდა... ისე ეიყავი, თითქოს ყველაფერი გაკრა, დაიკარგა, ორგვლივ ბუნებეებული არსებები დაბორიალებდნენ...

ასე ვიდექი კარგა ხანს. უცებ ვიღაცა მეტაკა და მაკოცა:

– გილოცავ ახალ წელს!

ჩვენი დრამური იყო, ძალიან ბედნიერი ჩანდა...

●

სიზმარი ვნახე გამთენიისას, 2011 წლის პირველი სიზმარი, სადღაც ირლანდიაში თუ შოტლანდიაში, მთის შოლის მოქცეული ტბაში, რომელსაც ძირი არ ეჩანდა, ნავს ვმართავდი, ხოლო თეთრებში გამწყობილი ხათუნა ნაწყენი თვალებით მიეკქერდა. ასე ჩუმად მივაპობდით უზარმაზარ ტბას... მე მინდოდა, რაღაც მეთქვა, მაგრამ ვერ ვამბობდი. უცებ ეს ნავი მეჩერდა, ვუსვამდი რაც ძალი და ღონე მქონდა ნიჩბებს, მაგრამ ძვრა ვერ ვუყავი – ნავი გაწერილა... ხათუნა წყალში გადაეშვა და ფსკერისკენ გაცურდა. დიდხანს ვხედავდი მის თეთრ კაბას გამქვრეული წყალში... მთელი დღე მეძინა...

●

დადგა ბედობის დღე. ამ დღეს, 2 იანვარს, ყველა ცდილობს, რაღაც კარგი დაიბედოს. ათასი დოლარი + 100 მაქვს! ავიიღე და პირველად ფუულს შევეხები, რომ დამებედოს! ავდექი, მიგდებული ჯინსის წინა ჯიბიდან „მწვანეები" ამოვიღე და თავზე სამჯერ შემოვიტარე. ბებიაჩემი აკეთებს ასე. მართალია, კი ძალიან სასაცილოდაც კი მოგეჩვენებათ, მაგრამ ამას წინათ ვნახე ფილმი, რომელიც ინტერნეტმა გაავიცელა: „როგორ გაგხდეთ ბედნიერი?" ვიღაც „ბაბოჩკიანი" ტიპი გვიხსნის:

– იცით, რატომ იყენენ ყველა დროში და სისტემაში მდიდრები და ღარიბები? იმიტომ, რომ ღარიბებმა არ იცოდნენ ერთი სახის მიზიდულობის ძალის შესახებ!

ახლა კარგად გამოწყობილი ქალბატონი ენაცვლება ამ ვაუბატონს.

– ყველაზე ძლიერი წარმოსახვის ძალაა ამქვეყნად. წარმოიდგინეთ, როგორ სახლში გინდათ ცხოვრება, დახატეთ ან სურათი დაიკიდეთ ისეთი სახლის და ნახავთ თუ რა მოულოდნელად, ყოველგვარი ჯადოს გარეშე მიიღებთ ასეთ სახლს!

მერე ახალგაზრდა, სიმპათიური კაცი ვგმოძღვრავს:

– ძალიან მინდოდა ეს ნახეკარმილიონიანი ავტო მყოლოდა. ვიუჯექი სკამზე და წარმოსახვით მის საჭეს ვაბრიალებდი. ისე ძლიერ მინდოდა, რომ ლატარიაში მოვიგე! და აი ახლა მე ამ ავტოთი დავდიგარ!

ესე იგი, ამათ თუ დავუჯერებთ, მსოფლიოს უმეტეს ნაწილს მხოლოდ წარმოსახვის პრობლემა აქვს! ჰოდა, მეც უნდა წარმოვიდგინო, რომ მილიონები მაქვს ბანკში და იახტით მთელ მსოფლიოს ვუვლი. ეჰ, თქვე უნიჭო ღარიბებო, ლუკმაპურის გარდა არაფრის წარმოსახვის უნარი რომ არა გაქვთ! ამ ფიქრებში აციე ერთდოლარიანი და 6 ნული მიკუწერე! გამოვიდა 1 მილიონი. აედექი და ეს კუპიურა კედელზე „სკოჩით" გავაკარი. აი, ასე! მე ყველაფერს ვაკეთებ, რასაც მირჩევენ! მეტი რა ვქნა?

მამაჩემი შემოვიდა.

– გილოცავ ბედობას, – მითხრა არც ისე საზეიმოდ. – კარგი დრო გაატარე?

– ათასი დოლარი ვიშოვე! – ნავიტრაბახე მე.

– ყოჩაღ, აი, ეს მესმის! არ გაანიაო, ფულის ყადრი იცოდე!

– შენ იცოდი? – ისე, სხვათა შორის ვკითხე, საჩხუბრად კი არა.

– მე სხვა დროში ვიცხოვრობდი! – მერამდენედ მიხსნის.

– ღარიბები და მდიდრები ყველა დროში ცხოვრობდნენ. რატომ უმართლებდა მხოლოდ მცირე ნაწილს, იცი?

დაინტერესდა. ყურადღებით შემომხედა.

– იმიტომ, რომ ვისაც ძლიერი წარმოსახვის უნარი ჰქონდა, ისინი იზიდავდნენ თავისკენ ბედნიერ ცხოვრებას!

– ეგ ვინ გითხრა? – გაიცინა მამამ. – მაგაში არის რაღაც მარცვალი... მაგრამ, დავიჯერო, სხვა ყველა მაგ უნარის გარეშე იყო? მოდილიანი, მაგალითად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ეგ ერთია! პიკასო? პიკასო ხომ იყო მილიონერი? ეს იგი, წარმოსახვის ძლიერი ენერგია ჰქონდა. ლეონარდო და ვინჩი, რა, ღარიბი იყო?

– აგიწყვია საქმე! გიპოვია ოქროს თევზი და ეგ არის! – მეტი არაფერი მითხრა, შებერუნდა და გასცლა დააპირა, მე კი მივაძახე:

– დიახაც, ვიპოვე ოქროს თევზი და ახლა ვხედავი, რატომ. იმიტომ, რომ წარმოსახვის ძლიერი ენერგია მაქვს!

მამამ ხელი ჩაიქნია და გავიდა.

არადა, ბებიაჩემი ამბობს: შეძახილმა ხე გაახმოო!

რა არის შეძახილი? სიტყვები! ანუ ენერგია! ის ენერგია ან ააყვავებს ხეს, ან გაახმობს! აი, ახლა მიეხედი ყველაფერს! აქაც წყალთან გვაქვს საქმე! ჰოი, საოცრებაა! ხე ხომ წყლით იკვებება? წყალი ხომ ცოცხალი არსებაა, რომელზეც ავი თუ კარგი სიტყვები მოქმედებს? ესე იგი, დასკვნა ასეთია: ხეში ჩამდგარი წყალი ცუდი ენერგიით იმუხტება ბოროტი შეძახილის დროს და ხეც ხმება – იმიტომ, რომ ვეღარ იკვებება ჯანსაღი საკვებით! ახლა კი გავაფრენ! ფული მქონდეს – ფილმს გადავიღებდი, ისეთ ფილმს, რომელიც ამათ გააგებინებდა, რომ წარმოსახვა კი არა, სიტყვა ყოფილა მთავარი! მაშ, რატომ ვტკენთ ერთმანეთს გულს? რას ვერჩოდი ხათუნას? არ ვიცი... ასეთი ხასიათი მაქვს! უცებ „სიტყვაზე" გამახსენდა: „პირველად იყო სიტყვა". ავიღე ბიბლია და გადავშალე: მარცხენა ფურცელზე გაკრული ხელით წერია: „სახსოვრად ანის და ნუგზარს, შეჰქმენით ჭეშმარიტი ქრისტიანული ოჯახი! ღმერთი გფარავდეთ! ილია II. 1985 წ." ბიჭო, ეს რა მაგარი რელიკვია გვქონია სახლში! პატრიარქი ჩემს დედ-მამას ლოცავს! 1987-ში მე გავჩნდი! ესე იგი, დალოცვილი ვყოფილვარ! საოცარია, ბიბლია რუსულ ენაზეა რატომღაც. ნეტავ, პატრიარქს ქართული ბიბლია არ ჰქონდა? ამას აუცილებლად დავაზუსტებ! პირველ გვერდზე წერია „დაბადება" „1. თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა" არა, ეს არ არის „პირველად იყო სიტყვა". ესე იგი, სახარებაშია! მივედი იოანეს სახარებამდე, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყება:

„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა". რაღაც-რაღაცები მომივიდა თავში, უცებ დავიყვირე!

– მამა!

შემოვიდა მამაჩემი.

– რა იყო, ბიჭო, რა გაყვირებს? – გაოცებულმა მკითხა.

– იცი, რა აღმოჩენა გავაკეთე? – აღფრთოვანებული ვიყავი იმ წამს. – აი, შენ რომ ამბობდი: „შემინყალე" „წყალობა" „საწყალი" წყლიდან მოდისო, მართალია!

– მეც ვიცი, რომ მართალია. ეგ აღმოაჩინე?

– არა! მე მაგას დავეყრდნენ... თუმცა, მოდი, ეს პატარა ფილმი განახო – წყლის კრისტალების შესახებ არის. – სასწრაფოდ მოვძებნე ის სიტყვა, სადაც ფილმი იყო დადებული.

– საოცარია! საოცარია! – მხოლოდ ამას იძახდა „ჰიტლერზე" სულ გაგიოდა.

– ახლა მომმისმინე! სიტყვაა ან მთავარი, სიტყვა მოქმედებს წყალზე, ანუ, მუსიკაც, რა თქმა უნდა... აი, აქ ინდეული მუსიკოსი, კრიშნაიტი შრი ჩინ მოდ ამბობს მუსიკა ღმერთის ენააო!

მამა ჩაფიქრდა.

– ახლაღა მიეხედი, რატომ მოინათლა მაცხოვარი წყლით!

– ყოჩაღ, ბიჭო! – რაღაცნაირად ამალლებულად მითხრა, მომეწეენა, ცოტათი მხრებშიც კი გაიმართა.

მამა გავიდა. მე ბედნიერი ვიყავი! მაგრამ უეცრად დარდი მომანეწა: რა ვუყო ამ ყველაფერს? ვის რაში სჭირდება? ვინ დამიჯერებს? იქნებ... მამას ვუთხრა, დაწეროს... მაინც არაფერი საქმე არა აქვს, მოაჭყავს მასავით ჭაღარა ძმაკაცები და ყოველდღე სვამენ არაყს და ლუდს! არ ჯობს, ასეთი რამეები წეროს? ჭაღარა კაცს უფრო დაიჯერებ! გამახსენდა, რომ ბედობის დღეა, შევედი მამას ოთახში და ამაყად ვუთხარი:

– გინდა, შეკვეთას მოგაცემ!

– რას მიკვეთავ, შვილო? – სათვალის ქვემოდან ამომხედა.

– ეგეთი რაღაცები დაწერე და მე წიგნს გამოგაცემინებ, – აი, ახლა კი კაცად ვიგრძენი თავი!

– მასალებს თუ მაჩვენებ, კარ ისა ცუდი წინადადება – მაინც არაფერს ვაკეთებ! ერთი რამ კი – მაფიქრებს... ბიჭო, კაზინოში ხომ არ მოგიგია ეს ფული?

„კაზინოს" გაგონებაზე რაღაც რომ დამემართა, მამას არ გამოუპარა!

– შვილო, კაზინომ ბევრი ადამიანი და ოჯახი დალუპა! ძალიან გთხოვ, უკვე დიდი ბიჭი ხარ – იქ არ შეაბიჯო! „როგორ შემაყოო, რომ კაზინოში ვიყავი" – კი გავიფიქრე, მაგრამ ასეთი რამ ვუთხარი:

– არა, ეს ფული კაზინოში მოიგო ჩემი ჯგუფის წევრის ბიძამ და ახალ ნელს დაგვასაჩუქრა! – ეტყობა, ეს ნახევრად ტყუილიც დამეხატა სახეზე.

– შენ არ ყოფილხარ? – თვალებით გამბურღა მამაჩემმა.

– ჰო... – გამოვტყდი. – ერთხელ ვიყავი, ათასი ლარი მოვიგე და ეგრეკვე წამოვედი! იმ ფულით გიტარა ვიყიდე... მეტი არაფერი!

– მამამ! (ასე შემმართავს ხოლმე!), შენი საქმე თამაში არის! შენი საქმე მუსიკაა! აკეთე შენი საქმე! მითუმეტეს, თუ მუსიკა ღმერთის ენაა, რო-

ჯრც ის ინდოელი ამბობს. მაგალთ სხვაც ბევრი რამ დაეჯერებათ, ძველი ხალხია... სამყაროს გაჩენასთან ახლოს იყვნენ!

●

მართალი გითხრათ, გამიხარდა, მაკამ რომ დარეკა. მე ხომ ჯერ ბიჭი ვარ! ფილოსოფიამ დამფლა! არა, კი მიყვარს ეგეთი რაღაცები, მაგრამ... ფუფუ ბედობაა, ფუფი მაქვს, აგერ – გოგომ დაბრეკა. ოკეთესი რა უნდა დაებედოს კაცს?

– სადაც გინდა, იქ წავიდეთ, – ვუთხარი მაკას, მას შუმდეგ რაც ახალი წლის მილოცვები გავცვალეთ.

– გინდა, იქ წავიდეთ... მაშინ რომ ვიყავითო... „მარკო პოლოში... აკვარიუმთან დავსხდეთ, ყავა დაგლიოთ, შამპანური, – შემომთავაზა მაკამ.

– გენიალური იდეაა! და მერე... რაღაც-რაღაცებიც ხომ უნდა დავიბედოთ! „ქორთიარდ მარიოტში" აციღეს ნომრის.

ვიუ! – წამოიძახა მაკამ. – რომელზე გამომვლი?

„უკვე შემიძლია, ტაქსით გავუარო. საჭირო ადარ არის ქუჩაში ლოდინი".

– შვიდზე, არა? შვიდი რიცხვი მომწონს რაღაცეაც.

– მეც! აბა, რვა რა არის? – გაიცინა მაკამ.

მომეწონა ეს ნათქვამი. „ნიჭიერი გოგოა! ივარგებს!" გავიფიქრე. ამასობაში მეზობლები ამოვიდნენ, მამას მეგობრები, დამიძახეს, ერთი ნახევარი საათი მლოცეს. „საქმე არა აქვს ამ ხალხს?" ძლიერ გავთავისუფლდი. მერე მამა სადღაც წაიყვანეს. როგორც იქნა, ექვსი საათი დადგა. ქურთუკი ჩავიცვი და ქუჩაში გამოვედი. ტაქსი აივიყვანე და მაკას დათქმულ ადგილზე დავველოდე. ტაქსისტს რადიო ჰქონდა ჩართული, რომელიც გაჰყვიროდა: „მოკლე კაბა და მოკლე კაბა..." აარა, აქედან უნდა ნავიდე. აქ მეც ამისი მღერა მომიწევს". „უფრო განმიმტკიცდა აზრი ლონდონში ნასვლის აუცილებლობის შესახებ. მინიც არაფერს ვაკეთებდი, აკდექი და „წარმმოსახვის ენერგია" ჩავრთე. აი, ლონდონში ვარ, სცენაზე. „ფენდერის" თუ „ჰოფნერის" გიტარა მიჭირავს, პროჟექტორები ჩემს გიტარას ანათებენ, გიტარა კი ირეკლავს ამ სხივებს და უამრავ თაყვანისმცემელ გოგონას თვალებს სჭრის... მაკა მანქანაში ჩაჯდა.

– ჰეი ნიუ იარ! – ზოოოოგადი მომაწოდა. არა უშავს რა, კარგი გოგოა, ხათუნა არ არის, მაგრამ...

– „მარკო პოლოსთან", რუსთაველზე! – ეუთხარი ტაქსის მძღოლს.

– „მარკო პოლოს" სხვა რესტორანი არ ჯობია? – ღიმილით შემომხედა მძღოლმა.

– არ ჯობია! იმიტომ, რომ ეგეთი სიმღერებით არ გამიბიუროლავენ ტვინს! – ტაქსისტმა გაოცებით შემომხედა. – ისე გითხარი, შვილო, არ გეწყინოს. სადაც. გინდათ იქ წაგიყვანთ!

●

„მარკო პოლოში" ადგილი არ იყო! არა მარტო ჩვენს მაგიდაზე, აკვარიუმთან, არამედ, სამივე სართულზე არსად იყო თავისუფალი მაგიდა. სხვას ხომ არ მიეუჯდებოდით?

– სხვაგან წავიდეთ, – ვუთხარი მაკას.

– არადა, რა კარგი იყო ამ აკვარიუმთან!

– გულდასაწყვეტია, – ვთქვი მე. – მოიცა, მე მგონი „ჩვენი მაგიდა" თავისუფლდება!

ვინმეს რომ არ დაესწრო, სასწრაფოდ მივეჭერი მაგიდას.

– მიმრძანდებით?

– დიახ, – მითხრა ჩასუქებულმა კაცმა, რომელიც ძლივს წამოიმართა მაგიდიდან.

– გილოცავთ ახალ წელს! – გავუცინე მე – ყველაფერი კარგი დაგბედებოდეთ!

– გილოცავთ, ახალგაზრდავ, ჩვენ წლები გვაკლდება, თქვენ გემატებათ! ასეთია ეს ცხოვრება!

საკმაოდ ნაღვლიანი საუბარი გამოგვივიდა, რაღაც დამამშვიდებელი მინდოდა ჭეთქვა:

– რაც ჩაიფიქრეთ, ყველაფერი აგიხდებათ წელს!

– გმადლობთ, თქვენც კარგი წელი გქონდეთ! – მეგობრებთან ერთად ნელი ნაბიჯებით გავიდა შენობიდან.

მაკა უკვე აკვარიუმის ქვეშ მოკალათებულიყო. მეც გვერდით მივუჯექი. ნაცნობი გოგონა მოგვიახლოვდა.

– გილოცავთ, მრავალს დაესწარით! რას ინებებთ? აი, მენიუ გადაათვალიერეთ!

მაკამ ხელიდან გამოსტაცა მენიუ და ისეთი ინტერესით ჩაიკვეხრა, თითქოს რაღაც ბესტსელერს კითხულობდა.

– ხიზილალა შეიძლება? დამებედოს მინდა! – მორიდებით მკითხა მან.

– კარგი, დაგვებედოს ხიზილალა! – ოქროს თევზს გავბედე. – კიდევ თევზეული დავიბედოთ, ასორმები!

– და შამპანური! აბა, არაყს ისედაც ვსვამ, ჩვეულებრივ დღეებში.

– ხიზილალა, თევზის ასორტი და შამპანური მოგვიტანეთ, – შეეუკვეთე გოგონას, რომელსაც მკერდზე თავისი სახელი ეწერა – „ლენა".

– ეტყობა, რუსია... – ჩავულაპარაკე მაკას.

– არააა... ძაან შავია... ისე დაირქმევდა, მოდაზე.

თევზი და ხიზილალა მოიტანეს.

– აუ, ამ დილით რა ვნახე, იცი, ტელევიზორში?

– რა ნახე ისეთი, შენ რომ არ გინახავს? – ვიანგელე მე.

– იაპონელმა ილუზიონისტმა თევზები მოათვინიერა! წითელი და შავი თევზები მწყობრში დგანან, სინქრონულად მიეკურავენ, ილუზიონისტი ტაშს შემოცხებს და ყველანი ერთდროულად მარჯვენივ

წავლენ, კიდევ შემოპკრავს და ახლა მარცხნისკენ მოუსვამენ ფარფლებს. სასნაულია, არა?

– სასნაულია! – ჩაეფიქრდი. – ესე იგი, რაღაც ინტელექტი მაგათაც აქვთ, აბა, როგორ ხედებიან, როდის მარცხნივ უნდა გაცურონ და როდის მარჯვნივ?

– ან იპპონელმა რა ენაზე გააგებინა ეს ყველაფერი?

– რაც არ ვიცი, არ ვიცი! ვნახავ დღეს ინტერნეტში, რომელ არხზე იყო?

– არ მახსოვს, 12-იანზე იყო, „ნიუსში“.

– ძალიან გემრიელია, რა თევზია ეს? – მკითხა მაკამ.

– ნეტავ, ამას ხომ არ წყინს, თევზს რომ ვჭამთ? – ოქროს თევზზე მივუთითე.

– რომ არ ეწყინოს, მისი სადღეგრძელო ვთქვათ. პატარა მანქანას ვყიდულობ მაგის წყალობით!

– ჰოო? ტარება იცი?

– კი, მართვის მოწმობა მაქვს, მაგრამ პრაქტიკა მაკლია.

– მე გავარჯიშებ!

– სხვა რამეშიც მავარჯიშებ? – გაიცინა მაკამ.

– ვივარჯიშოთ ერთად! შენი სადღეგრძელო მომეწონა – ჩვენს ოქროს თევზს გაუმარჯოს, დიდხანს აესრულებინოს სურვილები.

– რა ცოდოა, არა? სხვებს სურვილებს უსრულებს და თვითონ აკვარიუმშია გამომწყვდეული!

– არადა, მისთვის სხვაგან, სხვა გარემოში მოხვედრა დამლუუველი იქნება! – ვთქვი მე.

– ვითომ რატომ? – გაიკვირვა მაკამ, თან ორაგულის ნაჭერს ჩანგალი ჩაარჭო.

– ეგ თბილ წყალში ცხოვრებას არის მიჩვეული, თავისი მიკროსამყაროა აქვს. საყმელს უყრიან, თვითონ არაფერზე ზრუნავს. ბუნებრივ პირობებში გაუჭირდება... ბოლო-ბოლო, დიდი თევზი შეჭამს! – დავასკვენი მე.

– რაღაც კარგი ალეგორიაა... აი, ხალხი რომ საზღვარგარეთ მიდის! – ჩაფიქრებულმა მაკამ შამპანერო მოსცა.

– რა თქმა უნდა, ძნელია. იმიტომ არის უფროსი თაობისთვის დღეევანდელობასთან შეგუება ძნელი – ლამაზ აკვარიუმში ცხოვრობდნენ, საბჭოთა კავშირი რომ ეწქვა. ყველას რაღაც საქმე ჰქონდა, ახლა კი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, არ იციან, რა აკეთონნ: რუსული იციან – არავის სჭირდება, ბიზნესი არ გამოსდით, ჩვეულში არა აქვთ. მათ ადგილს ახალგაზრდები იჭერენ – ჩვენ უფრო ავუფეთ ალელო ამ ცხოვრებას, თუმცა ჩვენც გვიჭირს – როგორც მთელ ქვეყანას!

– ეგეთები საიდან იცი?

– მამაჩემს და მის მმაკაცებს ვაკვირდები, ეველარ ქაჩავენ.

– კარგი, მოდი, ჩვენ გაგვიმარჯოს! ბედნიერ გილოცავ! – გამბიარულდა მაკა.

მაკა უფრო ლამაზი მომეჩვენა, ვიდრე – სანამ აქ მოვიდოდით.

– ვინ მოიგონა ახლა ეს ბედობა? – ამ კითხვაზე შამპანერო მივაყოლე.

– რა ვიცი, შენ გეცოდინება, შენ ყველაფერი გცოდნია.

– ყველაფერი არავინ იცის... ალ, საზღვარგარეთ წასულები რომ ახსენე, იცი, რისთვის მიდიან ის? ბედის საძებნელად! სადღაც უნდა ნახვიდე, უცნი ხალხი ნახო, შენი თავი გაიცნო... აი, ეს, მარკო პოლო, იცი, ვინ იყო? – კარგი მაგალითი გამახსენდა.

– ვინ იყო? – დაინტერესდა მაკა. მოსასმენად მოემზადა.

– მარკო პოლო იტალიელი იყო. ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, რომ უნდა ემოგზაურა. ჩინეთისკენ დაიძრა; გზად საქართველოზეც გაიარა; მერე ნანახ-განცდილი თავის წიგნში აღწერა და გახდა საქვეყნოდ ცნობილი! სახლში რომ მოვდრიეო, ახლა მისი სახელობის რესტორანში ვისხდებოდით აქ, თბილისის გულში? თანაც, როდის? ოცდამეერთე საუკუნეში!

– რა კარგად ლაპარაკობ! ძალიან ნიჭიერი ხარ! მოდი, შენს გეგმებს გაუმარჯოს! – მაკამ ორთმელი მომიჭახუნა.

– მადლობა! – გავუცინე მე.

– გაიგრძელეე, რა? მოყვარს ეგეთი რამეები!

– ესე იგი, ყველა გოგოს არ ჰგავხარ, არა?

– ჰო, ზოგიერთს ასეთ რამეებზე დაეძინებოდა!

– სასმელს დავლევ თუ არა, ასე „აევჭიკჭიკედები“ ხოლმე? – ვუთხარი. – საეროოდ, დიდი გემები დიდ წყალში დაცურავენ...

– საქართველო პატარაა, აქ ძნელია დიდი საქმეების კეთება, არა? – მაკამ თავისი მოსაზრება მეტად ორიგინალურად გამოხატა.

– რა ვიცი... ქრისტემაც თქვა: არ არიან წინასწარმეტყველები საკუთარ სამშობლოშიო... ანუ, სხვაგან უნდა იქადაგო, რომ წინასწარმეტყველად გაღიარონ. მოდი, წავიდეთ, მერე ნომერს ველარ ვიშვიათ, მთელი თბილისი დღეს სექსით დაკავდება!

მაკამ გულიანად გაიცინა:

– მაგარი გადასვლა იყო! ცოტა გიჟი ხარ, ხომ იცი? – კაი ტიპი ხარ!

ის იყო, გასვლას ვაპირებდით, დათო ძია შემოვიდა ორ ძმაკაცთან ერთად!

– ოო, მაგრად გაგვიმარილა! – უთხრა მეგობრებს. – აკვარიუმთან ჩვენები სხედან! გილოცავთ! გილოცავთ, თქვენი ჭირიმე! – ორივე გადაგვკოცნა.

– მივდიოდით უკვე!..

– არსადაც არ მდიხართ! ეს რა ადგილი დაგიჭავშნავთ! გუშინაც ვიყავი და დაკავებული იყო. ლიდი ტაციიობაა აქ დაჯდომაზე! – თვალი ჩამიკრა ფათო ძიამ.

– ჰო, ჩვენც შემთხვევით გაგვიმართლა – თან ბავას ჩავულაპარაკე: – დღესაც გაგვათვიისუფლა ოქროს თევზმა გადახდისაგან.

მაკამ თვალი ჩამიკრა.

ყველანი დასხდნენ. ვისაც რა უნდოდა – მუუკეთეს, ვისკი მოითხოვეს, „ᲗᲐᲑᲚᲘᲠᲘᲡᲐ“ ვართო და ადვილად „ᲒᲐᲑᲚᲘᲡᲘᲡ“, თქვეს.

– მამაჩემი არაყს სვამს, – ამ „საქმის“ მცოდნეობა გამოვამეცნავნე.

– გაკეთებულია ყველა არაყი, ეს ჯობია! – მითხრა ერთმა თანამესუფრემ.

– ვისკის ფული მამაჩემს არა აქვს და...

– ეჰ, გაჭირდა ცხოვრება, – ამოიოხრა მეორემ.

– აბა, ახლა ეგეთები არ იყოს – ოქროს თევზს დადებით მუტტი უყვარს, ოტტმისტური საუბრები! თანაც დღეს ბეღობაა და ნუწუნს ნუ დავიბეღებთ! აბა, ვიელოცავთ ახალი, 2011 წლის დადგომას. – ასი გრამი ერთბაშად გადაჰკრა დავითმა.

– იცით, ჩვენ წავალთ! – ვუთხარი დათო ძიას, თან ყურში ჩავჩურჩულე:

– ნომერში მინდა წავიდეთ... ბეღობაა....

დათო ძიამ უცებ გამიგო. მობილურზე ნომერი აკრიფა:

– გივი! ერთი ნომერი დამიჯავშნე! ჩემი ნათესავი მოვა გოგოსთან ერთად... მთელი ღამით?! – თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– აი, სავიზიტო ბარათი სასტუმროში. ძველ თბილისშია. მანდ მისამართიც წერია, რეცეპშენში მოგცემენ გასაღებს. ჩემს სახელზეა! ფულს არ გადგახდევინებენენ!

– აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! – არ ვიცოდი, მადლიერება როგორ გამომეხატა. სუფთა პაერზე გამოვედით. სმის დროს სიმთვრალეს ვერ ვგრძნობდი, მაგრამ გარეთ გრადუსმა თავისი ქნა:

– ჩემო ლამაზო! – ჩავჩურჩულე მაკას და ტუჩებში ვაკოცე.

– ნავიდეთ, გვიყურებენ! – ტაქსის ხელი დაუქნია ჩემმა დღეკანდელმა დედოფალმა.

●

რაც შეეხება სექსს, „ᲑᲐᲜᲐᲒᲐᲪᲐᲒᲘᲢᲐ“ – ეს უფეხელი სნაველება, მას ადამიანისთვის ყველაზე დამანგრეველ ქმედებად მიიჩნევს. სული არ იწვის, არ იყინება, მაგრამ ზედმეტი სექსუალურობის შემთხვევაში სული ისჯება! ასეთი ქალი, მაგალითად, მომავალ ცხოვრებაში ლამაზ ხედ გადაიქცევა, მაგაკაცი კი ცხენად ან ვირად (უფრო ვირად, ალბათ!). ესე იგი, ამ თეორიით ტყეები ყოფილი ბოზებისგან არის გამშენებული! („ᲜᲐᲑᲝᲗᲠᲘᲐᲜᲘ“ ჰქვია ასეთ არსებებს ჩვენში!), ხოლო ასეთი მამაკაცები, ვირის ამპლუაში მოვლენილები, მიათრევენ თავის მძიმე ჭაპანს და, თუ რომელიმე პატრონს არ დამორჩილდა, მათრახიც არ დაიგვიანებს! მე, რა თქმა უნდა, არ მომწონს ყოველივე ეს და უფრო „ᲗᲐᲛᲐᲨᲣᲢᲠᲐᲡᲙᲘᲜ“ ვიხრებინ! – სხვათა შორის, ასევე ინდოეთში აღმოცენებული სნაველებისკენ. ჰოდა, ეაგრიალეთ ამა სხვადასხვა პოზაში ერთთა-ორი საათი, ალბათ... ისე დავღალე, საწყალმა ამოიოგმინა!

– მომმყდა კისერი!

გამეცინა. მეც ძლიერ ვსუნთქავდი. ავდექი, შამპანური დავისხი და დავლიე.

– კაზინოში წავიდეთ? – სიგარეტს მოუკიდა მაკამ.

– არა! არ მინდა!

– ჯერ ხომ ბედობაა? 12-ის ნახევარია, მოგება დაგვებედება!

– წაგება რომ დაგვებედოს? არა, ამას ნამდვილად ვერ გავრისკავ, თან მე კაზინოებში ფულის მოგება არ მითხოვია ოქროს თევზისთვის, მე ლონდონში ნასვლა ვთხოვე... არა, ვერ გავრისკავ!

– მე რომ ვითამაშო? შენ ნუ ითამაშებ, რასაც მოვიგებ, – გაგიყოფ!

– ოოო... შენსაკ მაინც არ იშლი! მე ბედობაზე გიტარა უნდა მეჭიროს ხელში და არა ფიშკები, – გავუძალიანდი.

– კარგი, მე დამტოვე კაზინოსთან და შენ წადი, გიტარას ჩაეხუტე!

– ნუ გწყინს, მე ჩემი ოფოფები მაქვს, შენ – შენი!

– ფული არ გინდა? – გაოცებულმა შემომხედა.

– უცებ მოვტყდი.

– კარგი, ჯანდაბას შენი თავი! იცოდე, ეს ბოლოა. მეტი არ მომთხოო!

მივედით ჩვენს ნაცნობ კაზინოში. „ᲤᲘᲚᲘᲞᲙᲘᲜᲒᲠᲝᲚᲘ“ აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა. ერთმანეთში საეჭვო ჩურჩული დაიწყეს. შემდეგ კარგა ხანს კომპიუტერში იქექებოდნენ, ბოლოს რაღაცაზე შეთანხმდნენ და გამოგვიცხადეს:

– თქვენ არასასურველი სტუმრები ხართ!

– რატომ? – ვითომ მეწყინა, ისე ვიკითხე.

– ამის პასუხი ჩვენ არა გვაქვს – კომპიუტერში ასეა აღნიშნული. ვერაფრით დაგეხმარებით!

მაკა აღშფოთდა.

– ხალხი ჩვენზე მეტს იგებს და იმათ უშვებთ, ჩვენ რაღაც კაპიკები მოვიგეთ და არ გვთამაშებთ?

მბრძანი აიჩეჩეს.

– ეს მარტო ნაგება-მოგებაზე არ არის დამოკიდებული, ეტიკეტზე, ასაზე, თამაშის ხარისხზე... ანუ, ეჭვი არ უნდა გაჩნდეს... და, უბრალოდ – არ დაიშვებით და მორჩა, ეს კაზინოს პრეროგატივაა!

– არ ვევასებით, გაიგე? – კახურად მოვუქცე.

– კარგი, სხვაგან წავალთ! – „გული დაწყვიტა“ მაკამ „ფეიკინგტროლს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ გულგრილი ღიმილით უპასუხეს, რომელიც „გვკიდია“-ს ნიშნავდა უთუოდ!

გამოსასვლელში მაკას გაცინება მომინდა:

– ერთი კახელი, ვანო, ქორწილიდან თავისი „06“-ით წამოვიდა. წინ მისი ძმაკაცი მიხო „მერსედესით“ მიჰქროდა. უცებ საავარიო სიტუაცია შეიქმნა, მიხო გაუსხლტა, ვანო კი შეეჯახა შემხვედრ მანქანას! გადმოვიდა, ცაში აიხედა და თქვა: „ღმერთო! სკოლა იყო და სამებზე ძლივს დავამთავრე, მიხომ ოქროს მედალი აიღო; მაყვალა იყო და მე მიყვარდა და მაგას გაჰყვა ცოლად; მე „გეპეი“* ძლივს დავამთავრე, მაგან „მიმო“* დაამთავრა მოსკოვში! მე „06“-ით დავდივარ, ეგ „მერსედესით.“ ახლაც ეგ გადარჩა და მაინცდამაინც ეს ჩემი საცოდავი „06“ დაიმტვრა?! ეგ არი შენი სამართალი?

ღმერთმა გადასწია ღრუბლები და ვანოს კახურ კილოზე უთხრა:

– არ მევასები, ვანო, ვერ გაიგე?!

თვითონ გამეცინა!

– არ ვევასებით ამ კაზინოს, ვერ გაიგე, მაკა? წავიდეთ, წავიდეთ, ნუ ჯავრობ – ეს ეშმაკის სახლია!

– გიტარა ხომ იყიდე ეშმაკის სახლში მოგებული ფულით, – ნიშნი მომიგო ქალიშვილმა.

რა უნდა მეთქვა!

– ეგეც მართალია! – ცალყბად გავუცინე.

●

სახლში ყველამ დაიძინა. „ფეის ბუკში“ შევედი. ვიღაც უცნობი მეგობრობას მთავაზობს. ხელი მექანიკურად მივაჭირე „თანხმობას“. მერეღა დავინტერესდი: ვინ არიან ჩვენი საერთო მეგობრები? სამნი არიან: ერთი თემოა და ერთიც... ხათუნა! მესამეს არ ვიცნობდი – სხვა საერთო მეგობრებისგან დამიმეგობრდა! საოცარი ქსელია! შენი მეგობრის მეგობრები, იმათი მეგობრების მეგობრები, იმათი... იმათი... მოკლედ, თითქმის მთელი ცივილიზებული სამყაროა აქ ჩართული. ყოველ შემთხვევაში – ის ნაწილი, რომელსაც კომპიუტერი აქვს! ხათუნას გვერდზე გადავედი! ჩვენი სიმღერა დაუდია! მობილურით გადაუღია და დაუდია. წესიერად არ ისმის. კომენტარი დავუწერე, „გახმოვანება არ ვარგა! ასე, რომ თუ შეიძლება, მოხსენით თქვენი გვერდიდან“ სხვა მეგობრის გვერდზე გადავედი, ამას „ობლა-დი-ობლადა“ დაუდია! „მომხმარებელი“ მაკა ბოცვაძე წერს: „ჩემს ბავშვობას მაგონებს!“ მე რომელი სიმღერა მაგონებს ჩემს ბავშვობას? „ესთუდეი!“ ჰო, „ესთუდეის“ ვმღეროდი რვა წლის ასაკში! კიდევ ამას:

თოვლი ნება-ნება
თმებზე მეფერება...
მივინყებულ ზღაპარს ჰყვება,
შენ სადა ხარ, ნეტავ?

ტელევიზიითაც კი გამოვსულვარ... მართლაც, რა კარგი იქნებოდა ეს მოგონებები, თან რომ არ ახლდეს ნავთის სუნი, ლამპის ჭვარტლი, სიბნელე, სიცივე, ქუჩაში სროლები, მკვლელობები, ომი და ჯანდაბა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი ბოროტება? ეს სიმღერაც ნამდვილად გაჰიტდებოდა, ხალხს ტელევიზორის ყურების საშუალება რომ ჰქონოდა. ვბრაზობ ხანდახან, ახლა – არც მეცხრე ბლოკი ფეთქდება და არც მეათე! მოკლედ, წაგვართვეს: მე – ბავშვობა და ჩემს მშობლებს – ახალგაზრდობა! ამიტომ ყველა პოლიტიკოსი, რომელიც ძალიან „უბერავს“, იმ მყვირალა, წვერიან ტიპებს მაგონებს, რომელთა ფორიაქს ცეცხლი და დოზანა მოჰყვა! რატომ აყვავდა ჩინეთი? იმიტომ, რომ ჭიანჭველებივით შრომობენ და ასეთი ანდაზა აქვთ: „ყველაზე სახელოვან ომს უსახელო მშვიდობა სჯობსო!“ რა მოუტანეს სახელოვანმა მეომრებმა – მაკედონელმა, ნაპოლეონმა, ჰიტლერმა, სტალინმა მსოფლიოს? – ნგრევა და ხალხის ვაება – მეტი არაფერი! რა მოუტანა მსოფლიოს ხელოვანმა და მეცნიერმა ხალხმა? სულიერი და მატერიალური კეთილდღეობა! საუბედუროდ, იმათ უფრო აფასებენ! საფრანგეთში ნაპოლეონს დღესაც აღმერთებენ! ჩავიდა ეგვიპტეში და მამელუქებს ეომა: „მამლუქი“ გამახსენდა – ქართული ფილმი. ერთი მამლუქი ამბობს: „რა უნდა ტანმომცრო ფაშათ-ფაშს ჩვენგან? სად ჩვენ და სად საფრანგეთი?“

მეორე პასუხობს:

„რა უნდა უნდოდეს, ბიჭი ვარ და მოვდივარო, გვეუბნება, ბიჭები ხართ და დამხვდითო!“ აი, მთელი ფილოსოფია! მთელი ლუვრი ნაპოლეონის ნაძარცვი შედევრებით არის თურმე გამოჭედილი! მაგრამ რას იზამ, სე ლა ვი! ხათუნამ მომწერა: „ყველას მოსწონს, მაგრამ შენ თუ ძალიან გინდა, წავლი!“

რა მექნა, არ ვიცოდი, ბოლოს გადავწყვიტე: „წაშალე“ მივწერე. ახლა თემო შემოვიდა: „დათოს შეხვედრიხარ, ბიძაჩემს“. „ჰო, კიდე დამპატიჟა, მაგარი კაცია“. „მიამბო ყველაფერი. სადაც იყავი, ისიც გავიგეიცი, რა მითხრა? ეგვიპტეში გვეპატიჟება!“

საოცარია! ახლა არ ვფიქრობდი ეგვიპტეზე?

ეგვიპტე... პირამიდები... წამოვწექი და ფიქრებში ჩავიძირე... გამახსენდა, რომ ნაპოლეონთან ვიღაც თბილისელი მსახურობდა... როგორ მოხვდა მასთან?

„სად წაიყვან სადაურსა!“ ჩამეძინა...

** გეპეი (რუს.) – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.*

** მიმო (რუს.) – საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი.*

... ნაპოლეონი ეგვიპტელი მეომრების ცხენურ ეს თვალიერება, წესად აქვს: თუ ვინმე ცოცხალია, ლაზარეთში გადაყვანის ბრძანებას გასცეს. ხმლით ამოწმებს, ვინ წამოიკენესებს და ვინ - ვეღარასოდეს. ერთ შავგაბერმან, არა არაბული სახის მამლუქს დაადგა თავს... უცნაური კვნესა შეეხოსმა – სიმღერის მსგავსი! ნაპოლეონმა ჰკითხა: „რეგი გესმის?“ მამლუქი ყურადღებით დააკვირდა სპეციფიკატიურიანს. როცა მიხედა, ვინც იყო, უფრო ხმამღალ დაინყო სიმღერა, რამდენადაც შეეძლო, ისე. ნაპოლეონი შეცბუნდა. მღელვარება დაეტყო. ფიზიარა, ყურს ხელის მტევანი მიაშეკა ნიღარასავით, რათა უკეთ გაეგო, რა ენაზე მღეროდა ეს მამლუქი. „რა ხდება, გენერალო?“ ჰკითხეს აქეთ-იქიდან „კორსიკელ სიმღერას ჰგავს“ უპასუხა 27 ნლის მომავალმა იმპერატორმა.

„შეუძლებელია“ მოუგეს მას.

„თუ შეიძლება მითხარით, სადაურ სიმღერას მღერით? ძალიან ჰგავს ჩემს მშობლიურ, კორსიკელ სიმღერას“.

მამლუქმა სიმღერა უფრო მონდომებით გააგრძელა და, როცა დასარულა, თქვა: „ეს ქართველი სიმღერაა. მე თბილისელი ვარ, როსტომ რაზმაძე“. „საოცარია“ – ჩაილაპარაკა გენერალმა. „ეს საქართველო სად არის?“ „კავკასიაში, რუსეთის გენერლის, ბაგრატიონის სამშობლოა“, – განუმარტეს ფრანგებმა.

„ეხოო? ბაგრატიონი ვიცი... გამიგია. სუფეროოვთან ერთად ალპებზე გადავიდა... ისეთ სახიფათო ხეტვის ხიდზე გაატარა თეცელი ჯარი, რომ ნამდვილად დაუჯერებელი რამ იყო. აქ როგორ მოხვედი?“

„ბავშვობაში მომიტაცეს, სტამბოლის ბაზარზე გამყიდეს, მამლუქად აღმზარდეს... ჩვენს ჯარში ბევრი ქართველი მეომარია... ძალიან ბევრი სარდალია, მთლად უფროსი ფაშაც ქართველია!“

„ესე იგი, ქართველის ვეომე? კარგი ბრძოლა ეი ბეგოდნიან! სიმღერაც...“

რუსმან რაზმამ გაიღიმა. „ეკვდები“ – თქვა მშვიდად.

„ახლა ლაზარეთში გადადიყვანენ. საუკეთესო ფრანგი ექიმები თან მახლავს, ნე ბეშინია, მოგარჩენენ. ლაზარეთში გინახულეს?“ ნაპოლეონი გაეცალა როსტომს და სხვა მეომრების დათვალიერება განაგრძო. „ეს სიმღერა კორსიკულია“, ჩაუულაპარაკა ნეის, მასზე ერთი თავით მაღალ გენერალს.

„არ ვიცი, კორსიკაზე ნამყოფი არა ვარ“.

„აქ არის რაღაც საიდუმლო და ეს მე უნდა ამოვიხსნა!“

„რას გულისხმობ, ბონაპარტ?“ ჩაეძია მეგობარი. „კულტურის მოძრაობის თეორიას“.

„ეგ რას ნიშნავს?“

„აი, ჩვენ რომ ძველი ბერძნული ქანდაკებები პარიზში ჩავზიდეთ, დაიბლოებთ, იმას...“

„ვერ გავიგე კარგად... თუ შეგიძლია, უფრო დაწერილებით ამიხსენი“, სთხოვა ნეიმ.

„ორი ტიპის ჯარი არსებობს: ერთი – კეისრის, მეორე – ალეილა-ჩინგისხანური. პირველში, ძველ რომაულში, თავისუფალი, კულტურული მოკალაქეები ქმნიან ჯარს, ხოლო მეორეში მომთაბარე, განუვითარებელი მონები. მონები დიდი იგრესიულობით გამოირჩევიან. იმის გამო, რომ თავად ჩაგრულები არიან, მათ სხვისი დაჩაგვრის მეტი არაფერი შეუძლიათ. ხოლო თავისუფალ მეომრებს კულტურა „გადადგავქვს“ ერთი ქვეყნიდან მეორეში. იმიტომ ნამოვიყვანე მთელი გემი გეოგრაფები, ისტორიკოსები, მხატვრები, რათა უძველესი კულტურა შეისწავლონ“.

„ესე იგი, შენ ამბობ, რომ ჩვენ კეისრის ტიპის არმია ვართ?“

„რა თქმა უნდა! მეტიც! მე დაჭრილ მტერს ვმკურნალობ! ასე რომ არ მეკნა, ამ ქართველს ხომ ვერ გადავაწყდებოდი, ხომ ვერ გავიგებდი, რომ მათი სიმღერა ჩვენსაა – კორსიკულს ჰგავს?“

„ჰუმანურია“, თქვა ჩაფიქრებულმა ნეიმ.

„მე ყველას ბალისტიკის და ზარბაზნის სპეციალისტად მივაჩნიენი, არადა, მაგით კი არა ვარ დიდი, არამედ ჩემი კულტურული მისიით, რომელიც განვაბამ დამაკისრა! შენ ხომ იცი, რომ მოთხრობებს ვწერ? წიგნიც მაქვს: „ეახმამი ბოკერში“. როცა სამხედრო სასწავლებელი დავამთავრე, ძალიან მიჭირდა და ყველაფერს ვწერდი. „ტრაქტატი ბალისტიკის შესახებ“ მაშინ დავწერე, მერე, ხომ იცი, რაც მოხდა: კონვენტმა ჩემი ზარბაზნები დასჭირდა...“

„ჰო, ვიცი, უნდოდათ, რომ ბარიზში ერთი ფანჯარაც არ ჩამტვრეულიყო, ისე დაგეშალა მეამბოხენი!“

„ამიტომაც მეკითხეს, შემეძლო თუ არა ეს? მეც შევპირდი და გავაკეთე კიდეც! ჩემი ყუმბარები სახლეებს გადაუფრენდნენ და ზუსტადაც იმ მოედანზე ხვდებოდნენ, სადაც აჯანყებულები იდგნენ – არც ერთი ფანჯარა არ ჩამტვრეულა. ესეც ცოცხალი – ლაზარეთში გადაიყვანეს! მოკლედ, ასეა, „კულტურის მოძრაობის თეორიასაც“ მალე დავწერ. ერთი ეს ქართველი გამოუანმრთელდეს...“

გამიმეღვიძა. „ეს რა სიზმარი ვნახე?“ გამახსენდა, მამაჩემმა მთხოვა – კორსიკელი სიმღერები მომიძებნე! ინტერნეტშია, რატომღაც დაიანტერესა ამ თემამ. ავკრიფე „კორსიკიან სონგს“. თქვენ ნარმოიდგინეთ, მართლაც ძალიან ჰგავს მათი სიმღერები ქართულ ხალხურ სიმღერებს! „რატომ ვნახე ეს სიზმარი?“ დავიწყე ამაზე ფიქრი. იქნება, ლონდონში წასვლა ჩემი კულტურული მისიაა? რა უნდა წავიღო იქ? საინტერესოა, ძალიან საინტერესოა! მაგრამ ლონდონამდე ეგვიპტეში მივდივარ, იქნება, იქ არის წარმატების გასაღები?!

●

– დედა, ეგვიპტეში მივდივარ, – საუზმის დროს ვუთხარი დედაჩემს.

– მარტო მიდიხარ? – გაიკვირვა მან.

– არა, მთელი ჯგუფი და თემოს ბიძა.

– ეგ ძალიან კარგად მოგიფიქრებიხარ. სადღაც უნდა ნახვიდე, რაღაც უნდა ნახო, უკვე დროა.

– ჰო, თან ზაფხული ყოფილია ახლა იქ. ამ სიცივეს მოვშორდები ცოტა ხნით.

– რამდენი დღით მიდიხართ?

– თორმეტი დღით. იცი, რა მაგარი ტურია? საჭმელ-სასმელი – უფასო, ყველაფერი საგზურის ფასში შედის! მოკლედ, ვინც ნამყოფია, ყველა ამბობს, სამოთხეში გვეგზავნა თავიო!

– ჰო, მეც გამიგია. მანანა დედა მიამბობდა, შარმელ შეიხში ისვენებდა. მამაშენს ეუბნებოდა – გატენილია იქაურობა საშენო ასაკის რუსი ქალებითო!

– მერე, ვერ წავიდა?

– ფული ვერ იშოვა. საგზური კი ღირს იაფი, მაგრამ ჩვენც ხომ გვქირდება ფული, რამდენი გადასახადი გვაქვს ზამთარში! სად გვეცალა დასვენებისთვის!

– ეგეც მართალია. – საუზმეს მოვრჩი, წამოვდექი.

– როდის მიდიხართ? – მკითხა დედამ.

– ინგრის შუა რიცხვებში.

მამაჩემი შემოვიდა სამზარეულოში.

– ეგვიპტეში მიდიხარ? გავიგიონე, რომ ლაპარაკობდით! მეც ნამყოფი ვარ, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი ეგვიპტის პირამიდებია, ხომ იცი?

– ვიცი. ეგ ყველამ იცის!

– აბა, შენ თუ იცი, სფინქსს რატომ აქვს ცხვირი ჩამომტვრეული? – გამომცდელად მკითხა მამამ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ნაპოლეონმა მიაყენა ზარბაზანი და ესროლა! უნდოდა, ათაფი კვალი დაემჩნია მისთვის, უფრო სწორად – მარადისობისთვის!

– შენ თუ იცი, – ახლა მე დავაპირე, ჩამეყრა ცოდნაში, – რატომ აიყვანა ნაპოლეონმა რუსებამ რაზა სამსახურში?

– არ ვიცი...

– იმიტომ, რომ დაჭრილი ეგდო ბრძოლის ველზე და ქართულად მლეროდა. ნაპოლეონმა გაიგონა მისი სიმღერა და კორსიკულს მიამსგავსა...

– არადა, მართლა ძლიერ ჰგავს ჩვენი სიმღერები ერთმანეთს, ძაან მეგობრობდნენ მათი მომღერლები ჩვენს ბიჭებთან, „ქართულ ხმებთან“. გოგი დოლიძე რომ გარდაიცვალა, საფლავთან დიდხანს იდგა მისი კორსიკელი მეგობარი, რომელიც სპეციალურად დასაფლავებაზე ჩამოვიდა! ისე, შენ რა იცი, რატომ დაიყენა გვერდით ნაპოლეონმა რუსტამ რაზა?

– სიზმარში ვნახე, – ვუთხარი ალალად.

– რა საოცარი სიზმარი განახავს. არ არის გა-მორიცხული, რომ ეგ სიმართლე იყოს! აბა, რაღ-რაზმაძე აიყვანა მსახურად? სხვა არავინ იყო? ისე-ნდოობოდა, კართან ეწვა, რომ, როცა ეძინა, ვინმე არ დასცხმოდა თავს. ესე იგი, სიმღერა, არა?

– ჰო, სიმღერა გახდა მიზეზი მათი დაახლოებისა. სიმღერას დიდი ძალა აქვს! თანაც როგორ ქართულად ყღერს ზოგიერთი კორსიკული სიმღერა! აი, მაგალითად, „ქართული ხმები“ რომ მლერიან! რესტორანში მოვისმინე ქირველად. ტექმესი მუუ-ნაური, თორემ დარწმუნებული ვიყავი – კახურ სიმღერას ვუსმენდი! – ემოციები ვერ დავმალე მე.

– შენ კიდე, „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო“, ისე მოგდის! ხომ ხედავ, არავის უნდა ეგ შენი როკი?

– ეგ ჩემი მისიაა! კულტურის მოძრაობის გამოსახულებაა. ქეთი მელეკი, რა, ქართველი არ არის? – ეგ კარგი არგუმენტი გაქვს! არა, მე კი არ გიშელი, შვილო. ღმერთმა ქნას და გაგიმართლოს... მაგას რა ჯობია? სხვათა შორის, რას ამბობდა თურმე ნაპოლეონი როსტომ რაზმაძეზე, იცი?

– რაო, რას ამბობდა?

– გაზეთში წავიკითხე ამ ათიოდე წლის წინათ, ქართველი ისტორიკოსი წერდა ამის შესახებ, გვარი არ მახსოვს (მაგრამ შემიძლია გაგება!), ნაპოლეონი ამბობდა, ამათ (ფრანგებს) ფულისა და დიდებისთვის ვჭირდები, ხოლო ამ კაცს შორეული საქართველოდან, ალალი სიყვარულით ვუყვარვარო! აი, ასე ასაბუ-ლა კაი ბიჭობით რუსტამ რაზამ თავისი თბილისი!

– ამიტომ უნდა ნახვიდე კაცი სადმე – დავასაკვერ მე. – თუ შესაძლებლობა გაქვს, რა თქმა უნდა!

– ვინ გიშვებს მერე? იმდენი ფული უნდა ამ ყველაფერს, რომ... ეჰ, კომუნისტები იყვნენ და არ-სად არ გვიშვებდნენ. თუ სადმე ნახვიდოდი, იმდენ კაგებებშიკის აგადევნებდნენ, ისევ ტყეეობაში იყავი. ახლა ვითომ გახსნილია გზები და ვითომ ყველა პატივს გცემს, მაგრამ არავის აძლევენ ვიზას... ან – თითქმის არავის!

– ქურდობენ საზღვარგარეთ და, ალბათ, იმიტომ: ის ლექსი ხომ გახსოვს, მგონი, „ქართველები ევროპაში“ ერქვა:

როს დავტოვეთ, ძმებო, ვენა,
დამშეოდა და დაინავენა!

– კარგია... მაგრამ, წესიერ ხალხს არ აძლევენ ვიზას და ამ ბაცაცებს რატომ აძლევენ, ნეტავ?

– ამბობენ, ხელოვანი ხალხისთვის გასცეს გამარტივდებაო...

– იმედია! ყოველ შემთხვევაში, მომწონს შემართული რომ ხარ ასაფრენად, აბა, შენ იცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპიუტერს მივუჯექი. მართლაც, არაჩვეულებრივი სასტუმროს ფოტოები ვნახე შარმელ შეიხში! ოცნებებში ნავედი... იქ დავუერავთ. ეცვვები, გოგონები... შეიძლება ვინმე პროდიუსერიც დაგვესწროს და კიდევ ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს! ეგვიპტეში დაკვრას და დარჩენას ბინაც არ ვაპირებ... ისევ ის გამახსენდა ÷ რუსტამ რაზა! ავდექი და მისი სახელი და გვარი ავკრიფე... „რუსტამ რაზა (რაზმაძე) დაიბადა თბილისში 17... ნარმოშობით სომეხი. რაო? აკი ქართველიაო?! ან რაზმაძე რატომღა იყო? მამას დავუძახე.

– მოდი, ნახე, რა გაჩვენო!

შემოვიდა და წაიკითხა, რაც ეწერა.

– მდაა... მე რეზო თაბუკაშვილის ფილმიც მაქვს ნანახი, სადაც ნათლად არის ნათქვამი, რომ ქართველი იყო...

– მოიცა, მოიცა, აბა, ერთი, ქართული შრიფტით დაწერე: „რუსტამ რაზა“. – ავკრიფე. გიორგი მახარაძის სტატიაა მოცემული. მამამ სათვალე გაიკეთა და სნრაფად გადაიკითხა მთელი სტატია, აღმოჩნდა, რომ სომეხი მეცნიერები მის სომხობას ამტკიცებენ, ხოლო ფრანგი ისტორიკოსი დერიბერე წერს: „ნაპოლეონმა ეგვიპტიდან წამოიყვანა ქართველი ჭაბუკი რუსტამი და საფრანგეთში შეენნა მამლუქთა კორპუსი“.

– ასეც ვიცოდი! აი ნახე, აქ რა წერია: „ალიაში“ გამოქვეყნდა ბ. გეგეშიძის წერილი „ნაპოლეონის მეგობარი ქართველი“, რომელშიც კიდევ ერთი წყაროა მოხსენიებული. – ნაპოლეონის 25-ტომად გამოცემული მემუარები! „მე გარშემორტყმული ვარ ფრანგებით, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების გამო გვეხმარებიან. ეს კაცი კი, ქართველი, შორეული საქართველოდან, გულწრფელად არის ჩემზე მონდობილი და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს!“ აი, ეს ბოლო სიტყვებია მთავარი! მაშინდელი ქართველობა სამარცხვინოდ მიიჩნევდა ყოველგვარ ალებ-მიცემობას, ვაჭრობას! რაიმე გამორჩენისთვის არ კადრულობდნენ არც ომს, არც გარჯას! ნარმოშობით სომეხიც რომ ყოფილიყო, მენტალურად თბილისელი ბიჭი იყო, ქართულად აზროვნებდა, რა თქმა უნდა... და...

– ქართულადაც მღეროდა! – დავასრულე მე მამაჩემის მიერ განვითარებული აზრი!

– ჰო! აი შენ, მაგალითად, ქართველი ხარ, მაგრამ მენტალურად ლონდონური აზროვნება გაქვს. სულიერად „იქ“ ხარ, იმათი ხარ! ამას დიდი მნიშვნელობა აქვს – თუ გადამწყვეტი არა! თუმცა, შეიძლება კიდევ ბევრი რამ შეიცვალოს შენში! – მამა ოთახიდან გავიდა. „აი, სად „მომიბრუნდა“ ეს თემა!“ გავიფიქრე. „მე მართლაც ლონდონში ვცხოვრობ, იქაური მუსიკალური სტილი მაქვს, ინგლისურს ისე ვფლობ – ყველას იქ ჩაწერილი დისკი ჰგონია, ანუ შესაძლებელია, სისხლით სხვა იყო და მენტალურად სხვა... აბა, სისხლის ყივილი რაღაა?“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ ლობჟანიძე

•

მურმან ლობანიძეს

ღირდა სიცოცხლე შენს გვერდით,
განსჯა, ბაასი ღირდა!
სხვა არ მინახავს შენს მეტი
შენებრ სუფთა და წმინდა,
არ მეგონა და, უშენოდ
ძალიან გამიჭირდა!

ზამთრის პირი

მოილუშა ბუნება, მოიწყინა გულმა,
ლურჯ ცას გადაუარა ნაცრისფერმა რულმა...
მალე მთელი სამყარო მიეცემა ღრმა ძილს,
მეც ნელ-ნელა ვიმოკლებ დროს, სივრცეს
და მანძილს...
განიძარცვა ტყე-ველი, მოიწყინა თვალმაც,
ეჰ, რა ჩქარა იდინა თავქვე ჩემმა წყალმა...

•

სამეგრელო, თბილო კუთხევ –
მასპინძლობით განთქმულო!
ვწუხვარ, გასვით ცრემლი მწუთხე –
ოდით ბურჯო ქართულო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარს შენი ეზო-კარი,
სუფთად დაგვილ-მოვლილი;
სულზე ტკბილი ჰანგი წყნარი –
მოშრიალე თოვლივით...
გულში ისე ჩამესახე –
შენს რაინდად მიგულე,
ჩემი ერის ნათელ სახედ
და ხვალის დღედ გიყურებ...

●

აკაკის და ანოს

მე მყავს ორი ანგელოზი,
უფლის ორი ცრემლი...
მათზე ფიქრში მიგუგუნებს
გული, როგორც გრდემლი...
მეშინია, რომ ამ ჭუჭყში
დაემსხვრევათ ფრთები...
მათზე ზრუნვით, მათზე დარდით
ვმაღლდები და ვთბები...
ღმერთო, ღმერთო, გამიზარდე
და მიცოცხლე დიდხანს, –
ასე გულით, ასე რწმენით,
სხვა რამ მე არ მითქვამს...

●

შესუდრულა ბუნება, როგორც ჩემი სული...
ზეცაც მონყენილია – თეთრად შენისლული...
თოვლი, თოვლი, სიცივე, ყინულების გროვა,
ყელში ამომივიდა ზამთარიც და თოვაც...
გაზაფხული მომწყურდა, ნეტავ, როდის მოვა!..
შესუდრული ბუნება, შესუდრული სული,
თრთის იმედი, კანკალებს გულში შეყუჟული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან შენგელია

მიმინოს

სიბნელეშია დაგეშილი შენი ნერვები
და კვერცხისგულებს შეგაჩვიეს ხორცის მაგიერ,
ტყავის თათმანზე შემომჯდარი გასცქერი სივრცეს,
მრავალუამიერ,
მრავალუამიერ!

ო, რა თვალები – წყვილი შავი სწრაფი შურდული,
არც გელოვანი, არც აფხაზი და არც ბურდული...
და მაინც, ასე შემართული, ხარ ფრთაგაშლილი,
მოინადირებ ამ სამყაროს ევას ვაშლივით.
შენ და ხარ ჩემი,
უარყავი კვერცხის გულები,
მეც მხიბლავს სივრცე,
არ მაშინებს დაკარგულები.
მოდი, დავიძრათ, ვინ ვის?!. მიზანს არ ავაცილოთ;
შენ სახლობ ჩემში და მე შენში, ჩემო ნაწილო!
ვიფრინოთ მზისკენ,
თუმცა მზემდე მიდის ვერავინ,
მაგრამ გზად მაინც აგვცილდება
მავნე მზვერავი.
ვიფრინოთ მზუშიც, ქარშიც, თოვლშიც, უკუნ ღამეშიც...
მთავარია, რომ ვერ გაგვაბან ვერსად მახეში.

და სწრაფად, თუნდაც გულის ძგერის ხმა ჰგავდეს ზარებს,
ზრიალსაც ჰგავდეს, ჰგავდეს ზრიალს
თუნდაც წამიერს.
მრავალუამიერ... ჩემო დაო!
მრავალუამიერ!

ალბათ, მიყვარდი

ალბათ, მიყვარდი, აბა, რა იყო
შენთან ბაასი გამთენიამდე?!
ეს სიხარულიც წყალმა წაიღო,
რა დააბრუნებს ჩავლილ ნიაღვრებს?!
ალბათ, მიყვარდი, აბა, რა იყო,
რატომ მეტკინა გული ძალიან?
რატომ მეცალა შენთვის ყოველთვის
და ახლა რატომ აღარ მცალია?
რატომ მჯეროდა შენი ტყუილიც –
მართალს ისედაც ყველა იჯერებს, –
ბოროტებისთვის მზად არ ვიყავი,
ცრემლებით გული ჯერ ვერ ვიჯერე.

●

სიმშვიდე ისე მოგვიხდებოდა,
როგორც სახურავს მერცხლების ბუდე,
ვფიქრობ და მაინც ვერ გამიგია,
რა სწორია და რა არის მრუდე.

შლეგივით დაქრის ქარი ხანდახან,
ქართანაც გინდა შეჯიბრი თითქოს...
ზოგჯერ ცხოვრების უკუღმართობით
როგორ გვიქრება გულიდან სითბო.

„სანტა კროჩეს“ ტაძარში

მიქელანჯელოს საფლავთან

ვდგავარ ტაძარში
და შევცქერი ამ ქანდაკებას,
ო, რა უცნაურ ფანდს იგონებ
ზოგჯერ, გამჩენო...
სხვამ მორთო შენი
სამუდამო სასუფეველი
და ქანდაკებაც სხვამ დაგიდგა,
მიქელანჯელო!..

საუბარი ბუსთან

როგორ არ მეტყვი, რომ მზე განვალებს
და დაღამებას ნამდვილად ელი,
შენც ხომ გაქვს ქვეყნად იმის უფლება,
რომ იყო ერთი ღამისმთეველი!
მოიწყინო და იფიქრო: გული
ენდობა ვინმეს ისევ თუ არა?
უვარსკვლავებო ღამეა გარეთ,
სტკივა შენი და ჩემი იარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება, არ ვარ?

სიზმარში ვარ თუ ცხადში ვარ, ნეტა?
საერთოდ თუ ვარ, ისიც არ ვიცი,
იქნებ, უბრალოდ, ჩრდილი ვარ ხეთა,
იქნებ – ყვავილთა დობილ-ნაფიცი?
ბრუნავს ეს მიწა და მიწის ირგვლივ,
ტრიალებს ბურთი – მთვარე ამხელა,
არეული და დამფრთხალი ივლი,
თუ გაგიჭირდა ფიქრის გამხელა.
სიზმარში ვარ თუ არა ვარ გონზე,
მზე, მაინც ვიცი, როდის ანათებს,
თუკი ლანდიც ვარ, მე მაინც მოგწერთ
ამ სამყაროზე მომცრო ბარათებს.

ბარსელონაში

გაუდის თავისი შედევრი „საგრადა ფამილია“
დაუმთავრებელი დარჩა...

ოქტომბრის ბოლო,
ბარსელონას ლამაზი პორტი,
კოლუმბის ძეგლი, გრძელი ხიდი,
ბევრი ნათურა...
მოწყდა გაუდის მოწყენილი
ერთი ვარსკვლავი,
ყველაზე დიდი, კაშკაშა და
თვალებხატული.
ო, რა ღამეა, ანტონიო,
ო, რა ბაღია,
რა სილამაზე დაუტოვე ამ მოზაიკებს,
როგორ გიჭირდა, როგორ წუხდი, ალბათ, ღმერთკაცი,
ამ ტურისტების ღრიანცელში ვინ რას გაგიგებს?!
ო, რა ღამეა!

აქ ფიქრობდი, ალბათ, მაესტრო,
გადარეული, დარდიანი, ღამენათევი,
ისე ნახავედი ამქვეყნიდან, რომ შენს ტაძარში
ერთხელ ხალისით ვერ დაანთე
თაფლის სანთელი.
ო, რა ღამეა!
აქ ხატავდა მტრედებს პიკასო.
გემები დგანან და მორჩილად დილას უცდიან,
კაპეადორი აფრიალებს თითქოს მოსასხამს,
მიდი, ტორერო, დღეს შემხვედრი ქარი სუსტია!



იურა (გიორგი) ჯაფარიძე

დარდისას გეტყვი

დარდისას გეტყვი, დარდისას,
გულში რო ნაღვლად დიოდეს:
სიხარულს ვერ მიეკარო,
სული სიმწრითა გტკიოდეს.
დილა-საღამო სხეულში
შავ სვეტად ჩამოდიოდეს.
ცას ბროლის წვიმა უწვიმდეს,
შენ ტალახადა გდიოდეს.
თვალწინ საჭმელი მოგართვან,
შიმშილით სული გდიოდეს.
ლუკმა გასინჯო და ზიზღით
უკანვე ამოგდიოდეს.
გარედან ლამაზად იყო,
შიგნით გულ-გვამი გტკიოდეს,
ქალსა უყვარდე ლამაზსა,
შენს უგულობას ჩიოდეს.
ტკბილი სიტყვის თქმა გინდოდეს,
პირიდან შხამი გდიოდეს.
ბარიდან მთა გიძახოდეს,
მთაში არწივი ყიოდეს.
გაიქცე სანახავადა,
ყვავი, ყორანი ჩხიოდეს.
ერთ ადგილს ვერ მოისვენო,
სული დარბოდეს, წიოდეს.
დღეის იმედი არ გქონდეს,

ხვალ მზე არ ამოგდიოდეს.
ასე მოლხენით ცხოვრობდე,
სისხლი არსადა გდიოდეს,
ყველას კაეთვით ეგონო,
შენ სანთელივით ღვიოდე.
მითხარი, ამნაირ ყოფას
რა ყოფა უნდა ჰქვიოდეს?!

„ხევსურეთი. 1962 წელს ჩაინერა იურა ჯაფარიძემ“ – ლექსი ამ მინაწერით არის შეტანილი „ჩვენი საუნჯის“ მე-4 ტომსა და „ქართული ხალხური პოეზიის“ 12-ტომეულში. სინამდვილეში იურა ჯაფარიძე თავად არის ლექსის ავტორი – მან ხალხური პოეზიისადმი დიდი მოკრძალების გამო ნაწარმოებს თავისი სახელი არ მოაწერა.

ლექსი მოგვაწოდა
ბაბუა ალუდაურმა.



გიგი ᲮᲝᲠᲜᲐᲣᲚᲘ

რედაქციისგან:

ცნობილ ქართველ მწერალს და მეცნიერს გიგი ᲮᲝᲠᲜᲐᲣᲚᲘᲡ 75 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის და მისი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით კეთილისაკენ ბატონ გიგის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, გულთბილად დიდანს სიცოცხლეს და ბედნიერებას, ახალ-ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს. აქვე გთავაზობთ მეცრე ნაწყვეტს მწერლის ახალი ავტობიოგრაფიული წიგნიდან „ჩემი საწყობი-სამზეო“.

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲗᲐ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ

1951 წელს აჰყარეს ხევსურეთი და ბარში ჩამოასახლეს. წინა წელს ხმა რომ გავრცელდა ამის შესახებ, ყველა ისე განიცდიდა, როგორც მოსალოდნელ დიდ უბედურებას, დიდებიცა და პატარებიც: ხევსურეთი პირწმინდად უნდა გადასახლონ, ჭაქანღლეს არ განსწირვენო, – იმეორებდნენ თავის ქნევით უფროსები, – რა დანაშაული გვაქვ ეგეთა, მამა-პაპის ადგილდან რო გვყრიანო. ჩვენ იმაზე გვწყდებოდა გული, სკოლის ამხანაგები რომ წაგვივიდოდნენ, სკოლა-ინტერნატში რომ აღარავინ დარჩებოდა.

ერთ კვირა დღესაც ბარისახოში დაბარებულმა ხევსურეთის ჭკვასაკითხავმა ხალხმა მოიყარა თავი, ქვევიდან მთავრობის ხალხი ამოვიდა და საბჭოს გვერდზე, ბუსნოზე ჩამომსხდრებმა გააბეს ფიზონი. სერის მონიტერესე ბალლობა ირგვლივ ვიყავით შეშოკარულნი. ქვემოთ მხარეზე მთავრობის კაცები იდგნენ. ნანყვეტ-ნანწყვეტად მახსოვს – ისინი უმტკიცებდნენ, მთავრობა თქვენი ბედნიერებისთვის ზრუნავსო, კულტურაში გამოსაყვანადო. სოციალიზმის ეპოქაში არ შეიძლება ისეთ ჩამორჩენილ მგგამარეოობაში ყოფნა, თქვენ რო ხართო. სახლები თქვენთვის უკვე აშენებულია შირაქში, სამგორში, მლაშეში... აქ რომ ჯაფა გაქვთ, ისეთი იქ არ გექნებათ – ტრაქტორით მოიხნავთ, მაძვანით მოიგანთო...

– ჩვენი კაცი გასძლებს იქ, იმ სიცხეში? – ხევსურები კითხულობდნენ.

როგორ არაო! აი მეხედეთ, როგორი ლაჟლაჟა სახე აქვსო, – ვიღაცა თავისიანი გადმოაყენეს წინ, – ეს კაცი იქ, სამგორის მეურნეობაში მუშაობსო.

– მოუშაობს კი, მაგრამ გლეხი როა, არ ეტყობა; გლეხი რატომ არავინ წამოგვიყვანეთო? – სიცილით შეედავნენ ხევსურები. მერე კაფიაც მიაყოლეს, – „თუ ეგრე კარგა ცხოვრობენ, კისრეს რადა აქვთ წვრილები, ციების დაჭმუღებია, სიცხისგან დახრუკვილები“.

ატყდა სიცილი. ისიც უცებ გაირკვა, ის ლაჟლაჟა და სქელკისერა კაცი, ბარის მეცხოვრებთა ნიმუშად რომ წამოაყენეს, ფერმის გამგე თუ ბრიგადირი ყოფილიყო.

– ერთ სიტყვა მიაც მთიქმეიეთა! – სიტყვა ითხოვა იმ დროულმა კაცმა, აქამდე მარტო ყალიონს რომ აბოლებდა. მგონი, ქმოსტელი იყო. – რო

იძახთ, ყველა უნდა ბარჩი ჩასახლდათაց, დიდიანპატარაიანადაց, ახალ ცხოვრება უნდა დაინყათაց, ჩვენ რაისაც ახლის ცხოვრების თავი გვაქვ ამ სიბერ-სიკეფილის ხანს, ან მე, ან უნცროსს, თავეელქას... ვისაც უ, ნაიყვანეთ, ვისაც აღარა შაგვიძლაց, დაგვნირენით თავის მამ-პაპის ხმელაის გორისად. დღეს არა, ხვალ ამამძერებიან სულნი და შირაქით აქ რაგარ უნდა გაუხდ სათრეკი.

ინ მომხსენებელ პარტოულ მუშაკს, ეტყოფს, ის ენყინნა, ინ ხნიერ ხევსურს მარგო სხვა ხნიერმა კაცებმა კი არა, ზოგ-ზოგმა ახალგაზრდამაც რომ დაუჭირა მხარი – „რა მი ბარჩი!“ „ბარჩი მე არას მწნის!“

– ამხანაგებო! ჩვენ არ ვიცით, ვის რა გნადიათ და ვის სად გირჩევნიათ – მთავრობის დადგენილება უნდა შესრულდეს – ოჯახები უკელნიც უნდა ჩამოსახლდეს ბარში! ყველა სოფლის ტერიტორია ცხადდება კახეთის კოლმეურნეობების ცხვრის საძოვრებად. თქვენ საკონლეს საძოვარი აღარ ექნება და, თუ მაინც იძალავებთ, ისე დაიბეგრებთან, რომ ორ-სამ წელიწადში თითივით გალოკილები დარჩებით. მერე თვითონ დაიწყებთ თხოვნას – გადადგასახლეთო, მაგრამ თქვენთვის სახლები აღარ იქნება. მთავრობამ ამხელა ხარვი გასწია, სახლები აგიშენათ, თქვენ კი მადლობის მაგივრად მიზეზიანობთ. მთავრობის სანინაააღდეგო მოქმედებას კი რა მოაყვა, უფროსებს, ეფიქრობთ, კარგად ახსოვთ, თუ ამ ახალგაზრდებმა არაფერი იციან (ქაქუცა ჩოლოყაშვილის დრონდელ ხევსურთა აჯანყებაზე მიანიშნა. რაც შეეხება „ხევსურეთისთვის“ აშენებულ სახლებს, მალეკე გავრცელდა ხმა, ფერეიდნელი ქართველებისთვის აუშენებიათ, მაგრამ პარიზიდან ვინმე მამალაქე ჩასულა და გადაუფიქრებინებია – კომუნისტებისა როგორ გვეკრთა, მაგათი სამოთხე ბლეეფიაო).

ხევსურებს გამოუცხადეს, მომავალი წლის შემოდგომისთვის მოემზადეთ, საქონელი გაყიდეთ; შეგიძლიათ წინასწარ ის ადგილები და ის სახლებიც მონახაფოთო, სადაც ცხოვრება მოგიწევთო. თვით ხალხის შესაბმაადებლად კი დიდი აგიტაცია წამოწყეს. აგიტატორებად იყენენ სოფლის მასწავლებლები და ე. წ. მონინავე ახალგაზრდოცა, კომკავშირელები, ვისაც მერე „ლიმიტით“ გასტუდენტებასა თუ ადგილზე საბჭოს მდივნობა-თავმჯდომარობას პირდებოდნენ. ამ „ხევსურთად კეთილის მსურველებსა“ და ამაყ ხევსურებს შორის კამათსა და ზუღლს ბევრს მე პირადად შევსწრებივარ. ზოგიერთი სასაკვლოლოდაც მიჭრეს, გადარჩენა რომ აღარაის ეგონა – ჩვენ რო გაგვიტყუეთ ინ ჯოჯოხეთში, თქვენ რატომ არ ნამეხეედით ჩვენთან ერთადო.

ზოგს შეიძლება ძალიანაც არ მოსწონდა ბარის კოლმეურნეობაში მონური შრომისათვის ოჯახის გაწირვა, მაგრამ იმის შიშით, კომუნისტებმა კიდეკე არ ნამოგვისვან ხელი და ციმბირს არ მოგვახვედრონო, ხმას ვერ იღებდა. მოვალეობისა და გაურკვევლობის გრძნობით იყო ბევრ „მიზეცნა“ „სადაც სოფლის ნახირი, ბებრის ხბოც იქაო.“

ზოგმა თავიერობის „მოთანხმებემ“ შემდეგში მოანანია თავისი დანაშაული. მათ შორის ცნობილს, სახალხო მთქმელმა ივანე წიკლაურმა:

მე არას მამწონ შირაკი,
ხალხმ რო მე დამფვა ბრალია,
ჩემის გუნების აგდალი
მთა იყვა, განა ბარია.

ზოგს კი დღემდე, სიბერემდე, მაშინ კომუნისტრეგვენთა მიერ მონაბლუელი ტვინი შემორჩა. ბოლო დროს (2003-2004 წლებში) ხევსური ინტელიგენციის შეკრებებზე, სადაც ხევსურეთის გადადრჩენის პრობლემებზე გვქონდა სხვა-ბაასი,ზოგმა სიამაყით გაიხსენა, როგორ გადადიოდა მიღმახეეში გადასასვლელების სააგიტაციოდ და მოაჴყვა იმის მტკიცებას - ხევსურეთში აღარავინ დაბრუნდება, ხევსურეთში ცხოვრება შეუძლებელია და ეს ყველაფერი ტყუილი ლაპარაკიაო!

სიტყვა გამიწყდა. მეორე წლის შემოდგომაზე (1951წლის) დათქმული დროისთვის დაინყეს ხევსურებმა თავისი ავლა-დიდების ცხენ-ჯორებთან ჩამოხიდვა. ან კი რა ჴქონდათ. რაც ზედ ეცვათ, იმის გარდა კიდეკე თითო ხელი, ანალი, უფრო მდიდრულად ნაქარგი ჰაჭიჭ-პერანგი თუ ქოქლომანდილ-სათაურეები, ფურაქტაცვები და გუდაწყრები, ვერცხლის ქამარ-ხანჯლები და სპილენძის ქვაბები, ერმო-ყველიანი გუდები. ეს ბარგი რამდენიმე დღით სკოლაში, ჩვენ საკლასო ოთახებში შეატანინეს, ვისაც ბარისახოში თავისიანნი არაენა ჰყავდა. თითო კუთხე თითო ოჯახს ეჭირა, ჩვენი ადგილი კი აღარ დარჩა. არეული იყო ბარისახო და ჩვენც გაკვეთილებიდან გარეთ გასვლა გვენადა.

შემოდგომა იყო, ოქტომბერი. ამ დროს წითელ-ყვითლად არის აფერადებული ტყეები, ხევსურეთ ნაჭრელასავით ლამაზი სანახავი, მაგრამ თავად მთიელებს ძალიანაც არ ხიბლავს ეს სილამაზე. რადგან ზამთრის წინამძღო�d. ზამთარი კი მთაში მძიმე იცის, არწახნი თოვლი ასამარებს სოფლებს, ექვსი თვით წყდება სიცოცხლის ნიშანწყალი, ისადგურებს მოწყენილობა. თითო ან ორი კომლის სიცოცხლე რაღა სიცოცხლე იქნებოდა.

მძიმე სევდას მოეცვა წამსვლელულ-დამრჩომნი. გვეტირებოდა, სკოლის მეგობრები რომ გვტოვებდნენ და მერე რადგან!! ქალ-დიაცები, ბავშვები უხმოდ ეზიდებოდნენ ნივთებს სპეციალურად ამოყვანილ საბარგო მანქანებზე ჩასაბარგებლად. კაცები გამცილებლებთან ერთად იდგნენ ნრედ და ხევსურულად სვამდნენ. პატივთის მომმგანნი ტიკეტიდან ხარჯავდნენ შინნახად არაყს. შექეიფებულებს გრძნობებიც, ჩანს, უფრო ძალუმად ეშლებოდათ.

– ოხ, ამის დედა ვატჭარ, ყუდიავ, ნუ მისახლდებით, კაცო, როგორ ვერ უნდა გავუმაგრდეთ! ხო

ფიდთ, უკაცოდ არც ჯვარნი ჯვარობენ, არც ჯარნი ჯარობენ, არც სოფელი სოფლობს! მარტუამ კაცმ რახლ უნდ გაგიიძლ ამ ზამთარ?!

– ისრ არ მი წასელა, როგორც ძაღლის ხორცის ჭამა არ მი, მაგრამ რას ვიქამთ! ვერ გაიგონე, რა ვეფთხრსე?! მომპავალ წელს აღარც შენ დაგწირვენა და აღარც სხვასს! რაღა იქნების, გადავსახლდათ, მაგრამ, თუ ძალიან არ მამენონ, იქ გამჩერებლის ფედა ვატარე! აქაჲ მოვალ!

ხანდახან აღელვებული დიაცებინ ბუზღუნიც ისმოდა:

– გამაიარეთა, კაცო, გამაიარეთ! ეხლა სმისაია?!

ასევე ნერვიული პასუხი:

– გინდა გამაზიდეთა, გინდა იქ ეყარასს! მაგის ბაკრნინ ფედიაიცა! მაგის ბარგისაიც!

ერთ ადგილს „ბოფრეს“ მოეყარათ თავი. ხევსურნის მამაპაპურ ფანდურს უკრავდა მანქანის საფეხურზე ჩამომჯდარი მძღოლი, ზედ უზმაწურ ბარეს დადე�plete და თან, შაბაშო, იძახდა. მძღოლებიც ხურდა ფუღს უყრიდნენ წინ გადმოხრეს ბეულ ქუდში. მარტო იმათა ჰქონდათ გაბრწყინებული სახეები და პარტიულ ხელმძღვანელებს. ისინი მირბი-მორბოდნენ, ბრძანებებს იძლეოდნენ და იბერნებებოდნენ კიდეც, ასე ნარმატებით რომ ვაორეკეს თავი პარტიანისა და მთავრობის დავალებსს. მანქანებზე ამაგრებდნენ ლენინისა და სტალინის პორტრეტებს, წითელ დროშებს. აფრთხილებდნენ, არ ჩამოვარდეს, კარგად დამაგრეთო!

ხეცესი ნადირა ქეთელაური, ნინა წელს „გადამსახლებლებს“ რომ შეეკამათა, ტყავმიხურული ყალიონის წვეთი მდუმარედ მიდი-მოდიოდა. მოფრინის სასლოვესაც შეჩერდა ცოტა ხნით. მის კუშტ სახეზე ღენიც ვერ შეძრა ხორხოცება და კბილთა ღრჭენა.

მოშუადღეებული იყო, როცა მორჩნენ ბარგის ბეურას მანქანებზე, ხალხი ბრეზენტგადაფარებულ აკბოტუნებში ჩასხეს და დაიძრა კოლონა.

ორნყალში რომ ჩასულიყვნენ, იქ, სადაც ხევსურეთი მთავრდება, ნადირას ეყვირა – გამიჩერეთო! ჩამოსულიყო, დაეჩოქა, ქუდმოხდილს დაეწყო ლოცვა. დაეწყოთ ძახილი – ჩქარა, ნადირავ, ნუ ვეგვიანებენ, ეხლა რა ლოცვის დროაო!

– ერთი თქვენი ფედაც, ნადიი თუ გეჩქარებათ, მე არ მოვდივარო! – მოეკურთხა თურმე ნადირამ, დაადო თავი და ნამოვიდა უკან. მოსაღამოებული იყო, ბარისახეში რო ამოჩნდა. ნადირა მაბრწენებულო! – არ ვიცი, რატომ გაგვიხარდა, რატომ უხაროდა ყველას.

მაღაროსკარში, ფშავის ცენტრში შეეჩერებინათ აკბოკოლონა. ხევსურებისთვის გზის დასალოცავად სასმელი და „ბურის ლუკმა“ გამოეტანათ ფშავლებს. ასეთი ამბავი და ასეთი შეხვედრა კაფიის გარეშე როგორ იქნებოდა. ერთ შეზარხოშებულ ხევსურ მოლექსეს მაშინ ახალგაზრდა ლომთ ბასილისათვის გამომწვევად შეემღერა:

ხევსური: – რას შამამხედავ, ფშაველო,
სამგორში მიგვასხამენო,
არ მიხდა ჭრელუტ ჯარები,
ტრაქტორით მომიწყვევნო!
ბასილი: – არ შეაბრალუტ გეგმებსა,
დედასაც მო.....ავენო!

გადაეხვივნენ ხევსურები თურმე ბასილს, დაუწყეს კოცნა. სასადილოდან გამოიტანეს ღვინიანი ბოთლები და ქეიფის გასაგრძელებლად დაუტოვეს. ხევსურებს, ჯერ ერთი, მოსწრებული სიტყვა ესიამოვნათ და ასეთ დროს წყენა სირცხვილად ითვლება; მეორეც, მაშინ იყო საუბარი იმაზე, რომ ხევსურები ბარში კარგი ცხოვრებისთვის კი არა, კოლმეურნეობაში უფრო მეტი გარჯისთვის, მეტად ხელმოსაყრელად მიუდითო.

1952 წლისთვის დაინყეს იმათი შემზადება, ვინც მეორე რიგში გასახლებისთვის იყო ნავარაუდევი, და იმათიც, ვინც არ დაჰყვა მთავრობის ნებას და წინა წელს არ გაჰყვა თავის სოფელს. ახლა მხოლოდ აგიტაცია არ აკმარეს ხალხს, აგიტატორებთან ერთად მილიციაც დადიოდა, ურჩებს იჭერდნენ, ტყეებსა და მთებში გახიზნულებს სახლებს უფეთქებდნენ, უნგრევდნენ, ძნა-თოვის უწვავდნენ. მაისიადან მორეკეს ბარის კოლმეურნეობის ცხვრის ფარები, მეძროხეობის ფერმები და პირდაპირ სოფლებში აყენებდნენ, რათა ხევსურებს სათიბ-საძოვრებით ვერ ესარგებლათ. ბარისახოსთან ახლოსახლო, კეოს გორზე, დათვის-გველეთოსა და ჩირდილში, სადაც ცხეარი ვერ მიბერუნდებოდა, ველ-ტყაანებია და ალპური საძოვრები შორსა აქვს, ფიჭვის ჩაყრა დაიწყეს. ამ საქმისთვის სპეციალურად გამოგზავნეს დუშეელი რუსი, გაკართველებუული, მაგრამ მაინც რუსი მეტყველე ტარას ფშვინინ. სოფლეების ირგვლივ თუ სადმე ხელისოფენა სავარგული იყო, ლამის ბანებზეც ფიჭვს ირგვევინებდნ. ამ ნარგავებში საკოლნის გაშვებაა აკრძალული იყო და, თუ სადმე თვალს შეასწრებდა, მის პატრონს სამი კილო ერბოთი და ხუთი კილო ყველით დაჯარიმება არ ასცდებოდა.

მართლაც შესარულეს დანაპირები. დაარნმუნეს ხევსურები, რომ მთავრობა არ მისცემდა არავითარ გასაკანს აქ, თავის საყვარელ მთაში ცხოვრებისას. ისე რომ, 1952 წლის შემოდგომაზე ხევსურეთში ხევსური თითქმის აღარსადდ დარჩა. თითო-ოროლა დამალვით დარჩენილი თუღა სადმე ღონკეულობდა.

გაიარა წლებმა, დავამთავრე სისხლისკან დაწრტილი ხევსურეთის ასევე გაფერმკრთალებული სკოლა-ინტერნატი, ჩაგირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და აღვადგინეთ ფრთიერთობა ნათესავებმა, სკოლის ამხანაგებმა. ჭირისა და ლხინის ამბავში მეპატიჟებოდნენ ალექსი ჭინჭარაულთანა და ნოდარ ანდღიულაძესთან ერთად სამგორში, შირაქში, მლაშეში... ვიგებდი,

მიმე ხოროვანი
ბარბარეული
ბიბლიოთეკა

რა ხდებოდა ხევსურთა ახალ ყოფაში. მაშინ ხრიოკ და უწყალო სამგორში (გამარჯვებაში) რამდენიმე ხნიერმა ხევსურმა ხანგლილთ მოიკლა თავი, რამდენიმემ თავი ჩამოიხოჩრო, ბევრი კი დარდმა მოკლა. მთის ჰაერსა და მთის წყალს მოკლებულთა დიდიან-პატარანაადა – ყველას ქლექმა დარია ხელი. რამდენი ამის გამოისობით დაიღუპა. უფრო ძლიერებმა კი, ვინც უმთოდ ვერ გაძლო, ვინც ბრიგადირის ძახილს „გამოდიო!“ შეურაცხყოფად იღებდა, ვინც „სალი კლდეები“ არჩია მაინც ბარის „სამოთხეს“, სამი-ოთხი წლის შემდეგ თითოოოროლაობით დაინყეს დასხლტმა დარაჯად მიჩნეული მილიციისაგან, და დაბრუნება მთაში, ნასოფლარებად ქცეულ თავის სოფლებში. რამდენი ძალა და მოთმინება უნდოდა ჩაბოვლებულთ მიწურების აღდგენას, საქონლის მომრავლებას, ბარელი ცხვარმწყემსის სოფლიდან მოშორებას. ასე დაბრუნდნენ როშკაში ჯურსა ნიკლაური, ბლოში – ჩაჩაურ გიგაური, ბაცალიგოს – ყუდია არაბული, ხახმატში – მიხეილ ალუდაური, არხოტში – ქორძო ოჩიაური და ციცქა ჯგაბუშანური და სხვა კიდევ სად ვინ.

ჩემმა სკოლის ამხანაგებმა გურამ ოჩიაურმა და ბაბო ნიკლაურმა ბებუთეთით ჩაჭრეს და ჩახოცეს ლებაისკარს დედაწულოანად დაპატრონებული თათარი მწყემსები, როცა ისინი ძალაზე დადგნენ – „ეთთ ნაშა თერითორია და.“ ერეკლე II-ს შესწირეს თურმე – ერეკლეს მსახურნიმეც იქნებით, იმას გვიჯავრებდითო! ამ „ფანატიკოსობით“ ისარგებლა გოგი ოჩიაურმა და რვაწელმისწილები ციხიდან ვადაზე ადრე გამოაშვებინა.

მთავრობა კი, კომეფნისტების მთავრობა, სიკეთის სახელით უამრავი ბოროტების ჩამდენი მთავრობა, თავის ლაქია ხელოვნების მუშაკთ ამ ინბინძურის ლამაზად წარმოჩენას ავალებდა. მაშინ სწორედ ხევსურების ჩამოსახლებას მიეძღვნა კინოფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. საერთოდ, მთის მატოვებას – „საბუდარელი ჭაბუკი“. ყოველდღე გადმოსცემდნენ რადიოთი ვინმე ბუღაძის ფანდურზე კაკანს, რომელშიც ასეთი სიტყვები იყო: „სამგორშია ჩემი სახლი, სახატე და საევანაო. ინერებოდა ლექსები, პოემები, ნარკვევები...

გაიგილს ნლები და 80-იან ნლებში იგივე კომეფნისტური მთავრობა ახლა სრულიად სანინაააღმდეგო ნამოწყებით აიკლებს ქვეყანასს. ყოველდავარი ბოდ-შის, სინნდისისა და ნამუსის გარეშე მთის მიტოვებას სისსლითთა და ოფლით დაცული მამა-პაპის საცხოვრისების გაპარტახებას, მთიელებს გადაადარაღებ – ოიღი ცხოვრება ირჩიესო. პატრონის ნიშანზე კკლავ აყეფდა რადიო და მასთან ერთად უკვ ტელევიზიაც, ჟურნალ-გაზეთები, ასე განსაჯდ ხევსუოეთის უბედურებასთან დაკავშირებული ჩეგ ვრცელი წერილი, მანამდე მთელი ხუთი წელი რო ეგდო ლიტერატურული გაზეთის რედაქციაში, უკვ თავისი სახელით გამოაქვეყნა ერთ-ერთმა პოეტმა, რედაქციის თანამშრომელმა. შეიემნა ფილმები, მათ შორის „ხევსურული ბალადა“. პარტიის ერთგულ მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ დაწერა ნიგნი „მთას დაუბრუნდა მთიელი...“ მაგრამ უკვე გვიანი იყო. იმ დაწყვეტილი ჯაჭვების გაბმა, რომლითაც მთიელები, და განსაკუთრებით ხევსურები მთას იყვნენ მიბმულნი, უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა. იმ თაობისთვის კი, ვინც ბარში დაიბადა და გაიზარდა, მთა ისეთივე ერთჯერადი რომანტიკაა, როგორც სხვა ყველა ბარელისა და ქალაქელისთვის. ვინც წამოეგო ყალბ, თავის გამოსაჩენ აგიტაციას, ისინიც უკანნე გამოიქცნენ. კომეფნისტებისგან საქართველოს ზურგში ჩაცემული ნალახვრალი მანამდე დარჩება განუკურნებელ ჭრილობად, სანამ მთიელთა შთამომავლებს მთაში ცხოვრებით ისევ არ დაიინტერესებენ, როგორც ეს იტალიისა და შვეიცარიის მთებშია.

დღეისდღეობით ხევსურთა საკუთარ კუთხეში დაბრუნებას დიდად უწყობს ხელს ხევსურეთის სასაზღვრო ჯარში ბევრი ბარელი ხევსურის ჩარიცხვა კარგი ხელფასებით და ოჯახებით იქ ჩასახლება. მათ უკვე აღადგინეს თავიანთ მამა-პაპათა ჩაბოოლებული სახლ-კარი – მაგრდება (მოშლილი) ზურგი საქართველოისა.

ხევსურები 1900-იან ნლებში

დეკანუზი

ლექსთ დრეკილი

„ალბათ, ჯობდა თავიდანვე ცალი [ხორხი] გჭონოდა“!

(ვაჟა ოთარაშვილის „პოეზიის“ ანატომიური ანალიზისთვის)

ცნებამ – „თანამედროვე“ – ქართულ პოეზიასთან მიმართებით დროით-სიტუაციური ორიენტირების მნიშვნელობა რომ დაკარგა და რატომღაც ინტელექტუალური ღირსების ალმნიშვნელ ეპითეტად მოდიფიცირდა, ამას უკვე ყველა შეგვაჩვიეს. ღღესდღეობით მწერალი, რომელზეც, საკუთრივ ჩვენი გაგებით, ითქმის, რომ „თანამედროვეა“, სავარაუდოდ, ერთმანეთს არ ურთმავს „ვარდს“ და „დარდს“ და, ამავე დროს, თქვენ წარმოიდგინეთ, აუცილებლობის წესით რომელიმე ტაჯიკი ან ყირგიზი ფილოსოფოსის უმნიშვნელოვანეს ფრაზასაც წარუმძღვარებს საკუთარ ლექსს ეპიგრაფად. ამასთან, გარდაუვალია, სოციალური ქსელების მუშვეობით შეუუალი პირდაპირობით გვამცნობდეს საკუთარ ძვირფას აზრს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს „ვეღარ უმუღამებს“. თუ თქვენ გადაწყვიტეთ, რომ გახდეთ თანამედროვე მწერალი, მაგრამ რატომღაც მთლად ახლოს არ იცნობთ ტაჯიკურ-ყირგიზულ სიბრძნისმეტყველებას (ეს თქვენი ინტელექტუალური „დაბრაკვის“ მიზეზი აუცილებლად გახდება) და დიდ ქართველ პოეტსაც ჯერ კიდევ „უმუღამებთ“, არ შედრკეთ; არსებობს სხვა „გზა ხსნისაც“ – გამოათავისუფლეთ თქვენში დამწყდეული სექსუალური მანიაკი, ლექსში თუ მოთხრობაში (არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა) დაანთეთ ენების ხანძარი და აღგზნებული მიპყეეთ საკუთარი ლიბიდოს აწყვეტილ ძახილს.

ავტორი, რომელზეც გავბედავ, ჩემი მოკრძალებული აზრი მოგახსენოთ, უფრო თანამედროვე მწერალთა მეორე კატეგორიას მიეკუთვნება. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ვაჟა ოთარაშვილის პოეზია თემატური თვალსაზრისით ძირითადად ორ – საატრფიალო და პატრიოტული ლირიკის – ხაზს მიჰყვება.

სანამ საკუთარ აზრს მოგახსენებდეთ გალაკტიონ ტაბიძის, საქართველოს მწერალთა კავშირის, მწერალთა ასოციაცია „გულანის“ და ალმა-ათის პოეზიის ფესტივალების პრემიების ლაურეატის მესახებ, მოდით, თავად ავტორს მოვუსმინოთ, ვნახოთ, როდინ მოკრძალებულად შეაფასებს იგი საკუთარ ლექსებს:

ეზენ ბაწერინეგ ლექსებს – შედეკრრებს.

გვამცნობს ბატონი ვაჟა თავისი ერთ-ერთი „შედეკრის“ დასაწყისში. ვერაფერს იტყვი... ძალიან არ მინდა ვიფიქრო, რომ პოეტი გადაჭარბებულად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს, ამიტომაც მოდით, ერთად ვნახოთ, არის კი ჭეშმარიტების

მარცვალი თვითშეფასების ესოდენ გულწრფელ ნიმუშში თუ საქმე განდიდების მანიათ შეპარობილ ნარცისთან გვაქვს?!

ვაჟა ოთარაშვილი ეროტიკული პოეზიის წარმომადგენელია და, ამდენად, არ არის გასაკვირი, რომ ავტორი ხშირად აღწერს სასიყვარულო სცენებს, თუმცა ის განსაკუთრებულ სიყვარულს კონკრეტულად კერტს, ე. წ. ძუძუს თავის, მიმართ აჭყლეტენებს. ამიტომაც გირჩევთ, 18 წლამდე ასაკის მოზარდებს ნუ მისცემთ ვაჟა ოთარაშვილის სექსუალური თავგადასავლების ზედმიწევნით გაცნობის საშუალებას – არ არის მაინცდამაინც აუცილებელი, თქვენმა შვილებმა თეორიული სექსოლოგიის სრული კურსი სწორედ ბატონ ვაჟასთან გაიარონ...

თავიდან, ტრადიციულად, ის თავისი ვერაგული სექსუალური ფანტაზიების მსხვერპლის შეცდენის გზებზე ინყებს ფიქრს:

იქნებ, როგორმე შეგაცდინო,
იქნებ, ლოგინში ჩაგიგორო.

შემდეგ კი, როდესაც მიზანს მიაღწევს, ძირითად საქმეზეც გადადის – ლექსების აბსოლუტურ უმრავლესობაში აქტიურად ეფერება და კოცნის ძუძუს თავებსა და მთა მიმდებარე ტერიტორიას:

მკერვი მკერდი – დაცცარული ოფლით
მოხვრეპილი ცხელი კოცნის პეშვით.

დამეთანხმებითი, ესთეტიკური თვალსაზრისით ამ საკმაოდ მდაბიოდ აღწერილი სურათის პრობლემა მხოლოდ მის პროვინციალურობასა და ვულგარულ ნატურალიზმში არ მდგომარეობს. დიახ, მართალია, სრულებითაც არ არის სავალდებულო, პოეტმა საკუთარი სექსუალური გამოცდილება ასე დეტალურად გაგვიზიაროს, მითუმეტეს, თუ ეს გამოცდილება, არც მეტი, არც ნაკლები, ვიღაცის მკერდის ოფლის ხვრეპას გულისხმობს მაგრამ ეს მეფლის ერთი მხარეა. საქმე ის არის, რომ, გონების მაქსიმალური დაძაბვის მიუხედავად, მაპატიეთ, მაგრამ ვერ გამოვიცანი თუ რას უნდა ნიშნავდეს შესიტყვება „კოცნის პეშვი", რომელიც ოფლით დაცვარული მკერვი მკერდის მოხვრეპას ასე თავგადმდებით ცდილობს. თუმცა აქვე გაგაფრთხილებთ, რომ ავტორი ფრიად გულუხვია და მსგავს რეპუსებს სხვა ლექსებშიც მრავლად სთავაზობს მკითხველს.

როგორც ვთქვი, ვაჟა ოთარაშვილი საკუთარ ესთეტიკურ აღქმას, ძირითადად, მკერდს „უმიზნებს" და არტყამს კიდეც. ყველა ამობურცული ადგილი მის ნარმოდგენაში ასოციაციურად, მექანიკურად სწორედ მკერდს უკავშირდება (საქართველოს რელიეფს თუ გავითვალისწინებთ, პოეტს ამ მხრივ საკმაოდ გაუმართლა)... ასე მაგალითად, ავტორს „სასაფლაოს მყუდრო მიწდორთან ბორცვი", უცილობლად, ყოველ მიზეზგარეშე, მშობლის მკერდთან სათუთს ახსენებს. ფრიად დასაფასებელია, რომ ერთგან ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის ლირიკული გმირის აღერსას აღწერს კერტზე ენძელის სუნიც კი ასდის. სხვაგან კი ავტორი გაწბილებული წინასწარმეტყველებს:

ამოშანთავენ სხვისი ტუჩები
ჩემი კოცნებით დაართვილულ კერტებს...

„კოცნები" რა ენობრივი წარმონაქმნია, ალბათ, ავტორმა თავად უკეთ უწყიან...

სხვაგან კი ფანტაზიორობს:

ნეტა, როგორი იყავი სხვასთან,
როგორ ნვებოდი, როგორ იხდიდი.
და იქვე პასუხობს:

და ძუძუ-მკერდზე გწდფებოდნენ ურცხვად.
. . . . . .

„ძუძუს ვინ ჩამოგიხოკებს" (თუ მაინცდამაინც ძუძუ უნდა ჩამოუხოკონ ვინმეს, მწამს – „ჩამოგიხოკავს" – შედარებით გამარჯული ქართულია).

ავტორი გადაუჭრელი დილემის წინაშე დგას, დაუსვამს თუ არა ნერტილი „კოცნის პეშვით" თუ სხვა ორგანული სიშუალებებით ოფლით დაცვარული ძუძუების ხვრეპას, და რიტორიკულად ეკითხება კიდეც საკუთარ თავს:

არ დაიქანცე ტრფობით, ვნებებით?..

მრავალხნიანი ბჭობის შემდეგ კი ასკვნის:

მე ყველა ერთად უნდა დაგტოვოთ,
ჩემი იმედი და ჩემი ქალები.

ამ ფრაზის შემდეგ ესოდენ გაბედნიერებული მკითხველი იმით, რომ ალარ მოუწევს ვიღაცის „ჯიქნებზე" (ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად ზოგჯერ ბატონი ვაჟა „ძუძუს" „ჯიქნით" ანაცვლებს) გაუთავებელი მსჯელობის მოსმენა, მოუსოდნელად კვლავ იმედგაცრუებული რჩება, რადგან იქვე ავტორი თითქოს ეშმაკურად ჩაიქარქლებს, ხომ გაგაცურეთო, იტყვის და ნათელი ხდება, რომ კერტების მიტოვება არ ყოფილა მისი საბოლოო გადაწყვეტილება, და მალევე გვამცნობს:

ვერ ჩავიკალი ცხელი ვნებები.

ანდა:

ვის დარჩა მკერვი ძუძუს კერტები,
ანკკვერცხლება ნეტა ტუჩების...
დასავიწყებლად არ მეძებტება,
(ვით ნაოკნებით დანალურჯები)...

მოკლედ, ვაჟა ოთარაშვილის პოეზიის ერთ-ერთი (იქნებ ერთადერთიც) უძირითადესი მიზანი იმ ზოგადსაკაცობრიო პრობლემის გადაჭრაა, ბოლოს და

ბოლოს, შეეშვას თუ არა „ეროსის პეშვით“ „ნაკოცნებით დანაღარჯები“ „ძუძუს კერტების“ ოფლის ხერეხსა. ის ამ ფრთოსანს მისიას წარმატებით ასრულებს თავს ბედ და გამოუტანს კიდეც საბედისწერო განაჩენს თავისი მიდგნურის, რა თქმა უნდა, კერტებს:

აგიყვლიდეს ტკივილით კერტი.

ტკივილით აკივლებული კერტის შთამბეჭდავ გამირონებას მოსდევს ის, რომ იმის შემდეგ, რაც ვაჯა ოთარაშვილი, ბოლოს და ბოლოს, დაგვაყენებს საშველს და შეასრულებს საკუთარ მამაკაცურ ვალდებულებას, სამწუხაროდ, ამართლებს ფრაზას – „ყველა კაცი ერთნაირია“ – და საკუთარი მსხვერპლის ვინაობასაც კი ივიწყებს:

ეს მერამდენედ ვერ გავიხსენე –
შენი სახელი...

თუმცა, აღმოჩნდება, რომ აკივლებული კერტის სანაცვლო კერტი ვაჯა ოთარაშვილის ხელშია! მფლობელის კლანგების ასე ადვილად ვერ დაალწევს თავს და იმკის კიდეც დამყარებული სექსუალური აქტის მოულოდნელ შედეგს:

შენ ჩემითა ხარ ვიცი, ორსულად.

„ჩემითა ხარ ორსულად“ ქართულად არაფერს ნიშნავს და სტილისტურად გაუმართავი ფრაზაა, თუმცა მაგას გრამატიკულ „გადახვევებზე“ მკითხველი ყურადღებას ნუ გამახვილებს, რადგან, როგორც მისი ლექსებიდან ირკვევა, ბატონი ვაჯა დიდ უთანხმობებშია ქართული ენის ელემენტარულ ნორმებთან. ასე რომ, ლინგვისტური თუ გრამატიკული ხარვეზების აღნუსხვის აზრი არა აქვს – ამ მხრივ, კერტების რისხვა და აკივლებელი ოთარაშვილი დიდსულოვნად ფდატერებს, რომ ნაბურალურ რიცხვთა სიმრავლე მარილაც უსასრულოა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ავტორის ერთ-ერთ ლექსში მოხმობილი ფრაზა: „და აუღეს ბელ ციხესიმაგრედ დამიხედა მკერდი განაღალები“ ზემით დადგმული კოლუმბიური ტელესერიალის ფინწე ნამდვილად რეალობას მოკლეებულია...

მაგალი შეიძლება შემოგვდავოს, ეროტიკული სცენების აღნერას, სჯობდა, მსატვრული ტექსტის უფრო მნიშვნელოვანი მახასიათებლები გაგეკანონზებინა, და იმ არგუმენტსაც მოიყვანს, რომ სატრფიალო ლირიკა კარგად ადაპტირებული ხაზია ქართულ პოეზიაში. ამ მოსაზრებების სანინააღმდეგოდ გავიხსენებ გოლი თარაყის ერთ ცნობილ გამონათქვამს: „ტექსტი ის არის, რა საშუალებასაც თავად იძლევა“. ვაჯა ოთარაშვილის ლექსების ბრნმუ 85% კი მთელი გატაკეცინი მოგვითხრობს მათი შემქმნელის დაუკმაყოფილებელი თუ დაკმაყოფილებული სექსუალური ფანტაზიების შესახებ, ასე რომ, როგორც ერთი ძველი ქართული ანდაზა გვეუბნება, ძალიანაც რომ ეცადო, „ოქროს სანეხვეზე ვერ იპოვი“. გარდა ამისა, რაოდენ მიზანშეწონილია, 50 წელს გადაკიცებული, ამდენი პრემიის ლაურეატი გაუთავებლად წერდეს საკუთარი სექსუალური ცხოვრების თუ ოცნებების შესახებ და ამქვეყნად სხვა არაფერი ჰქონდეს საფიქრალი და საადარდებელი. ნუთუ პოეზია ერთადერთი საშუალებაა საკუთარი ენებების დასაკვნებლად?! რამდენად ნორმალურია, ზრდასრულო ჰომოსაპიენსი წიგნის 30 გვერდში 100-ზე მეტჯერ რომ ახსენებს კერტს, რიგ შემთხვევაში, აკივლებულს?! ესეც რომ არა, როგორც ვნახეთ, ვაჯა ოთარაშვილს არც ეროტიკულ პოეზიაში უჭირს კალამი: ენებინაი სცენების აღწერისას ის ვერაფრით აღწევს თავს უსაშველო ვულგარულობას და, როგორც განხილულმა მაგალითებმა ცხადყო, ხშირ შემთხვევაში მდაბიოდ, გულისამრეკად გადმოგვიცქმს საკუთარი ლირიკული გმირის სექსუალურ თავგადასავალებს.

მკითხველს, პოეტის ზემოთ მოტანილი სტრიქონებიდან გამომდინარე, უეჭველად შეექმნებოდა საფუძვლიანი შთაბეჭდილება, რომ ვაჯა ოთარაშვილი კარგად ერკვევა ადამიანის ფიზიოლოგიურ, ანატომიურ აგებულებაში, თუმცა, თქვენც არ მომიკვდეთ! გაგიკვირდებათ და ერთ-ერთ ლექსში ავტორი დაფინების ამტკიცებს, რომ მას ერთზე მეტი ხორხი აქვს:

წუთისოფელი დარდებს დამახვევს,
ამოლაფრულა ოხერით ხორხები...
მე გრიგალივით ვგლეჯავ არტახებს
და შენ მოგახსი: ნუ გათხოვდები!

თუმცა სწორედ აქ არის „ძალლის თავი დამარხული“. ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქროთ, რომ ბატონი ვაჯა სკოლაში ბიოლოგიის გაკვეთილებს ქრონიკულად აცდენდა, მაგრამ ამ შემთხვევაში იკვეთება პოეტის ფარული ჩანაფიქრი; ის არად აგდებს ადამიანის ანატომიურ აგებულებას და მზად არის, იქონიოს ერთზე მეტი (ალბათ, ბევრად მეტი) ამოლაფრული ხორხი, ოლონდ მიიღოს „გათხოვდები“-ს რითმა. ბუნებრივია, ასეთი გენიალური სარითმოა ნყვილი – ხორხები-გათხოვდები – წარმოებისთვის ეს სავსებით დასაშვები შეცოდებაა და ღირს კიდეც პოლიხორხიანობა. ისე კი, ვაჯა ოთარაშვილის აზრის ლოგიკურ მსჯელობას თუ მივყვებით, ალბათ, ზედმეტი არაფერია ცუდი, მითუმეტეს – ხორხი. პოეტები სარითმო კეთილხმოვანების მისაღწევად ხშირად „გადაუხვევენ“ ხოლმე ენობრივ ნორმებს ბოლო მარცვლის „დაგრძელებითა“ და სხვა პოეტური ხერხებით, მაგრამ ამ შედეგის მიღწევა საკუთარი ხორხის რაოდენობის გაზრდით აქამდე არავის უცდია... ამ მხრივ ბატონი ვაჯა მართლაც რომ ნოვატორია. საინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერესოა, რა ბედი ელის ავტორის ხელში სხვა შინაგან თუ გარეგან ორგანოებს...

რაც შეეხება სხვა რითმულ სასწაულებს, ამ საქმეში ბატონი ვეფა მართლაც რომ „ვირტუოზია". მის პოეზიაში რატომღაც სარითმო წყვილებად არის მიჩნეული, მაგალითად: გზაზე – თვალზე, წარსულში – სუფლი, მალე – ქალებს, აფეთქებები – ვნებები, ღამეს – ქარებს, მონაბერებები – მბრეფდები, ქალიც – თვალი, დარდი – ლანდი – ხარნი, მიბლაცვს და – მიყვარს და, ველზე – ჩვენზე, თმები – მთები, ვალია – თვალია, ერთი – ღმერთი და ა.შ. და ა.შ. (თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ოთარაშვილს რამდენიმე ლექსში კანტიკუნტად „არაზუსტი", დისონანსური პოლნინდრომებიც კი „აქვს წარმოებული", მაგრამ ამის შესახებ ავტორი, არც კი მგონია, ინფორმირებული იყოს)...

ასე რომ, რითმის სამსხვერპლოზე დამწვარი ადამიანის ანატომია იშვიათი „ბედნიერი" შემთხვევაა.

ბატონი ვეფა ერთგან სასონარკვეთილი წერს:

ხანგლითი რითმში მივარდებიან.

არ ვიცი, ვინ „გივარდებათ" (ისე, სწორი ფორმაა „მიეცვივდებიან", მაგრამ, თუ ავტორს მაინცდამაინც უვარდებიან, ვერაფერს ვიზამთ) ხანგლითი რითმში, მაგრამ მერწმუნეთ, ნუ დარდობთ, ახალსა და საინტერესოს ვერაფერს იპოვიან ყაჩაღები და ისეთივე ხელმოცარულნი „გავარდებიან" უკან, როგორებიც „შემოგიგარდნენ".

ვაფა ოთარაშვილს ვერც მეტაფორული კლიშეებისგან თავის დაღწევის დიდ სურვილსა და შესაძლებლობას ვატყობთ. ავტორი, ძირითადად, გაცვეთილი (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ – ნახმარი) მეტაფორების კომბინირებითა და მათი უნიჭო ინტერპრეტაციით ცდილობს ლექსების მხატვრული სახის შექმნას. მაგალითად, კარგა ხანია დამთავრდა „სოფლის გუბეში ჩაძირული მთვარისა" და „შენი თვალები – სამაყვალეს" დრო და არც ლექსების ლოცვებთან შედარებაა ახალი ხილი... ნიკო სამადაშვილის შემდეგ კი ლექსების „გამოყრა", მათი გამონაყართან შედარება ცოტა უფრხულიც კია, თუნდაც ამ მეტაფორის ასე გადამუშავების შემთხვევაში: „ფურცლებს ლექსად გამოვაყარო". ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამადაშვილის მეტაფორის ანტიციპაცია ავტორმა აბსოლუტურად „ხელეხლები დატოვა" და მისი მხატვრული ხორცშესხმის ოდნავ მოდიფიცირებული ვარიანტი შემოგვთავაზა.

ზოგჯერ ბატონი ვაფა მხატვრულ სახეებს საკუთარი პოეზიიდანაც კი „ისესხებს" ხოლმე. ასე მაგალითად, მის ლექსებში მრავლად გვხვდება მისივე „შენი თითები – კლავიშები"-ის სხვა, ოდნავ სახეცვლილი ვარიანტიც. მოვიყვანთ ერთ მაგალითს:

თოვლისფერ თითებს,
როგორც კლავიშებს...

გარდა ამისა, ამ ავტორთან ხშირად ნაანდერძებით ყოველად ბუნდოვანთ, არაფრისმქმედნ და „მკვდარ", „უხილველ" მხატვრულ სახეებსაც. მაგალითად, ამოუხსნელ ამოცანად რჩება, რას უნდა ნიშნავდეს „ქეიფების კოცონ", რა შესახედაობისაა „ვარსკვლავების კვნესა" ან „ქოსა ქაოსის ქაფი" (!), როგორ და როგორი წარმოუდგენია ბატონ ვაფას „კეთილი სევდა" ანდა რა საეალდებულო კაზუალურ მიმართებას ხედავს „სიჭაბუკის დღეებსა" და „ტრფობით სავსე ყოჩებს" შორის (მოკალით და ამკაცას ყველგან ტრფობა ელანდება!). ჩვენი გონებაც ვერ იმას სწნდება, რატომ „მიათრევს კასპის ზღვისაკენ მტკვარი გაზეპირებულ ტელესერიალს". ასევე გაუგებარია, რითი სჯობს „ტალღებით დალილი თოლია" „ლექსებით ავსილ რვეულს" („შენს ხარ ტალღებით დალილიი თოლია, მე მხოლოდ ლექსებით ავსილი რვეული"). აქვე, შევნიშნავთ, რომ „ავსილი" ქართულ სასიტყვეთში არ მოიძებნება. ასევე გაუგებარია, ილია ჭავჭავაძეს როგორ მოახერხა, რომ „გამოსორललილი მბრნიაგან ტყვიაქართლის ველების ტრფობით დაახრჩო" (!). ბატონმა ვაფამ ან „მეკვიციის" მნიშვნელობა არ იცის, ანდა – „დაახრჩოსი". ერთ ლექსში კი ავტორი ზეაბსურდულ მეტაფორებს ახვავებს და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ზაფხული ნარეს თამაშობს, ხოლო წყარო კამათელს აგორებს. ყოველივე ამის ფონზე ნამდვილად არ უნდა წუწუნებდეს ავტორი:

კვლავ მარტო ვარ
და ვერ მოგიძებ ვერავინ!

...

მკითხველის რომ აბნევს, ამას რა უჭირს, ესოდენ პოეტი ზოგჯერ თავადაც იბნევა საკუთარი მხატვრული წარმოდგენების გადამკიდე. ასე მაგალითად, მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლექსში ვკითხულობთ: „დილას ნისლი ავაბიე უფსკრულებზე გასული". ერთი წუთით თავი დავანებოთ იმას, რომ სიტყვა „ავაბიე" კონტექსტუალურად მოუხეშავი და „არასწორია" და კიდე იმაზე ვიჭყლეტოთ ტკინი, როგორ დამრთა ოთარაშვილმა საბრალო დილის ნისლს ეს საქმე, რა ვუყოთ იმას, რომ ბატონი ვაფა იქვე წერს: „ნისლის ერთი ფთილი ვარ". აქ, კი ვგრნებ, საელე წერეთლის დილაქტიკური ლოგიკაც კი უძლურია ამ, ალბათ, თავად ავტორსაც გაუჭირდება იმის ახსნა, როგორ, რა ეშმაკის მანქანებით აახია საკუთარი თავი, ანუ ნისელი დილას...

ანდა ნუთუ წარმოსაადგენია უფრო მეტი უგემნონობა და ფანტაზიის სიღატაკე:

მთვარე – ციკლოპის ყვითელი თვალი...

ვგრნებ, ეს შედარება ვაფა ოთარაშვილის მხატვრული აზროვნების თვისებრივი დახასიათე-

ბისთვის საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა და მის ესთეტიკურ დონესაც მკაფიოდ წარმოაჩენს... ამ ლექსშივე სრულიად მოულოდნელად, მონმენდილ ცაზე ვანწდებით მსგავს მეტაფორასაც:

ბნელში გართხმული შიშის ნიანგი.

ასე რომ, ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის შეხედულება – პროზაიკოსი წიგნის წინასიტყვაობაში ვაჟა ოთარაშვილს მადლობას უხდის დახვეწილი გემოვნებისთვის (!) – ისე, პატივიცემულ ჭაბუას რემზე კარგად მოეხსენება, რომ გემოვნება სხვადასხვაგვარი არსებობს... ბატონი ამირეჯიბისა არ იყოს, მეც მშენია, რომ ღირს ვაჟა ოთარაშვილის გემოვნების ნდობა, მაგალითად, ღვინის შერჩევისას.

რაც შეეხება მისი შემოქმედების აზრობრივ სიღრმეს, ოთარაშვილის დიდ დამსახურებად უნდა ჩითვალოს ის, რომ მკითხველს არ ტანჯავს, ამაოდ ეძიოს მის ლექსებში მაღალი იდეალები და ჩაბლართული ფილოსოფიური წიაღსელები. პოეტი გულწრფელად წერს ერთგან საკუთარი ლექსების შესახებ, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით:

კაცთა მოდგმის შეცნობას
არ ჰგავს ეს ნააზრევი.

რაოდენ ტრაგიკული და სამწუხაროც უნდა იყოს, თუ არ ჩავთვლით სტრიქონებს „ბედნიერება მხლოდ წამია“ „ჩემამდეც დარდობდნენ / ჩემამდეც უყვარდათ“, „სიკვდილი არაფერია, / ძნელი სიკვდილის შიშია“ და „ნეტარ არიან სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი“ (ეს უკანასკნელი ყოველგვარი ბრჭყალების გარეშეა მოტანილი/ ვაჟა ოთარაშვილის ფრაზა – „კაცთა მოდგმის შეცნობას არ ჰგავს ეს ნააზრევი“ – ყველაზე მეტად ფილოსოფიურია სხვა დანარჩენთან შედარებით და მისი „მეტაფიზიკის“ მნვერვალსაც სავსებით დამსახურებულად წარმოადგენს.

როგორც არისტოტელე წერდა, ფილოსოფია, ფილოსოფოსობა გაკვირვებით იწყება. მოდით, ვნახოთ, თუ რა უკვირს, რა განაცვიფრებს ბატონ ვაჟას:

არ გავწენილვარ ამქვეყნად ჯერაც
და დედაჩემი კვლავ ცოცხალია
ამ სასნაულის მე თვითონ მჯერა...

ასეთი კი მართლაც არაფერი წამიკითხავს არსად. ვგონებ, კომენტარი ზედმეტია... უბრალოდ, წარმოიდგინეთ ოთარაშვილის გაოგნებისგან შეშლილი სახე, როდესაც გაიგიბს, რომ ადამიანები „გაჩენამდე“ ლექსებს არ წერენ (ისე, ბატონო ვაჟა, არც დაბადების შემდეგ არის აუცილებელი). ასევე, გულწრფელად გვიხარია ფილოსოფოსი პოეტის სიხარული: „ნულს კლუს ნული იქნება ნული, და მიხარია, რომ პასუხს ვიღებ...“

ავტორისთვის ყველაზე უარესი და საგანგაშო ის არის, რომ ზემომოყვანილი მაგალითები მისი შემოქმედებიდან ძლივსძლივობით ამოკრებილი და შეკონნიებული კი არ არის, არამედ, ძირითადად, მისი მომცრო წიგნის, „მნუხარე ბედნიერება“ (ესეც უპოვია, რა, პარადოქსი!), ერთი მცირე ნაწილის (2003-2006 წლებში დაწერილი ლექსები) სტრიქონებია და, შესაბამისად, დიდი შანსია, დანარჩენი 12 წიგნის (დაახლოებით) განხილვამ ბევრად უარესი სურათი მოგვცეს...

ზოგადად ამ წიგნზე, ისევე, როგორც მთლიანად ვაჟა ოთარაშვილის შემოქმედებაზე, შეიძლება ითქვას, რომ ლექსების ძირითადი ნაწილი იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით აბსოლუტურად „მკვდარია“. მათ არ გააჩნია არანაირი მხატვრული საზრისი და, ხშირ შემთხვევაში, ნაძალადევი პათეტიკისა და პროვინციალიზმისგან გათავისუფლებას ვერ ახერხებს. წარუმატებელია ავტორის მცდელობები საკუთარი ლექსების, თუნდაც ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, არქაულობისაგან თავის დაღწევისა. მისი პოეზია ვერც თემატური მრავალფერივნებით დაიკვეხნის; არც მხატვრული სახეების სიჭარბით გამოირჩევა; აქ არცთუ იშვიათად გვხვდება ყურით მოთრეული მეტაფორები, აბსოლუტურად გაუგებარი და ბუნდოვანი შედარებები, ლოტოტრონის პრინციპით შექმნილი სინტაქსური შესიტყვებები... ხშირია ელემენტარული სალიტერატურო ნორმების დარღვევის მაგალითებიც.

და ბოლოს, უდავოდ ვეთანხმები ავტორს:

და უკანასკნელ პოეტურ აწკარებს,
უკანასკნელი ეჭვების ყყებას,
საკუთარ თავში ისე ვანწალებ,
როგორც ჯალათი... და ბინდი წვება...

მართლაც, როგორც ბატონი რაბაზ ჭილაია ამბობს ხოლმე, ზოგს ლექსი ანვალებს, ზოგი კი... პირიქით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოია ცხადაია

მუხრან მაჭავარიანი

მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ პოეტს ასე მიმართა: „თქვენი გამოსვლის დროს მე გამახსენდა მაცხოვრის სიტყვები. მან ასე უწოდა თავის ორ მოწაფეს: „ძენი ქუხილისანო!“ თქვენ შეგშვენით ეს – ძეო ქუხილისაო! მართლაც, თქვენ გამოიარეთ საოცარი გზა და დგახართ მწვერვალზე, საიდანაც ელაპარაკებით ჩვენს ხალხს. თქვენი პოეზია თქვენი გულიდან კი არა, ერის გულიდან ამოსული და ამისათვის მადლობას გნირავთ... „ჭეშმარიტად! სწორი ბრძანებაა. მუხრან მაჭავარიანმა შესაშური პრინციპულობით იცხოვრა და იღვაწა, როგორც მოქალაქემ და როგორც პოეტმა. მისი გულისყური უმთავრესად ეროვნულ სატკივარს მიემართებოდა, ერის ძნელბედობის ისტორიას თუ თანამედროვეობის საჭირბოროტო პრობლემებს. ამიტომაც მრავალფეროვანია ისტორიზმის ორიენტრები მის ლირიკულ ტექსტებში.

როცა ვლაპარაკობთ ისტორიზმის ორიენტრებზე მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში, გგულისხმობთ წარსულისა და თანამედროვეობის ისტორიულ ფაქტებს, კონკრეტულ სახელებს, მოვლენებს, როგორც მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებას გაბგდული პოეტური ნარატივისთვის. ისტორიული მასალა, ისტორიული თემატიკა ითავსებს ალეგორიის, სიმბოლოების, ნიღბის ფუნქციასაც კი ცენზურის გასანეიტრალებლად. თუმცა, იმავე ცენზურისთვის ძნელი მისახვედრი არ იყო ის ფარული მინიშნებები და კონცეპტუალური ნოვაციები, რომელთაც მოიცავდა ავტორის სიტყვა, და მაინც, გადადატანთ ნათქვამი, განსაკუთრებული ემოციური მუხტი – წარსულის კონკრეტიკით გაჯერებული, თავდაცვის მყარი გარანტი იყო, თავდაცვა კი აუცილებელი. მუხრან მაჭავარიანი 40-იანი წლების მეორე ნახევარში იწყებს პოეტურ შემოქმედებას (1949 წელს უკვე „საბას“ ავტორია). ამას წინ უძღოდა 1946 წლის ცნობილი მოვლენები, სსრკ კომპარტიის ცკ-ის 11 აგვისტოს დადგენილებები, რომელშიაც გაკიცხული იყვნენ ანა ახმატოვა, მიხაილ ზოშჩენკო, ნიკოლოზ ტიხონოვი და სხვა რუსი მწერლები. ახმატოვა და ზოშჩენკო მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, პირველს მრუნი უწოდეს, მეორეს – უპრინციპო, ხულიგანი, ნ. ტიხონოვი კი გაათავისუფლეს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეობიდან. ამ ფაქტმა განაპირობა ანა კალანდაძის პოეზიისადი გამოტანილი ვერდიქტიც – 7 წლით შეჩერდა მისი პირველი კრებულის გამოცემა. როცა გამოიცა, 1953-ში, მასში შესული ლექსების უმრავლესობა გადაკეთებულ-„გაწმენდილი“ იყო. მწერალთა ყრილობაზე (1946. 7.X) საგანგებოდ იმსჯელეს პოეტი ქალის გარშემო შექმნილ გაუმართლებელ სენსაციაზე (ცკ-ის მდივანმა პ. შარიან, გ. ჯიბლაძემ). უიდეო ლექსების შექმნისკენ მიდრეკილებაში დაადანაშაულეს: კოლაუ ნადირაძე, გიორგი შატბერაშვილი, მიხეილ ქვლიციძე, ალიო მაშაშვილიც.

ლიტერატურული პორტრეტი

ეს იყო კიდევ ერთი დასტური იმისა, რა მკაცრად ფუნქციონალურებოდა პოეტური აზროვნება ტოტალიტარული რეჟიმისა და მისი ხელისუფლების წარმოადგენლების მიერ.

50-იანი წლების მეორე ნახევრიდან (სწორედ იმ დროს, 1955 წელს იბეჭდება მუხრან მაჭავარიანის ლექსების პირველი კრებული), იწყება ე. წ. „დათბობა", შედარებით თავშეკავებული დრო, როცა არ იყო ფიზიკური ანგარიშსწორება, რეპრესიები, მაგრამ კონიუნქტურა ისევ მოქმედებდა. განსაკუთრებით მიზანმიმართული იყო კრიტიკის დამოკიდებულება მუხრან მაჭავარიანისადმი, – როგორც კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე აღნიშნავს, იმპრეზიდა „ძმაფერი კრიტიკული კამპანიები". იდეევნოდა ეროვნული თვითმყოფადობის გამომხატველი აზრი, რეპრესირებული რწმენადა ეროვნული ენობიერება. სოცერეალიზმი, რომელსაც უფრო ფსევდორეალიზმი ეთქმოდა, კვლავ ინარჩუნებდა ფიმკეთილს სტატუსს. მისთვის, რომელიც ადამიანთა თვისებონილებების ზუსტ განსაზღვრასაც ვერ ახერებდა, მოულებელი იყო ის სიახლეები პოეზიაში, რომელიც, შეიძლება ითქვას, ნეორეალისტური ეტაპით შემოვიდა ქართულ წმერლობაში. გამოჩნდა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, თავისუფალი აზროვნება, პიროვნების თავისუფლება მაინც ვერ სპლეს. სწორედ ამ ნიშნით მიიქცია იმთავითვე ყურადღება მუხრან მაჭავარიანმა. მან თავისი პოეტური ნარატივით ახალ ემოციებთან ერთად ახალი ენელისკვეთება მოიტანა, მის ტექსტებში არა მხოლოდ სათქმელი იყო ახალი, არამედ პოეტური სტილიც, სალექსო სტრუქტურა...

მუხრან მაჭავარიანის პირველი წარდგენა შედგა ისე ახალდაარსებულ მწერალთა წრის სხდომაზე. საგონი ზურაბ ჭუმბურიძე იგონებს, რამდენად ოსაცოცარი იყო ეს დღე: მან ნაკიათხა რამდენიმე ლექსი, თამამამად, ომახიანად, რაღაც ძალიან ანსხვავებული. აუდიტორიას ერთნაირი განცდა არ ჰქონია. ზოგი გაგებით შეხვდა, ზოგიც – პირქით, გაოცებით და დუმილით. მივიჩნიეთ, რომ ჩვენ ნინაშე იყო ერთობ უცნაური და რაღაც მეტად თავისებური, გაურკვეველი პოეტი. არადა, ამ დროს უკვე „საბას" ავტორი ყოფილაო... მალე ეს ყველასთვის ცხადი გახდა, რომ მუხრან მაჭავარიანის სახით მოვიდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის ალმდარი. მისი „უცნაურობაც" მალევე გაირკვა. ის სრულიად განსხვავებული სახით და ღირსეული ამბიციით გამოჩნდა.

როგორც ვთქვეთ, „საბა" მისი აღრეული პოეზიის ნიმუშია, შედგური არა მხოლოდ მის შემოქმედებაში, არამედ, ზოგადად, ქართულ პატრიოტულ ლირიკაში. როცა მუხრან მაჭავარიანის პოეზიას მთლიანობაში ეცნობი, განსაკუთრებული დაკვირვება არ არის საჭირო, მიხვდე მთავარს: მისთვის უპირველესია ეროვნული კონცეფცია, ბედი ქართველისა – სრულიად ბუნებრივი, იმანენტური, ღრმად განცდილი, რომელსაც თავისთავად გულისსმობს ეს იმანენტურობა. ვფიქრობთ, მუხრან მაჭავარიანს უპრეცედენტო ადგილი უჭირავს XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, როგორც ველიკოდერგავული პოლტიკის მნარე ოპონენტს. „საბა", როგორც ლირიკული ტექსტი, არადფრს გვეუბნება ამ პოლიტიკაზე იმ მარტივი მიზეზით, რომ მასში XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის ტრაგიკული რეალობაა მოცემული (ჯერ კიდევ შორია ეროვნულ-ეროვნული ტრაქტატამდე). ლექსი დაყოფილია სურათებად, რომელიც განსაკუთრებულ მხატვრულ ეფექტს ქმნის. მოხუცი საბა ლუდოვიკო მეთოთხმეტის დიდებულ სასახლეში, ვერსალში... კეფლიდან გამომზირალი 13 ლუდოვიკო... ლოდინი... ნებიერი, უდაოდელი მეფე, რომლის „სიყრუეს ხალხს ხმა დაუკარგა". ეს უკვე მინიშნებაა, რომ იგი საბას ვერაფერს გაუკეთებს. არაფრის მთქმელი მისი ყასიდი ოხვრა – რამდენიმე შორისდებულით გამოხატული უნებურად, რადგან „თქვა და კიდევ ინანა..." შემდეგ პოეტური პაუზა ქვეტექსტისა და ნარმოსახვისთვის – განბნილებული ელჩი, რომელსაც არ გამოეპარებოდა გულგრილი მასპინძლის ნაძალადევი წუხილი... ხელმოკარული, უიმედობით შეძრული მოხუცის ტრაგიკული გამოსვლა... წვიმა, თოვლი და ყინვა – განნირული სამშობლოს უბედობის მეტაფორები. „საქართველოა მისთვის წვიმაც, თოვლიც და ყინვაც..." ასე მიჰყვება ტექსტს პოეტი მხატვარი და პოეტი ნარატორი. თხრობის ამგვარი ეფექტი ლექსს ბოლომდე გასდევს. ტრაგიკულ ფინალს არარატორიკული კითხვა ასრულებს: „მოგწყენდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?! გულს ნუ გაიტეხ!.. მუხა კვლავაც შეიმოსება..." „გულს ნუ გაიტეხ!" – ეს თითქოს ძახილის წინადადებაა, ძახილის ნიშანი და ბრავალწერტილი, თუმცა არც შეძახებაა, არც ბრძანება, სამიმბრის სიტყვა უფროა, ელეგიური, – სანუგეშოდ მოხუცისთვის, წარმოსახვაში ხელჯოხიანს და აკანკალებულს რომ ხედავს. ეს ავტორის ტკივილია, რუსეთ ტოტალიტარიზმს დაქვემდებარებული ქვეყნის შვილისა, რომელისთვისაც ყოველად მიუღებელია საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია ჩრდილოეთისაკენ. საბას პოზიციის კრახი ახალგაზრდა (21 წლის) პოეტის ტრაგედიაც არის – ფაქტობრივად, იქ გადაწყდა ქართული ბედისწერა .– უარი ევროპისგან. ამ ლექსის პათოსი – ძლიერი, უეჭველი და მართალი, თანდაყოლილად იქცა მუხრან მაჭავარიანისთვის. თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ლექსში წერს:

(იქაც კი ვით აქ, – კუბის კარამდე)
არამც და არამც! –
არ გაკკმენდ მე ბმას! –
ვერ დამადუმებს მე მოძალადე!

საბას თემა არაერთხელ გამოჩნდება შემდგომ ლექსებშიც. 1953 წელს არის დაწერილი „ორი ცრემლიდან“ საინტერესო ეპიგრაფით: „ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას“. ეპიგრაფში მოხმობილი საბას ამ სიტყვებიდანვე იგრძნობა ავტორის განწყობა დიდი წინაპრის აუხდენელი ნატვრის გამო. ისევ გარეგნული და შინაგანი პორტრეტის სინთეზით გამოითქმის მთავარი: „დროდადრო ცრემლი ისევ წვეთავს საბას წვერიდან...“ საერთოდ, ეპიგრაფები მუხრად მაჭავარიანის საყვარელი პოეტური ხერხია. ლექსს „უბნობა ნაევრობალი საბასი“ წამძღვარებული აქვს მისივე სიტყვები: „მიივდოთ მონაკო ქალაქსა... ზღვაში ერთი მაღალი კლდე შემოსულიყო თბილისის მეტეხივითა... ჯენეკვის თემში შემოვედითა... გეგუთის მსგავსი ალაგები იყო... ალიკორნის საზღვარს შეეედით, დავაკაბა შეიქმნა, ოდიშის მსგავსი ადგილი...“ ლექსში ნარმოსახულია უცხოეთში საბას შეხვედრა სამშობლოს ხედებთან და დასკვნა: „საქართველო ქართველს ამა ქვეყნისას, სადაც მიდის თან მიპყვება ყველგან“.

1949 წელი. ისევ ბედი ქართლისა ლექსში „XVIII საუკუნე“, საათქმელი გადატანილი შორ წარსულში, ზმნები – ნამყო დროში, პრობლემა – ძველიც და თანამედროვეც: „საბრალო საქართველო ობოლი ბავშვივით გამელელს და გამომელელს მუხლებზე ეხვეოდა: – დამშაგრეს, ბატონო, მიშველეთ უდედმამოს... თხოვდა ხან საფრანგეთს, ხან რუსეთს...“ შემდეგ ირონია: „ლექსები იცი?!. მატარა საქართველოს პალე-როიალში ლექსი ათქმეფინეს...“ შედეგი:

ბოლოს, როგორც იქნა, რუსეთმა იმეფილა
მატარა საქართველო, ობოლი საქართველო,
მაგრამ მამობილი მკაცრი გამოადგა;
გაეპარებოდა ხოლმე მამობილსა
და დედის საფლავზე ტირიდა საქართველო.

ამავე წელს (1949) არის დაწერილი „იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურლიდამ!“ ილიას მიმატარება ალეგორიულად მიანიშნებს ილიას გზის, დაკარგული თავისუფლების, „ჩვენი თავი ჩვენსადგან გვეყოფდნეს“ იდეას:

ილია ვინდათ?! – მოითმინეთ! – ვიტყვი ბმამალა, –
ამ მატარებელს ჩამოპეყვება იგი ამალიან.

კიდევ ერთს გავიხსენებთ ძველი თარიღით, 1951-ში დაწერილს, უსათაუროს: „ერნანისის ველი, ქართველის მკერდი შეღებილია ყაყაჩოსავით, მახვილი ხელში – ნინაპრის ვვერდით მიმდგი ვიბრძოდეთ – ვარნა შორს არის“, ის, რაც შორს არ არის, ახალგაზრდა პოეტისთვის, ზოგადად, ქართველისთვის, სასურველი თუ გარდაუვალი ბრძოლის პერსპექტივაა. კონნინი არაერთხელ გეხვდება ამ წლებისა და შემდგომ ლექსებშიც. განსაკუთრებული დატვირთვა აქვს დიდ წინაპართა სახელებს: დავით აღმაშენებელი, დავით გურამიშვილი, აკაკი, ვაჟა... თითქოს ახალ დიდგორს მონაცემებული „ღმერთკაცი“ (ლექსის სახელნოდება), „იმერთა წყალთა ვინც თვეზნი შთასხნა, ვინც ვერ ისვენეს საფლავში ახლა!“ და ა. შ.

60-იანი წლების სულიერი ამბოხი იყო პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე ნაიკითხა „დღე მოინევეს კრიალა“ და „ახლა კი დროა“ (1964), რომლებიც მუხრან მაჭავარიანმა ნაიკითხა თსუ სააკაო დარბაზში სტუდენტებთან, პოეზიის საღამოზე, რომელსაც სტუმრობდნენ სამოციანელები და თავად მ. მაჭავარიანი. ყველასათვის მოულოდნელი იყო ეს გამოსვლა. ერთი ლექსი რომ ნაიკითხა, დარბაზი დაინგრა. ხის სკამებზე დარტყმის ხმა, ტაში და ოვაციანა... ამას მოპყვა მეორე ლექსი. ოვაციანა გაგრძელდა. ოფიციიზი არ ყოფილა, გარდა ადგილობრივებისა. ჯანსუღ ჩარკვიანმა სცენაზე მდგომს მხარზე ხელი დაჭკრა, გადაკოცნა. მუხრან მაჭავარიანი მეორე დღესვე სამსაზურიდან დაითხოვეს. ჯანსუღ ჩარკვიანი გაიფრთხილეს. ეს ხმა ქალაქში, უნივერსიტეტში მაშინვე გავრცელდა. ხელისუფლების რეაქცია საკმაოდ მწვავე იყო, მაგრამ იმდროინდელ სტუდენტობას, ვისაც ის ღამე ახსოვს, შეუძლია თქვას, რომ ასეთი ემოციური და ამაღლებული განწყობა, ალბათ, მანამდე არასოდეს ჰქონია.

ეს სულიერი ამბოხი გრძელდება 70-იან და შემდგომ წლებშიც. ენა, მამული, მამულის ღირსების დამცველ წინაპართა უკვდავი სახელები, თანამედროვე საქართველოს ჯერ კიდევ „ნაკრძალი“

სოციალურ-პოლიტიკური ზონა – პოეტურ სამსჯავროზე გამოტანილი – ალეგორიულად, იგავურად, ბაგრამ მაინც გამჭვირვალედ, – ესაა კვლავ და კვლავ მუხრან მაჭავარიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მისია. ლირიკული ციკლში „1832“ მთავარი სათქმელია ის, რომ: „ისევ დგას ფლის წესრიგში ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი“. უხიფათო არ იყო ამ გზით სიარული „საბჭოთა პოეტისოფის“, ბაგრამ „მართლის თქმის“ პრინციპი ყველაზეგრს სძლევდა, ერის ცნობიერებას სჭირდებოდა უხიფეი და ძლიერი შემოძახება: „როდემდე უნდა ვკვანინოს ყურზე?!“ ან: „ნეტავი, ჩვენში ყოველკვარი რამ ჩაჰკვალა რისკი?! და დუმილისკენ, ღრმა დუმილისკენ გვეძახოს უზნეობად აღიქმება პოეტის მიერ: „ვარ დამნაშავე, – რამეთუ ვითმენ, რაც მეცმინის იმას და რასაც ვხედავ“ („ს. დოდაშვილი“). ,ე, სადაც მხილებაა, თვითირონიაც არის. სათქმელის სემანტიკური ცენტრი ზმნებზეა გადატანილი და ეს ზმნები თითქმის ყოველთვის პირველ პირშია. „თვალი მტერზე უნდა გვეჭიროს“, „ჩვენ კი ხმლისა ნილ ვიხეხისანი გვიჭირავს რქანი“, „ვინ, ვინ შეგვინდობს“ და სხვ. ქართლის ბედის ირონიას ირონიითვე გამოხატავს. „ვეხტანგის ადგილს იჭერს ხერუა. გვეცლება ქართლი თვალდახელეშუა!“ კონკრეტულ მინიშნებებსაც არ ერიდება, ყოველ შემთხვევისთვის, სათაურშია ალიბი (მაგ., „სიტყვა თქმული ბიძინა ამილახოროს მიერ“), მაგრამ ამის გარეშეც უკომპრომისოა პოეტი იმ ლეტყობრივ, რომლებიც 1832 წლის ციკლს არ განეკუთვნება: „შენ ენ ბინდოდ ვაყაკიი?!“ „ვაი, ჩვენს სატროსს“, „თქვა ოპიზარმა“, „კრნანისი“, „ამერიმერი“ და სხვ. მამხილებელი ტონი თავისთავად მიმდინარეობს პოეტის სულიერი იმპულსებიდან, ამიტომაც ძლიერია მისი ზემოქმედება მკითხველის ცნობიერებაზე. გადამდებია ის მტკივნეულობა, რომელსაც ლირიკული სუბიექტი განიცდის: საქმის და სიტყვის დაშორება, „ამაყოფილი სიფათი რეგვნის“ და სხვ.

პოეტის თანამედროვე, ახალი გენერაცია, ანუ „ძისქენი შეფე გუბაზის“, „დაზოცილები ქართულ სუფრაზე – დილიმში წვანან სამარაბდენი“. სიცოცხლის უმადლესი ღირებულების – ზნეობრიობის დაქვეითება და მოშლა განაპირობებს პოეტის გამაფრთხილებელ სიტყვას: „ემარა, გვიანლა იქნება მერე! გვიაბლოოგება, ვხედავ წერტილი... და ხალქთველოს უკვდავი მტერი, – სიცილით კვდება ფალლედინი“ („თქვა ოპიზარმა“).

ეროვნული პრობლემების და მასთან დაკავშირებულ განწყობილებათა ვარიაციები მნიშვნელოვანია ამ წლების სხვადასხვა ლექსში: „ამას არ უნდა დასტური სხვისა“, „გურამიშვილის არ იყოს“, „ბულელი“, „ნუ გათათრდები“, „თუ სიკვდილია“, „რისთვისაა“ და სხვ. „ქართველი ამას იკადრებს?! – არა!“ ამ ლექსის საფუძველი გამხდარა პეტრე კონქოშვილის წიგნი „ზოგზაურობა წმ. ქალაქსა იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ – (1901-ფიბილისი)“, რომელშიც გამოხატულია გულისტკივილი იმის შესახებ, რომ ათონის მთაზე იეტრიის მონასტრის ქართული წარნერების მინაარსი შეცვლილი ყოფილა: „საქართველოს მეფენი“ – „ბიზანტიის მეფეებით“, „თორნიკე ერისთავის“ მაგიერ „ნიკიფორე – ბერძენი კეისარი“ და ასე შემდეგ. რომ: „გამოუყვანესეს ქართულ ტაძრებს უტიფრად ნირვა...“ ლექსის ძირითადი კონცეფცია მაინც თანამედროვე ყოფას უკავშირდება, როცა „ვეიგნერევენ წარსულს, გვაოხრებენ, ჩვენ ყურზე გვინიავს. იგივე ხდება, უცხოეთში კი არა, – აქაც. აგერ ჩვენს თვალწინ – ძველი ძეგელი, ზედ ხრამის პირას, კაცმა არ იცის, – სად, როგორ გაპქრა...“

70-იანი წლების ერთ-ერთი აქტუალური თემა ენის საკითხი, რომელმაც განსაკუთრებული სიღრმით იჩინა თავი მუხრან მაჭავარიანის ლირიკაში. „ქებანი და დიდებანი ქართულისა ენისა“, „რაშია საქმე“, „იარს უსასრულოდ, რომელიც ამიერ“, „ენა ქართული“, „სიტყვა თქმული ფილადელფოს კიანძის მიერ“ და სხვ. მამხილებელი, მკაცრი და, ამასთან, ირონიული ტონი წარმართავს ამ ლექსში „ყველა იმ სიგალიის“ წარმოჩენას, რომელიც ქვეყნის ეროვნული უბედურების ხელშემწყობი მიზეზი იყო („როდესაც უცხოს კოცნი იაზნის“ და სხვ.). „სუფლყველაფერზე თავის კანტბურით“, როგორც პოეტი ასკვნის, „ენაც დაკვარგეთ, კნინლი ქართული“.

ქართულ პოეზიაში დამკვიდრებულმა ამგვარმა სულიკვეთებამ ბევრად შეუწყო ხელი ეროვნული სიფხიზლის გამძაფრებას ქართველ ახალგაზრდობაში, რომელმაც უმთავრესი როლი შეასრულა ქართული ენის სახელმწიფო ენად დარჩენის საქმეში. საბჭოური ტოტალიტარიზმი აღსასრულს უახლოვდებოდა. „ტოტალიტარიზმის დასუსტების და კვდომის სიმპტომი იყო ლიტერატურაში სიმარილის თანდათანობით ზრდა, ქართული ენის სახელმწიფო სსტატუსის დაცვა“ (თ. ვასაძე).

არანაკლებ მტკივნეული, უფრო მეტიც – ტრაგიკული მუხრან მაჭავარიანის პოსტსაბჭოური პოეტური ნარატიები. ზოგადად ნარაცია პოეზიისთვის არც ისე მისადაგებულია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევებში ის სტილური თავისებურებაც არის და ამის პარადიგმად გვესახება მუხრან მაჭავარიანის ლირიკული ტექსტები. მნიშვნელოვანია მისი -სათაურებიც, ხში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად – ირონიზებული, საგანგებოდ ვრცელი, პარადირებული და ა.შ. ზოგიერთი რუსულად არის დასათაურებული. მაგ., „О русификаторах“, რომელშიც მნარედ დაისმის კითხვები:

ვით შემიძლია, შევუნდო მე მათ? –
ჩემმა რაც მათგან იწვნია ეერმა?..

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებს იგი აღიქვამს, როგორც ტრაგედიას XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ამ წლებისაა „1989-1992“ (სათაური):

ერი გაერდა! ხალხი გაბალდა!
სამი წლის წინათ შევძაგნ,
ხელი მეკიდა ზეცა ზე,
თურმე, – მოიცა პაწა ხანს!
და ნახავ: კი არ გაბალდა,
პირიქით:
ნახდა, მთლიანად ნახდა.

ისე, რომ „გამოღვიძებას ამნაირს, რომ გვძინებოდა, გვერჩია“ („ახლა თუ გინდა მართალი“). „1937-1990-1992“ (სათაური) – სამი საბედისწერო თარიღი, – ესაა ტექსტის მინიშნება: „ეს რა სასტიკი გულში ზრახვა ჰქონია, თურმე ამ – ვითომ სათნო, – ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტს“. არსებულ რეალობაში ქართველთა ნაცვლად ქართველობასას მოთამაშეებს ხედავს. ორად გაყოფილ ქვეყანაში „მმაკალოობა“ (ლექსის სათაური) გახშირდა: „საქართველოში სუფევს დიმსალი: ხარ მოღალატე, რახან დუმხარო“. არადა, დუმილი არ ეთქმის იმას, რომ ერთი სოლიდური პოეტური კრებული (250 ლექსამდე) გამოცემული აქვს 1994 წელს, დანარჩენები შემდეგ... „მმაკალიობა“ მთელი ციკლის დასათაურებაცაა, – მმათა სისხლით დაღდასმულთა სახეებითა და ქმედებებით.

მტკივნეულია პოეტისთვის ახალი რუსობანას გათამაშება მაშინ, როცა „ის იყო იძირკვებოდა თამაში რუსობანასი! ის იყო, გმირი ხევსური მკედრეთით დგებოდა სამასი! – გამოგვეცხადა (კრულ იყოს!), – სისხლი რომ სცხია ძამასი და ისევ რუსობანასი დაგვაწყვებინა თამაში“ („რუსობანა“). 91-92 წლების მოვლენებს პოეტი სახელმწიფო გადატრიალებად მიიჩნევს, ირონიულად შენიშნავს: „მომხდარა ჯანაყი! ისიც, – თუმრე, – სახალხო ჯანაყი?! – ჯანაყი?! რა ჯანაყი?! – რისი ჯანაყი?! კარგი, – რა! – კარგი!“... („კარგი, რა, კარგი!“). შეიძლება ითქვას, ეს ლექსები 90-იანი წლების ყოველდღიური ცხოვრებაა, – დანახული და შეფასებული პოეტის თვალთახედვით. თუნდაც „შეხვედრა თბილისის აეროპორტში“, როცა საქართველოში, – პოეტის სიტყვით, ულმერთობის ცეცხლი ენთო, სისხლი წვიმდა, სამეგრელო ზლუქუნებდა, ხოლო „ხალხს... მიჰარბედ[illegible]ვდა ზოგიერთი მაშინ ცოლიათურთ ერთი კაცისკენ (საკოცნელად) მუჯლუღუნებით! არა „ამხანაგ“, – უკვე „ბატონ“ ერთი კაცისკენ! – შეხედდა დამსმელთ[illegible] რომელსაც ისე, ბაღლინი ხვდებიან საახალწლოს[illegible] როგორც ნაძვის ხეს!“

სამოქალაქო თუ ძმათამკვლელი ომის ფაქტ[illegible] არაერთხელ გაიფიქრებს მკაცრად, მტკივნეულად, დაურიდებელად, სახელდებულად:

ვინც ანადგურებს ახლა ქყონდიდს, ზუგდიდს,
ქალაქიდან!

ვინც სისასტიკით მურავს ედერება! –
დამოლოს ისიც,
არაერთი, ვით სხვა ჯალათი, –
თუ სული შერრა, –
ალბათ, ქრისტეს მიეკედლება.
(„კბილი კბილის წილ“).

ქვეყნის ქაოსში იგი კვლავ საბჭოთა რუსეთის ხელწერას ხედავს. „სიცოცხლე და სიკვდილი რუსულად“ (სათაური), ეს ლირიკული ტექსტები სწორედ ამ არულობასა და უბედურებას წარმოსახავს. სასტიკია პოეტური ვერდიქტი მათ მიმართ, „რუსთათვის ვისაც ქართველების სურს მირთმა ლანგრით, შეგირდდად, – ვიქჭვობ, – გამოადგეს მას თემურლანგი“.

პოეტს ანუხებს აფხაზეთის პრობლემა, იქ შექმნილი ტრაგიკული ვითარება, ტექსტები კომენტარის გარეშე ნათელია და მრავლისმეტყველი:

ფერი მიპხადა,
თვით უკლის ეჯეს,
ყველა ჩვენს დუშმანს
აგორეძულმა
აფხაზეთში
უფადადუფამ!
ერთაშორისი,
ესეც შენი, –
აპპნდე,
ДрукбА!

მრავლადაა ტექსტები ყოველგვარ უზნეობაზე, ჩვეულებრივ ყოფით თუ პოლიტიკურ სივრცეში, ახალ „ყვარყვარეებზე“, პურის რიგებზე, სტალინისა და ნიკიტას მონატრებაზე, ახალი საქართველოს ახალ ორჯონიკიძეებზე. არ ერიდება დაასახელოს „ნითელი ინტელიგენცია“, რომელიც, მისი სიტყვით, „უნინდელი ჟამის დაბრუნებას ცდილობდა“ და ა.შ. „სხვა საქართველო, მართლაც, სად არის?“ – ესაა რიტორიკული კითხვა, გუფისტკიველის გამომხატველი, პოეტის სუბიექტური განცდა. დანგრეული თბილისი... ახალი პარლამენტი – „ამბლა-ბუდაში გაბმული პუჭურიკის“ მსგავსი; ირონიულია

- „სამშობლოს ჩემსას ესენგაეში ეშველა შესცლით", „რეცეფუმე..." და სხვ. ქაქუცა ჩოლოყაშვილის მონაზრება, როცა ქვეყანას მართავდა საეჭვო რეპუტაციის ხალხი, „შარაგზის ავაზაკები", რომლებიც „ჩრანეებდნენ მომიტინგეთა ადგილზე ჩაძალლებას":

უნდა დატროვოს ყველამ ქალაქი, –
მომზრე ბრძანდება ვინც იმ ჯალათის!..
ახლა, ამ ვირთან
ღირს ლაპარაკი?!
ბიჭი არ იყოს ონიკანთის?!
ნაღდი ფეხზეა ყველა ჩათლახი,
გიიოს ბაბს ეცვას ვისაც ხალათი!
ქაქუცა! – ავაჰმე!
ავსუს! – სადა ხარ!..
ფაა საჭირო ჩოლოყაანნი.

მნვავეა და მოურიდებელი იმ ვითარებაში პოეტის განაცხადი:

ქვეყანა ჩვენი, – სიმხდალემ ჩვენმა,
ხელთ უდგო ქურდებს, როგორც გულაგი!
საქართველოში,
ახლა რომ ბნელა!
ასე ოდესმე
ბნელეებულა-ყე?!

პოეტი, რომელიც თავისი ცხოვრების წესით, შეხედულებით ნატურით იყო მტკიცე, შეუვალი, იმასაც იტყვის: „ეს, სად ვყოფილვარ?! – მიცხოვრია თურმე რა ხალხში?! არა! სიცოცხლე მართლა არა ღირს!" თუმცა, მაინც სძლევს ადამიანურ-მოქალაქეობრივი სურვილი:

ამ ჩემმა ზათქი რომ არ ჰყოს გულმა
(ვეცხლში ვიითარცა ქვა სცდება ფილთა),–
დროზე და მალე ვიხილო უნდა, –
მე საქართველო, როგორიც მინდა!

ამ წლებში კვლავ გრძელდება ციკლი „1832" – ლექსით „სიტყვა ალექსანდრესი (ბატონიშვილისა), – მითხრა რომელიც მაშინ, – თეთრი ღამის ადგილს, დღე რომ იყურნა შავი)", – ეს ვრცელი სათაური სათქმელის გამოხატვის საშუალებაა, ირონიზებულია რეალობა, რომელსაც ლექსი ეხება. ირონიაა ბატონიშვილის ნათქვამიც (ანუ თავად ავტორის):

ვწყევ მამას ჩემსა,
თუმც, ვიცი, მამის
წყევლა
წესიერს
არ ჰმართებს
შვილსა!
არადა
ტკენში ამასხა სისხლმა!
გულზე მასვეებს მოგება ნიშნის:
– აჰა,
აღსრულდა
ბელმწიფური
ან
ჰაზრი.
მისი
და სჯამ
ნაყოფსა
შენ
მისგან ტკბილსა.



ესაა ინტერტექსტუალური გადაძახილი, რომელიც უცხო არ არის მუხრან მაჭავარიანის ლირიკულ ტექსტებში. რაც შეეხება ერეკლეს მიმართ გამოთქმულ მოსაზრებას (შეფასებას), თუ მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას მთლიანად გადავხედავთ, არაერთხელ შეგხვდებით მის სახელს, სახეს, როგორც სათაყვანოს, ღირსეულს. გავიხსენოთ პოეტის „რომელი მეფე ერეკლე მე ვარ, ანდა რომელი მსაჯული მისა" და ბევრი სხვა. ამ ლექსებში იგრძნობა ისიც, რომ მუხრან მაჭავარიანისთვის, მიუხედავად რუსულ პოლიტიკასთან მისი დამოკიდებულებისა, გასაგები იყო მეფე ერეკლეს არჩევანი – ორი უბედურებიდან ერთ-ერთის არჩევა (დაახლოებით ასე ავასებს ისტორიკოსთა უმრავლესობა ერეკლეს გადაწყვეტილებას საქართველოს ორიენტაციის საკითხში). მისთვის ერეკლე მამულისთვის თავშეწირული. ერთსტროფიანი ლექსის სათაური ასე იკითხება. „ჩემი ეპიტაფია, – წასაწერი საფლავის ქვის ორივე მხარეზე (ქვედაზეც, ზედაზედაც), – მკვდარმაც რომ წაიკითხოს და ცოცხალმაც":

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი არ იყოს, – ჩემო ირაკლი!
ვერ ვიდეგეგმორე! – ვერ ვინინაპრე! –
ჭირმა ჩემმა და ჩემმა სილაღემ! –
მამულმა შენებრ შემიწარა მე.

90-იანი წლების მოვლენები, უკვე ისტორიად ქცეული, კრიტიკულად და მრავალმხრივ არის ასახული პოეტის ბოლო წლების ლირიკაში. საგულისხმოდ მიგვაჩნია და დავასრულებთ მისი ერთ-ერთი გამონათქვამით:

ჯერ კიდევ, ოამმა უნდა განვლოს, ჩანს,
ერთობ ბევრმა,
თავისი თავი თავის ტყაკში რომ იგრძნოს ერმა.

სიკვდილის წინ მისი უკანასკნელი სიტყვებიც, რომელიც ვერ დაამთავრა, ასეთი იყო: „არადა, არამცთუ სხვაგან, ამოკამად, თვით საქართველოში, სამნუხაროდ, არიან ქართველები, რომლებსაც მაინცდამაინც დიდად არაფრად მიაჩნიათ შენი ქართველობა...“ ეს სიტყვა აქ განყდა... ამაზე დაფიქრება ღირს და ჩვენი ვალიც არის. მუხრან მაჭავარიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პოეტი რაულ ჩილაჩავა წერს: „50-იანი წლების ბოლოს ჭაბუკმა პოეტმა თამამად დაიწყო დრომოქმული სტერეოტიპების მსხვრევა და სიახლეს მოწყურებული მკითხველი მანამდე უცნობ რიტმებს, აზრებსა და სახეებს აზიარა. „ამ ვიწრო ქუჩაში კომუნიზმი ვერ შემოტევა...“ – განაცხადა მან და მომავალში აუხდა კიდეც წინასწარმეტყველება...

ჩემი და, ალბათ, ბევრი ჩემისთანის წარმოსახვაში მუდამ ცოცხლობდა ასეთი პოეტური სიმება: „მურმანი–ანა–მუხრანი“. ყველა მათგანს გადააბიჯა 80 წლის ასაკს და შესანატრი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გადალახა სანუთრის მიჯნა. პოეტი თავისი უეცარი განშორებით თანამოქალაქეებს ვირტუალური სამების კანონზომიერებას. ბეჭედს ურტყამს მის საუკუნო არსებობას.

ბოლოს ისევ მუხრანის სტრიქონს გავიხსენებ: „ეს გზა მეც ვიცი, საითკენ მიდის!“ ახლა, როცა მუხრან მაჭავარიანის მინიერი გზა დასრულდა, ჭკითხეთ ნერბისმიერ ქართველს, საითკენ მიდის ის სხვა, უსასრულო გზა, რომელიც ეს-ესაა დაიწყო და პასუხად უსათუოდ გაიგონებთ: „რა თქმა უნდა, უკვდავებისკენ“.

საუბარს მუხრან მაჭავარიანზე დავამთავრებთ უნმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვებით, რომელიც მიემართება პოეტს: „ადამიანი მოდის ერთხელ, რათა აღასრულოს თავისი მოვალეობა. არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ჯვარს ატარებენ. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც ატარებენ ერის ჯვარსაც, ერის ტკივილს, ბედს, ავსა და კარგს. ბატონი მუხრანი ბრძანდებოდა ის პიროვნება, რომელსაც ტკივილი ერის ტკივილი. ამავე დროს, ის ხედავდა მომავალს. პოეტი და მწერალი ერის მომავალს უნდა ხედავდეს და ყველაფერს აკეთებდეს, რათა ქვეყანაში მშვიდობა და ბედნიერება სუფევდეს“.

თავს უფლებას მივცემთ, გავიმეოროთ – მუხრან მაჭავარიანმა ერის ჯვარი ატარა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების დიდ და რთულ გზაზე.

ჩვენს ქვეყნიერ ოცდაშვიდთმეტის მოგონებები

ვოტე ცინცაძე

ჩემი მოგონებანი

1903 წლიდან 1920 წლამდე

საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლის სიგნალი იყო თერგის სახალხო კომისარმა საბჭოს თავმჯდომარის ამბ. ბუაჩიძის მოკვლა. რიცხვი არ მახსოვს, მაგრამ, ეგონებ, 9 ივნისს იქნა მოკლული ამბ. ბუაჩიძე. ამ დღეს გამოსვლა არ მომდარა, რადგანაც მთავრობას მიღებული ჰქონდა საჭირო ზომები და ამას გარდა, არც კონტრრევოლიუციონერები იყვნენ მზად. ამბ. ბუაჩიძის მოკვლის შემდეგ რამდენიმე დღით მდგომარეობა თითქოს მიწყნარდა, მაგრამ ეს იყო სიწყნარე ქარიშხალის ამოვარდნის წინ.

ორგანიზაციული მუშაობა სწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების გამაგრება-განმტკიცებისათვის. უნდა დამყარებულიყო საბჭოთა ისეთი ხელისუფლება, რომელიც დააკმაყოფილებდა და ნორმალურ პირობებს შეაქმნიდა თერგის ოლქში მცხოვრებ ერთა შორის: ოსებს, ინგუშებს, ჩეჩნებს, კაზაკებს, ყაბარდოელებს და გარეშე მცხოვრებთა (иногородных) შორის. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის სიგრძელე მეტად ანელებდა მუშაობას მთელებს შორის. განსაკუთრებით მეტად ძნელი იყო კაზაკებისა და მთიელების მორიგება. ყველაზე უფრო კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები იყვნენ კაზაკები. მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკის წყალობით კაზაკები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდენ. ყველაზე საუკეთესო მინები, როგორც სახნავი, ისე საბალახო და ტყეები კაზაკების ხელში იყო. კაზაკები თერგის ოლქში ჩამოსახლებული იყვნენ ადგილობრივ მცხოვრებთა სამტროდ. უზარმაზარი კაზაკთა სტანიცები სოლივით იყვნენ შეჭრილი ინგუშთა და ჩეჩენთა სოფლებში და მოსვენებას არ აძლევდენ ეგრეულ წოდებულ „ინოროდცებს". ეს კაზაკებივე იყვნენ მეფის თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელნი. იმის გამო, რომ თერგის ოლქის ძირითადი მოსახლეობა იდევნებოდა, ის დამონებული იყო ეკონომიურად და მეფის მთავრობა კაზაკების საშვალებით სრულს განადგურებას უქადდა; დამოკიდებულება კაზაკებსა და ადგილობრივ ძირითად მოსახლეობას შორის წარმოუდგენლად იყო გამწვავებული. მგრობამათ შორის უმაღლესად იყო განვითარებული და ზოგჯერ იმ ზომამდე აღწევდა, რომ ხშირად

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი" №3-4. 5. 6. 7-8. 9. 10, 2011.

თავდებოდა შეიარაღებული შეტაკებით და სოფლების გადაბუგვვით. ოქტომბრის რევოლიუციამ იმედი მისცა დაჩაგრულ ერებს ასეთი შევიწროვებისაგან გასანთავისუფლებლათ.

რადგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ დაიყენა საკითხი დამნებებულ ერთა განთავისუფლების შესახებ, ამიტომ ეს ხელისუფლება დიდის პოპულიარობით სარგებლობდა თერგის ოლქის ინტერნასიონალურ მცხოვრებთა შორის. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლებაში ვაზაკები ნედავდნენ ისეთ ძალას, რომელიც ემუქრებოდა მათს ქონებას და პრივილეგიებს, ამიტომ ისინი ამ ხელისუფლებას მტრულის თვალით უყურებდნენ, თუმცა ვაზაკებს შორისაც მოიპოვებოდნენ ჯგუფები და კერძო პირები, რომლებიც გულწრფელად უჭერდნენ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას. თავის თავად იგულისხმება, რომ საბჭოთა ხელისუფლება მხარს უჭერდა თერგის ოლქის შევიწროვებულ მოსახლეთაგან, რომელიც უმრავლესობას შეადგენდა და ამასთანავე უღარიბეს ნაწილს და სწორედ ამ მიმართულებით სწარმოებდა მუშაობა – ღარიბთა ძალაუფლების დამყარება, რევოლიუციურ მონაპოვარ უფლებათა განმტკიცება ამ ღარიბთა საკეთილდღეოთ. ასეთი მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა, როცა იქ საოლქო კომიტეტი გადავიდა, რომელმაც ხელი მიჰყო ნინად დასახული მიზნების ცხოვრებაში გატარებას.

კონტრ-რევოლიუცია გრძნობდა საოლქო კომიტეტის მიერ დანყებული მუშაობის საშიშროებას და ამიტომ განიზრახა მისთვის ხელის შუშლა და ემზადებოდა გამოსელისათვის. საოლქო კომიტეტს სხვა ამოცანაც ჰქონდა დასახული, რასაც არა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა: ეს იყო საქართველოს გასაბჭოება; საქართველო იმ ხანებში ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონერი ძალების ბუდე იყო. ამ მიზნით საოლქო კომიტეტი იძენდა იარაღს – მეტ ნაწილს იძლეოდა, თერგის საბჭოთა მთავრობა, დანარჩენს ყიდულობდა კერძო პირთაგან. ეწყობოდა სპეციალური რაზმი თერგის ოლქში გადმოხვეწილ „საქართველოს ქვეშევრდომთაგან“ და მოხალისეთაგან – თუ საჭიროება მოითხოვდა საქართველოს აჯანყებულთათვის დახმარება აღმოეჩინა ცოცხალი ძალით. ამ რაზმის უფროსი იყო ამხ. ს. გაგლოევი. საოლქო კომიტეტის წევრთაგან ამ საქმეზე მუშაობდენ ამხ. ლადო დუმბაძე და კ. ცინცაძე; ადგილობრივ ამხანაგებთაგან დიდ დახმარებას უნევდა ამხ. ვასო ელერდოვი. მოხალისეთა შეკრების, მათი ორგანიზაციულად მოწყობისა და ტეხნიკურად საქმის მოსაწესრიგებლად მუშაობდა ამხ. ივანე კარაპეტოვი (დავახლოვქე). გარდა ამისა მთელ თერგის ორგანიზაციას შეგნებული ჰქონდა, თუ როგორი დიდი საქმე იყო საქართველოს გასაბჭოება და ამიტომ შესაძლებლობის ფარგლებში ის არ იშურებდა ენერგიას ასეთი რაზმების მოწყობის საქმეში. 1918 წლის დაახლოვებით ივნისის პირველ რიცხვებში საოლქო კომიტეტის განკარგულებით ვლადიკავკაზში მოვიდა საქართველოდან შეიარაღებული რაზმი ამხ. აღ. გეგეჭკორის მეთაურობით, რიცხვით 300-მდე კაცი, ეს ის აჯანყებულები იყვნენ, რომლებიც მენშევიკებთან ბრძოლაში დამარცხდენ და რომ არ დაშლილიყო ეს რაზმი, გადაყვანილ იქნა ის ვლადიკავკაზში. ეს რაზმი იქნებოდა ახალი რეზერვი, უკეთუ საქართველოში აჯანყებას გამმეორდებოდა. თერგის მთავრობამ და ორგანიზაციებმა ეს რაზმი გულთბილად მიიღო. ამგვარად კონტრ-რევოლიუციონერი გამოსელებმა მოლოდინში, ვლადიკავკაზში გადმოყვანილი ერაზრდილო ოსეთის კომუნისტურო რაზმი (კერმენცტები) რიცხვით 200 კაცი. ამ რაზმის მეთაური იყო ამხ. კირილ კესაევი.

არ მახსოვს რომელ რიცხვს იყო, მგონი 9-10-11 ივნისს, საქართველოში გასვენებულ იქნა ამხ. ბუაჩიძის ცხედარი. პროცესია მცხეთამდე ამხ. ლადო დუმბაძემ გააცილა. მას დავალებული ჰქონდა გასცნობოდა საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, გაეცნო მუშათა და გლეხთა სულიერი განწყობილება, საორგანიზაციო მუშაობა და სხ. ამ მიზნით ის ნახევრად ლეგალურად გადავიდა საქართველოში და გაპყვა ამხ. ბუაჩიძის კუბოს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენს ორგანიზაციას დაეგვიანებია. ამხ. ლადოს უკან დაბრუნებამდე დუშეთის მაზრაში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ. მას მოუხდა გაჩერება დუშეთში და აჯანყებისთვის ხელმძღვანელობა. საქართველოში დაწყებული აჯანყების შესახებ პირველად ამბავი მოიტანეს ვლადიკავკაზში ამხ. ვ. ცინცაძემ და სხვა ამხანაგებმა, რომელთა გვარები არ მახსოვს. მთელი თერგის ოლქი ამ ამბავს სიხარულით შეხვდა. ამხანაგები ჩივოდენ, რომ არ მოეპოვებოდათ არტილერია, არ ჰქონდათ საკმაოდ ვაზნები და სხ. სამი დღის შემდეგ დასახმარებლათ გაგზავნილ იქნა კომუნისტებისა და მოხალისეთა პირველი რაზმი ამხ. ს. გაგლოვის მეთაურობით. ერთი კვირის შემდეგ თერგის ოლქის სამხედრო კომისარიატმა გამოყო საარტილერიო რაზმი ორი საველე ზარბაზნით, რომელს უფროსად დაიყენა ლატაში (გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს). ორი სამი დღის შემდეგ აჯანყებულთა სახელმძღვანელოდ გაგეგზავნეს მე და ამხ. ს. ქაჯარაძე. გზაში ჩვენ სამწუხარო ამბავი გავიგეთ: აჯანყებულები დუშეთში დაჯარცხებულიყვნენ და ფასანაურიასკენ დაეხიათ. მიეგდო ფასანაურში და დაწვრილებით გავეცანით მდგომარეობას. აღმოჩნდა, რომ გლეხები აღფრთოვანებული იყვნენ, მაგრამ ამასთან უკმაყოფილო იმიტომ, რომ თავის დროზე ვერ აღმოვუჩინეთ საკმაო დახმარება; გლეხები იმედს მაინც არ ჰკარგავდენ და მგმრეულად განაგრძობდენ ბრძოლას თავიდან ფეხამდე

ბოროტებულ მენშევიკურ ჯარებთან. შესდგა შტაბის სხდომა, გადაწყდა ჩემი და ლადო დუმბაძის საჩქაროდ გაგზავნა ვლადიკავკაზში, რათა საჩქაროდ მოგვეწოდებინა ახალი დახმარება როგორც ეოცხალი ძალით, ისე იარაღით. ამბ. ს. ქავთარაძე ფარსა ადგილობრივად. ვლადიკავკაზში მისულნიანავე ჩვენ შევუფდეთ საქმეს. ორგანიზაციები და მთავრობა თანაგრძნობით შეგვეგება, მაგრამ, ამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ვლადიკავკაზში არ მოიძოებოდა საკმაო იარაღი და რაც იყო, არც მისს გაგზავნა შეიძლებოდა, ვინაიდან მოსალოდნელი იყო კონტრ-რევოლუციონერი გამოსვლა ოვით ვლადიკავკაზში. სამხედრო სასწაობი გეორგიევსკში იმყოფებოდა, საიდანაც უნდა ნამოგველო იარაღი. მე გამაგზავნეს გეორგიევსკში. ჩემთან ნამოვიდა ამბ. ყარაქეტოი და რამოდენიმე მცველი. ჩემი ნასვლის ნინ გადაწყდა აჯანყებულთათვის მიგვეშველებინა სოლო კომიტეტის რაზმი ამბ. აღ. გეგეჭკორის მეთაურობით. ის მოემზადა ნასასვლელად. მე გავემგზავრე გეორგიევსკში. გეორგიევსკსა და ვლადიკავკაზს შორს სდა. პროხლადნაის რაიონში ჰრძოლა სნარმოებდა საბჭოთა ჯარებსა და აჯანყებულ კაზაკებს შორის, რომელთაც ბიჭერაზოი ხელმძღვანელდა. გეორგიევსკში ჩვენ მიემართეთ სასყობის' გამგე ამბ. ბელეკოვიჩს. მან განაცხადა მოაზდინა, რომ ჩვენთვის მოეცათ რაც კი შესაძლებელი იყო. ჩვენ დაეტვირთეთ იარაღით მთელი ვაგონი და იმავე დღეს გამოვემგზავრეთ. ღამის 12 საათაზე სდა. პროხლადნაიში ვიყავით. მთელი გზა დაკავებული ჰქონდა სამხედრო მატარებლებს, ამიტომ ჩვენ რამდენიმე საათით მოგვიდგა გაჩერება. მე მიემართე საბჭოთა ჯარების უფროსს ამბ. ეგოროვს, დაეჭქარებია ჩვენი გამგზავრება. როცა მათთან შტაბში ვიყავი, დავრნმუნდი, ჯარის უფროსები ბრალს სდებდენ ცენტრალურ მთავრობას, რომ დაგვიანებით იძლეოდა განკარგულებას კაზაკების ნინააღმდეგ შეტევის შესახებ. განსაკუთრებით უკმაყოფილო იყვნენ მთავრობის ნეგრ მენშევიკ ბოგდანოვის, რომელმაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩვენი ჯარების უფროსით აუკრძალა კაზაკების ნინააღმდეგ შეტევა. ჩვენის მხრით დაგვიანებამ საშუალება მისცა მტერს ინიციატივა თვით აეღო და დაეწყო შემოტევა ჩვენ ნინააღმდეგ. მენშევიკურმა ღალატმა და შეიძლება, მენშევიკ ბოგდანოვის შეგნებულმა ღალატმა, იმდენთა გაადუჭა სამე, რომ ჩემი წამოსვლიდან 4 საათის შემდეგ პროხლადნაია კაზაკებმა დაიკავეს.

ამას გარდა ჩვენი ჯარები უფროსთა მხრითაც ვეენიშნე რაღაც „კაზიონური" დამოკიდებულება საქმისადმი. მენშევიკ ბოგდანოვის განკარგულების ნყალობით კაზაკთა აჯანყების ლიკვიდაცია ჩვენდა სასარგებლოთ არ დამთავრდა. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ მდგომარეობას, ზოგიერთ მენშევიკებისა და ესერების საქციელი (სმერდოვის, ბუბერინის და ლეკანდოვსკის გამოკლებით, რომლებიც მხურვალე მონანილეობას იღებდენ აჯანყების ჩაქრობაში) და მათს მსოფლმხედველობას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მუდამ მერყეება ელემენტებმა საბედისწერო როლი შეასრულეს შემდგომ თერგის ოლქში მომხდარ კონტრ-რევოლიუციონერი გამოსვლების დროს. ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით არ შეიძლება არ გამოვტყდეთ იმაში, რომ ჩვენს ორგანიზაციებს ყველაფერი არ გაუკეთებია იმისათვის, რომ კონტრ-რევოლიუციონერი ფრონტის არსებობა შესაძლებელი არ ყოფილიყო.

საჭირო იყო დაუყოვნებელივ მთავრობიდან გაძევება ყველა არასაიმედო პირთა, საჭირო იყო ყველა გაფანტულ ჩვენი სამხედრო ძალების შეკავშირება ერთ მაგარ ნითელ არმიად, უნდა გაგვენაღდებია ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგები ნაციონალური საკითხის შესახებ, რომ ასე მოგვეპოვებია მთიელთა თანაგრძნობა და შეგვექმნა მათგან ნაციონალური რეგულიარული ჯარი. ყველაფერი ეს შემდეგში გაეკეთა, მაგრამ უკვე გვიან იყო. კონტრ-რევოლიუციამ გაიგო ჩვენი საორგანიზაცო გეგმები და კეთილი სურვილები. სამწუხაროდ ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევდა ჩვენი ორგანიზაცია ნაციონალურ მომენტს. ეს უნდა აღიარებულ იქნას.

ასეთი იყო მდგომარეობა, როცა მე საქართველოს აჯანყებულთათვის ერთი ვაგონი იარაღი მოვიგზავე. იარაღი გაგზავნილ იქნა. საოლქო კომიტეტის რაზმი ჩემს მისვლამდე გაეგზავნათ. მაგრამ ყველაფერი ეს დაგვიანებული გამოდგა. სანამ ჩვენ დახმარებას მიიღებდენ აჯანყებულები, მენშევიკებმა უკვე უღელტეხილამდე დაახვიეს აჯანყებული, განსაკუთრებით საბედისწერო იყო საოლქო კომიტეტის რაზმის გაჩერება ამბ. გეგეჭკორის მეთაურობით ყაზბეგში. მიუხედავათ საოლქო კომიტეტის განკარგულებისა, რაზმი დაუყოვნებლივ შეერთებოდა აჯანყებულთ, ის შეჩერდა ყაზბეგში და შეუფდა აქ ყაზბეგელთა განიარაღებას.

ამ სახით, დაახლოვებით იენისის გასულს თუ ივლისის შუა რიცხვისათვის დუშეთის აჯანყება მენშევიკებმა ჩააქრეს. აჯანყებულნი ჯგუფობრივათ გადავიდენ თერგის ოლქში. ამ ჯგუფებს თავი მოუყარა საოლქო კომიტეტმა. ამათგან შესდგა ახალი რაზმი, რომლის უფროსად დაინიშნა ამბ. აღ. გეგეჭკორი.

ამის შემდეგ ადგილობრივი ორგანიზაციისა და საოლქო კომიტეტის მთელი ყურადღება მიაპყრობილი იყო მომავალი კონტრ-რევოლიუციის ნინააღმდეგ. ამავე დროს არ ვივიწყებდით ძალებისა და ტეხნიკის დაგროვებას მენშევიკური საქართველოს

წინააღმდეგ, უკეთუ იქ – ხელ-ახალი გამოსვლა მოხდებოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

ქალ. ვლადიკავკაზი საფრთხეში იმყოფებოდა კაზაკების სტანიცის არკოსსკის და არდონის მხრით. თავიდან რომ აგვეცილებინა მათთ თავდასხმა, არკოსსკის და ოსების სოფლის მხარეზე დავაყენეთ ჩვენი რაზმები. შეიარაღებულ იქნა კურსკის სლობოდა, შევეცადეთ ქალაქის თვით-დაცვა, რომელიც სამიდო არ გამოდგა, მაგრამ ჩვენ მიერ მიღებული ზომები, არ ვიცი რატომ, უნაყოფო გამოდგა. ღამით 5-6 აგვისტოს, როცა ჩვენ ყველაზე ნაკლებათ მოველოდით თავდასხმას, ქალაქის ცენტრალური ნაწილი და ჩვენი სამხედრო შტაბი დაკავებული აღმოჩნდა კაზაკების მიერ. მე ბინაზე მეძინა. 6 აგვისტოს დილის 5 საათზე ფანჯარაზე რაკუნი მომესმა. როცა გამოვიხედე, დავინახე, რომ ლადო დუმბაძე, ვანო კარაპეტოვი და ერთი ამხანაგიც (გვარი არ მახსოვს) ქუჩაში დგანან შეიარაღებულნი. ლადომ სიცილით მითხრა, რომ ტანთ ჩამეცვა და წავსულიყავ მათთან. ჩემს შეკითხვაზე, თუ რაში იყო საქმე, მათ მიპასუხეს – ქალაქი და შტაბი დაიკავეს კაზაკებმა და ისინი საჩქაროდ უნდა იქნან განდევნილნო. მე იმ წამსვე ტანთ ჩავიცვი, ცოლმა მამაწოდა ვინტოტკა და ვაზნები. ამხანაგებთან ერთად წავეს ავტო-ჯაჯშნოსანთა რაზმში. რაზმი იმყოფებოდა ალექსანდროვის პროსპექტზე, ახლოს შტაბიდან, სადაც უკვე კაზაკები იმყოფებოდნენ, რაზმის უფროსი იყო ამხ. ვანო კარაპეტოვი. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ყველა ჩვენს ორგანიზაციებისაგან და ამხანაგებისაგან. ქუჩაში სიარული და ვისიმე ძებნა ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინაიდან ყველა ქუჩები დაკავებული ჰქონდათ შეიარაღებულ კაზაკებს და კონტრ-რევოლიუციონურ ოსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ოსებს შორის აშკარა დანაწილებას (расслоение): ემხრობოდენ კულაკური ელემენტები და მემამულეები, მეორე მხარეს – ოსების რევოლიუციონური ნაწილი, რომელსაც მეთაურობდა პარტია „კერმენი“.

კაზაკების ამ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას მხარს უჭერდა ჩრდილო ოსეთის კონტრ-რევოლიუციონური ნაწილი (რიცხვით მცირე).

ჯაჯშნოსანი რაზმის სადგომში ჩვენ საკმაოდ გვქონდა მოგრეული ვაზნები და სხვა სამხედრო მასალა, რაც უნდა გადაგვეგზავნა საქართველოს ავანგარდულთათვის. თვით ეს რაზმი ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი. აი ეს იარაღი მოვიხმარეთ კაზაკების წინააღმდეგ. რაზმის სადგომში აღმოჩნდა 20 ამხანაგი. გაჩაღდა სროლა. ერთის მხრით ჩვენ ალექსანდრე შტაბიდან კაზაკები და ოსები, მეორეს მხრით – ოსები, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ მთელ გროზნოს ქუჩა. ჩვენმა ჯგუფმა არ იცოდა სად იმყოფებოდენ დანარჩენი ჩვენი შეიარაღებული ძალები – საოლქო კომიტეტის რაზმი, ამხ. გეგეჭკორი, მთავრობის წევრები და სხვა ორგანიზაციები.

ექვსჯერ მოიტანეს კაზაკებმა იერიში ჩვენს სადგომზე, მაგრამ ყოველთვის უმეტდეგოთ დამთავრდა მათი შემოტევა. რამდენნიმე მთანგანი დაიგრა და მოკვდა. ცხარე იერიში მოიტანეს გიმნაზიის ქუჩიდან. 3-4 საათის ცხარე სროლის შემდეგ ვოვზლის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „გრანდ-ოტელიდან“ მოგვეცემის ნითელარმიელების „ურა“. როცა დავინახეთ, რომ ნითელარმიელები უტმეტდენ კაზაკებს, ჩვენც გამოვეფინი გარეთ და დაუწყეთ სროლა გაქცეულ კაზაკებს. რამდენიმე წამის შემდეგ ჩვენ უკვე იმ შტაბში ვიყავით, საიდანაც კაზაკები გაიქცნენ. გამოირკვა, რომ ორ-სართულიან შენობაში – ზედა სართულში იყენენ ჩვენი ამხანაგები, ქვემო სართულში კი – კაზაკები, ნითელარმიელთა ერთ ნაწილს კი იქვე ბაღში გაეკეთებინა სანგრები. აი, ეს ნაწილი უტტევდა შტაბს „ურარს“ ძახლით. აღსანიშნავია ორი-სამი ამხანაგის გმირობა ამ სროლის დროს. ერთი იყო თითქმის ბაეშვი ოსი (გვარი სამწუხაროდ დამავიწყდა), მოფცერი ლექსო, რომელმაც დუშელებთან ერთად დაიხია და ამხ. შუშიაშვილი. საუცხოო სანახავი იყენენ ისინი, როცა შუაგულ ქუჩაში გაჩერებულნი, არაფერს არ ეფარებოდენ და ისე ესროდენ კაზაკებს. ჩვენს დაძახილის, რომ რაიმეს ამოფარებოდენ, ისინი ყურადღებას არ აქცევდენ. მათი სითამამის ბრალი იყო, რომ ერთ ერთ სროლის დროს შუშიაშვილი მოკლულ იქნა და ლექსო დაჭრილ იქნა თვალში და ტყვედ ჩავრდა; რაღაც სასწაულით რამდენიმე თვის შემდეგ გადარჩა. ახალგაზრდა ოსი კი ჩვენს სადგომში შემოვიყვანეთ.

გამოირკვა შემდეგი: ღამით 5-6 აგვისტოს კაზაკებს ჩვენი რაზმების წინააღმდეგობის გაუწევლად (ჩვენი რაზმები დაბანაკებული იყვნენ ოსეთის „სლობოდკაში“ – „კერმენისტები“ 150 კაცი და საოლქო კომიტეტის რაზმი ამხ. გეგეჭკორის მეთაურობით) შემოვიდენ ქალაქში და დაიკავეს მოტყუულებით შტაბის ახლოს 1 პოლკის სადგომი და ჯარების შტაბის ქვემო სართული. იმავე დილით დაპატიმრებულ იქნენ ამხ. ფიგატნერი და გეგეჭკორი, რომელთაც შემდეგ მოახერხეს გაქცევა.

შტაბის დაკავების შემდეგ ჩვენ შეეფდგენეთ სამხედრო სამეული, მსაგესად არსებული შტაბისა. ამ სამეულში შეეფიოდით – მე, ამხ. ელერდოვი და მარტინოვი სერგეი. ახალი შტაბი პირველად შეეცადა კავშირი დაეჭირა ყველა შეიარაღებულ ძალებთან. ეს ჩვენ შეეძლეთ. გამოირკვა, რომ იმ ღამეს, როცა კაზაკებმა შემოგვეტიეს, საოლქო კომიტეტის შტაბი დაიბნა. რაზმთან ამ დროს არ ყოფილა უფროსები და ამიტომ რაზმმა ვერ შეუშალა ხელი კაზაკებს. ჯარის უფროსები, გარდა ზო-

ეიერთ როტის უფროსებისა, სხვა და სხვა ალაგას ალმოჩდენ. მხოლოდ შბპაბის დაკავების და ახალი ბბპაბის შედგენის შემდეგ მოვახერხეთ დაქსაქსული ალების გაერთიანება და ერთიანი სამხედრო მოქმედების დანყება. ზემოხსენებულ ორ რაზმიდან – (ეერეენისტები და საოლეო კომიტტეტისა) შემდეგ ბრძოლებში თავი ისახეთა საოლეო კომიტტეტის ერთმა ჯგუფმა – კახეეკებმა, რომლებიც რაზმს შუუერთდენ დუშეთის დამარცხების შემდეგ. შემდეგ ჩვენ კაკბრი გავაპიმ თავარრბის ნევრებთან, რომლებიც, თუ არ ვცდები, კადეტთა კორპუსში (საკართველოს სამხედრო გზაზე) იმყოფებოდენ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე. კადეტთა კორპუსში იყო შეიარაღებული ძალა და საგაუბნეო ბატარეა. საჭირო იყო, რომ კადეტთა კორპუსში მყოფ ამხანაგებს დაენახვებიათ თავიანთ ძალა ნლაქქნი შემოჭრილი კონტრ-რევოლიუციონერებისათვის. ძალები ასე იყო დანაწილებული: მთელი ოსების „სლობოდეა", ქალაქის ცენტრის ნახევარი ნაწილი გროზნოს ქუჩის ზემოდ, დაკავებული ერინდა კაზაკებს. ცენტრი, გროზნოს ქუჩის ქვემოდ – ჯარების შტაბი, სადგური, კურსების სლობოდეა, თერგის მარჯვენა ნაპირი ხიდის ქვემოდ, ჩვენს ხელში იყო. ამას გარდა ჩვენ მიერ ალებულ რაინონების ზოგიერთ სახლებში დარჩენილი იყვნენ კონტრ-რევოლიუციონერები, რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს. ამათ სასტიკი ნინააღმდეგობა გაგიწიეს, ვიდრე ისინი ბრძოლით არ იქნენ გარეკილი. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა მტრის ბანაკში. იქ დარჩენილი ჩვენი ამხანაგები სასტიკად იბრძოდნენ.

როცა გავიგეთ, რომ კადეტთა კორპუსში იმყოფებოდენ მთავრობის წევრები და მათ შორის სამხედრო კომისარი ამბ. ბუტირნინი, ჩვენ ვაცნობეთ მათ ერთი ამხანაგის სამეალენეთი (ამ ამხანაგის ვვარი დამავიწყდა, მან გადმოლახა მტრის ხაზი), რათა მათ ზარბაზნებიდან ყუმბარები დაეშინათ მტრისათვის ოსების „სლობოდეას", მეორე ხიდის და საქალაქო თეატრის მიდამოებისათვის. მათ არ ალმოაჩნდა თან ქალაქის რუქა. ჩვენ გავზომეთ მანძილი კადეტთა კორპუსისა და ამ ადგილებს შორის და ტელეფონით ვაცნობეთ. დაუწყეს ხსენებულ ადგილებს ყუმბარების დაშენა. იმ პუნქტებში, სადაც ყუმბარებს ესროდნენ, ცხოვრობდენ ჩვენი ამხანაგების ოჯახობა ბავშვებიი. ოვით ამბ. ბუტირნის უხდებოდა ზარბაზნებიდან სროლა იმ ადგილებისათვის, სადაც მისი ცოლშვილი იმყოფებოდა. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა. მთელი დღე არ შეწყვეტილა სროლა ზარბაზნებიდან, ტყვიის მფრქვეველნდენ და თოფებიანდა ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში. გასსაკუთრებინ სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა მდ. თერგის რაიონში ხიდის დასაპყრობაი. ერთი ნამითაც არ შეწყვეტილა თოფების სროლა. საღამოს ცოტათი მინყნარდა. ღამით კანტი-კუნტად მოისმოდა სროლის ხმა, თითქოს ნიშნის აძლევედენ ერთმანეთს, რომ არ გვძინავსო.

ჩვენმა შბპაბმა ისარგებლა სიწყნარით და შეიმუშავა გეგმა გათენებისას იერიშზე გადასულიყო. წინასწარ დათვალიერებული იქნა ყველა პოზიციები, (ოცესალი ძალა, რომელიც მეტად მცირე აღმონჩდა, ვგონებ, სრულიადაც არ აღმოჩენილა. დავრწმუნდით რა იმაში, რომ შეტევისათვის მეტად ცოტა ძალა მოგვეპოვებოდა, გადაესწყვიტეთ გავჩერებულიყავით 8 აგვისტომდე. ამ დღეს კი ფილიდანვე გადავსულიყავით შეტევაზე. ვიმედოვნებდეთო, რომ მოგვეშველებოდენ. უფრო მოველოდით მაშველ ძალას პროხლადნაის ან გროზნოს ფრონტიდან. დილიდანვე სროლა გაჩაღდა. მონინააღმდეგე რამდენიმეჯერ შეეცადა შეტევაზე გადმოსვლას, უნდოდა ჩვენი შტაბიდან და ხიდიდან განდევნა, მაგრამ ვერ მოახერხა. 7 აგვისტოს მთელი დღე სასტიკი ბრძოლა გაგრძელდა. საღამოთი ხელ-ახლა მიწყნარდა. ჩვენი შტაბი კვლავ შეუფდა მდგომარეობის გარკვევას. უნდა დაგვეთვალიერებია სადარაჯოები, გამოგვერკვია რამდენათ ჭკონდათ შერჩენილი ამხანაგებს ბრძოლისა უნარი, რომელთაც ორი დღე არ შეუსვენებიათ, გაგვეგო რამდენი მოგვეპოვებოდა სამხედრო მასალა, იყო რომელიმე ადგილიდან მოსული მაშველი ძალა და სს. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ყველაფრის ანონ დანრვა. სანნუხაროდ გამოირკვა, რომ საქმე ყოველის მხრით ცუდათაა. არავითარი იმედი არ იყო არა თუ შეტევის დასაწყებათ, არამედ ძველი მდგომარეობის შესანარჩუნებლათ. ასეთმა მდგომარეობამ შტაბი იძულებული გახადა დახმარებისათვის მიემართა ინგუშეთის ეროვნულ საბჭოსათვის და საერთოდ მიეღო შეელა საბჭოთა ნყობილების ყველა თანამგრძნობთაგან და ასე ჩაეთრია ეს ძალები კაზაკთა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიზნით მე და ამბ. ელერდოვი შტაბმა ინგუშეთში გაგვაგზავნა. აგვისტოს 8-ს გათენებისას რამდენიმე შეიარაღებული ამხანაგის თანხლეეიით მე და ამბ. ელერდოვი საბარგო ავტომობილით გავეემგზავრეთ სოფ. ბაზარკინოში, სადაც იმყოფებოდა ინგუშეთის ეროვნული საბჭო.

სოფ. ბაზარკინოში ჩვენ შეეხვედით ამბ. ორჯონიკიძეს, რომელიც, თუ არ ვცდები, ჩრდილო კავკასიიდან მოსულიყო. ვუთმბეთ მაა ყველაფერი და მასთან ერთად საკითხი დავაყენეთ ინგუშეთის ეროვნული საბჭოში. საბჭომ ჩვენი წინადადება აღფოთოვანებინა მიიღო და იმავე დღეს შიკრიკები დაგზავნა სოფლებში და მოინეკია შეიარაღებული ძალები. იმავე დღეს შეიკრიბა რამდენიმე ასეული ცხენოსანი მხედარი, რომლებიც ინგუშეთის სამხედრო ძალების მეთაურად აარჩეულ ამბ. საუტიევის განკარგულებით გაემგზავრენ ვლადიკავკაზში ნითელი არმიის საშველად. 8 აგვისტოს საღამოთი რამ-

დენიმე შეიარაღებული მხედარის თანხლებით ამხ. ორჯონიკიძე გაემგზავრა ვლადიკავკაზში. როცა ქალაქს დაუახლოვდნენ და გაეცვნენ საქმის ვითარებას, უკანვე, სოფ. ბაზარკინოში დაბრუნდენ, რათა უფრო საფუძვლიანად მოემზადებიათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის დასახმარებლათ ინგუშეთის ძალები. მეორე დღეს ჩვენ გავუდექეთო ვლადიკავკაზისაკენ. მხოლოდ არ მახსოვს, ჩვენთან წამოვიდა ამხ. ორჯონიკიძე, თუ პროხლადნაის ფრონტზე წავიდა, რათა იქიდან ვლადიკავკაზისათვის მოეშველებინა წითელ არმიელთა ზოგიერთი ნანილები.

ვლადიკავკაზში საქმე კარგათ ვერ იყო. ერთი დღის განმავლობაში ჩვენს მეომრებს რამდენიმე პოზიცია ჩაებარებია მტრისათვის, შტაბიც საფრთხეში იმყოფებოდა. ასეთი მდგომარეობა იყო აგვისტოს 9-ს დილით. სადილოთი, რაღაც გაუგებრობის წყალობით, შტაბი დატოვებულ იქნა. შემდეგში შტაბის დაცვა მიენდო საოლქო კომიტეტის რაზმს ამხ. გეგეჭკორის მეთაურობით.

ყველანი ჩვენ სადგურში ვიმყოფებოდით, რომელსაც მონნაალმდეგე გააფთრებით უშენდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ასე, საღამოს 6 საათზე ბესლანიდან მოვიდა ჯაგშნოსანი მატარებელი ამხ. ავტონომოვის მეთაურობით. საღამოთი სადგურიდან ჩვენ წავედით შტაბში, საიდანაც ჩვენები წასულიყვნენ. ღე არავინ არ აღმოჩნდა მტერთაგანი. შტაბი ჩვენ დავიკავეთ.

როგორც მახსოვს, ჯაგშნოსანი მატარელის მოსვლის შემდეგ ყველა შეიარაღებული ძალების უფროსად დანიშნული იქნა ამხ. ავტონომოვი. აგვისტოს 9-ს საღამოს 8-9 საათზე დანიშნული იყო სამხედრო საბჭოს სხდომა პასუხისმგებელ ამხანაგების თანდასწრებით. გამოირკვა, რომ მეტი დაყოვნება შეუძლებელია მით უფრო, რომ არნონის კაზაკებს გადაწყვეტილი აქვთ ჩვენი მოწყვეტა სად. ბესლანიდან, რომლის საშუალებით ჩვენ დაკავშირებული ვიყავით ფრონტთან. გადაწყდა ბესლანისაკენ დახევა. მთელი ღამის განმავლობაში ჯაგშნოსანი ზარაზანებიდან ყუმბარებს უშენდა ქალაქს. მთელი ღამის განმავლობაში ღამის 11 საათიდან დილის 4 საათამდე გასროლილი იქნა ქალაქის სხვადასხვა უბანში 130 ყუმბარა. შეიარაღებულ ძალებს ებრძანა დიებოვებიათ ქალაქი და ჯაგშნოსანის მფარველობის ქვეშ ბესლანისაკენ დაეხიათ. ასეც მოხდა. დილის 4 საათზე დავიძარით ბესლანისაკენ. „რაზეზდ" კოლონკამდე მშვიდობიანათ მივაღწიეთ. აქ კი სად. არხონკიდან ჯაგშნოსანს სროლა დაუწყეს და რამდენიმე ალაგას გზის ლიანდაგიც აყრილი აღმოჩნდა. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ გვიხდებოდა ერთსა და იმავე დროს გზის შეკეთებაც და ბრძოლაც. რამდენიმეჯერ მოგვიხდა ერთი და იმავე ხაზის შეკეთება. გავიელიდით ნახევარ ვერსტს და ლიანდაგს აგვიყრიდენ უკანიდან, შევაკეთებდით, მაგრამ ახლა წინ ანგრევდენ გზას. ბესლანიდან ჩვენ შემოგვეგება მეორე ჯაგშნოსანი, რომელშიაც იმყოფებოდა არტილერიის უფროსი ამხ. სმირნსკი. იყო ისეთი შემთხვევები, როცა გავიფიქრებდით ჯაგშნოსნებიის აფეთქებას და ქვეითად ნასვლას, მაგრამ თავს ვიჭერდით. 9 აგვისტოს დილის 4 საათიდან ორი ჩვენი ჯაგშნოსანი იბრძოდა: ერთი ვლადიკავკაზიდან, მეორე – ბესლანიდან, მაგრამ 10 აგვისტოს 4-5 საათამდე ვერ შესძლეს შეერთება. მხოლოდ დილით აგვისტოს 11-ს ეს ჯაგშნოსნები ერთმანეთს შეხვდენ და მივალნენთ ბესლანამდე. აქ მოვახდინეთ ძალების გადაჯგუფება, თავი მოუყარეთ უკან დახეულ ნანილებს, მოვაწესრიგეთ ყველაფერი, დავასვენეთ ისინი და ხმ. ბესლანში გადნყდა ნავსუოლყავით გროზნოს მიმართულებით. აქ სადგურებზე გაჩერებული ვაგონებიდან მიგვეცა სამხედრო მასალა, შეეიარაღებულიყავით როგორც რიგი და ნესია და ინგუშეთიდან შეტევა დაგვეწყო ვლადიკავკაზზე. აქ ჩვენ გვაცნობეს, რომ წითელ არმიელთა ერთი ბათალიონი, რომელიც გროზნოს მუშებისაგან შესდგებოდა ფრონტის თუ ამხ. ლუნაჩარსკის განკარგულებით, ნამოსულიყო ვლადიკავკაზისაკენ. ამ ცნობამ ჩვენ გაგვამხნევა. ეს ბათალიონი ფრონტიდან იყო მოხსნილი დასასვენებლად, მაგრამ მიუხედავათ თავისი დაღლილობისა, ის სიხარულით მოიშურებოდა ჩვენდა დასახმარებლად. ამას გარდა ჩვენ სარნმუნო ცნობები მივიღეთ, რომ კურსკის „სლობოდკაში" დარჩენილიყო წითელ არმიელთა პატარა ჯგუფი, რომელიც ჩვენი უკან დახევის შემდეგ მცხოვრებლების ერთ ნანილთან ერთად განაგრძობდა ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ამის შემდეგ საჭირო იყო ჩვენი ისევ უკან დაბრუნება. მე, ლადო დუმბაძე და სხვა ამხანაგები (გვარები არ მაგონდება) ბაზარკინოთი გავემგზავრეთ ვლადიკავკაზეში. ჩვენ თან წავიყვანეთ შეიარაღებული რაზმები.

გროზნის ბათალიონის კურსკის „სლობოდკაში" შესვლის შემდეგ, ჩვენც მივედით. ამასთან ერთად ნაბრძანები ჰქონდა ერთ ჯაგშნოსანს, ვგონებ სურენნოის უფროსობით, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო ვლადიკავკაზისაკენ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. თუ მეხსიერება არ მლალატობს, ეს 12 აგვისტოს უნდა ყოფილიყო. კურსკის სლ. ჩვენთვის გახდა დასაყრდენი პუნქტი, საიდანაც დაინყო შეტევა ქალაქის დანარჩენი ნანილების წინააღმდეგ. ჩვენს ხელში იყო. კურსკის სლ. და საადგური, რომელიც მტერს დაატოვებინა საშვილად მოსულმა ჯაგშნოსანმა. ქალაქის დანარჩენი ნანილი მონნააღმდეგის ხელში იმყოფებოდა.

აგვისტოს 13-ს დილიდანვე სასტკი ბრძოლა სნარჩოებდა ქალაქის საავადმყოფოს დასაპყრობათ. ჩვენებმა შესძლეს მტრის განდევნა საავადმყოფოს წინ მდებარე ქუჩიდან (ქუჩის სახელი

დამვინყდა). სალამოს გამოიარკვა, რომ დიდი ნაკლებობა იყო საომარი მასალისა. სალამოს შუადგა ჭბანის სხდომა, სადაც ამბ. ლევანდოვსკიმ გაგვაცნო შემდეგი მოქმედების გეგმა. არ შეიძლებოდა ბს არ დავთანხმებოდით, რადგანაც მის სიტყვაში ამკარად სჩანდა სამხედრო საქმის ცოდნა, გამოცდილება. მისი გეგმა სავსებით იქნა მიღებული. ის მოუნოდებდა თავდაჭერისაკენ, გვაფრთხილებდა, რომ არ აგიჩქარებულიყავით. მისი გეგმის თანახმად ფეხ და ფეხ უნდა გვედევნა მტერი, თითოეული ახლი ცალ-ცალკე უნდა გამოგვეტანა ხელიდან ჭრისათვის. ის წინაალმდეგი იყო საერთო, აშკარა შეტევისა; ჯარების უფროსად დაინიშნა ამბ. ბუს მიტიაევი; რომელსაც გამოვლილი ჰქონდა აზერიალიტური ომი. ამბ. ლევანდოვსკიმ იკისრა საერთო ხელმძღვანელობა. ჩვენ ყველანი მას ვემორჩილებოდით. ჩვენი ძალები თითქმის მთლიანად თავმოყრილი იყო კუოსკაიას სლ-ში. პოზიციურ, სწორე ბრძოლას ანარმოებდა უმთავრესად გროზნოს ბათალიონი და ვლადიკავკაკვის გარნიზონის ნანილები. დაკვრითი წესით ბრძოლის სანარმოებლად გვყავდა ცალკე რაზმები – საოლქო კომბეტტის რაზმი, ინგუშების რაზმი ამბ. ხალაბოევის ბუთაურობით და სხ.

13 აგვისტოს მე და ამბ. ლ. დუმბაძე გაგვგაზავნეს სამხედრო მასალისათვის ს. ნაზრანში, საიდაც სამხედრო ბაზა იმყოფებოდა. ჩვენ დილით ნავედით და საღამოთი ს. ბაზრიკინოთი დავბრუნდით. სამხედრო მასალა მოვზიდეთ ფურგონებით და საბარგო ავტომობილებით. ჩვენ ნინ მოვდიოდით ეტლით. საღამო ხანია, ვგონებ, 14 აგვისტო. ეუაზოოვდებით კუოსკაია სლ., კიდევ დარჩენილია ბასალეკით 3-4 ვერსტი. უკვე დაღამდა. ვხედავთ, მორბიან შეშინებული ნითელი არმიელები როგორც ქვეითად, ისე ცხენოსანნი. გამოქცეულთა რიგსი თანდათან მატულობს. ვეკითხეთ რაშია საქმე. ეერაფერს ვეპასუხებენ. ვატყობთ, რომ ეტლი პანიკას შეუპყრია. მიდიან ინგუშეთის სოფ. ბაზარკინოსკენ. ჩვენ (მე და ლადომ) ვუბრძანეთ ჩვენს მცველებს შეეჩერებიათ ყველანი და არავინ გაეშვათ. ყველანი გაჩერდნენ. დამშვიდდენ. გამოვთხეთ ყველაფერი დანნერილეთ. აქვე აღმოჩნდა ამბ. მიტიაევი, რომელიც, როგორც შემდეგ გამოიარკვა, ნამოსულიყო გაქცეულთა შესაჩერებლოთ. გამოიარკვა, რომ საიდანღაც ოთხრგვარდიელებს ჯვაშნოსანი ავტომობილი გამოეშვათ და საფფრონის რაიონში ჩვენი რკალი გაერღვიათ. ჩვენი ამხანაგების ნანილ დაეხია კუოსკაია სლაბოდკაკენ, მეორე ნანილს გადაეწყვიტა, რომ ყველაფერი დაკარგულიათ და ნასუფიყო ინგუშეთისაკენ. ამ უკანასკნელს შევხვდით ჩვენ. ვიდრე ჩვენ მდგომარეობას გამოვარკვევდით, დავამშვიდებდით და დავაწყობდით გაქცეულ ნანილებს, საკმაო დრო გავიდა. უკვე ღამის 12 საათია. ნინ წანევა სამიში იყო, რადგანაც მოსალოდნელი იყო მტერთან შეტაკება და იარაღის დაკარგვა. გადავსწყვიტეთ ღამე აქ დავრჩენილიყავით. ღამით ყველაფერი მოვაწესერიგეთ, უიარაღონი შევეიარაღეთ და დილით ყველანი გავეშურეთ ქალაქისაკენ. ნინასწარ გავიგეთ რა მდგომარეობანი იმყოფებოდა კუოსკის სლ. 10-11 საათზე შევედით კუოსკაიაში. ეს იყო მგონი აგვისტოს 15-ს. შტაბი შეუფგა ძალების ხელ-ახლა გადაჯგუფებას. ამბ. ლადო ნავიდა სადგურის რაიონში. აგვისტოს 15-ს საღამოთი ჩვენმა ამხანაგებმა მტერს წაართვეს ჯვაშნოსანი ავტომობილი. 16-ს დილით ჩვენი ნანილები შეტევაზე გადავიდნენ და მტერს რამდენიმე პოზიცია დაატოვებინეს. ამბ. ლადომ თავისი რაზმით დაიკავა მთელი სადგურის ქუჩა. ბრძოლაში სამ ალაკას დაიჭრა ფეხში, მაგრამ დაჭრილს არ მიუტოვებია რაზმი და შეხვეული ჭრილობით განაგრძობდა მუშაობას შტაბში და სანგრებში.

ამბ. ელერდოვს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მინდობილი ჰქონდა შალდონის დაკავება. 17-ს დილით მზადი იყო მტრის მიერ დატოვებული ჯვაშნიანი ავტომობილი, რომელიც თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამბ. კოჩანსკის უფროსობით იმავე დღეს გაყვანილი იქნა ბრძოლის ველზე, რამაც მტერზე თავზხარდამცემი გავლენა მოახდინა და საღამოს, 17 აგვისტოს, მან დასტოვა მთელი რიგი პოზიციებისა, ასე რომ, ქალაქის დიდი ნანილი ჩვენს ხელში აღმოჩნდა. 18-ს დილით უკანასკნელი შეტევის შემდეგ ვლადიკავკაკვი სრულიად განთავისუფლებულ იქნა მტრისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როცა ქალაქში ბრძოლა სწარმოებდა, ამბ. ინგუშებმა დაიკავეს სად ს... უკან დახეულ მტერს დაედევნა ნაცოონალური ჯარის ცხენოსანი რაზმი და ნითელი არმიელები.

ამ სახით 12 დღის (6-18 აგვის.) სასტიკი ბრძოლის შემდეგ ქალ. ვლადიკავკაკვი აღდგენილი იქნა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც იმ წამსვე შეუფგა მთავრობის მოწყობას.

საოლქო კომიტეტმა განაგრძო ბრძოლა კონტრ-რევოლიუციის ნინააღმდეგ. საჭირო იყო განგეგრძო მათი დევნა. $1^1/_2$ თვენახევრის განმავლობაში საოლქო კომიტეტმა მოაწყო შეიარაღებული რაზმები, შექმნა ნითელი არმიის ნანილები და დაუღალავად განაგრძობდა მუშაობას კონტრ-რევოლიუციის ალიკვიდაციოთო, მთელი კონტრ-რევოლიუციონერი ძალა არხონისაკენ მიაწვა, რათა შემდეგ, თუ საჭიროება იქნებოდა, შეეერთებოდენ ბიჩერახოვს. რა ხდებოდა ამ ორი თვის განმავლობაში, მე არ შემიძლია ავნერო, რადგანაც მთელი $1^1/_2$ ნახევარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავად ვიყავი. ჩემი ავადმყოფობა (ტუბერკულეიოზი) გართულდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თერგის მთავრობის ყველა მერყეევი ელემენტი წვერები – მენშეევიკები და ესერები, კონსტრ-რევოლიუციონერებთან ერთად გაიქცნენ: სემიანოვი, ძეძაევი და სხვები მივიდნენ ბიჩერახოვთან, ბოგდანოვი საქართველოში გაიქცა და სხ.

ჩემი გაჯანსაღების შემდეგ ამბ. ორჯონიკიძისა და პადერინის რჩევით თერგის ოლქში მოეწყო საგანგებო კომისია. ეს იყო 1918 წ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მე დამნიშნეს ჩეკას თავჯდომარედ. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩვენ სრულიად მოწყვეტილი ვიყავით რუსეთისგან, მაინც შევსძელით ჩეკას აპარატის მოწყობა, რომელიც შუუდგა წმენდას დარჩენილ კონტრ-რევოლიუციონერების და ბურჟუა-სპეკულიანტებისაგან. დახვრეტილი იქნა რამდენიმე ათეული მეთაური კონტრ-რევოლიუციონერი აჯანყებისა, დაპატიმრებული იქნა ინგლიისის მისია, რომელმაც აჯანყებისათვის პროვოკატულად ნააქცია არა მარტო კაზაკები, არამედ – მთიელების მერყეევი ელემენტები. ეს მისია გაგზავნილი იქნა ასტრახანით აბრ. ჩენცოვისა და პადერინის თანხლებით რუსეთში. შემდეგ ეს მისია გადაცვლილ იქნა ამრ. რასაკოლეკოზ'ზე და სხვებზე.

კონტრ-რევოლიუცია არ ისვენებდა. მან თავი წამოყო სუხეევის ხაზზე. აჯანყდენ სლეპცოვის, სემიაშინის და გრიაზნის ფლ. სტანიცის კაზაკები. მათ წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდა. ვლადიკავკაკავი ყოველგვარ ზომებს ღებულობდა აჯანყების ლიკვიდაციის მოსახდენათ, მაგრამ მარტო მას რა შეეძლო! ვლადიკავკავი მაინც პირველი შეეცადა აჯანყების სალიკვიდაციოთ. სად. არხონაკაში გაიგზავნა რაზმი და რამდენიმე წითელ არმიელი ამბ. გეგეგჭკორის მეთაურობით. პირველი შეტევა მარცხით დამთავრდა. ამბ. გეგეგჭკორი ფეხში იქნა დაჭრილი. ამბ. ტრანსდაფილიდისის (ყოფილი აფიცერი-კომუნისტი) გადმოცემით, რომელიც ამ ოპერაციაში მონაწილეობას ღებულობდა, დამარცხება გამოიწვია სად. არხონკაზე შეტევამ.

2-3 დღის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა კვლავ მიტანაეს იერიში სად. არხონაკზე. კაზაკები გაიქცენ. ამის შემდეგ განმენდილ იქნა აჯანყებულთთაგან სად. არხონსკაია, ბერეზკაია და სხ. ამ სახით მთელი ჩრდილო ოსეთი, გარდა ალაგრის ხეობისა, განთავისუფლებული იქნა კონტრ-რევოლიუციონერ ბანდებისაგან. რათაც არ უნდა დაგვეჯდომოდა, უნდა მოგვეხდინა სუხეევის ხაზზე დანყებული აჯანყების ლიკვიდაცია. ჩვენი ორგანიზაციის მთელი ყურადღება აქეთკენ იყო მიმართული. მთელი ჩვენი ძალები დავაყენეთ სუხეევის კაზაკების წინააღმდეგ, რამაც საუცხოოვი ნაყოფი გამოიღო. მბრის რიგებში დაინყო რღვევა, დაბოლოს სრულიად დაინგრა. დიდი როლი შეასრულა როგორც კაზაკების გახრწნაში, ისე მათ წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში კაზაკმა დიაკოვმა, რომელიც გულწრფელად იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას. ამხ. დიაკოვი კაზაკების თვალში გახდა გმირი. სუხეევის აჯანყების ლიკვიდაცია დასანყისი იყო თერგის ოლქის კონტრ-რევოლიუციის მოსპობისა საერთოდ. მით უმეტეს, რომ აქ კაზაკთა აფიცრების უმრავლესობა (მეთაურები) შეპყრობილ იქნენ. ამ აფიცერთა ერთი ნაწილი ჩეკამ დახვრიტა, ნაწილსაც სხვადასხვა ვადით ციხეში ჯდომა მოუსაჯა. უნდა მოგვეხდინა აგრეთვე პროხლადნაის ფრონტის ლიკვიდაციაც. ამ მიზნით პროხლადნაიაში გაიმეზავრენ ამბ. ორჯონიკიძე, ლევანდოვსკი, ელერდოვი და სხ. ამ დროს პროხლადნაის კონტრ-რევოლიუციონერურ ფრონტს, რომელსაც მეთაურობდა ბიჩერახოვი, მოაწვა მე-11 წითელი არმიის ნაწილი.

ბიჩერახოვმა დიდის გაჭირვებით რამდენიმე გადაარწმენილ აფიცრებთან და კაზაკებთან ერთად ყიზლიარით დაღესტანისაკენ დაიხია და ბაქოს მიაღწია. როცა ეს ამბავი გაიგეს ალაგირის ხეობაში თავშეფარებუნდა კონტრ-რევოლიუციონერბმა და იქ გამოჩნდნენ ჩვენი ჯარის ნაწილები, გადავიდენ საქართველოში და მიიმალენ. ასე მთელი თერგის ოლქი განთავისუფლებულ იქნა კონტრ-რევოლიუციონერებისაგან. ცოტა ხნით დადგა დრო ორგანული შუმაობისათვის. მთავრობამ დაკომპარტიიან ენერგიული ზომები მიიღო ბანდიტურ თარეშით დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. საოლქო კომიტეტი შეუდგა საბჭოთა ყრილობის მოწვევისათვის მზადებას და ნოემბრის გასულისათვის ყრილობა შესდგა, რომელმაც აირჩია სახალხო კომისართა საბჭო. ნელ-ნელა ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა, კონტრ-რევოლიუციის მიერ მოყვნებული ჭრილობანი ცოტათი მოშუშდა, მშრომელებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს. მაგრამ დიდხანს არ გგრძელებულა ასეთი მდგომარეობა. ნოემბრის გასულს საბჭოთა ხელისუფლებას ახალი უბედურება დაატყდა თავს.

ჩრდილო კავკასიაში გამაგრებულმა კონტრ-რევოლიუციამ (ყუბანის და დონის ოლქების) გენ. დენიკინის მეთაურობით მთელი თავისი ძალებით იერიში მოიტანა თერგის ოლქზე, რომ ასე გაეწმაოთავისუფლება ზურგი წითელი არმიისაგან შიდა რუსეთისაკენ გასალაშქრებლად.

მბრის ძალების მოწოლა საოლქო კომიტეტმა იგრძნო ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბრიდან და საჭირო იყო ამ გარემოებისათვის საგანგებო ყურადღების მიქცევა. დაცდა შეუძლებელი იყო. თეთრ-გვარდიელების ნაწილობრივი გამარჯვებით აღფრთოვანებუნუმა შინაურმა კონტრ-რევოლიუციონერებმა თავი წამოყვნენ და დაიწყეს ზოგიერთ ალაგას თავდასხმა-გამოსვლები. მოწვეულ იქმნა

ეკეკასის ორგანიზაციების ყრილობა, სადაც გამოუმაგებულ იქნა საჭირო ზომები კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. არჩეულ იქნა ახალი სალაქმო კომიტეტი. სამწუხაროდ მათი გვარები არ მახსოვს. ბახსოვს მხოლოდ, რომ არჩეული იყვნენ 1) ფ. მახარაძე, 2) ს. ქაჯთარაძე, 3) ლ. დუმბაძე, 4) გამსეფოი, 5) ნაზარეტიანი და სხ:

გამოყოფილ იქნენ ფრონტბისათვის ყველაზე უფრო გამოცდილი და ენერგიული ამხანაგები. მათ ბორის ამბ. ელერდოო. ამ დროს საქართველოდან მოვიდა ამხ. ბუფუ მდივანი, ელბაქიძე, ხაბურზანია და სხ. ამათგან ბუფუ მდივანი გაგზავნილი იქნა მეორე დღესვე ფრონტზე (ის გაძევებული იყო საქართველოდან მენშევიკების მიერ ცხიუში 10 დღის შიშმლოის შემდეგ). ფრონტზე მდგომარეობა ფლთი-დღე უარესდებოდა. თეთრგვარდიელები ყარაღს და სხვა დახმარებას ღებულობდენ ანტანტისაგან და უტეევდენ მე-11 ნითელ არმიას.

ჩვენი ჯარის ნანილების მდგომარეობა ფრონტგებზე უკიდურესი იყო. ჯარისკაცები შიშველ-ტიტვლენი იყვნენ, ჯარს არ ჰქონდა საკმაო სამხედრო მასალა, სანიტარულის მხრით ჯარი ცუდ პირობებში იყო. გაჩნდა სახადი, ჯარის 2/3 ავად გახდა. არავითარი შესაძლებლობა არ იყო მრძოლის ველაკარძობათ. მარტო აღფრთოვანება, რევოლიუციონური მოვალეობის შეგნება, საკმარისი არ იყო, უკეთუ საჭირო სამხედრო მასალა არ გვქნიბოდათ. იანგარაში მე, ამხ. ბუტბარინი და კიდევ რამდენიმე ამხანაგი გავემგზავრეთ პროხლადნაიაში, რათა გავცანნობოდით, თუ რა მდგომარეობა იყო ფრონტზე. მოვეელაპარაკეთ სამხედრო საბჭოს, რომელმაც საიმედო ვერაფერი გვითხრა. მიღებულ იქნა დადგენილება – უკეთუ დახეცა იქნებოდა საჭირო, დაგვეცია ვლადიკავკავიისაკენ ამხ. ლევანდოვსკი, როგორც არმიის უფროსი, ფიქრობდა მდ. თერგის მარჯვენა მხარეზე გამაგრებას. ამის გამო სხვადასხვა აზრი ტრიალებდა. ერთნი იმ აზრისა იყვნენ, რომ დაუყოვნებელივ დაგვეცია უკან, ვინაიდან არ იყო არავითარი შესაძლებლობა თავის დაცვისა. მეორენი პოლიტიკური მოსაზრებით საჭიროდ სცნობდენ ბრძოლის განგრძობას, უკან დახეცას – მტრის მონოლის შემდეგ. ამ აზრს ადგა ამხ. ორჯონიკიძე. ამხ. მდივანი ამის წინააღმდეგი იყო. მას საჭიროდ მიაჩნდა დაუყოვნებლივ უკან დახეცა, რათა ასე გადარჩენილიყო ცოცხალი სამხედრო ძალა და სამხედრო მასალა. ორივე მხარე, როგორც ბრძოლის გამგრძობნი, ისე უკან დახეცის მომხრენი, იმ აზრისა იყვნენ, რომ დიდხანს გამაგრება შეუძლებელი იყო. ერთად ერთი მოსაზრება ბრძოლის გაგრძობის სასარგებლოთ იყო პოლიტიკური მოსაზრება: ისინი ამბობდენ – მთიელებს საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების იმედი გაუცრუვდებათო. ჩემის აზრით, ყველაფრის პოლიტიკის სამსხვერპლოზე მიტანა შეუძლებელი იყო. სტრატეგია პოლიტიკაზე მაღლა უნდა დაყაენო, როცა აუცილებელი სამხედრო მარცხი მოგელის.

და ბოლოს ასეც მოხდა. ამ თათბირიდან ერთი კვირის შემდეგ მოხდა დამარცხება და ჩვენც ამით ბევრი წავაგეთ: მთელი ჩვენი ცოცხალი ძალა ვერ გადავაწრნინეთ, სამხედრო მასალებიდან ბევრის აფეთქება-განადგურება მოგვიხდა, უკან დახეცა მოხდა უორგანიზაციოდ, არც დრო და არც შესაძლებლობა აღარ იყო უკან დახეცის დროს ჩვენი ძალებისთვის თავი მოგვეყარა და მტერს სერიოზულად შეებრძოლებოდით. მთავარი მიზანიც კი, ვლადიკავკავისაკენ უკან დახეცა, ვერ შევასრულეთ. შემდეგ ასტრახანისაკენ დახეცაც იძულებითი იყო, რადგანაც არ იყო სხვა შესაძლებლობა რომელიმე სხვა მხარეზე უკან დახეცისა. შეუძლებელი ყველა იმ უბედურების აღწერა, რაც ჩვენს არმიას ასტრახანის მინდორო-ვოლგებსა მიაყენეს. უკანასკნელად მე ჩეკიდან პირდაპირი მავთულით ველაპარაკე ამხ. მდივანს. მან მაცნობა, რომ უკანასკნელად მელაპარაკებოდა, რადგანაც ერთი საათის შემდეგ ისინი სტოვებდენ პროხლადნაის. ჩემს შეკითხვაზე, რათ იბეედენ მოზდოკ-ყიზლიარისაკენ, მან მაცნობა, რომ არმია სტიქიურად იქით მიდის და არავითარი შესაძლებლობა არ არის მიმართულების გამოცვლისა, რომ ის ვალდებულია და უნდა გაყვეს არმიას.

ამ სახით ჩვენ, ვლადიკავკაკზ-გროზნი, დავრჩით საკუთარი ძალების ამარა. ეს იყო დაახლოვებით 1919 წ. 23-24 იანვარს. მტერი თანდათან უახლოვდებოდა ვლადიკავკაკს. და ბოლოს ბრძოლაც დაიწყო სადღ. ბესლანის გარშემო. გაიცა ბრძანება ქალაქის დატოვების და ინგუშეთის მიმართულებით უკან დახეცის შესახებ, აქ ჩვენ ეფიქრობდით მთიელებთან ერთად მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევას. უკან დახეცამდე ყველა კომუნისტები შეიარაღებულნი იყვნენ. კომუნისტთა ბევრი ცალკე ჯგუფებები დაიღუპა ჩრდილო ოსეთში, სადაც ისინი გაგზავნილი იყვნენ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვლადიკავკავიდან უკან დახეცა ასე თუ ისე, მოწყობილი იყო. ქალაქი დატოვებულ იქნა თებერვლის 1-ს დილით. იმას გარდა, რომ ჩვენ იმედი გვქონდა მთიელების დახმარებისა, ეფიქრობდით გროზნის ნანილებთან შეერთებას და ასე მტერს არ მივსცემდით გაეწყვიტა ჩვენი კავშირი. როდესაც ყველა ჩვენი ძალები გაშორდენ ვლადიკავკაკს სოფ. ბაზარკინოს მხრით, წითელი არმიელების ერთი ნანილი დაბრუნდა ქალაქში. ეს იმით აიხსნებოდა, რომ წითელ არმიელთა უმრავლესობა ვლადიკავკავიდან ფეხზე ფეხზეა გადაეწყვიტათ ან სიკვდილი, ან მტერზე გამარჯვება. წითელ არმიელთა უმრავლესობამ მაინც ს. ბაზარკინოსკენ დაიხია. ღამით შესდგა სამხედრო საბჭოს სხდომა პასუხისმგებელ ამხანაგების მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყდა ამხანაგების დანაწილება ფრონტებზე ასე: ერთი ნაწილის ჩენჩები გაგზავნეს, რათა ისინი მოგვემხრო, მცირე ნაწილის მთიელებში გაგზავნა, მეორე ნაწილი უნდა დაბრუნებულიყო ვლადიკავკაკავში. რადგანაც ცნობა გვქონდა მიღებული, რომ მტერი ჯერ კიდევ არ შესულიყო ქალაქში და ჩვენი დაბრუნებულნი ამხანაგები წინააღმდეგობას უწევდნენ. ჩენჩებში წავიდა ამხ. ფ. მახარაძე, ინგუშეთში – ამხ. ელერდოვი, მე რამდენიმე ამხანაგთან ერთად წავედი ვლადიკავკაკავში.

აღსანიშნავია მთიელების გმირული ბრძოლა გამარჯვებით დამთავრალ თეთრ გვარდიელების წინააღმდეგ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მიღებული იქნა ცნობა ქ. გროზნის დაცემის შესახებ. ამხ. ელერდოვმა ნამდვილი ბელადის სახელი მოიხვეჭა. მთიელებთან ერთად ის რამდენჯერმე გადავიდა შეტევაზე და მტერი მდ. თერგს გადმა გადარეკა. დაიჭრა ფეხში, მაგრამ ბრძოლისთვის თავი არ მიუნებებია. მტერს დიდ წინააღმდეგობას უწევდენ და ზარალს აყენებდენ ყაბარდოელები ამხ. კალმიკოვის მეთაურობით.

განსაკუთრებით თავი ისახელა თავისი გამბედაობით და მოხერხებით ამხ. არუხანოვმა. იყო ისეთი შემთხვევები, როცა ის თავისი რაზმით საკადრის პასუხს აძლევდა გათავხედებულ მტერს. დიდი ენერგია გამოიჩინა ამხ. ორჯონიკიძემ: ის ბრძოლაში პირადი მონაწილეობით აღფრთოვანებას იწვევდა მებრძოლებში. მაგრამ თავდაცვის საქმე ნაგებულად უნდა ჩაგვეთვალა, ვინაიდან მტერი რიცხოვრივად მეტი იყო ჩვენზე და მეორედ.. გვჯობნიდა შეიარაღებით. სოფ. ბაზარკინოს გარშემი ბრძოლა კიდევ გრძელდებოდა, როცა საქმეების გამო მე ვლადიკავკაკში დავბრუნდი. ეს იყო 2-3 თებერვალს. ქალაქი ჯერ კიდევ ჩვენს ხელში იყო, ხოლო გარშემორტყმული იყო სამი მხრიდან. დაბოლოს მტერმა გაარღვია ჩვენი რკალი სოფ. ბაზარკინოსა და ვლადიკავკაკს შორის და ასე ქალაქი მოსწყვიტა ინგუშეთში მყოფი ჩვენი ნაწილებისაგან. არაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ უნდა დაგვეხია ინგუშეთის მთებში, მაგრამ ასტრახანიდან მიგზავნილ ამხ. შლიაპნიკოვისაგან რადიო, რომელიც ნინდადებას გვაძლევდა გავმაგრებულიყავით რამდენიმე დღე და დახმარებას მივიღებდით ასტრახანიდან. ამ იმედით აღფრთოვანებულნი ჩვენ ვიცავდით ქალაქს 10-11 თებერვლამდე.

ქალაქი გარშემორტყმულია ყოველის მხრით. თავისუფალია მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზა. არ მოგვეპოვება არც თოფის, არც ტყვის მფრქვეველის ვაზნები, 4 საველე ზარაბაზნისათვის გვაქვს 9 ყუმბარა, 4 გაუბიცისათვის 2 ყუმბარა. მტრის შესაშინებლათ მუშებმა გააკეთეს ხისაგან ისეთი ჭახრაკი, რომელიც ბრუნვის დროს ნამდვილ ტყვიისმფრქვეველის ხმას მოგაგონებდათ. ჩვენი ფრონტის სარდალი და ქალაქის დამცველი იყო ამხ. აღნიევი პეტრე, რომელიც თავის დანინშნულების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ის თავისი პირადი გამბედაობითა და მონაწილეობით ამხნევებდა საბჭოთა ხელისუფლების დამცველ რევოლიუციონერებს, რომელთაც არ მოეპოვებოდათ არც იარაღი, არც სურსათი, არც ტანისამოსი. მის თანაშემწედ იყო ამხ. ოგურცოვი, რომელიც განსაკეთებულ გამბედაობით და თავდაჭერილად მოქმედობდა. დიდ დახმარებას უწევდენ ქალაქის დამცველთ ჯავშნოსანი ავტომობილები ამხ. ვანო კარაპეტოოვის და ვ. ცინცაძის მეთაურობით. ამათ შეასრულეს გადამწყვეტი როლი. სულ 4 ჯავშნოსანი გვყავდა. დაბლოოს, 8 თებერვალს, გადგავიჭრეს უკანასკნელი უკან დასახეგი გზაც – საქართველოს სამხედრო გზა, – დიაკავეს კადეტთა კორპუსი. იმ წამსვე გაიგზავნა ჯავშნიანი ავტომობილი და რაზმი, რათა მტრისაგან გაენთავისუფლებია გზა. რაზმმა ღირსეულად შეასრულა დავალება, გზა განთავისუფლებულ იქნა 8 თებერვალს საღამოთი. საღამოობით ბრძოლა მიწყნარდებოდა ხოლმე. დღით მთელი სისასტიკით ანახლებდა მტერი შემოტევას, მაგრამ ჩვენ მეფგრად ვიცავდით დაკავებულ პოზიციებს და მტერს უკან ვერეკებდით. დღით ხშირად 6-დან 10 შეტევამდე ხდებოდა.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასი სამასრესტორანი

ნიკოლოზ კიკვაძე

საწარმოო მფრინავი

შრომის ქუხილი თავზე მტრად გესხმის
გარბიხარ ფიქრით ჭაობიანით,
გონებით საფლავს გარჯის რა გესმის
გაშინებს ტემპი, შრომის უბანი!
გული უსისხლო, ჟანგით გევსება
მუქარით მოგდევს ტემპის ყუმბარა,
მრავალი ბრძოლის გვაქვს ჩვენ თვისება:
მტკიცე მიზანი და ამოცანა.
და ამ მიზნობრივ ლოზუნგებიანს
თითო ნაბიჯი ბრძოლას გვაგონებს,
და, ვარღვევთ ზღუდეს უმეცრებისას
ნაცვლად გიგანტებს ვაგებთ, ვაშენებთ.
თქვენ კი ბრმა თვალის ხედვით უყურებთ
ჩვენი სიცოცხლის ჯანსაღ სადგურებს.
სადაც ნამდვილი ხმა გამარჯვების,
ძალთა სიმაგრეს აგულდაგულებს.
დროც აღარ ითმენს შრომა დავჭარბოთ
დაედვას დაღი მკერდს მურიანი,
ურყევი ბრძოლის ცეცხლში გავჭედოთ
ბოლშევიკური ადამიანი!
სადგურად ქონდეს ქარხნის გულმკერდი
ოფლით ნაგები მტკიცე მიწაზე.
ვით ათასეულ გულებთან ერთიც
ახალ სიცოცხლით წამოვიზარდოთ.

n 57/10

ნიკოლოზ მელიქიშვილის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ან რად გჭირდებათ ფიქრი უაზრო!
ფიქრი უმზგავსო და სევდის მგვრელი,
უნდა გიყვარდეთ გარჯა უსაზღვრო
გაასკეცებულ შრომის იერით.
ან და იქნება გული გტკიოდეს
შეუთვისობით გალვარძლებული
გვაყვედრიდე და „ბედს“ უწიოდე
შრომის ბრძოლებში დამარცხებული?
ჩვენი პასუხი მანქანებია,
დრო, საქმიანი შემოქმედების,
ურყევ ღერძებზე გადადის წლები –
მთელი შეძლების ამოქმედებით.
ამ სიმძიმეში ჩაკვდებით კიდეც.
ვისაც არა გწამთ ჩვენი ქვეყანა,
დაე, მაშ გულში ღვარძლს ნუ დაიტევთ.
გქონდეს მიზნები და ამოცანა.
და გარლვევებზე შრომის შეტევა
გამარჯვებების გახდეს ნიშანი.
სიძნელეების გქონდეთ დაძლევა:
წინსვლა, შრომა, და ბრძოლის მიზანი.
ამ მისწრაფებას თქვენც შეუერთდით!
დღეს საქმიანს და დღეს ბრძოლებიანს.
მავნებლის აზრით ნუ შეეხებით
პროლეტარული ბრძოლის გენიას.
მაშ ქარხნების ხმა მეხად ნუ გესხმისთ
ნუ გარბით, როგორც შუქი გამქრალი.
გარჯის ნუთების გვრემად ნუ გესმისთ
ტემპში მხედრული შრომის უბანი.

ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“, 1931 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია პატაშური „ზიარება – ფიროსმანის პალიტრა“ – ტ.ზ. 1995

ილია პატაშური „ახალი გზა“ – ტ.ზ. 2009



ფასი სახელშეკრულებო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი
ილია პატაშური



ილია პატაშური

„შობა“ – ტ.ზ. 1996

ISSN 0132-6023

ხელმომწერთა საყურადღებოდ!!!

ხელმონერების გასაფორმებლად დაუკავშირდით ქვემოთ ჩამოთვლილ გამავრცელებლებს მითითებულ ტელეფონის ნომერ: „პრესექსპრესი“-962 311, „მიცნე“-341 070; „საქპრესა“-518 518; 515 905; მას „ელვა.ჯი“ ტელ: 238-26-73; 236-26-11 ინდივიდუალური ხელმონერის გაფორმება ასევე შესაძლებელია უშუალოდ „ვისკრის“ რედაქციაში მისამართზე: თბილისი, ათონელის (ხიდის) ქ. 29/1. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვერეკეთ რედაქციაში: 298-36-43